K20·455
3

გამოცემა სტამბა „სახალხო საქმის“ № 1.

9(4) „17-18“
305/3.
К 20.455/3

ახალი ისტორია

საშუალო სასწავლებელთათვის.

II.

(XVIII—XIX საუკ.).

დ. უზნაძე
ი. გველესიანი.

ტ ფ ი ლ ი ს ი.
სტამბა „სახალხო საქმე“, კალოუბნის ქუჩა, № 14.
1 9 1 9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა.

ეს წიგნი შეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეცხრამეტე საუკუნის ისტორიას შეიცავს. როგორც მკითხველიც დაინახავს, იგი უმთავრესად ბ. ვინოგრადოვის ისტორიის სახელმძღვანელოს მიხედვით არის შედგენილი, და მრავალ ადგილას სიტყვა-სიტყვითაც გადმოდებული; მაგრამ რა კი საგრძნობი ცვლილებაა შეტანილი როგორც ტექსტში, ისე მასალის განწილებაშიც, ამიტომ ჩვენს თავს ნება ვერ მივეცით, მისთვის თარგმანი გვეწოდებია. XV—XVII საუკ. ისტორია (მეექვსე კლასის კურსი) უკვე გამოვიდა, ამას მოჰყვება საშუალო საუკუნეთა ისტორიაც. ამ სახით დასრულდება ის შრომა, რომელიც ამ ერთი წლის წინად საზოგადო ისტორიის სახელმძღვანელოს შემუშავების განზრახვამ დამაკისრა. ჩემი „ძველი ადმოსავლეთი“, „ძველი საბერძნეთი“ და „ძველი რომი“ (ეს უკანასკნელი საშუალო ისტორიასთან პარალელურად დაიბეჭდება) პირველი ნაწილია დასახელებული შრომისა, ხოლო საშუალო და ახალი ისტორია მისი მეორე და მესამე ნაწილი იქმნება.

დ. უზნაძე,

20/XII 1918 წ.

საეგ-2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I.

I. პრუსიის ამაღლება.

1. პოლონეთის ჩამოქვეითება.

ოცდაათწლიან ომს, სხვათა შორის, ორი მთავარი შედეგი მოჰყვა თან: უმნიშვნელო **შვეცია** პირველხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა, ხოლო საკმაოდ ძლიერი **პოლონეთი** საბოლოოდ დასუსტდა: მის მაგიერ რომ გერმანიაში მომხდარ მსოფლიო შემთხვევების მსვლელობაში მონაწილეობა მიეღო, პოლონეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ გარემოებას ის გავლენა ჰქონდა ოცდაათწლიან ომზე, რომ იგი იმპერიას ოსმალეთის საფრთხისაგან ათავისუფლებდა და დასავლეთში უფრო ენერგიულად მოქმედებისათვის ხელს უხსნიდა. ხოლო ოცდაათიანი წლის ომების დროს პოლონეთის განზე დადგომა იმით აიხსნება, რომ სწორედ ამ დროს მისმა მეზობელმა რუსეთმა თავი დაახწია შინაური ანარქიის ხანას (Смутное Время) და გაძლიერებული იერიშით მოაწვა პოლონეთს. ერთის მხრივ **კაზაკების** საკითხი, მეორეს მხრივ **უკრაინა** მიზეზი შეიქმნა რუსეთს, პოლონეთსა და ოსმალეთს შორის ამტყდარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომელიც სწორედ ამ დროს გაძლიერდა.

პოლონეთმა შვეციის წარმატებას თავის დროზე ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება, და ეს გარემოება საბედისწერო შეიქმნა მისთვის. რაკი სახელდახელო დრო ხელიდან გაუშვა, ოცდაათწლიანი ომიდან გამარჯვებულად გამოსულ შვეციასთან ბრძოლა პოლონეთისთვის უკვე საძნელო იყო. მაგრამ ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ლიფლანდიაში, პომერანიასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პრუსიაში იმდენად ეწინააღმდეგებოდენ ერთიმეორეს, რომ შეუძლებელი იყო პოლონეთს შემდეგშიაც გულგრილად ეცქირა შვედების წარმატებისათვის: გარდა ამისა, ვლადისლავ მე-IV-ს შვილი **იან კაზიმირი** შვეციის გვირგვინზე ოცნებას თავს არ ანებებდა. გუსტავ ადოლფის ძმისწული **კარლოს** X **1655** წელს პოლონეთში შეიჭრა, დაიკავა იგი კრაკოვამდი და **იან კაზიმირი** სამი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ **ვარშავასთან** დაამარცხა. შვეციის ამგვარი გაძლიერება სახიფათო შეიქნა მისი მეზობლებისათვის, და ამიტომ იმპერატორი, დანია და რუსეთი პოლონეთს გამოესარჭლენ. მრავალრიცხოვანი მტრის გამკლავება ძნელი იყო შვედებისათვის; მათ პოლონეთი ხელიდან გაუშვეს, მაგრამ სამაგიეროდ დანელები დასაჯეს: სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მდებარე სამხრეთი პროვინციები ხელიდან გამოგლიჯეს და თვით დაეპატრონენ.

პოლონეთმა კვლავ აღმოსავლეთს მიაპყრო ყურადღება. **ანდრუსოვის დროებითი ზავის** ძალით რუსეთს სმოლენსკი, კიევი, ჩერნიგოვი და დნეპრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უკრაინა (1667) დაუბრუნდა. ოსმალოებმა პოდოლია და მარჯვენა ნაპირის უკრაინა დაიკავეს. გამოჩენილმა სარდალმა **იან სობესკიმ** ხოტინთან გამარჯვებით ოსმალეთის შეტევა შეაჩერა. ის მეფედ ამოირჩიეს, და მან დიდი სამსახური გაუწია ავსტრიას: დიდი ვეზირი ყარა-მუსტაფა 1683 წელს ვენას თავს დაეცა და მისი დამცველები უკიდურესობამდის მიიყვანა, მაგრამ გამოჩნდა იან სობესკი, და საქმემ სხვა ხასიათი მიიღო — მან სასტიკად დაამარცხა ოსმალოები. საუბედუროდ იან სობესკის ღვაწლმა თვით პოლონეთისათვის უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც იქ შინაური არევ-დარევა გრძელდებოდა. სობესკის სიკვდილს შემდეგ პოლონეთის ტახტზე საქსონიის კურფურსტი **ავგუსტ მე**-II ავიდა. ამ დროს აღმოსავლეთ ევროპაში ეგრედ წოდებული **„ჩრდილოეთის დიდი ომი“** სწარმოებდა. უკანასკნელის მთავარი გმირები პეტრე დიდი და კარლოს მე-XII იყვნენ. ომი კარლოსის დამარცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით გადავდა. თუმცა ავგუსტ მე-II რუსეთის მოკავშირე იყო, მაგრამ ეროწინააღმდეგის დამარცხებას პოლონეთისთვის არავითარი რეალური სარგებლობა არ მოუტანია; ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სანამ რუსები, საქსონელები, ბრანდენბურგელები, დანელები, შვედები და ოსმალოები ომს აწარმოებდენ, თვითონ პოლონეთში შლიახტა პარტიებად დაირაზმა, და სხვადასხვა კონფედერაციები ერთმანეთს ანადგურებდენ. როდესაც შვედების საფრთხემ გაიარა, ავგუსტმა შლიახტის აჯანყება ჩააქრო, შემოიღო მცირე გადასახადი და მცირე ჯარიც შეჰქმნა, მაგრამ იძულებული შეიქმნა „ოქროს თავისუფლება“ კვლავ ძალაში დაეტოვებია.

2. პრუსიის თანდათანი ზრდა და ფრიდრიხ ვილჰელმი.

ასე ჩამოქვეითდა აღმოსავლეთის ორივე თვალსაჩინო სახელმწიფო—პოლონეთი და შვეცია. მათ მაგიერ პირველობა რუსეთს ხვდა წილად. თვალსაჩინო ადგილი დაიკავა აგრედვე **პრუსიამაც**. არც სივრცით და არც ძალით იყო იგი დიდი და მნიშვნელოვანი მაგრამ მან აღმოსავლეთი ევროპის კრიზისით ხელოვნურად ისარგებლა და ერთს მთლიან, ძლიერსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქცევა შესძლო. 1611 წ. პოლონეთის მეფემ სიგიზმუნდ მე-III ბრანდენბურგის ჰოჰენცოლლერნებს, როგორც თავის ვასალებს (ჰერცოგ ალბრეხტის შთომავლობის გადაშენების შემდეგ) **აღმოსავლეთი პრუსია მისცა**. ამავე დროს ჰოჰენცოლლერნები **კლევეს** დაკავებით რეინზედაც გამაგრდენ. ვესტფალის ზავმა მათ აღმოსავლეთი **პომერანია** და **მაგდებურგი** მიანიჭა. კარლოს მე-X და იან კაზიმირის ომის დროს **„დიდი კურფურსტი“ ფრიდრიხ ვილჰელმი** ჯერ პოლონელებს გადაუდგა, მაგრამ დროზე ჩამოშორდა შვეციას და ისევ პოლონეთს მიემხრო. უკანასკნელმა მას სამაგიერო მით გადაუხადა, რომ, როგორც აღმოსავლეთ პრუსიის ჰერცოგი, ვასალური დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლა. პოლონეთის უფროსობისაგან განთავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ „დიდმა კურფიურსტმა“ ფრიდრიხ ვილჰელმმა მთავარი ყურადღება შვედებსა და ფრანგებს მიაქცია. მან ერთგული მონაწილეობა მიიღო ლიუდოვიკ მე-XIV საწინააღმდეგო კოალიციებში და, თუმცა რეინზე წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ სამაგიეროთ შვედებს ჩრდილოეთ ბრანდენბურგში **ფერბელლინთან** სერიოზული დამარცხება მიაყენა. ამგვარად ბრანდენბურგი ევროპის საზოგადო პოლიტიკაში თვალსაჩინო ძალად გარდაიქცა. ამ მდგომარეობას დიდმა კურფიურსტმა არა მარტო ხელოვნური დიპლომატიითა და გამარჯვებებით, არამედ თავისი ქვეყნის მოწყობითაც მიაღწია. მთელ მართვა-გამგეობას თვითონ მოჰკიდა ხელი, და საქმეში სხვების ჩარევას ვერ ურიგდებოდა. ის მუდამ ადმინისტრაციისა და მრეწველობის გაუმჯობესებისთვის იღვწოდა და ოცდაათწლიანი ომით გავერანებული ადგილების აყვავებასა და დაწინაურებას დიდად უწყობდა ხელს. განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მისთვის საფრანგეთის პროტესტანტ ლტოლვილების (ნანტის ედიკტის გაუქმების შემდეგ) მის სამფლობელოში დასახლება: ისინი ათასობით სახლდებოდენ იქ და ახალი წარმოების დანერგვასა და განვითარებას უწყობდენ ხელს. დიდი კურფიურსტის სიკვდილის შემდეგ ბრანდენბურგის გაძლიერება ფორმალურადაც ცნობილ იქმნა: ფრიდრიხ ვილჰელმის მვილმა **ფრიდრიხმა** იმპერატორისაგან **პრუსიის მეფის** ხარისხი მიიღო (1701).

ჩრდილოეთის დიდი ომის დროს ფრიდრიხ ვილჰელმ I რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა, და ამისათვის მან შვედების **პომერანიის** დიდი ნაწილი მიიღო. ფრიდრიხ ვილჰელმი ძუნწი, ტლანქი და შეზღუდული კაცი იყო, მაგრამ სამაგიეროდ კარგ გამგედ და მკაცრ მმართველად ითვლებოდა. ის შემოსავალ-გასავლის ყოველ გროშს ანგარიშობდა, ძალიან მცირე ხარჯებს ანდომებდა თავის სასახლეს და უვარგის მოხელეებს პირადად ასამართლებდა. მაგრამ მას ერთი სისუსტე ჰქონდა, და ამისთვის იგი ფულს არ იშურებდა: ფრიდრიხ ვილჰელმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მაღალი ტანის ჯარისკაცები მოსწონდა ყველა-გან აგროვებდა მათ და ფულსაც უხვად იძლეოდა. 2.500.000 სული ცხოვრობდა სულ პრუსიაში, მაგრამ ამის მიუხედავად ფრიდრიხ ვილჰელმმა ისეთი ლაშქარი შეჰქმნა, რომ იგი რაოდენობით იმპერატორის არმიასაც არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო გაწვრთნით, დისციპლინითა და მოწყობილობით მასზე ბევრად უკეთესი იყო.

2. ფრიდრიხ II

1. ფრიდრიხ II აღზდა

ფრიდრიხ ვილჰელმის მემკვიდრე, ფრიდრიხ II მამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. მასში ადრე გაიღვიძა აზროვნების ინტერესმა: თავისი აღმზრდელის ხელმძღვანელობით ფრიდრიხი ბევრს კითხულობდა. მამის სურვილი იყო, რომ მას პროტესტანტიზმის კატექიზმო შეესწავლა და ამასთანავე მეურნეობის დარგში საჭირო ცოდნა შეეძინა, მაგრამ ფრიდრიხი ყველა ამისადმი ძალიან მცირე მიდრეკილებას იჩენდა. მამის მთელი ყოფა-ქცევა, სიძუნწე, ბუზღუნი და პედანტური სისასტიკე ძალიან ცუდად მოქმედობდა ახალგაზრდა კრონპრინცზე. ის ეძებდა გართობას, არ ერიდებოდა ვალის აღებას, და რაც უმთავრესია, საფრანგეთის ენციკლოპედისტების თავისუფალ აზრებს ითვისებდა, აღარ მოსწონდა და დასცინოდა კიდევაც ძველ ცნებებსა და ჩვეულებებს. ფრიდრიხ ვილჰელმი შვილის მიმართულებით ძალიან უკმაყოფილო იყო და თავის გულის ნადებს ჩვეულებისამებრ უხეშად გამოხატავდა ხოლმე: საქმე ცემამდისაც კი მიდიოდა. კრონპრინცი სასოწარკვეთილებამ მოიცვა და მან რამდენიმე ოფიცერთან ერთად სახლიდან გაპარვა გადასწყვიტა, მაგრამ ამ განზრახვის შესახებ ფრიდრიხ ვილჰელმს შეატყობინეს, რამაც ის აღშფოთებაში მოიყვანა, და შვილი, როგორც დეზერტირი, სამხედრო სამართალში მისცა; კრონპრინცის თვალწინ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი თანამოაზრეთაგანი დასაჯეს. მეფეს სერიოზული განზრახვა ჰქონდა—კრონპრინცისათვის მემკვიდრის უფლებები ჩამოერთმია, მაგრამ ბოლოს მისი დაპატიმრებით დაკმაყოფილდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ფრიდრიხი მამამ ერთერთი პროვინციის საოლქო სამმართველოში გაგზავნა, სადაც იგი როგორც, უბრალო მოხელე ქალალდებს უნდა ჩაჯდომოდა. ასეთივე სკოლა მან სამხედრო სამსახურშიდაც განვლო. შემდეგ მეფემ კრონპრინცი ბრაუნშვეიგის პრინცესაზე დააქორწინა, რომლის შესახებაც თვითონვე სწერდა: სასძლო არც ლამაზია და არც ულამაზო, მაგრამ ძალიან ღვთისმოსავიაო. როგორც დაცოლშვილებულს, ფრიდრიხს მცირე სასახლის მოწყობის ნება მიეცა, და ისიც ცდილობდა—მუყაითად აესრულებია სამსახური, ხოლო მამას რაც შეიძლება იშვიათად შეხვედროდა. მაგრამ სამსახურის ყურადღებით მოპყრობამ ფრიდრიხს მალე დაანახვა, რომ ზოგი კარგი მხარე მამის გადაჭარბებულსა და მომაბეზრებელ პედანტიზსაც ჰქონდა. ის ახლოს გაეცნო არმიას, ფინანსებს, სახალხო მეურნეობას და ნახა, რომ ფრიდრიხ ვილჰელმს დიდი საქმეების გასაკეთებლად უკვე ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა; საჭირო იყო მხოლოდ საქმის ხელოვნური და მოფიქრებული გაძღოლა.

2. ფრიდრიხის ომები.

ფრიდრიხ ვილჰელმი 1740 წელს გარდაიცვალა, და ფრიდრიხ მე-II-ც დაუყონებლივ მამის მიერ დაგროვილ საშუალებათა გამოყენებას შეუდგა. მან უწინარეს ყოვლისა განიზრახა, ავსტრიის მძიმე მდგომარეობით ესარგებლებია.

ვრცელი და გარეგნულად ძლიერი ჰაბსბურგების მონარქია არსებითად ძალიან სუსტსა და ავადმყოფ სხეულს წარმოადგენდა. თითქმის ერთი ხელის შეხებაც საკმაო იყო, რომ იგი მყის დანგრეულიყო. იმპერატორ კარლოს მე-VI ვაჟი არ ჰყავდა, და მისი სიკვდილის შემდეგ უეჭველად უნდა წამოჭრილიყო საკითხი მემკვიდრეობის შესახებ ბოჰემიაში, უნგრეთში, ავსტრიაში და კარინთიაში, ბელგიაში, მილანში და ტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანაში. სახელმწიფოს დარღვევის თავიდან ასაცილებლად მან ეგრედ წოდებული **„პრაგმატიული სანქცია“** გამოსცა, რომელიც მემკვიდრეობის მხრივ ყველა მის სამფლობელოს აერთიანებდა, და მემკვიდრედ მის ქალსა, **მარიამ ტერეზიას** აცხადებდა. კარლოს მე-VI ყოველი საშუალება იხმარა, რომ სანქცია როგორც თვით მის სამფლობელოებში, ისე უცხოეთშიც ეცნოთ. მაგრამ მისი სიკვდილისათანავე ტახტის რამოდენიმე მაძიებელი მაინც გამოჩნდა და ერთს მათგანს, ბავარიის კურფურსტს ფრანგებმაც კი მხარი დაუჭირეს. ცხადი ნიშნები იყო იმისა, რომ საუკუნოებრივი ბრძოლა ავსტრიასა და საფრანგეთს შორის ხელახლა უნდა დაწყებულიყო. და აი სწორედ ამ შეუფერებელ დროს მარიამ ტერეზიას მოქიშპე იქვე, მეზობლად გამოუჩნდა: ფრიდრიხ მე-II მოულოდნელად შეიჭრა სილეზიაში და ავსტრიელები დაამარცხა. ფრიდრიხს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მარიამ ტერეზია მისთვის ვერ მოიცლიდა: ფრანგები ისე შორს შემოიჭრენ ავსტრიის საზღვრებში რომ აქ ლიუდოვიკ XIV არმიასაც არ ჰქონდა ფეხი დადგმული; ბავარელების დახმარებით მათ **პრაგა** აიღეს, ისპანელებთან ერთად იტალია დაიკავეს, ხოლო ავსტრიის მოკავშირე ინგლისელები ნიდერლანდებში დაამარცხეს. ამის მიუხედავად მარიამ ტერეზიამ მაინც აიძულა ფრანგები, ზავი ჩამოეგდოთ; **ახენის** სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად ფრანგები ომს ისე ათავებდენ, რომ ავსტრია მათ არაფერს არ აძლევდა, მარიამ ტერეზიას უფლებები კი ცნობილ იქმნა და მისი მეუღლე **ფრაცინსკ ლორენელი** იმპერატორად აირჩიეს. ყველაზე მოგებული ფრიდრიხ მე-II დარჩა: იგი ჯერ შეურიგდა ავსტრიას, მაგრამ ხელშეკრულება მალე დაარღვია, ავსტრიელები რამდენჯერმე დაამარცხა და საბოლოოდ გამაგრდა **სილეზიაში**.

3. შვიდწლიანი ომი.

ფრიდრიხ მე-II წარმატებამ ევროპაში საზოგადო **ყურადღება** მიიპყრო: პრუსია რუსეთისა და ავსტრიის მეორეხარისხოვან თანამგზავრისაგან უძლიერეს სახელმწიფოდ იქცეოდა; რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მეფის ნიჭსა და მისწრაფებას, ისე მისი არმიის საუ-ცხოვო გაწვრთნას ყველა გაკვირვებაში მოჰყავდა. ოღონდ ფრიდრიხ მე-II-ს უფლების უპატივცემლობას, ვერაგობასა და ცბიერობას უძრახავდენ.

მარიამ ტერეზია სილეზიის დაკარგვას, რომელიც დიდი ხნიდან ჩეხიის გვირგვინს ეკუთვნოდა, ვერაგზით ვერ ურიგ-დებოდა; ამიტომ იგი ყოველ ღონეს ხმაროობდა, პრუსიის წინააღმდეგ დიდი კოალიცია შეექმნა. ბოლოს მისი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა: ფრიდრიხის წინააღმდეგ რუსეთი, საქსონია, შვეცია და საფრანგეთი შეერთდენ; პრუსიის მხარეზე მხოლოდ ინგლისი იყო. ძალთა განწყობილება ისეთი უთანასწორო შეიქნა, რომ ფრიდრიხს მხოლოდ მოკავშირეთა შორის ურთანხმოების იმედი ღა ჰქონდა. მან არ მოუცადა ომის გამოცხადებას, მოულოდნელად შეიჭრა საქსონიაში, გარს შემოერტყა საქსონიის ჯარს და აიძულა, დანებებოდა; ხოლო ავსტრიელები ორჯერ საგრძნობლად დაამარცხა

დასაწყისი ბრწყინვალე იყო, მაგრამ კოალიციამაც თანდათან დაიწყო მოქმედების გაცხოველება. ინგლისელები ფრანგებმა ელბის შესართავთან ჰანოვერის ტბებში მოიმწყვდიეს და მხოლოდ იმ პირობით გაუშვეს, რომ ომს თავს დაანებებდენ; რუსებმა მათ წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმი დაამარცხეს და აღმოსავლეთი პრუსია დაიკავეს, შვედები პომერანიაში შეიჭრენ. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ ავსტრიის ფელდმარშალმა დაუნმა თვითონ ფრიდრიხი დაამარცხა (**კოლინთან**—პრაგის ახლოს). მაგრამ ფრიდრიხი სულით მაინც არ ეცემოდა. მან საშუალება არ მისცა მტრებს, რომ მის გარშემო წრე შეეკრათ. სანამ დაუნი ნელის ნაბიჯით ბოჰემიას მიდიოდა, ფრიდრიხმა საფრანგეთის არმიას მიაშურა, რომელიც უკვე საქსონიაში იყო შესული. მას გაცილებით ნაკლები ჯარი ჰყავდა, მაგრამ მისი კავალერია **როსბახთან** მოულოდნელად დაესხა მტერს და რამდენიმე წუთში გააქცია იგი. ამას შემდეგ ფრიდრიხი დაუნს მიუბრუნდა და მას სილეზიაში სამაგიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეხადა. ფრიდრიხმა ეხლა რუსებისაკენ იბრუნა პირი, და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ **ცორნდორფთან** მტერი დაამარცხა. ხოლო, როდესაც ფრიდრიხი ისევ დაუნს მიუბრუნდა, იგი ამ უკანასკნელმა ერთ ადგილას მიიმწყვდია და მთელი არტილერია დაეკარგვია. მაგრამ ავსტრიის სარდალმა გადაჭარბებული სიფრთხილის გამო ამ გამარჯვებით ვერ ისარგებლა. ამ დროს რუსების არმია სალტიკოვის ხელმძღვანელობით უკვე ბერლინს უახლოვდებოდა. ფრიდრიხ II დიდის გაჭირვებით შეკრიბა ახალი ჯარი და სალტიკოვის შესაჩერებლად გაეშურა. რუსებმა პრუსიის ერთს რაზმს უკვე სძლიეს, ხოლო თვითონ ფრიდრიხი **კუნერსდორფთან** სასტიკად დაამარცხეს (1759). მდგომარეობა ისეთი სასოწარმკვეთი იყო, რომ ფრიდრიხმა სამეფო გვირგვინზეც კი უარის თქმა განიზრახა. მისდა საბედნიეროდ მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა: სალტიკოვი ფიქრობდა, რომ დაუნს მთელი ომის სიმძიმის რუსების კისერზე გადატანა სურდა. თუმცა რუსებმა ბერლინი დაიკავეს, მაგრამ მოწინააღმდეგის დევნა შეაჩერეს და ამით ფრიდრიხს საქმის გამობრუნების საშვალება მისცეს. მაგრამ ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ რუსეთში ფრიდრიხს მე-II თაყვანისმცემელი პეტრე მე-III გამეფდა. მან არამც თუ უარი სთქვა ყველა დაკავებულ ადგილებზე, არამედ პრუსიის მეფის დახმარების შესახებაც კი დაიწყო ზრუნვა. ფრიდრიხ მე-II ძალა მოიკრიბა და ავსტრიელები რამდენჯერმე დაამარცხა. ბოლოს, 1763წ. **გუბერტსბურგში** შეერიგება მოხდა და ამით **შვიდი წლის ომს** (1756-1763) ბოლო მოეღო. პრუსიამ სილეზია შეინარჩუნა, და ამას გარდა ომის შედეგი ისიც იყო, რომ ავსტრია დასუსტდა და მან შუა ევროპაში უძლიერესი სახელმწიფოს ადგილი პრუსიას დაუცალა. ფრიდრიხის არაჩვეულებრივმა ბრძოლამ კოალიციის წინააღმდეგ გერმანელების მიძინებული ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, და პრუსიის მეფე მთელს გერმანიაში უპოპულიარეს კაცად შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. პოლონეთის პირველი დანაწილება და პრუსიის გაერთიანება.

პოლონეთში გამეფებულმა ანარქიამ ფრიდრიხ მე-II საშუალება მისცა, ამ დაავადებული სახელმწიფოს ხარჯზე ახალი სიმდიდრე შეეძინა. შვიდი წლის ომის დროს პოლონეთის დაქვეითება საბოლოოდ გამომჟღავნდა. უვრცელესი და ოდესღაც უ'ლიერესი სახელმწიფო ამ ბრძოლის უბრალო მოწმეთ დარჩა, თუმცა იგი მის საზღვრებში ხდებოდა: რუსები დაუბრკოლებლივ სარგებლობდენ პოლონეთის ტერიტორიით ჯარების გადასაყვან-გადმოსაყვანად, პრუსია კი პოლონელებით თავის ჯარს ავსებდა. ეკატერინე მე-II ტახტზე ასვლის შემდეგ პოლონეთი რუსეთის ხელქვეით სახელმწიფოდ გარდაიქცა. პოლონეთის მამულიშვილებმა, ბოლოსაც იქნა, შეიგნეს, თუ სად იყო ბოროტება დამარხული, და სახელმწიფო წყობილების გარდაქმნა განიზრახეს. მაგრამ ისინი ერთსულოვნებით ვერ მოქმედობდენ, ხოლო მაგნატებისა და შლიახტის უმრავლესობა დროს უდარდელად ვართობასა და ინტრიგებს ანდოებდა.

ავგუსტ მე-III სიკვდილის შემდეგ **ჩარტორისკის** პარტიამ რუსეთის დახმარებით კონფედერაცია შეადგინა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ბევრი გაუმჯობესება შეიტანა: liberum veto მხოლოდ კანონების გარჩევის დროს იყო ნებადართული, ხოლო საკითხები ფინანსების შესახებ ხმის უმრავლესობით წყდებოდა; მცირე სეიმებს თავისი წარმომადგენლებისადმი სავალდებულო ინსტრუქციების მიცემის უფლება წაერთვათ; სამხედრო და საფინანსო საქმეების გასაძღოლად ორი მუდმივი კომისია ინიშნებოდა. მეფედ არჩეულ იქმნა ეკატერინესთან დაახლოებული კაცი—**სტანისლავ პონიატოვსკი**. მაგრამ როდესაც რუსეთის ელჩმა, თავადმა **რეპნინმა** ჩარტორისკებს კომპენსაციად რუსეთთან თავდაცვითი და შეტევითი კავშირის შეკვრა და მის ხელში დიპლომატიურ ურთიერთობათა საქმეების გადაცემა მოითხოვა, მან უარი მიიღო. ეს პოლონეთისთვის ნამდვილი თვითმკვლელობის აქტი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთმა ადვილად ჩაშალა მომბდარი რეფორმები და კათოლიკების ძალმომრეობის საწინააღმდეგოდ მართლმადიდებლების და პროტესტანტებისაგან ახალი კონფედერაცია დააარსა. კათოლიკებმა თავის მხრივ **ბარში** (პოდოლში) საწინააღმდეგო კონფედერაცია შეჰკრეს, რაც უმთავრესად რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ფრიდრიხ მე-II ხელოვნურად ისარგებლა ამ არევ-დარევით და პოლონეთის დანაწილების გეგმა წარმოადგინა. ეკატერინე თავდაპირველად ამის წინააღმდეგი იყო, რადგან მისი გავლენა მთელ პოლონეთზე ვრცელდებოდა, და არ იყო სასურველი, რომ ეს გავლენა პრუსიისა და ავსტრიისათვის გაენაწილებია. მაგრამ სწორედ ამ დროს ოსმალეთთან ომი ჰქონდა და რომ საქმე არ გართულებოდა, თანხმობა გამოაცხადა. ამგვარად 1772 წელს პოლონეთის პირველი დანაწილება მოხდა: რუსეთს ერგო **ბელორუსია**, ავსტრიას **მცირე პოლონეთი** (კრაკოვის და სანდომირის ოლქები) და **ჩერვონაია რუსი** (გალიციაში), ხოლო პრუსიამ **დასავლეთი პრუსია** შეიერთა (დანციგისა და ტორნის გამოკლებით). ფრიდრიხ მე-II ყველაზე უფრო მოგებული დარჩა, რადგანაც ახალი ტერიტორია იმ შუა ხაზს სპობდა, რომელიც „აღმოსავლეთ“ პრუსიას მარნარქიისაგან ჰყოფდა: პოლონეთის პირველმა განაწილებამ აღმოსავლეთი და დასავლეთი პრუსია შეაერთა.

II. პარლამენტარული ოლიგარქია ინგლისში.

1. **პარლამენტარიზმის განმტკიცება.**

1688 წელს ინგლისში ჰოლანდიის შტატჰალტერი ვილჰელმ ორანელი გამეფდა. ინგლისის სამეფო გვირგვინის ხელში ჩაგდება მით უფრო საინტერესო იყო მისთვის, რომ მას საშვალება მიეცა, ინგლისი ლიუდოვიკ მე-XIV საწინააღ-

ეროვნული

მდეგო კოალიციაში ჩაეთრია, და მართლაც ინგლისის კოალიციისადმი შეერთებამ ძალთა განწყობილება ვილჰელმის სასარგებლოდ გადახარა. საზოგადოდ კი ვილჰელმ მე-III-ს ინგლისის საქმეები იმდენად არ აინტერესებდა, და მათი გაძღოლა თვით ინგლისელებს მიანდო; მინისტრთა საბჭოს, რომლის ხელშიაც მთელი მართვაგამგეობა იყო, ვილჰელმი პარლამენტის უმრავლესობის პარტიისაგან ნიშნავდა. ეს ჩვეულება ინგლისში თანდათანობით დამკვიდრდა და შემდეგში ევროპაშიც გავრცელდა. რაკი ხალხის წარმომადგენლები თემთა პალატას შეადგენდნენ, სახელმწიფო საქმეების გაძღოლაც მათ ხელში გადავიდა. ლორდების პალატას მხოლოდ ბილების მიღების, ან მათი უარყოფის უფლება ჰქონდა. ვილჰელმ მე-III გამეფების შემდეგ პირველად დისენტერებს მიეცათ სარწმუნოების თავისუფლება; ეს იმით აიხსნება, რომ იგინი, იმის მიუხედავად რომ იაკობ მე-II მათ მრავალ დაპირებას აძლევდა, მას მაინც არ მიემხრენ. სამაგიეროდ კათოლიკები ძველ მდგომარეობაში დარჩენ, ხოლო როდესაც მათმა აჯანყებამ ისლანდიაში იაკობის სასარგებლოდ მიზანს ვერ მიაღწია, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

2. **მემკვიდრეობის აკტი და ანას მართვლობა.**

ვილჰელმი და მარიამი უშვილონი იყვნენ. მემკვიდრეთ იაკობ მე-II-ის მეორე ქალი **ანა** ითვლებოდა. სტუარტების დაბრუნებისათვის რომ ხელი შეეშალა, პარლამენტმა 1701 წელს აქტი შეადგინა, რომლის ძალითაც ანას შემდეგ ტახტი იაკობ I ნათესავს ჰანოვერის კურფიურსტებზე უნდა გადასულიყო. მაგრამ ტახტის მათ ხელში გადასვლა უნდა მოხმდარიყო მხოლოდ განსაზღრული პირობებით: ინგლისის მეფე ანგლიკანური ეკლესიის მიმდევარი უნდა ყოფილიყო; უცხოელებს ნება არ უნდა ჰქონოდათ მინისტრებად ან საიდუმლო საბჭოს წევრებად ყოფილიყვნენ, სასამართლოების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განსამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებლად მსაჯულთა გადაუყენებლობა უნდა შეენოეღოთ; პარლამენტის წევრებს ნება არ უნდა ჰქონოდათ რაიმე თანამდებობა მიეღოთ და იმავე დროს წევრობის უფლებებიც შეენარჩუნებიათ. უკანასკნელი დადგენილება შემდეგში შეიცვალა: მინისტრები პარლამენტის წევრებიდან ინიშნებოდენ, მაგრამ თუ ისინი თემთა პალატას ეკუთვნოდენ, დეპუტატობაზე უარი უნდა განეცხადებიათ. თუ მათ ხელახლად დეპუტატად აირჩევდენ, მაშინ უფლება ეძლეოდათ მინისტრობა და დეპუტატობა შეეთავსებიათ. ამგვარად, მინისტრებს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ პარლამენტთან, ხოლო დანარჩენი თანამდებობის პირები მოშორებული იყვნენ პარლამენტს, რათა მათ დეპუტატებზე გავლენა არ მოეხდინათ.

ანას მეფობის მთავარი ყურადღება ისპანიის მემკვიდრეობისათვის ომისკენ იყო მიპყრობილი. ერთხანს ეს ხანგრძლივი და მძიმე ომი საზოგადოებას ეტაცებდა, მაგრამ შემდეგ მისდამი ინტერესი თანდათან მინელდა, რადგანაც პირდაპირი სარგებლობა არაფერი სჩანდა, ფიზიკური და ქონებრივი ზარალი კი ბევრი იყო. მეფემ ამით ისარგებლა და ვიგების სამინისტრომ, რომელიც ომს უჭერდა მხარს, და აგრეთვე მალბორო�c, რომელმაც მას თავისი უფლებამოყვარეობითა და ანგარებით თავი მოაბეზრა, თავიდან მოიცილა. ომის პირდაპირი შედეგი ინგლისისათვის არ იყო სახარბიელო, სამაგიეროდ არა პირდაპირი დიდი იყო, რადგანაც ამ ომმა ჰოლანდია დაასუსტა, ხოლო საფრანგეთის ფლოტმა კატასტროფა განიცადა. ამას გარდა საშინაო პოლიტიკაში თვალსაჩინო ცვლილება მოხდა: შოტლანდია, რომელსაც ინგლისთან საერთო მხოლოდ მონარქი ჰყავდა, ეხლა ინგლისს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა და მასთან ერთი მთლიანი სახელმწიფო შეჰქმნა. შოტლანდიელებს ინგლისის თემთა პალატაში 45 ადგილი დაეთმოთ, ხოლო ლორდებისაში 16 ადგილი. სასამართლო და სახელმწიფო ეკლესია ორივე მხარეს საკუთარი დარჩათ; სამაგიეროდ შოტლანდიელებმა „ერთობის აქტის“ თანახმად ედინბურგის პარლამენტზე უარი განაცხადეს (1707).

3. ჰანოვერის დინასტია და პარლამენტარული სისტემის განმტკიცება.

1714 წელს ანა გადაიცვალა და ტახტზე ჰანოვერის კურფ-ჟურისტი **გეორგ** I ავიდა, რომელმაც ინგლისურად ლაპარაკიც კი არ იცოდა და თავისი გერმანული სამთავროს ბედით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ინგლისის მონარქიის საქმეებით. გეორგ I და მისი შვილი **გეორგ მე**-II ისევე უცხო იყვნენ ინგლისისათვის, როგორც ვილჰელმ მე-III. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი პარლამენტის უაღრეს უფლებიანობის განმტკიცების და კაბინეტის მართველობის განვითარებას, ე. ი. იმგვარ წყობილებისას, როდესაც მთავრობა თემთა პალატის უმრავლესობისაგან სდგება და თავისი ბედით ამ უმრავლესობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. როდესაც პარლამენტში ძალთა განწყობილება იცვლებოდა, და არსებული მთავრობა რომელიმე საკითხის შესახებ ხმის უმრავლესობას ვერ მიიღებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას უნდობლობას უცხადებენ, და ამიტომ იგი ადგილიდან უნდა გადამდგარიყო. ჰანოვერის სახლობის გამეფების დროს ინგლისში, როგორც პარლამენტში, ისე საზოგადოებაშიც უმრავლესობა მხარს ვიგებს უჭერდა, რომლებიც 1688 წლის რევოლუციით დამყარებულის პოლიტიკური წყობილების და პროტესტანტიზმის მომხრედ გაზოდიოდენ და ჰანოვერის დინასტიას იცავდენ, რადგანაც იგი პარლამენტის უზენაესობას და პროტესტანტიზმის ბატონობას უზრუნველყოფდა. ამას გარდა ვიგები ცდილობდენ ვაჭართა კლასთან კარგი განწყობილება დაემყარებიათ, რომელიც თან და თან მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა. ტორებს მხარს უჭერდა მრავალრიცხოვანი მემამულეთა კლასი. მაგრამ რაკი იგინი დისენტერებს სდევნიდენ და განდევნილ სტუარტებთან ურთიერთობას განაგრძობდენ, მათ ხალხი ფარულ იაკობიტებად სთვლიდა და ალმაცერად უყურებდა.

4. მოსყიდვის სისტემა და ვალპოლი.

მაგრამ ვიგები მარტო საზოგადოებრივ აზრზე არ იყვნენ დაყრდნობილნი. მართველობის შესანარჩუნებლად ისინი

ხშირად არაკეთილშობილური საშუალებითაც სარგებლობდენ. ვილჰელმ მე-III გამოცემული კანონის ძალით თემთა პალატის კომპენტენცია სამ წელს გრძელდებოდა, რის შემდეგაც ახალი არჩევნები უნდა მომხდარიყო. ვიგებმა ეს ვადა შვიდ წლამდე აიყვანეს. ხაზინის პირველ ლორდათ **რობერტი უალპოლი** შეიქმნა; ის კარგი ფინანსისტი იყო, მაგრამ ადამიანის ღირსებას ზიზღით უცქეროდა და მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა; მან **მექრთამეობის სისტემა** შემოიღო, რამაც ვიგების ბატონობა დიდი ხნით უზრუნველჰყო პარლამენტში. საქმე ის არის, რომ ვიგების პარტიაში ბევრი შეძლებული ინგლისელი არისტოკრატი ირიცხებოდა, და ისინი სისტემატიურად სარგებლობდენ თავისი გავლენითა და ფულით, რათა მოსყიდვით ან ძალდატანებით ხმა ვიგების კანდიდატებისათვის ეშოვნათ. არჩევნები რომ საყოველთაო ყოფილიყო ან და ხალხის უმრავლესობას მაინც ჰქონოდა არჩევნების უფლებები, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ინგლისში არჩევნების სხვაგვარი წესი იყო: საგრაფოებში არჩევნების უფლება მემამულეებსა და მსხვილ ფერმერებს ჰქონდათ (წვრილი მესაკუთრეები, ჩვენებურად, მიწის მუშა გლეხები, ინგლისში იმ დროს თითქმის სრულიად აღარ იყვნენ, ხოლო სოფლის მუშები, როგორც საკუთრებას მოკლებულნი, ხმის უფლებით ვერ სარგებლობდენ). ასე რომ არჩევნებში მარტო ეს ორი ძალა გამოდიოდა. მაგრამ მსხვილ მემამულეებს საშუალება ჰქონდათ ძალა დაეტანებიათ ფერმერებისათვის და ამ გვარად არჩევნებზე გავლენა მოეხდინათ.

მაგრამ საგრაფოებში საშუალო და ზოგი წვრილი მემამულე მაინც იყო, და ესენი თითქმის ყველანი ტორების პარტიას თანაუგრძნობდენ. ასე რომ აქ ვიგებს მაინც საკმაო ბრძოლა უხდებოდათ. საერთოდ იგინი მთელს თავის იმედებს ე. წ. „დამპალ დაბებზე“ ამყარებდენ. ეს ის ადგილები იყვნენ, რომელნიც ოდესღაც მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდენ და ამის გამო პარლამენტში დეპუტატების გაგზავნის უფლებით სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობდენ; ახლა ამ დაბათა უმრავლესობა სრულიად ჩამოქვეითებული იყო, ასე რომ ზოგ მათგანს სულ რამდენიმე ათეული მცხოვრები თუ ჰყავდა. ამის მიუხედავად ძველი ამომრჩევლობითი უფლებები მათ მაინც შერჩათ და, რადგანაც იგინი ან რომელიმე ნემამულის საკუთრებას შეადგენდნენ ან და თავის მცხოვრებთა მცირე რიცხოვანობის გამო ადვილი მოსასყიდელი იყვნენ, ვიგები თავის დეპუტატებს მათ არჩევინებდენ, და აი სწორედ ეს დეპუტატები ლონდონის წარმომადგენლებთან ერთად პარლამენტში წარბშეუხრელად „მოღვაწეობდენ“.

მოსყიდვა, მექრთამეობა თვით პარლამენტშიაც კი გამეფდა; გაბატონებული პარტიის მიმზიდველი ძალა მით უფრო ძლიერი შეიქმნა, რომ მინისტრი თანამდებობებს, პენსიებსა და პირდაპირ საჩუქრებსაც (ფულად) არიგებდა. უალპოლი გასაკუთრებით მოურიდებლი იყო ამ მხრივ, და ამასთანავე თუ კი ვისმე მოისყიდიდა, აუცილებელ მორჩილებასაც მოსთხოვდა მას. მაგრამ პარლამენტარული ბოროტ მოქმედებით სარგებლობა მხოლოდ მშვიდობიან დროს შეიძლებოდა, როდესაც ქვეყანა დაწყობილი იყო და მას საჭირბოროტო საკითხები არ აღელვებდა. ხოლო როდესაც რომელიმე ძლიერი საზოგადოებრივი მიმდინარეობა იჩენდა თავს, მაშინ მისი შეჩერება არავითარ მოსყიდვასა და მახინაციებს არ შეეძლო, თუნდ იგი ისეთს დახელოვნებულ პირსაც კი ეწარმოებინა, როგორიც უალპოლი იყო. უალპოლმა ეს ძალიან კარგად იცოდა, და ამიტომ იყო, რომ იგი მთელი 20 წლის განმავლობაში მშვიდობიანი ცხოვრების დაცვას ცდილობდა; იგი ყოველგვარ გართულებას გაურბოდა და განსაკუთრებით ომს უფრთხილდებოდა, მაგრამ დაიწყო თუ არა ომი ისპანიასთან, ვალპოლის ეჭვები გამართლდა და იგი სამინისტროდან იძულებული შეიქნა გამოსულიყო. მართალია ვიგები ჯერ კიდევ სახელმწიფოს სათავეში დარჩენ, მაგრამ ცხადად სჩანდა, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გასტანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 სტუარტების უკანასკნელი ცდა.

მე-XVIII საუკუნის ნახევარში სტუარტებმა უკანასკნელად სცადეს ინგლისის გვირგვინის დაბრუნება. იაკობ III-ს შვილი **კარლოს ედუარდი** მთიან შოტლანდიაში გადავიდა და მთიულებისაგან შემდგარი მცირე ჯარით სამხრეთისაკენ გაეშურა. მისი მეომრების თავდასხმა ისეთი შეუპოვარი იყო, რომ ინგლისის ორი რაზმი დამარცხებულ იქმნა, ხოლო ტახტის მაძიებელი ინგლისში შეიჭრა. მაგრამ (კიულოდენთან) კარლოსის რაზმები, რომლებიც ორლესილი მახვილებით იყვნენ შეიარაღებულნი, მთავრობის ჯარმა (ტყვიისმსროლელ იარაღით აღჭურვილმა) დაამარცხა, და კარლოს ედუარდმა მხოლოდ გაქცევით უშველა თავს. ამას შემდეგ იგი აჯანყების მოწყობას აღარ ცდილა.

---

3. ინგლისის კოლონიალური პოლიტიკა.

1. ინდოეთი და ამერიკა.

1756 წელს ინგლისი შვიდი წლის ომში იღებდა მონაწილეობას; ამან საზოვადოებრივი ინტერესები გააცხოველა და პარლამენტის ჩვეულებრივი წესრიგი შესცვალა. სახელმწიფოს სათავეში ჯერ კიდევ ვალპოლი იდგა, როდესაც თემთა პალატის წევრებისაგან ერთი ჯგუფი შესდგა, რომელიც მოსყიდვის სისტემას გმობდა და კეთილშობილურისა და ძლიერის ეროვნული პოლიტიკის წარმოებას მოითხოვდა. ამ იდეალისტების ჯგუფის მთავარი წარმომადგენელი გამოჩენილი ორატორი **უილიამ პიტი** იყო. პიტი თავისი ლამაზი და მომხიბვლელი სიტყვით მსმენელთ აჯადოებდა. შვიდი წლის ომის დროს იგი სამხედრო მინისტრად იქმნა დანიშნული, და მანაც მალე დაამტკიცა, რომ მას არა მარტო ლაპარაკი, არამედ მოქმედებაც შეეძლო. პიტი ენერგიულ დახმარებას უწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდა ფრიდრიხ მე-II როგორც ფულით ისე ჯარითაც, და ფრანგებს მათს ახალშენებში საგრძნობ ზიანს აყენებდა. გენერალმა **ულფმა** მთელი **კანადა** დაიკავა. ჯერ კიდევ ელისაბედის დროს დაარსებული **აღმოსავლეთ-ინდოეთის სავაჭრო ამხანაგობა** ინდოეთში ნელ-ნელა ნავთსადგურებს იძენდა; მან **მადრასი** და **კალკუტა** დააარსა, ხოლო პორტუგალიისაგან **ბომბეა** მიიღო. მე-XVIII საუკუნის დასაწყისში „დიდი მოგოლის“, თემურ ლენგის მემკვიდრის სამეფო, რომელიც ნახევარკუნძულზე წესრიგს იცავდა, საბოლოოდ დაინგრა. დაიწყო უთანხმოება იმ თემთა შორის, რომლებსაც ევროპიდან გადმოსახლებულებთან ურთიერთობის მოწყობა უხდებოდათ. უკანასკნელნი თვითონ იყვნენ ორ ბანაკად გაყოფილნი—ინგლისელები ემყარებოდენ მადრასს, კალკუტას და ბომბეას, ფრანგები კი—**პონდიშერის**. 50-ან წლებში **კლაივმა**, აღმოსავლეთ-ინდოეთის ამხანაგობის ყოფილმა უბრალო ნოქარმა და ახლა გუბერნატორმა, ფრანგები და ადგილობრივი მცხოვრებლები დაამარცხა. პიტტმა მთავრობის ჯარით ამ მოძრაობას ზურგი გაუმაგრა: ინგლისელებმა პონდიშერი აიღეს და ამით ნახევარკუნძულზე უპირატესობა მოიპოვეს. პარიზში დადებულის საზავო ხელშეკრულების ძალით (1763) ფრანგებმა **კანადა** დასთმეს, ხოლო პონდიშერი უკანვე დაიბრუნეს, მაგრამ მათი გავლენა ინდოეთში მაინც საბოლოოდ იყო დაკარგული.

2. პარლამენტის ოლიგარქია.

იმ დროს, როდესაც ინგლისი თავისს კოლონიალურ პოლიტიკას წარმატებით აწარმოებდა, ამერიკაში ახალშენს ახალშენზე იძენდა და ამით ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობას განვითარების გზას უკაფავდა, თვით ინგლისში ფრიად საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი. მეფე გეორგ მე-II 1760 წელს გარდაიცვალა, ხოლო მასი ადგილი უფლებამოყვარულმა გეორგ მე-III დაიკავა. მან ზედმეტი გავლენის მოპოვება გადაწყვიტა და სამინისტროს შედგენა „მეფის მეგობრებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან“ სცადა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვიგები უფრო ძლიერნი ყოფილიყვნენ, ვიდრე მეფეს ეგონა, და იგიც იძულებული შეიქმნა, ისევ მათ დაყრდნობოდა.

მეორე მხრივ, პარლამენტმა ხალხის უზენაესუფლებიანობის წინააღმდეგაც გაილაშქრა: პარლამენტის წევრმა **უილკსმა** გაზეთში მეფის სიტყვის კრიტიკა მოათავსა. მეფის მოთხოვნით თემთა პალატამ იგი თავის წევრთა სიიდან ამორიცხა, ხოლო სასამართლომ დაპატიმრება გადაუწყვიტა. უილკსი საფრანგეთს გაიქცა. ხალხმა ის მაინც რამდენჯერმე აირჩია დეპუტატად, მაგრამ პალატა ყოველთვის რიცხავდა მას, ხოლო მის მაგიერ მის მოწინააღმდეგეს ამტკიცებდა. ეს უკვე ამომრჩევლების უფლების დარღვევა იყო; ლონდონში აღელვებული ხალხი პარლამენტის წევრებს შეურაცყოფას აყენებდა. ამ შემთხვევამ ნათელი მოჰფინა პარლამენტისა და ქვეყნის ანორმალურ მდგომარეობას, და მოწინავე ელემენტებიც რეფორმების ნიადაგის მომზადებას შეუდგენ. უცნობმა ავტორმა, **იუნიუსის** ფსევდონიმით წერილების მთელი რიგი დაბეჭდა, სადაც იგი მეფის მოქმედებასა და პარლამენტის ოლიგარქიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა.

IV. ამერიკის განთავისუფლება.

1. ამერიკის ახალშენები.

შვიდი წლის ომმა ინგლისს ფრიად საყურადღებო სარგებლობა მოუტანა: საფრანგეთის კანადა ინგლისელების ახალშენებთან იქმნა შეერთებული. პირველი ახალშენი—**ვირგინია** ელისაბედის მეკობრებმა მოაწყვეს მე-XVI საუკუნის ბოლოს; იქ ჩასახლებული ინგლისელები ისპანელებმა და ინდეელებმა გაჟლიტეს; მაგრამ მათ მაგიერ ამ ქვეყანაში სხვა ახალშენელები ჩასახლდენ და გამაგრდენ. ვირგინიას წარმატებას თუთუნის პლანტაციების აყვავებამ შეუწყო ხელი, სადაც მსხვილი მესაკუთრეების მონა ნეგრები მუშაობდენ. სამხრეთის ამ ახალშენებში მცხოვრებნი ანგლიკანიზმს აღიარებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა ტიპის იყვნენ ჩრდილოეთის ახალშენები, ეგრედ წოდებულის **ახალი ინგლისის** მცხოვრებნი მათ შორის პირველი ადგილი **მასსაჩუსეტის** ახალშენს ეჭირა. ეს ახალშენი იმ პურიტან ინდეპენდენტებმა დააარსეს, რომლებიც იაკობ I მიერ მოწყობილი დევნის დროს ჰოლანდიაში გადაიხიზნენ და შემდეგ ამერიკაში გადასახლდნენ. აქ წვრილი მეურნეობა იყო გაბატონებული. ახალშენელები მიწის დამუშავებას, ნადირობასა და ადგილობრივ ხალხთან ვაჭრობას მისდევდენ. მტკიცემ, ღვთისმოსავმა და თავისუფლების მოყვარე პურიტანებმა ბოლოსაც იქნა თავისი საკუთარი საერო და საეკლესიო წყობილების მოწყობა შესძლეს და პატარა დემოკრატიული რესპუბლიკები დაიარსეს.

შედარებით სხვაგვარი იყო პენსილვანია. იქ **კვაკერები** იყნენ გაბატონებულნი (ესე იგი ის სექტა, რომლის მიმდევრებიც სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობას წინასწარმეტყველურ ზეშთაგონებაში ეძიებდენ). იგინი ისეთივე მხნე, შრომის მოყვარე და ღვთის მოშიში ხალხი იყვნენ, როგორც პურიტანები, მაგრამ ამათგან იმით განსხვავდებოდენ, რომ პოლიტიკურ თავ სუფლებას გულგრილად ეპყრობოდენ და ომიანობას გაურბოდენ. ახალშენის **ნიუ-იორკის** მოსახლეობაში დიდ ელემენტს ჰოლანდიელები შეადგენდენ; მართვაგამგეობის მხრივ თითქმის სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი, საბჭო და ხალხის წარმომადგენლთა კრება (ახალ-ინგლისში ზოგჯერ მთელი ხალხის ყრილობა სწყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს),—აი ის ორგანოები, რომელნიც კოლონიების სახელმწიფოებრივ ცხოვრებას განაგებდენ. მარტო ომიანობის დროს ხდებოდა საგრძნობი მეტროპოლიისაგან პოლიტიკური დამოკიდებულება: ინგლისელები აქ გემებს აგზავნიდნენ და ნავთსადგურებით სარგებლობდენ. სამაგიეროდ ვაჭრობა-მრეწველობის დარგში ინგლისის ბატონობას ყველა მწვავედ გრძნობდა: ახალშენებს მარტო ინგლისელებისათვის უნდა გადაეცათ ნედლი მასალა. ახალშენების მნიშვნელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღითი დღე იზრდებოდა, მაგრამ არა მარტო იმიტომ რომ მათ ხელში დიდი ნივთიერი სიმდიდრე იყო, არამედ მიტომაც, რომ იქ თავშესაფარს საზოგადოების ყველა უკმაყოფილო და დევნილი ელემენტი პოულობდა. ამასთანავე ამერიკის ახალშენები თავისუფალი იყვნენ იმ ფინანსიური ტვირთისაგან, რომელიც გადასახადების სახით დიდ ბრიტანიას აწვა კისერზე და ყოველი ომის ან სახელმწიფოებრივი მექანიზმის გართულების შემდეგ იზრდებოდა. ეს უპირატესობა ამერიკელი ახალშენებისა ინგლისელებს უსამართლოებად მიჩნდათ, რადგანაც მათ დასაცავად ხშირად დიდ ხარჯებს ეწეოდენ. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით შკიდი წლის ომმა წამოაყენა; და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ომი ნამდვილად ინგლისისათვის ამერიკის ომს წარმოადგენდა. ახალშენთა დაბეკრვის პრინციპის შემოსაღებად პარლამენტმა ამერიკაში სავაჭრო და სასამართლო ქაღალდებზე საგერბო გადასახადების დაწესება გადასწყვიტა. ახალშენებმა ამაზე მტკიცე პროტესტი განაცხადეს; მათმა წარმომადგენელმა ლონდონში—**ფრანკლინმა** მინისტრებს აცნობა: ამერიკელები გადასახადებს გადაიხდიან, მაგრამ მხოლოდ ისეთ გადასახადებს, რომლის შემოღებაშიც თვითონ მიიღებენ მონაწილეობასაო. ამით მას ემის თქმა უნდოდა, რომ ლონდონის პარლამენტში ამერიკელთა დეპუტატებიც უნდა შედიოდენო. ამ განცხადებას თემთა პალატაში დეპუტატმა პიტმაც დაუჭირა მხარი: თუ მოვალეობას აკისრებთ ამერიკელებს, მათ ისეთივე უფლებებიც უნდა მანიჭოთ, როგორიც ინგლისელებს აქვთო. შედეგი ყველა ამისა ის იყო, რომ საგერბო გადასახადი გააუქმეს; მაგრამ მთავრობამ სხვა მხრივ შემოუარა საქმეს: მან განკარგულება მოახდინა ყველა იმ საქონელზე, რომელიც ამერიკის ნევთსადგურებში შეჰქონდათ, განსაზღვრული ბაჟი დაედვათ. ამის საპასუხოდ ახალშენებმა **ფილადელფიაში** კონგრესი მოიწვიეს, ხოლო ბოსტონში გადაცმულ ახალგაზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა ჯგუფმა აღმოსავლეთი ინდოეთიდან მოტანილი ჩაი ზღვაში გადაჰყარა. მთავრობამ ჯარები გაგზავნა, მაგრამ ამან საქმე კიდევ უფრო გაამწვავა. ამერიკის საქმის მოსაგვარებლად გეორგ მე-III პირველ მინისტრად „მეფის მეგობრების“ წარმომადგენელი, **ლორდი ნორსი** (North) დანიშნა, რომელმაც ტორჯების ახალი კაბინეტი შეჰქმნა და ვიგემის 70 წლის ბატონობას ბოლო მოუღო.

2. ამბოხება ამერიკაში.

სამხედრო მოქმედება 1775 წელს დაიწყო. ამერიკელმა მოხალისეებმა ინგლისის რაზმს გზა გადაუჭრეს და აიძულეს, უკან დაეხია; ცოტახნის შემდეგ ინგლისელებმა ბოსტონთან ამერიკელთა პოზიციები იერიშით აიღეს, მაგრამ ბრძოლის დროს მეომართა მთელი რიცხვის ნახევარი დაჰკარგეს.

1776 წლის 4 ივლისს ამერიკელებმა **„დამოუკიდებლობის დეკლარაცია“** გამოსცეს, რომლითაც ინგლისთან ყოველივე კავშირი სწყდებოდა, როგორც იმ ქვეყანასთან, რომლის მთავრობამაც ადამიანის უფლებები დაარღვია.

„ყოველი კაცი თანასწორად არის შექმნილი და შემოქმედმა მას ზოგიერთი ხელ-უხლებელი უფლება, სხვათა შორის, სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ მისწრაფება მიანიჭო. მთავრობები ამ უფლებათა დასაცავად არიან მოწოდებულნი, ხოლო როდესაც მთავრობა მათ არღვევს, ხალხს მისი მოსპობა ან გამოცვლა შეუძლიაო“, იყო ნათქვამი დეკლარაციაში. ამერიკელები მიხვდენ, რომ ინგლისის მთავრობას მათი სრული დამონავება ჰქონდა განზრახული, და ამიტომ ახალშენები „ჩრდილოეთი ამერიკის დამოუკიდებელ შეერთებულ შტატებად“ გამოაცხადეს.

ამერიკის არმიის მთავარსარდლად კონგრესმა მამაცი და მტკიცე პატრიოტი **გეორგ ვაშინგტონი** დანიშნა. მისი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ის ხელმძღვანელობდა **მოხალისეებს**, რომლებსაც არც სათანადო გაწვრთნა ჰქონდათ და არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინა; ისინი კარგად ისროდენ და მამაცად იცავდენ თავიანთ პოზიციებს, მაგრამ მანევრების არა ესმოდათ რა, და ხშირად მთელი რაზმებით ბანაკიდან თავ-თავის სახლში ბრუნდებოდენ. სამხედრო მეურნეობა არ იყო მოწესრიგებული, და ამიტომ ჯარს არც საკმაო ტანთსაცმელი ჰქონდა და არც პროვიანტი. მაგრამ არც ინგლისელები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. მთავრობის დაუდეგრობისა გამო მათი ხმელეთის ჯარი ძალიან დაქვეითებული იყო; ჯარისკაცები კარგი იყვნენ, მაგრამ ისე მცირე რიცხვოვანი, რომ მთელ ინგლისში ომის დაწყებისას მთელი ჯარი სულ ოცი ათასამდე კაცს ძლივს შეიცავდა. **ნორსმა** არჩეულებრივ საშალებას მიმართა. მან გერმანიის სხვადასხვა მთავრობის ჯარები დაიქირავა და სხვადასხვა დროს დაახლოებით 3000 გერმანელი ამერიკაში გადასხა (ბრაუნშვეიგის ჰერცოგმა თითოეულ მოკლულ მეომარში 50 ტალერი მიიღო, ხოლო დაჭრილში— $16^2/_3$). მაგრამ არც ეს იყო საკმარისი ამერიკის უზარმაზარი ტერიტორიის დასაპყრობად, რომელიც მტრულად განწყობილი მოსახლეობით იყო დაკავებული. ამას გარდა რაკი ყოველგვარი სურსათი ზღვით მოსდიოდათ, შეუძლებელი იყო ატლანტიკის ნაპირებს დიდ მანძილზე დაშორებოდენ.

მაგრამ ამის მიუხედავად ინგლისელები და მათი დაქირავებული რაზმები ამერიკელებს მაინც ხშირად ამარცხებდენ. ხოლო ამას არავითარი შედეგი არ მოჰქონდა მათთვის, რადგანაც დაპყრობილ ტერიტორიას ისევ მტრულად განწყობილი მოსახლეობის ხელში სტოვებდენ. ინგლისელების ენერგიული მოქმედება ხანდისხან დამარცხებითაც თავდებოდა. გენერალი ბიორგოინი ნიუ-იორკიდან მომავალი რაზმის შესახვედრად წავიდა, მაგრამ გზაში ამერიკელებისაგან გარსშემორტყმულ იქმნა და მტერს დანებდა. ამავე დროს ევროპის საზოგადოების თანაგრძნობა თანდათან ამერიკელების სასარგებლოდ იცვლებოდა: საფრანგეთი, რომელმაც ინგლისთან ომის დროს ძალიან ბევრი ახალშენი დაჰკარგა, პირდაპირ ამერიკას მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრო და ვაშინგტონს დიდი საშსახური გაუწია; საფრანგეთს მიჰკვა ისპანიაც. ხოლო დანარჩენმა სახელმწიფოებმა რუსეთის მეთაურობით „შეიარაღებული ნეიტრალიტეტი“ გამოაცხადეს, რათა თავისი გემები ინგლისელებისაგან დაეფარათ, რომელნიც ყველა გემზე კონტრაბანდას ეძებდენ. ზღვაზე გამარჯვება მაინც ინგლისის მხარეზე იყო; სამაგიეროდ თვით ამერიკაში საქმე თანდათან უარესდებოდა. მოხალისეები თანდათან იწვრთნებოდენ და რეგულიარულ ჯარს აღარაფრით ჩამოუვარდებოდენ: ლორდი **კორნუოლისი** ბიორგოინივით მოშწყვდეულ იქმნა და მოწინააღმდეგეს დანებდა. ეს დამარცხება იყო რომ ომის ბედი გადასწყვიტა. 1783 წელს **პარიზში** საზავო ხელშეკრულება იქმნა დადებული, რომლის ძალითაც ინგლისმა უპირველესად ყოვლისა შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა სცნო, ხოლო ამის შემდეგ შეთანხმება საფრანგეთთან და ისპანიასთანაც მოახდინა, რომლის მიხედვითაც იძულებული შეიქმნა, მათთვის ბევრი რამ დაეთმო.

3. შეერთებული შტატების კონსტიტუცია

შეერთებულ შტატებს მუდმივი პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა შეეშუშავებიათ, რადგანაც ინგლისელების საწინააღმდეგოდ შემდგარი კავშირი წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის უვარგისი იყო. 1787 წ. 13 შტატიდან დეპუტატების „კონვენცია“ შესდგა და მან **ფედერალური კონსტიტუცია** შეიმუშავა. თითოეული შტატი განკერძოებულ სახელმწიფოდ იქნა ცნობილი და მას თავისი შინაური საქმეების მოწყობა და გაძღოლაში სრული დამოუკ დებლობა მიენიჭა; საერთო დიპლომატიური ურთიერთობის მოსაწყობად, სამხედრო თავდაცვისათვის, ვაჭრობის საერთო საქმეების, გზებისა და ფოსტის მოსაწესრიგებლადა და გასაძღოლად და დასასრულ შტატებს შორის მოსალოდნელი გაუგებრობისა და უთანხმოების გასარჩევად **საერთო კავშირი** შეიქმნა. აღმასრულებელი უფლება კავშირში **პრეზიდენტს** მიენდო, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც საყოველთაო ხმის მიცემით 4 წლის ვადით ირჩევ-
დენ; საკონონმდებლო უფლება—**სენატისა** და **დეპუტატთა პა-
ლატის** ხელში გადავიდა. სენატში შტატების წარმომადგენ-
ლები შედიოდენ. წონასწორობის დასაცავად თითოეულ შტატს
წარმომადგენლების თანასწორი რიცხვი ჰყავდა (ორ-ორი, ექვსი
წლის ვადით). სამაგიეროდ დეპუტატთა პალატაში შტატებს
თავისი მოსახლეობის შესაფერისი რიცხვი ჰყავდათ დეპუტატე-
ბისა (ორი წლის ვადით). კონსტიტუციის გამოცვლა განსაკუ-
თრებული **კონვენციის** უფლებას შეადგენდა, რომელიც სპე
ციალურად ამ მიზნისათვის უნდა ყოფილიყო მოწვეული. ასეთია
ჩრდილო ამერიკის ფედერაციის კონსტიტუციის ძირითადი დე-
ბულებანი.

ძველი წესწყობილება (ancien régime)

მეათასე წლებში დასავლეთი ევროპის მცხოვრებნი დაახლო-
ვებით ერთსა და იმავე პირობებში ცხოვრობდენ. ეს მით უფ-
რო საყურადღებოა, რომ იგინი მრავალ სენიორიად იყვნენ
დაყოფილნი. სახელმწიფოებრივი უფლება ყველგან მსხვილი
მემამულეების ხელში იყო, ყველგან უბრალო, ნატურალურ
მეურნეობას მისდევდენ; საზოგადოება ყველგან სამს, ერთმა-
ნეთისაგან უფსკრულით დაშორებულს ჯგუფად იყო გაყოფილი:
რაინდებისა, სამღვდელოებისა და ვილლანების წოდებად; სა
რწმუნოება და განათლება კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვა-
ნელობის ქვეშ იმყოფებოდა. 1700 წლებში ევროპას სულ სხვა
გამომეტყველობა ჰქონდა: აღმოცენდა მრავალი ძლიერი სა-
ხელმწიფო, რომელმაც სენიორიების უმეტესი ნაწილი ჩაჰყლაპა;
განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, გამდიდრდა ქალაქები,
გაჩნდა და გაიზარდა ძლიერი საშუალო კლასი, **ბურჟუაზია.**
სარწმუნოების მხრივ საზოგადოება რამდენიმე ეკლესიად და-
იყო; მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება საერო პირე-
ბის ხელში გადავიდა და საერო ელფერი მიიღო. ფეოდალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი ხანის ერთფეროვანი წყობილება მრავალფეროვანი ურთიერთობით შეიცვალა.

1 გერმანია.

ა. გლეხობა.

გერმანია თავის დასავლეთ მეზობლებთან შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. გლეხობის უმეტესი ნაწილი ბატონყმობის უღელქვეშ დრტვინავდა. იგი თაობიდან თაობამდე იძულებული იყო მემამულეების მიწაზე ეცხოვრა და მათთვის ემსახურა; მემამულეების მიწა-წყალი ყმებით დასახლებული სოფლებით იყო გარსშემორტყმული, და მემამულეთა ადგილმამულს ყმები ამუშავებდენ: ყოველი უბანი ვალდებული იყო განსაზღვრული მუშა ხელი გამოეყვანა, როშელსაც მებატონის მამული უნდა დაემუშავებია, გადაეზიდ-გადმოეზიდა ტვირთი და სხვადასხვა დავალება შეესრულებია. ამას გარდა გლეხები ბეგარასაც იხდიდენ: მიჰქონდათ ბატონისთვის ტილო, ქათმები, ზეთი და სხვა. მიწის დამუშავება და პურის მოყვანა ზანტად მიმდინარეობდა და ჯოხ ქვეშ სწარმოებდა; გლეხები ლატაკნი, გაუნათლებელნი და უხეშნი იყვნენ.

ბ. ქალაქები: ამქრობა.

ქალაქი გერმანიაში ძალიან ბევრი იყო, თუმცა XVII საუკუნეში ისინი ისე მდიდარნი და გავლენიანნი არ ყოფილან, როგორც მე-XIV და მე-XV საუკუნეში. ამერიკისა და კეთილი იმედის კონცხის გარშემო გზის აღმოჩენის შემდეგ, მსოფლიო ვაჭრობა ჰოლანდიელებისა და ინგლისელების ხელში გადავიდა. გერმანიის ქალაქებს უფრო მცირე როლით დაკმაყოფილება უხდებოდათ: ყოველი მათგანი თითოეულ ოლქში განათლებისა და მრეწველობის ცენტრობას ეწეოდა; ამ ქალაქების შრომისმოყვარე ბურგერები სივიწროვეს ეჩვეოდენ. ქალაქის მრეწველობა კერძო ინიციატივას როდი ეყრდნობოდა: მისი ყოველი დარგი, მაგ. მეფეხსაცმლეობა და სხვა, კერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძო, ვიწრო ხელოსანთა ამხანაგობას (ამქარს) შეადგენდა. დამოუკიდებელი ხელოსნის ხარისხის მისაღებად ხანგრძლივი გამოცდა, მოწაფეთა და ხელოსნის თანაშემწეთ ყოფნა იყო საჭირო; ამას შემდეგ ახალგაზრდა ხელოსანი ჩვეულებრივ სამოგზაუროდ მიდიოდა, უცხო ქვეყნებში მუშაობდა, უცხოელის საწარმოვო საშვალებათ და სამუშაო ხერხებს ეცნობოდა და მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ თავისი ამქრის ხელოსნების სამსჯავროს წინაშე თავისი ნამუშევრის ნიმუშს ადგენდა; ამას შემდეგ მისი ბედი ხელოსანთა საერთო კრებაზე კენჭის ყრით სწყდებოდა. როგორც კერძო ამქრები, ისე კავშირიც დაუღალავ თვალ-ყურს ადევნებდა, რომ საქონელი განსაზღვრული წესით და განსაზღვრული ხარისხის დაეშზადებიათ; ფასების დაწესება, მუშებსა და უფროსებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება, ამქრის წევრების ზნეობასა და აღზრდაზე ზრუნვა—ყველაფერი ეს ამქრის მოვალეობასა და უფლებას შეადგენდა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამგვარი წესრიგი უკვე დროის შესაფერი აღარ იყო: როდესაც ვაჭრობა გაიზარდა, მცხოვრებთ ახალი მოთხოვნილებნი გაუჩნდათ და, ამისდა მიხედვით, წარმოების ახალი საშუალებები იქმნა შემოღებული, ყველამ ცხადად იგრძნო, რომ ამქრული წესწყობილება უნდა შეცვლილიყო. მისი გადაჭარბებული და წვრილმანი რეგლამენტაცია სწორედ იმას ებრძოდა, რაც ახალი დროისათვის იყო აუცილებელი: წინსვლას, კერძო ინიციატივას და წარმოების ახალ საშვალებათა ძიებას.

გ. თავადაზნაურობა.

გერმანელი აზნაურობა ძალიან ძლიერი და ამაყი იყო; ბურგერებისაგან განცალკევებით ცხოვრობდა, ასე რომ მაგ. ბურგერთან დამოყვრება სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. მიწა აზნაურების ხელში იმყოფებოდა; მემამულეებმა გარდა დაბეგვრის უფლებისა თავის გლეხებზე ფეოდალური ხანიდან სასამართლო და პოლიციური უფლებებიც შეინარჩუნეს. სამხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სამსახური მხოლოდ აზნაურს შეეძლო; ეს საშუალებ ს აძლევდა აზნაურთა უმცროს შვილებს და წვრილ მემამულეთ თავისი მდგომარეობა გაეუმჯობესებიათ; სამაგიეროდ სასამართლოებსა და სამოქალაქო დაწესებულებებში უმეტეს ნაწილად ბურგერები მსახურობდენ.

დ. სამღვდელოება.

სამღვდელ ოების მდგომარეობა კათოლიკურსა და პროტესტანტულ ქვეყნებში სხვადასხვა ნაირი იყო. კათოლ იკურ ქვეყნებში სამღვდელოება უამრავ ადგილ-მამულს ფლობდა და დიდი გავლენით სარგებლობდა. იგი ორი ჯგუფისაგან შესდგებოდა: უმაღლესი სამღვდელოება (პრელატები) აზნაურობის წრიდან გამოსული პირები იყვნენ და მის შეხედულებებსა და ინტერესებს იზიარებდენ; ხოლო დაბალი სამღვდელოება (სამრევლო) ბურგერებსა და გლეხებს უახლოვდებოდა და მათთან ერთად სილარიბეს განიცდიდა. მონასტრებში, რომელთა რიცხვიც ძლიერ დიდი იყო, ორივე ჯგუფი ერთდებოდა: უბრალო ბერები საზოგადოების ყოველი წრიდან გამოდიოდენ. ხოლო აბბატები და სხვა მოთავე პირები თავად აზნაურობიდან იყვნენ და ამიტომ არისტოკრატობდენ. პროტესტანტების ქვეყნებში ეკლესიამ, რეფორმაციის მეოხებით, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობისა და სიმდიდრის ნაწილი დაჰკარგა. პასტორები მთავრობის ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ; იგინი ბურგერების წოდებას ემხრობოდენ, და ამიტომ არისტოკრატიის ეს მთავარი ბურჯი პროტესტანტთა ქვეყნებში არ არსებობდა. ფეოდალური ხანის ნაშთი ჯერ კიდევ მრავალი იყო გერმანიაში, და მისი სრული ლიკვიდაციისათვის ბევრი მუშაობა იყო საჭირო. ეს საქმე, რა თქმა უნდა, მთავრობას უნდა აეღო თავის თავზე. მაგრამ უბედურებაც სწორედ იმაში იყო, რომ გერმანია სწორედ თავის სახელმწიფოებრივ წესწყობილ ებაში ატარებდა მრავალს ძველს ფეოდალურ ელემენტს: ვესტფალის ზავის პირობებმა გერმანიის პოლიტიკური მთლიანობა მოსპო და ძველს ფეოდალურ დაქსაქსულობას დაუბრუნა. „იმპერია“ არსებობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთელი მისი შემოსავალი სულ 8000 ტალერით განიზომებოდა. რეიხსტაგი სამ კურიად (კურფურტები, მთავრები და ქალაქები) და ორ სარწმუნოებად (corpus catholicorum და corpus evangelicorum) იყო გაყოფილი. ეს გარემოება მის დადებითს მუშაობას ყოველთვის აფერხებდა. მე-XVIII საუკუნის გერმანია 300-ზე მეტ სახელმწიფოდ იყო დაყოფილი და ყველა მათვანი დამოუკიდებლობით სარგებლობდა (300-დან ოცდაათი სახელმწიფოს ტერიტორიის სივრცე ორ კვადრატ მილზე ნაკლები იყო; 10-ს ეკავა $^1/_4$-დან ერთ მილამდე. ზოგიერთი მთავრის მიწა-წყლის სივრცე ისეთი იყო, რომ ზარბაზნის გასროლაც არ შეეძლო, რადგან ყუმბარა მეზობლის ადგილს მისწვდებოდა). ის სახელმწიფონი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინონი იყვნენ, სხვა სახელმწიფოებთან შეკავშირების უფლებითაც კი სარგებლობდენ; ხოლო მცირე მნიშვნელობისანი თავიანთ ქვეშევრდომებზე მაინც იჩენდენ თავის უაღრესუფლებიანობას. ავსტრია და პრუსია სხვებზე ძლიერი იყვნენ, მაგრამ უნდობლობას და მტრობას მეზობლებში სწორედ ეს გარემოება იწვევდა.

2. საფრანგეთი.

ა. **გლეხობა.**

საზოგადოებრივი ცხოვრება საფრანგეთში უფრო განვითარებული იყო, ვიდრე გერმანიაში. ფრანგი გლეხები პირადად თითქმის ყველა თავისუფალი იყო. იყვნენ უბნები, სადაც ბატონყმური განწყობილება კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ თანდათანობით ესენიც განთავისუფლდენ და გლეხებმა მიწები კერძო საკუთრებად შეიძინეს, მაგრამ ფეოდალური უღლის სრულებით მოცილება მაინც ვერ შეიძლეს: ისინი განაგრძობდენ მიწაზე გადასახადის გაღებას, და ამას გარდა ბევრს სხვა ვალდებულებასაც ასრულებდენ სენიორების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლოდ, მაგ. თავისი ურმით უზიდავდენ პურს, ფქვავდენ ხორბალს მათ წისქვილში, უცხობდენ პურს, ღვინოს ჰყიდდენ რამდენიმე დღით გვიან, ვიდრე სენიორები და სხვა. საერთოდ საფრანგეთის გლეხობა შრომის სიყვარულითა და საქმიანობით განირჩეოდა; მიწას ჩვეულებრივ წვრილი მესაკუთრეები, ან მოიჯარადრენი ამუშავებდენ, და რაკი ბატონყმობის ნაშთები ჯერ კიდევ მოსპობილი არ იყვნენ, გლეხები არისტოკრატიის სიძულვილით იყვნენ გაჟღენთილნი და თავისი სრული განთავისუფლებისთვის საბრძოლველად მუდამ მზად იყვნენ.

b. მოქალაქენი.

მოქალაქეთა კლასი, რომელსაც საფრანგეთში **ბურჟუაზიას** ან **მესამე წოდებას უწოდებდენ**, გერმანელების ბიურგერებს ზოგ რაშიმე ძლიერ წააგავდა. მრეწველობის დარგებში აქაც ისეთივე ბრძოლა სწარმოებდა ამქარსა და კერძო ინიციატივას შორის, როგორც გერმანიაში; მცირე გამოკლებით საფრანგეთის ქალაქებიც ისევე, როგორც გერმანიისა, უფრო ადგილობრივი ცხოვრების ცენტრები იყვნენ, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობისა; მაგრამ იყო თვალსაჩინო განსხვავებაც: საფრანგეთის ქალაქები უფრო მეტად იზიდავდენ მცხოვრებთ, ვიდრე გერმანიისა; საფრანგეთის ბურჟუაზიის საუკეთესო ძალები პარიზში იყრიდენ თავს, რომელიც ისეთ როლს თამაშობდა, რომლის მსგავსზე გერმანიის სატახტო ქალაქებსაც კი არ შეეძლოთ ოცნება: პარიზში სწყდებოდა პოლიტიკისა და მართველობის უმთავრესი საკითხები; აქ იყრიდა თავს სავაჭრო ოპერაციების ქსელი; პარიზში ხდებოდა მოწინავე ელემენტების აზრთა გაცვლა-გამოცვლა და მუშავდებოდა საზოგადოებრივი აზრი. პარიზის წყალობით საფრანგეთის ბურჟუაზია შეკავშირდა და თავისი თავი და თავისი ძალა შეიგნო. მისი წარმომადგენლები—მწერლები და მოღვაწეები თავის თავს არისტოკრატიაზე დაბლა არ აყენებდენ; პირიქით, არისტოკრატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ გავლენას ემორჩილებოდა, როგორც საზოგადოებრივი აზრის მეთაურებისას.

c **თავად-აზნაურობა.**

თავად-აზნაურობა რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მართველობის ყოველ-გვარი უფლება: სენიორების სასამართლო, პოლიცია და ადგილობრივი მართველობა—ყველაფერი ეს სახელმწიფოს ხელში გადავიდა; ყველა პროვინციალურ საქმეებს **ინტენდანტები** განაგებდენ; მეფე შეუზღუდველად მართავდა სახელმწიფოს. ამის მიუხედავად არისტოკრატიამ ზოგი პრივილეგია მაინც შეინარჩუნა: თავად-აზნაურობა არა მარტო სასახლეში და არმიაში იყო დაწინაურებული, არამედ იგი სრულებით განთავისუფლებული იყო მრავალგვარი გადასახადებისაგანაც და მიწის ბაჟსაც ძლიერ მცირეს იხდიდა. სასახლესთან დაახლოვება მას საშუალებას აძლევდა, თავისთვის უხვი წყალობა, პენსიები და ათასგვარი შეღავათი გამოეთხოვა; რამდენადაც ნაკლები სარგებლობა მოჰქონდა აზნაურობას სახელმწიფოსათვის, იმდენად უფრო ბოროტად იყენებდა იგი სასახლის განწყობილებას.

სხვა აზნაურთა შორის სრულიად განსაკუთრებული ალაგი სასამართლოს წოდებას, ეგრედ წოდებულს **„მანტიის დიდკაცობას“** (noblesse de robe) ეჭირა. მსაჯულთა თანამდებობას ფულით იძენდენ, და მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადასცემდენ. თუმცა თავისთავად ეს წესი უკეთმართობას წარმოადგენდა, მაგრამ იგი მსაჯულთა კორპორაციებს თვალსაჩინო დამოუკიდებლობას ანიჭებდა, და ეს კორპორაციები თავისი დამოუკიდებელი მდგომარეობით ხშირად მთავრობის მოქმედების გასაკრიტიკებლად სარგებლობდენ.

d. **სამღვდელოება.**

როგორც აზნაურობა, ისე სამღვდელოებაც სხვადასხვაგვარი უპირატესობით სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ის უძრავ მამულებს ფლობდა, საზოგადო გადასახადებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც განთავისუფლებული იყო, ან და მხოლოდ ძლიერ ცოტას იხდიდა და იმასაც ხშირად მთავრობასთან შეთანხმებით. მაგრამ თვით სამღვდელოებაც, გერმანიის არ იყოს, ორს უთანასწორო წრედ იყოფოდა: მდიდარი **პრელატები**, რომელნიც მთელს საეკლესიო სიმდიდრეს ფლობდენ, და ღარიბი **სამრევლო სამღვდელოება**, რომელსაც სიღარიბით თითქმის სული ძვრებოდა.

e. **თავად-აზნაურობის სოციალური პრივილეგიები და მთავრობა.**

როგორ ანგარიშს უწევდა მთავრობა საზოგადოებრივი ცხოვრების ანორმალურ პირობებს? მეფის მთავრობა ისე ძლიერი იყო და ისეთი უფლებებით სარგებლობდა, რომ რაც კი უნდა მომხდარიყო საფრანგეთში, ყველაფრის პასუხისმგებლად მას სთვლიდენ და ყოველივე საქმეში მისგან მოელოდენ შველას და მფარველობას; მას აბრალებდენ არსებული წეს-წყობილების ყოველგვარ უსამართლობას. მეფემ არისტოკრატიას **პოლიტიკური** უფლებები ჩამოართო და შეუბრალებლად ჩაახშო მისი ცდა, რომელიც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყო მიმართული. სამაგიეროდ სხვა მხრივ მონარქია მჭიდროდ დაუკავშირდა არისტოკრატიულ საზოგადოებას და არც სურვილი აღძვრია მასთან კავშირის გაწყვეტისა. მეფე თავის თავს „პირველ აზნაურად“ სთვლიდა და თავად-აზნაურობის სოციალურ პრივილეგიებს უზრუნველ ჰყოფდა. ამ მხრივ ძველი ტრადიციული უპირატესობანი თავად-აზნაურობისა ხელუხლებელნი დარჩენ.

f. **საბაჟოები.**

მაგრამ ტრადიციამ არა მარტო თავად-აზნაურობის მიმართ გამოიჩინა სიცოცხლის უნარი, არამედ იგი ბევრს სხვა სფეროშიც ხელუხლებელი დარჩა. წინად, როდესაც საფრანგეთი მრავალს სახელმწიფოებრივ ერთეულად იყო გაყოფილი, ბუნებრივი იყო, რომ ყოველი ასეთი ერთეულის საზღვარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაჟოები იყვნენ მოწყობილნი. ხოლო, როდესაც ამ პოლიტიკურ დაქსაქსულობას ბოლო მოეღო, და საფრანგეთი ერთს სახელმწიფოებრივ სხეულში გაერთიანდა, ასეთ საბაჟოებს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. ეს ქვეყნის მრეწველობასა და ვაჭრობას ზიანის მეტს არაფერს მიაყენებდა, ხოლო თვითონ ხალხს აუტანელ სიმძიმეთ უნდა დასწოლოდა. ამის მიუხედავად ძველი საბაჟო წესები მაინც დარჩა და ვისაც მაგ. მდინარე ლუარით საქონლის გადატანა უხდებოდა, მას 27 ადგილას ცალკე ბაჟი უნდა გადაეხადა. ხალხი ამ უაზრო წესების გამო დრტვინავდა, და ისტორიაში ცნობილია ის აღშფოთება, რომელსაც საფრანგეთში ე. წ. **მარილის ბაჟი** იწვევდა.

ჟ. ინგლისი.

ა. **გლეხობა.**

ინგლისმა უმეტეს ნაწილად უკვე დააღწია თავი იმ დაბრკოლებებს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ახასიათებდა. ინგლისის გლეხობამ ჯერ კიდევ საშუალო საკუნეების დასასრულს მოიშორა თავიდან ბატონყმობა. მან თავი დაიხსნა მემამულეთაგან, და უკვე მე-XV საუკუნეში გლეხები იმ მიწების მესაკუთრეებად სცვნეს, რომელსაც ისინი დიდი ხანი იყო ფლობდენ; ამგვარად განსხვავება თავისუფალ მცხოვრებლებსა და ვილლანებს შორის ჯერ კიდევ მე-XV საუკუნ. მოისპო. ინგლისი წვრილი მეურნეობის ქვეყნად გადაიქცა, და საშუალო საუკუნეების მონობის ნაშთი მხოლოდ მცირე მნიშვნელოვან ადგილობრივ ჩვეულებებში ღა დარჩა. მაგრამ მე-XV საუკუნის ბოლოს ინგლისში ახალმა პროცესმა იჩინა თავი, რომელიც წვრილი მეურნეობისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ ახალი გზებისა და ბაზრის აღმოჩენის ზეგავლენით საჭირო შეიქმნა მრეწველობაში მსხვილი მეურნეობა ჩასახულიყო და გაძლიერებულიყო; ეს კი მიწის დიდი ნაჭრების დამუშავებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალრიცხოვანი მუშების შეერთებულ მოქმედებას, კაპიტალის დაბანდვასა და წარმოების გაუმჯობესებულ საშუალებათა გამოყენებას მოითხოვდა. წვრილი მესაკუთრეებისათვის ამგვარი მეურნეობისათვის მეტოქეობის გაწევა საძნელო იყო. ამიტომ გლეხებმა უმეტეს ნაწილად თავისი მამულები მეზობელ მემამულეებს მიჰყიდეს; თვითონ კი, რადგანაც მათთვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო, ან ფერმერობას (მოიჯარადრეობას) ჰკიდებდენ ხელს, ან სოფლადვე ქირავდებოდენ, ან ვაჭრობა-მრეწველობის დარგში სამოღვაწეოდ ქალაქში მიდიოდენ ან და ხშირად სულ სტოვებდენ სამშობლოს და ინგლისის ახალშენებში სახლდებოდენ. ნელ-ნელა მესაკუთრე გლეხების კლასი ისპობოდა, და მეჯოგეობა და მიწის დამუშავება მემამულეების და მოიჯარადრეების ხელში გადადიოდა.

b. ქალაქი.

ამ მოვლენასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალაქების მცხოვრებთა რიცხვის გაზრდა და მრეწველობის განვითარება. ინგლისის მრეწველობა მარტო ადგილობრივი ბაზრით არ კმაყოფილდებოდა: ის თავის ნაწარმოებს ახალშენებსა და უცხო სახელმწიფოებში აგზავნიდა და იქ ასაღებდა; მსოფლიო ვაჭრობაში ინგლისელებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ამ პირობებში ამქრობის არსებობა შეუძლებელი გახდა, და მანაც თავისი ადგილი თავისუფალ კონკურენციასა და კერძო ინიციატივას დაუთმო. მე-XVIII საუკუნეში მრავალი ახალა ტექნიკური საშუალება იქნა შემოღებული; ამას ის მოჰყვა, რომ მუშა ხელის ადგილი მანქანამ დაიკავა. **გარგრევსმა** ძაფის სართავი მანქანა გამოიგონა, ხოლო **კარტრაიტმა** საფეიქრო დაზგა; **უატტმა** ორთქლით მამოძრავებელი მანქანა გააუმჯობესა; ლითონისა და მინანქარის წარმოებაში არსებითი გაუმჯობესება იქმნა შეტანილი. გაბოროტებული მუშები ხშირად აფუჭებდენ მანქანებს, რომელიც ადამიანის შრომას უსულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზმის მუშაობით სცვლიდა. მაგრამ საბოლოოდ მუშებიც მოგებულნი დარჩნენ, რადგანაც წარმოება ძალიან გაიზარდა და იქ, სადაც წინად ათიათასობით მუშაობდენ, მილიონები შეიქმნენ საჭირონი; განსაკუთრებით ინგლისის ჩრდილოეთი დარჩა მოგებული: მანჩესტერი, ბირმინგჰამი, ლიდსი და შეფფილდი მრავალრიცხოვან მცხოვრებთა ქალაქებად გარდაიქცენ; ქვანახშირის სიუხვე კიდევ მეტ წარმატებას უქადდა ინგლისის მრეწველობას.

C. თავადაზნაურობა.

არისტოკრატია ინგლისში, მართალია, არ მოსპობილა, მაგრამ კანონის წინაშე მაინც ყველანი თანასწორნი იყვნენ, და მოქალაქეობრიობის მხრივ არაფერი არსებითი უთანასწორობა არ არსებობდა. მართალია, წარჩინებულთა მცირე რიცხვი კიდევ იყო, მაგრამ იგი კარჩაკეტილ კასტად არ გადაქცეულა. ლორდის ტიტული და საგვარეულო მამული მხოლოდ უფროს შვილზე გადადიოდა, ხოლო უმცროსი შვილი იმგვარივე უბრალო მომაკვდავი იყო, როგორც ყველა დანარჩენი ინგლისელი. საშუალო და წვრილი აზნაურობა ქალაქის კლასებში შეუმჩნევლად ითქვიფებოდა. თუმცა ბურიდიულად ყველა ინგლისელი გათანასწორებული იყო, მაგრამ ფაკტიურად არისტოკრატიამ მეურნეობასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. მისი ზურგის გამამაგრებელი მემამულეთა კლასი იყო. მისი წრიდან ინიშნებოდენ მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებიც არა მარტო მეორე ხარისხოვან საქმეებს არჩევდენ, არამედ ადგილობრივი მართველობისა და პოლიციის საქმეებსაც განაგებდენ. იმავე მემამულეთა კლასზე იყო უმთავრესად დამოკიდებული სახელმწიფოს მართვის საქმეც, რადგანაც დახავსებული არჩევნების სისტემის წყალობით მისი წარმომადგენლები თემთა პალატაში უმრავლესობას შეადგენდენ.

ლორდების პალატაში კი იმავე კლასის უმაღლესი წარმომადგენლები ისხდენ; ვაჭარ-მრეწველთა კლასს არ ჰქონდა იმდენი პოლიტიკური უფლებები, რამდენიც მათ რიცხვის, სიმდიდრისა და მნიშვნელობის მიხედვით შეეფერებოდათ. ქალაქებს, მართალია, ადგილობრივი წარმომადგენლობითი მართველობა ჰქონდათ, მაგრამ პარლამენტში დეპუტატებს არა ძალთა განწყობილების, არამედ ძველი ჩვეულებების მიხედვით აგზავნიდენ. ამიტომაც უმნიშვნელოვანესი ცენტრები, რომელთაც თავისი მნიშვნელობა უკანასკნელ ხანებში მოიპოვეს, მანჩესტერი, ბირმინგამი, ლიდსი—თემთა პალატაში სრულიად უდეპუტატოდ იყვნენ დატოვებულნი. არსებული ცენზის წყალობით საზოგადოების უღარიბესი ნაწილი ჩამოშორებული იყო არჩევნებს.

b. სამღვდელოება.

სარწმუნოების მხრივ ინგლისი მრავალ მიმართულებად დაიყო, და თითოეულს მათგანს განსხვავებული საზოგადოებრივი ელფერი მიეცა. მემამულეთა კლასი ეპისკოპალურ ეკლესიას მისდევდა, ხოლო ქალაქებში სხვადასხვაგვარი დისენტერები სჭარბობდენ. ყოველ შემთხვევაში ყველა უპირატესობა, რომლის მიცემაც მთავრობის მფარველობას შეეძლო ეკლესიისათვის, მდიდარსა და გავლენიანს ეპისკოპალურ ეკლესიას ხვდა წილად.

ამგვარად, ინგლისის საზოგადოებრივმა წესწყობილებამ მაინც არისტოკრატული ხასიათი შეინარჩუნა; ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ ინგლისელების უმრავლესობა რეფორმებს მოითხოვდა. მაგრამ ხალხი გაბოროტებული არ ყოფილა და რევოლიუციაზე არ ფიქრობდა. ამის მიზეზი ბევრი იყო: ქონებრივი კეთილდღეობა, არისტოკრატიის დამსახურება სახელმწიფოებრივისა და ადგილობრივი მართველობის წინაშე, კანონისადმი ღრმა პატივისცემა, რომლის ხელშეუხებლობაც ინგლისელებმა მეფისაგანაც კი დაიცვეს, და, დასასრულ, იმის ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა, რომ ადრე თუ გვიან საზოგადოებრივი აზრი მაინც გაიმარჯვებდა და უმცირესობის ანგარება აილაგმებოდა.

ყველგან, ყველასთვის და ყველაფერში ნათლად სჩანდა, რომ ფეოდალური წყობილების წიაღთაგან წარმოშობილი „ძველი წესწყობილება“ უვარგისი იყო: გერმანიაში ის ხელს უშლიდა ქონებრივსა და სულიერ განვითარებას, საფრანგეთში მისი საფუძველი უკვე შეირყა, მაგრამ მთავრობა და უმაღლესი კლასები მაინც პრივილეგიებს უჭერდენ მხარს; ინგლისში იურიდიული გათანასწორება უკვე ფაქტი იყო, მაგრამ პოლიტიკური ბატონობა მაინც მემამულეთა კლასის ხელში დარჩა. ამგვარად ფართო მასსის ინტერესები ახალ წყობილებას მოითხოვდენ, მაგრამ არა მარტო ინტერესები, ამასვე მოითხოვდა ადამიანის გონებაც, რომელმაც თავისი გამოხატულება იმდროინდელ მწერლობაში იპოვა.

ლიტერატურა და მისი გავლენა.

1. ინგლისი.

მე-XVII საუკუნის ლიტერატურაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ინტერესი რეფორმაციის ხანის დროს წამოჭრილი საკითხებისადმი, და ეს მიტომ რომ მხოლოდ მე-XVII საუკუნეში დასრულდა ბრძოლა რელიგიურ პარტიათა შორის. ეს ყველაზე უფრო ინგლისის ლიტერატურას ეტყობოდა. გამოჩენილი მგოსანი **მილტონი** (1608—1674), ინგლისის პირველი რევოლუციის ერთი მოღვაწეთაგანი, რწმენით ინდეპენდენტი და რესპუბლიკანელი, —სარწმუნოებას და მტკიცე ზნეობას ურწმუნოების, ფუქსავატობისა და ძალადობისაგან იცავდა. მისი „**დაკარგული სამოთხე**“ სატანასა და ცბიერ ძალთა შორის წარმოებული ბრძოლის სურათს, შეცოდებასა და პირველი ადამიანების დასჯას გვიხატავს. თუმცა პოემაში ბევრი რამ არის მოსაწყენი და ნაძალადევი, მაგრამ მილტონის პოეტურმა შემოქმედებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალამ, რაც მრისხანისა და დიდებული ნაკვთების გამოხატვაში გამოისახა, ზნეობრივი გრძნობის სიღრმემა და ენის სილამაზემ თავისი გაიტანა და პოემას ლიტერატურის ისტორიაში საუკეთესო ადგილი მიაკუთვნა. მილტონი პოლიტიკური მწერალიც იყო; სტუარტების მომხრეებთან წარმოებულ პოლემიკაში იგი იმ შეხედულების წინააღმდეგ გამოვიდა, ოომელსაც მეფის უფლება ღვთისგან ბოძებულად მიაჩნდა; სამაგიეროდ „არეოპაგიტიკაში“ პოეტი ბეჭდვის თავისუფლების დამცველად გამოდიოდა. პურიტანიზმის მეორე წარმომადგენელი ლიტერატურაში **ბიონიანი** იყო. მისი უმთავრესი ნაწარმოები „პილიგრიმის მოგზაურობა“ ალეგორიული მოთხრობაა იმის შესახებ, თუ რამდენ განსაცდელსა და ხიფათს ხვდება ქრისტიანი ჭეშმარიტების ძიების დროს.

2. საფრანგეთი

1. იანსენიზმი და პასკალი.

კიდევ უფრო თვალსაჩინოდ რელიგიური მოტივები საფრანგეთის ლიტერატურაში გამოსჭვივის. მაგრამ აქაც ორს მთავარ მოვლენას ჰქონდა ადგილი. სერიოზულსა და მორწმუნე კათოლიკეთა შორის „**იანსენიზმი**“ ვრცელდებოდა; ეს მიმართულება ხელუხლებლად სტოვებდა ტრიდენტის კრების მიერ დამტკიცებულ დოგმებს, მაგრამ მეტ გულწრფელობასა და სარწმუნოებრივი გრძნობით ღრმად გამსჭვალვას სთვლიდა საჭიროდ; კაცის ცხონებისათვის ღვთის მადლის აუცილებლობას აღიარებდა და „კეთილი საქმეების“ განსაზღვრული რიცხვითა და ეკლესიის გამოქომაგებით არ კმაყოფილდებოდა. მოწინააღმდეგენი იანსენიტებს კალვინიზმისადმი მიდრეკილებას უკიჟინებდენ; თვითონ იანსენიტები კი იეზუიტების მუხანათურს სარწმუნოებრივ პოლიტიკასა და მათ მიერ ცოდვებისა და ცუდი ზნეობის ხელის დაფარებას შეუპოვრად გმობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ. პასკალის (1623—1662) „პროვინციალური ბარათები“ იეზუიტების მხილებას წარმოადგენს; მისი „აზრები“—ეს იმ ადამიანის აღსარებაა, რომელიც ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რათა მუდამ უმთავრეს საკითხებს დაუბრუნდეს, საკითხებს ღვთისა და სულის შესახებ. თუ პასკალის ნაწერებს სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმის მხრივ ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლების ნაწარმოებთ შევადარებთ, იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ უკანასკნელნი პირველზე გაცილებით დაბლა დგანან.

ე. ბოსუეტი.

საფრანგეთის ერთმა უშესანიშნავეს მქადაგებელთაგანმა **ბოსუეტმ** (1627—1704) დასწერა „მსჯელობა მსოფლიო ისტორიის“ შესახებ, სადაც ის ამტკიცებს, რომ ისტორიული მოვლენები შემთხვევითი ხასიათის კი არ არიან, არამედ ერთი განსაზღვრული გეგმის შესრულებას ემსახურებიან, და ეს გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ **ღვთის განგება ქრისტიანობისა და კათოლიკური ეკლესიის გამარჯვებას** ისტორიულ პროცესში თანდათან ნიადაგს უმზადებს. თავის მეორე თხზულებაში („პოლიტიკა“) ბოსუეტ მეფის უფლების განმარტებას იძლევა; მისი აზრით ეს უფლება ღვთაებრივი შთამომავლობის არის, და ამიტომ მისი მორჩილება ყოველ ადამიანს თვით განგებისაგან აქვს დაკისრებული.

d. სახელმწიფოს ზრუნვა ხელოვნებისა და მეცნიერების შესახებ.

მე-XVII საუკუნეში საფრანგეთის მონარქიას დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო სახელმწიფო წეს-წყობილებაზე, არამედ თვით სულიერ ცხოვრებაზედაც. 1636 წელს რიშელიემ „საფრანგეთის აკადემია“ დააარსა, რომლის დანიშნულებასაც ენისა და წერის საკითხში განათლებული საზოგადოების ხელმძღვანელობა შეადგენდა: ამით ლიტერატურა ოფიციალურად მეფის მფარველობის ქვეშ მოექცა. ლიუდოვიკ მე-XIV დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსებულ იქმნა აგრედვე „წარწერების აკადემია“, რომელსაც პირველხანებში მედლებსა და ძეგლებზე წარწერების გაკეთება ჰქონდა დავალებული; შემდეგში ეს საზოგადოება თანდათან მეცნიერთა და ფილოსოფოსთა საზოგადოებად გადაკეთდა. ცოტა უფრო გვიან „ხელოვნების აკადემია“ და „მეცნიერების აკადემია“ აღმოცენდა. პარიზი და სასახლე საფრანგეთის საუკეთესო ძალებს იზიდავდა.

e. სალონები.

ბუნებით საზოგადოებრივობისა და შვენიერებისადმი განწყობილი ფრანგები ლიუდოვიკ მე-XIV დროს **ერთ განათლებულ საზოგადოებად შეკავშირდნენ, რომლის მსგავსიც მთელ ევროპაში არ მოიძებნებოდა, და რომელიც ყველასათვის მისაბაძ მაგალითად გარდაიქცა.** ამ საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ქალებს ეჭირათ; მათგან ყველაზე უფრო მიმზიდველნი და ჭკუამახვილნი თავის გარშემო გამოჩენილ პოლიტიკოსებს, მეცნიერებსა და ხელოვანთ იკრებდენ, „სალონებში“ მუსაიფობდენ, ოხუნჯობდენ და მსჯელობდენ ყოველდღიურ შემთხვევებსა და ინტერესებზე და გაცხოველებულ ლაპარაკში გემოვნებას იმუშავებდენ. შემდეგ ეს გავლენას ახდენდა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. სასახლის გავლენა თავის მხრივ იმდროინდელ არქიტექტურაზე სიფაქიზისა და პატივმოყვარეობის ბეჭედს ასვამდა. ვერსალის სასახლე თავისი უზარმაზარი დარბაზებით, ალეგორიული და სამხედრო სურათებით, მორთული კარნიზებით, ძვირფასი ავეჯით, თვალწარმტაცი შადრევანებით და ხელოვნური ხეივნებით საუკეთესო გამოძახატველი იყო ლიუდოვიკ მე-XIV ხანის გემოვნებისა.

ტრაგედია და ფსევდოკლასიციზმი.

ტრაგედიის განვითარებისათვის განსაკუთრებული პირობები არის საჭირო. ის ნიადაგს ვერ იპოვის იმ საზოგადოებაში, რომელიც წვრილმანი ინტერესებით არის გატაცებული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო განვითარებას იგი ვერც ისეთ დროს მიაღწევს, როდესაც ხალხის მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის; მაგრამ მე-XVII საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებამ უკვე დააღწია თავი სამოქალაქო ომებს, მონარქიის ხელმძღვანელობის როლი სრულიად გამოირკვა. კათოლიკური ეკლესიის ბატონობა საეკვო აღარ იყო, საზოგადო მსოფლმხედველობა აზროვნების სიმტკიცითა და სიცხადით იყო გამსჭვალული, ფრანგულმა ენამ და ფრანგულმა გემოვნებამ სრულ სიმწიფეს მიაღწია. ამავე დროს ჯერ კიდევ ცხოველი იყო მეხსიერებაში ენერგიული და გააფთრებული სამოქალაქო ომები; საზოგადოება იცნობდა როგორც გამარჯვების სიამაყეს, ისე დამარცხებულთა ჭმუნვითი გულის ტკივილს, მტრებიც კი შერიგდენ, რომ ხელი ხელს ჩაკიდებულნი ევროპის ბრძოლის ასპარეზზე მეფისა და საფრანგეთის დიდების შესაქმნელად გამოსულიყვნენ. ამგვარ პირობებში შესაძლო და აუცილებელიც იყო ტრაგედიის აღმოცენება. **კორნელი** და **რასინი** მე-XVII საუკუნის საუკეთესო ტრაგიკოსები იყვნენ. კორნელის დრამებში გამოხატულ ნაკვთებს ძლიერების, ენერგიისა და სიმკვეთრის ბეჭედი აზის. კორნელი თავისი გმირების ბედს საზოგადოებრივ ბრძოლას და ისტორიულ შემთხვევებს უქვემდებარებს; ერთს მის საუკეთესო პიესაში („ცინნა") გამოხატულია, მაგ. ავგუსტუსის დროის რომაელი, რომელიც რესპუბლიკანური იდეებით არის გამსჭვალული; მის გვერდით მისი სატრფო სდგას, რომელმაც ნათესავების დაღუპვისათვის იმპერატორის წინააღმდეგ შური ჭნდა იძიოს; შეთქმულება ეწყობა, მაგრამ იმპერატორი იმარჯვებს და ამას იგი არა მარტო თავისი ძლევამოსილებით ახერხებს, არამედ სულგრძელობითაც. რასინი დაკვირვებული ანალიზატორია, მას უყვარს ყოველი ცალკე ადამიანის სულში გულისთქმისა და წადილების ბრძოლის გადაშლა. მსგავსად ევრიპიდესი მან „ფედრში" ქალის სახე შეჰქმნა, რომელიც გიჟური და ბოროტი სიყვარულით არის გატაცებული; „გოფოლიას"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუჟეტი ძველი აღთქმიდან არის ამოღებული; აქ პირისპირ არიან დაყენებულნი უფლება მოყვარე მეფე ქალი და ყმაწვილი, რომელსაც რელიგიური აღზრდა მიუღია და სარწმუნოებასა და საეკლესიო გადმოცემას მოწიწებით ეპყრობა.

საზოგადო იდეები, რომელიც ამ პიესებს აქვს სარჩულად დადებული, შეუდარებელის ძალითა და თანდათანობით არის გატარებული; მოქმედებისა და ლაპარაკის წვრილმანები ამ საზოგადო იდეების ყოველ მხრივ გასაშუქებლად და იმ ეფექტების გამოსაყენებლად არის ნავარაუდევი, რომელიც თვით მდგომარეობიდან გამომდინარეობს; მოქმედი პირების სიტყვა ლამაზი და ძლიერია. ყველა ამის მიუხედავად ტრაგედიებს ნაკლიც აქვს, რამაც მათ მომავალი თაობის თანაგრძნობა დაუკარგა. პირველ ყოვლისა მათში არ არის თავისუფლება: ყველასთვის სავალდებულოდ აღსარებული წესების მოჩილება ავტორებს საჭიროდ მიაჩნდათ; გარდა ამისა მგოსნების შემოქმედება სასახლის ეტიკეტსა და უმაღლესი საზოგადოების დესპოტიურ გემოვნებას უწევს ანგარიშს; მგოსანს არ შეუძლია აირჩიოს სიუჟეტი და მოქმედი პირები, საიდანაც უნდა: ის ვალდებულია სცენაზე მეფეები და წარჩინებულები გამოიყვანოს; მას არ აქვს მოქმედების დანაწილების ნება თავისი შეხედულების მიხედვით: მან ტრაგედიაში „სამი ერთობა“ უნდა დაიცვას: ერთობა ადგილისა, დროისა და მოქმედებისა ე. ი. მისი ტრაგედია ადგილის გამოუცვლელად, დროის შეუწყვეტლადა და ერთი მოქმედების სხვა მოქმედებებით გაურთულებლად დასრულდეს. მოქმედ პირთა სიტყვები უეჭველად „მაღალი სტილის“ უნდა იყოს, სიდიადითა და მშვენიერებით შემკობილი. უწესრიგობასა და სიტლანქეს დიდის გულმოდგინებით სდევნიდენ. საფრანგეთის მწერლები თითქოს ნიმუშად კლასიკურ ნაწარმოებს იღებდენ, მაგრამ ნამდვილად კი ფსევდოკლასიკურ ტრაგედიებს ჰქმნიდენ: ისინი ხატავდენ არა ძველ გმირებსა და ადამიანებს, არამედ ლიუდოვიკ მე-XIV კარისკაცებს, და იმავე დროს ძველი ხელოვნების წესებს ვერ სცილდებოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნაკლთან მეორე ნაკლიც იყო დაკავშირებული, ესეც
მელიც მწერლობაში **რეზონერობის** სახელით არის ცნობილი.
საქმე ის არის, რომ ტრაგედიაში ჩვენს წინაშე ცხოვრების
ნამდვილი სურათები უნდა იშლებოდენ, ერთი მთლიანი იდეის
გამოხატულებას უნდა შეადგენდენ. ეს იდეა ნაწარმოების გან-
ცდის დროს თვით შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს.
ფსევდოკლასიკურ ტრაგედიაში კი ეს ასე არ ხდებოდა. პი-
რიქით, იქ ეს ზოგადი იდეა თვით მომქმედ პირთა ლაპა-
რაკიდან სჩანდა და თვით მომქმედნი პირნიც ამის მიხე-
დვით ნამდვილსა და სრულს ადამიანს კი არა, განსაზღვრუ-
ლი იდეის გამოხატულებას წარმოადგენდენ; ამიტომ ფსევდო-
კლასიკურ ნაწარმოებში მოქმედებას ლაპარაკი სჭარბობდა
და ნამდვილ ადამიანებს უსულო სქემები.

k. **კომედია.**

სულ სხვაა კომედია; იგი ცხოვრებას თავისი ბუნებით
უფრო ახლო უნდა უდგეს, და ამიტომაც იმდროინდელმა კო-
მედიების მწერალმა **მოლიერმა** უფრო მტკიცე სახელი მოი-
პოვა, ვიდრე მისმა თანამედროვე ტრაგიკოსებმა. მოლიერის
ჭკუამახვილობა და დაკვირვება არ არის შებოჭვილი ლიტე-
რატურული ეტიკეტის ულმობელი მოთხოვნილებებით; მან
მარტო თანამედროვე საზოგადოების მოარული ნაკლი: ცრუ-
მეცნიერობა და ექიმების ოინბაზობა კი არ დაჰგმო, არამედ თვის
საუკეთესო ნაწარმოებში ისეთი სახეებიც მოგვცა, რომელთაც
ადამიანის ცხოვრების ყოველ ხანაში შევხვდებით. ტარტიუფის
მაგალითიც საკმაოა ნათქვამის დასამტკიცებლად; ტარტიუფი
ფარისეველის ტიპია, რომელიც მორწმუნის მანტიაში ეხვევა,
რომ ამით თავის არაკეთილშობილურ მიზნებს უფრო ადვი-
ლად მიაღწიოს.

2. ფილოსოფია და მეცნიერება.

რაციონალიზმი

მე-XVII საუკუნის მთელი მსოფლმხედველობა **რაციო-
ნალიზმით** იყო გაჟღენთილი, ე. ი. ისეთი მსოფლმხედველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, რომლის მიხედვითაც ბუნებისა და ცხოვრების ყოველგვარი მოვლენის ახსნა მხოლოდ ადამიანის **გონების** (ratio) ძალ თ არის შესაძლებელი. საშუალო საუკუნეებში დარიგებისათვის ეკლესიას მიმართავდენ ხოლმე და მას განუსაზღვრელი რწმენით ეპყრობოდენ. რეფორმაციამ ეჭვის თვალით შეხედა ამას და საღვთო წერილის ჭეშმარიტ გაგებას მარტო **გონებისაგან** მოელოდა.

მე XVII საუკუნეში გონებას მეტი ასპარეზი გაეშალა: იგი მარტო საღვთო წერილის გასაგებ საშუალებად კი აღარ ითვლებოდა, არამედ მასში საზოგადოდ ყოველგვარი ჭეშმარიტების შესამცნებელ საშუალებას სჭვრეტდნენ; მე-XVII საუკუნის ფილოსოფოსები რელიგიას არ უარყოფდენ, მაგრამ თავისი დასკვნების გამოყვანის დროს მას აღარ ემყარებოდენ. იგინი ცდილობდენ სინამდვილის გასაშუქებლად მარტო გონების მუშაობისათვის მიემართათ, რადგანაც ამ მიზნის შესაფერის იარაღს მარტო მასში სჭვრეტდნენ. როგორც ვიცით, მეცნიერებათა შორის ყველაზე უფრო რაციონალური—მათემატიკაა, რადგანაც მთელი მისი შინაარსი რამდენიმე უბრალო, უდავო დებულებიდან გამოჰყავს ადამიანის გონებას. ამიტომ მე-XVII საუკუნის ხელმძღვანელი მოაზროვნენი, როგორც უაღრესი რაციონალისტები, უდიდესი მათემატიკოსებიც იყვნენ; მათემათიკა ჭეშმარიტი შემეცნების ნიმუშად მიაჩნდათ და ამიტომ მთელს თავის მსოფლმხედველობას მათემათიკური აზროვნების საფუძველზე აგებდენ.

დეკარტი.

დეკარტმა (1596—1650), რომელიც ანალიტიკური გეომეტრიის ერთი დამაარსებელთაგანი იყო, განსაკუთრებული სიცხადით **რაციონალიზმი** ფილოსოფიაში გადაიტანა. იგი ჯერ იმგვარი დებულების გამონახვას შეეცადა, რომელიც მათემატიკური აქსიომის არ იყოს, უდავო ჭეშმარიტება უნდა ყოფილიყო, და შემდეგ ეს დებულება ყველა დანარჩენ მსჯელობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლად უნდა დადებოდა. მან ყველა არსებული აზრები გადასინჯა და ნახა, რომ ისინი ერთნაირად საეჭვონი იყვნენ. უეჭველი მხოლოდ ერთი რამ აღმოჩნდა, ეს ის გარემოება, რომ ყოველი დებულების განხილვის დროს ადამიანი **მსჯელობს** და მაშასადამე **არსებობს** კიდეც. cogito, ergo sum (მე ვაზროვნებ, სჩანს, მე ვარსებობო), განაცხადა დეკარტმა. ამ ჭეშმარიტებით აღჭურვილმა მან საფუძველი გამონახა, რომელზეც შემდეგ თავისი მწყობრი ფილოსოფიური სისტემა ააგო

სპინოზა.

ჰოლანდიელი ებრაელი **სპინოზა** ღრმად შეეხო ღმერთის მსოფლიოსადმი დამოკიდებულების საკითხს და ეგრედ წოდებულ პანთეიზმის აღსარებამდე მივიდა, ე. ი. ისეთ შეხედულებამდე, რომლის მიხედვითაც ღმერთი მსოფლიოსაგან განყენებული არსება კი არა, არამედ—არსი ანუ სულია მსოფლიოსი, მასთან განუყრელად დაკავშირებული. თავისი მოძღვრება სპინოზამ გეომეტრიული საშუალებით, აქსიომებისა და თეორემების მთელ რიგში გადმოგვცა.

ლეიბნიცი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში თვალსაჩინო ფილოსოფოსი ლეიბნიცი იყო (1646—1517); იგი დიფფერენციალური აღრიცხვის დამაარსებლად ითვლება და ამას გარდა თითქმის ყოველი მეცნიერების დარგში მან თავისი წვლილი შეიტანა: ფიზიკაში, ქიმიაში, ვარსკვლავთმრიცხველობაში, გეოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, უფლების მეტყველებასა და ისტორიაში ლეიბნიცმა ყველგან თავისი ძლიერი აზროვნების კვალი დასტოვა. დეკარტის მექანიური ფილოსოფია მას ცალმხრივად და უსრულოდ მიაჩნდა, ვინაიდან მას ფსიქიური ცხოვრების მოვლენების ახსნა არ შეეძლო. ლეიბნიცი თვით ნივთიერებაში ხედავდა სულიერი ფაქტორის არსებობას—ე. ი. ძალას, რომელიც არაორგანიულ საგნებში ორგანიულის სულისა და ნების მაგივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას ეწევა. ამგვარად მსოფლიო, მისი აზრით, დაუნაწილებელისა და ჩვენი გრძნობებისთვის ძნელად განსაცდელი ნაწილების—ან **მონადებისაგან** შესდგება.

ნიუტონი.

ინგლისელმა ფილისოფოსებმა ევროპის სულიერი ცხოვრება უფრო მტკიცე ნიადაგზე დააყენეს. 1687 წელს გამოვიდა **ნიუტონის** თხზულება, „ბუნების ფილოსოფიის მათემატიკური საფუძვლები“, რომელმაც მთელი ხანა შეჰქმნა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ საზოგადოების მსოფლმხედველობაშიაც. ნიუტონი არ შეხებია მეტაფიზიკურ საკითხებს, ე. ი. მას, რაც ჩვენი გრძნობებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე სდგას. „ბუნების ფილოსოფიას“ იგი იმ მნიშვნელობით ხმაროობდა, რომლითაც ბერძნები „ფიზიკას“ აღნიშნავდენ ე. ი. ბუნებისმეტყველებას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მათემათიკური გენიოსობის წყალობით ნიუტონმა წმინდა მათემატიკაში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა; მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და მთავარი ყურადღება მათემათიკური დებულებების გამოყენებას მიაქცია სამყაროს წარმოშობის საკითხის გამოსაკვლევად. „გრავიტაციის კანონის“ (законъ тяготѣнія) აღმოჩენით მან მექანიკის დებულებანი მსოფლიოს დაუკავშირა, აღნიშნა ნივთიერების ზოგადი და უბრალო თვისება და ამ თვისებათაგან შესაფერი მეცნიერული დასკვნები გამოიყვანა. ნიუტონის აღმოჩენამ სხვა მეცნიერებსაც გზა გაუხსნა; ბუნების მთლიანობა და მისი კანონების სიმტკიცე დაანახვა. ნიუტონმა თავისი მათემატიკური მეთოდი ფილოსოფიის სისტემის ასაგებად კი არა, მეცნიერული კვლევა-ძიების საშვალებად გამოიყენა. როდესაც მან საზოგადო დებულება შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც საგანთა ურთიერთ მიზიდულობის ძალა მათი მასისადმი (ნივთიერი შემადგენლობის) პროპორციულად იცვლება, ხოლო მათ შორის მდებარე მანძილის კვადრატისადმი უკუღმა პროპორციულად, მაშინვე ამ საზოგადო დებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მიხედვით მიწის გარშემო მთვარის მიმოქცევის გამოანგარიშებას შეუდგა და, როდესაც ორივე მნათობის ნივთიერების გამოკვლევით დარწმუნდა, რომ მისი გამოანგარიშება მართლდება, დაწყებული მუშაობა განაგრძო.

ჯონ ლოკი.

გონიერი და პრაკტიკული აზრი ნებას არ აძლევდა ინგლისელებს რაციონალური ფილოსოფიის მსჯელობა ისეთი გაბედული თანდათანობით გაეტარებიათ და იმგვარ უკიდურესობამდი მისულიყვნენ, როგორც ამას ფრანგები სჩადიოდენ, ან და გერმანელების მსგავსად, ღრმა აზროვანით, მაგრამ უნიადაგო ოკნებებით გატაცებულიყვნენ. **ჯონ ლოკმა** საუცხოოდ გამოხატა, თუ როგორი იყო ფილოსოფიური აზროვნება ინგლისელებისა, და ევროპის აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ლოკის მთავარი თხზულება „ადამიანის გონებისათვის“ დეკარტის სისტემისა და საზოგადოდ მეტაფიზიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ არის მიმართული. ის ამტკიცებს, რომ ყველა ჩვენი ცოდნა და იდეები ბოლოს და ბოლოს ადამიანის ხუთი გრძნობის განცდისაგან გამომდინარეობს, რომ სული თავის თავად tabula rasa-ს წარმოადგენს, რომელზეც მხოლოდ გამოცდილება აკეთებს წარწერებს. სული, მისი აზრით, გარედგან ისეთივე სინამდვილით იღებს განცდათ, როგორც სარკე მის წინ მდგომ საგნებს, და ჩვენი გონების დამოუკიდებელი მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იგი პირველყოფილ შეგრძნებათ ლოლიკური აზროვნების საშუალებით (რეფლექსია) ამუშავებს.

რაკი ეს ასეა, მაშ მეცნიერული გამოკვლევისა და ფილოსოფიური მსჯელობის ერთად ერთ მართალ გზად ის გზა უნდა დაისახოს, რომელიც დაკვირვებითა და ცდით იწყება, და არა ის, რომელიც საზოგადო მოსაზრებათა და რწმენის საშვალებით მიღებულ დებულებათაგან გამომდინარეობს. ამგვარად, ლოკმა ერთხელ კიდევ ის ბრძოლა განაახლა, რ ომელსაც მისი თა-

ნამემამულე ბეკონი სქოლასტიკის წინააღმდეგ აწარმოებდა, და, მსგავსად ბეკონისა, ადამიანის შეიეცნებას ემპირიული საფუძველი მოუპოვა. ლოკკმა თავისი თეორია პედეგოგიკაში, ღვთისმეტყველებასა და პოლიტიკაში გაატარა. პედაგოგიკაში იგი დიალექტიკის ბოროტად გამოყენებასა და ძველი ენების გაბატონებას ებრძოდა და ყოველმხრივის ენციკლოპედიური ცოდნისა და დაკვირვების უნარის განვითარებას მოითხოვდა. დოგმატიურ კამათში ის მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ სინდისის თავისუფლებას გადაჭრით მხარს უჭერდა, ქრისტიანობის უცილობელ ჭეშმარიტებას ლოკკი მამა ღმერთისა და მაცხოვრის რწმენაში ხედავდა, ხოლო სარწმუნოების მნიშვნელობას მის ზნეობრივ გავლენაში სჭვრეტდა. ამიტომ იგი სინდისის თავისუფლებას ებრაელებისა და წარმართებისათვისაც კი მოითხოვდა, ხოლო ათეისტებსა და კათოლიკებზე მისი გავრცელების წინააღმდეგი იყო, რადგანაც მათს მოძღვრებას სახელმწიფოსათვის სახიფათოდ სთვლიდა.

დასასრულ, კაპიტალური მნიშვნელობა აქვს ლოკკის წიგნს **„მთავრობისათვის“**, რომელშიც 1688 წლის რევოლუციის ყველა პოლიტიკური მონაპოვარი ფილოსოფიურად არის დასაბუთებული. ლოკკი სახელმწიფოს საფუძვლად მოქალაქეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას სთვლის. მისი აზრით. ბუნებით ყველა თავისუფალია. მაგრამ საზოგადო ცხოვრების ინტერესი ამ პირადი თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი მდგომარეობა, რომელშიც ყოველი ადამიანის თავისუფლება მეორეს მხრივ მუდმივი ხიფათის მოლოდინში იქნება. ამის თავიდან ასაცილებლად ხელშეკრულება იდება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთის სასარგებლოდ ადამიანები თავის პირად თავისუფლებას საზღვრავენ. ამ ხელშეკრულების ძალით და მის ცხოვრებაში გასატარებლად ხალხი მთავრობას ირჩევს, რომელსაც ვალდებულია მანამ დაემორჩილოს, სანამ იგი თავის დავალებას ასრულებს, და თუ ეს არ ხდება, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს მთავრობის გამოცვლის ნება ეძლევა. მუდმივი რევოლუციის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო იქნება, თუ მთავრობას მხოლოდ **აღმასრულებელი** ძალა ექნება, ხოლო **კანონმდებლობა** ხალხის ხელში დარჩება.

ვოლტერი.

მე-XVIII საუკუნის რაციონალიზმმა გააღვივა კრიტიკული აზრი, და მისი გავლენის ქვეშ ყველა არსებული რწმენის, ცნებების, დაწესებულებების, უფლებისა და კანონების გადასასინჯავად გაცხარებული მუშაობა დაიწყო. ყველგან ბოროტმოქმედებასა და უთავბოლობას მიუთითებდენ, და ეს ადვილი იყო, ვინაიდან ყველა ამით ძველი წეს-წყობილება მართლაც მდიდარი იყო. გაჩაღდა ძლიერი განმანათლებელი მოძრაობა, რომელმაც ევროპის საზოგადოების ყოველს ბნელ კუნჭულში სინათლის შეტანა, ცრუმორწმუნეობის გაფანტვა, ძალმომრეობის გაკიცხვა და კაცობრიობისათვის უკეთესი მომავლის მოპოვება დაისახა მიზნად. მაგრამ განათლების მოქრაობის მოღვაწეები ხშირად ცრუმორწმუნეობას ღრმა რწმენისაგან ვერ არჩევდენ და გონების ძალას გადამეტებულ ავტორიტეტს ანიჭებდენ; მათ არ ესმოდათ ისტორიაში ფესვგადგმული შეხედულებებისა და ფაქტების ძლიერება; ისინი მეტის მეტად გაბედული და თავის მოიმედე იყვნენ; მაგრამ ყველა მათი უკიდურესობა გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავის საქმის სიმართლესა და ძველი წესების გარდაქმნის აუცილებლობაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი.

განათლების ხანის მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლად ყოველ მხრივ **ვოლტერი** უნდა ჩაითვალოს. ის არ ყოფილა არც ორიგინალური მოაზროვნე და არც დიდი სწავლული; თავისი მთავარი შეხედულებები მან ლოკკისაგან, ნიუტონისაგან და სხვა ინგლისელი მწერლებისაგან ისესხა. მაგრამ პრაქტიკული ბრძოლის დროს ის საუცხოოდ სარგებლობდა ფილოსოფიისა და მეცნიერების შედეგებით, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გარდა ის დაჯილდოვებული იყო მახვილი სიტყვით და დაუღალავი ენერგიით. რაგინდ ძლიერი არ უნდა ყოფილიყო მისი მოწინააღმდეგე, ვოლტერი მაინც ისეთ ნაირად ახერხებდა მის დაცინვას, რომ ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა.

ჯერ კიდევ 23 წლის ახალგაზრდა იყო ვოლტერი, როდესაც იგი ბასტილიაში ჩასვეს; მას მეფის საწინააღმდეგო პამფლეტის ავტორობას აბრალებდენ. ეს მხოლოდ ეჭვები იყო, ფაქტის დამტკიცება კი ვერავინ შესძლო. ერთი წლის შემდეგ ვოლტერი ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ ეხლა ერთი წარჩინებული პირის შეურაცხყოფის გამო სამშობლოდან გააძევეს. უსამართლობითა და შეურაცხყოფით მისი დამორჩილება შეუძლებელი იყო, იგი ინგლისს გაემგზავრა და აქაური ცხოვრებისა და ფილოსოფიის გაცნობის ზეგავლენით არსებული წესწყობილების საწინააღმდეგოდ ახალი იარაღი შეიძინა. თითოეული მისი თხზულება მას პოპულარობას უმატებდა და სულ მალე ისეთს შესანიშნავადა და სახელოვან ნწერლად გადაიქცა, რომ მის წინაშე არა მარტო ხალხი, არამედ მეფეებიც ქედს იხრიდენ: ფრიდრიხ მეორე და ეკატერინე მეორე მისი თაყვანისმცემლები იყვნენ, და მასთან პირად ნაცნობობას დიდ ბედნიერებად სთვლიდენ. ვოლტერის პირადი ცხოვრება არ განირჩეოდა სიფაქიზით—ის წვრილმანი თავმოყვარე, გაუმაძღარი და ცრუ კაცი იყო, მაგრამ ამავე დროს არსებულ ბოროტებასთან ბრძოლაში იგი მუდამ შეუდრეკელი და შეუპოვარი იყო.

პოპულიარულ-ფილოსოფიურ სტატიებსა და ტრაგედიებში, სატირიკულ ზღაპრებსა და ისტორიულ თხზულებებში, პოემებში, წვრილმან ლექსებსა და ბარათებში, ერთი სიტყვით, ვოლტერი წერითი სიტყვის ყოველ დარგში მუშაობდა და ყველგან ცრუმორწმუნოებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძოდა. კათოლიკური ეკლესიის ფანატიზმმა, იეზუიტებს ინტრიგებმა და უმეცარი ხალხის ეკლესიის მიერ ექსპლოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციამ ვოლტერი ქრისტიანობას ჩამოაშორა; მას არ ესმოდა ქრისტიანობის ჭეშმარიტი საფუძველი და რელიგიების ისტორია წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თვითმოტყუებისა და რეგვენობის უწყვეტი ჯაჭვი. მაგრამ ამავე დროს ვოლტერი არც ათეისტი ყოფილა; მას სწამდა ღვთის არსებობა, ის დეისტი იყო; საერთოდ სარწმუნოებას სავალდებულოდ არა სთვლიდა, და ფიქრობდა, რომ მისი ადგილის დაჭერა გონიერ ზნეობასაც თამამად შეეძლო.

მაგრამ ვოლტერის ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, გაიცხვა სხვა სარწმუნოებისადმი მოუთმენლობისა და ცრუმორწმუნეობისა ურწმუნოების განსამტკიცებლად როდი იყო მიმართული. ვოლტერს სულ სხვა რამ ამოძრავებდა. მის დასახასიათებლად შეგვიძლია შემდეგი ეპიზოდი მოვიყვანოთ: სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობდა ვინმე პროტესტანტის **კალასის** ოჯახი, რომელიც შესდგებოდა მოხუცი მამისა, ცოლისა და მისი შვილებისაგან. ერთმა უკანასკნელთაგანმა ქეიფს მიჰყო ხელი, დავალიანდა და თავი ჩამოიხრჩო. იმ ადგილის ფანატიკურ მცხოვრებთა შორის ხმა გავრცელდა, თითქოს მოხუც მამას თავის ხელით მოეკლას შვილი, რადგანაც უკანასკნელს კათოლიკობის მიღება ეწადაო. ადგილობრივმა სამღვდელოებამ ეს ხმები ხელზე დაიხვია და მთელი აურ-ზაური ასტეხა: კალასი და მისი ოჯახი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს; საქმე იმით გათავდა, რომ 68 წლის მოხუცი, დანაშაულის დაუმტკიცებლობის მიუხედავად, სიკვდილით დასაჯეს: ურმის თვალზე დააკრეს და ისე აწამეს. ვოლტერი ძალზე გააბრაზა ამ აღსაშფოთებელმა საქმემ; დიდი მეცადინეობის შემდეგ მან ხელმეორედ გადაასინჯვია განაჩენი და მისი უკანონობაც ნათელ ჰყო. ვოლტერი არა ერთხელ ჩარეულა ამგვარ საქმეებში შევიწროვებულთა დასაცავად.

მაგრამ ვოლტერს მარტო რელიგიურ ფანატიზმთან არ უხდებოდა შეტაკება. ის ებრძოდა აგრეთვე ბარბაროსულ სამართლის წარმოებასა და უფლებამოსილთა თვითნებობასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მუდამ რეფორმების აუცილებლობას ქადაგებდა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნას მოითხოვდა. გონებისა და ჰუმანობის თვალსაზრისით ის, მაგალითად, საფრანგეთის ზოგიერთ ადგილებში დარჩენილი ბატონ-ყმობის მოსპობის საჭიროებას ქადაგებდა. მაგრამ დამახასიათებელი ვოლტერისთვის ის იყო, რომ იგი თვითონ ხალხს ბრიყვად, მოუმზადებლად და საშიშოთ სთვლიდა. ამიტომ მისი თვითმოქმედების იმედი არ ჰქონდა და არსებული წესწყობილების გარდაქმნისაკენ მას კი არა, მთავრობას მოუწოდებდა, რომელსაც, განსაკუთრებით კი **განათლებულ მონარქებს**, არსებულ უკუღმართობის აღსაკვეთად, მისი აზრით, ყველაზე მეტი საშვალება ჰქონდათ: მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით მათზე უკეთ არავის არ შეეძლო სარგებლობა და ამის მიხედვით მიზანშეწონილად, თანდათანობით და ენერგიულად მათზე უკეთ ვერავინ იმოქმედებდა. ვოლტერის ამ იდეებზე ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთელი ახალი მიმართულება აშენდა. რომელიც **განათლებული აბსოლუტიზმის** სახელით არის ცნობილი. პრუსიაში ფრიდრიხ II, ავსტრიაში—იოსებ II და რუსეთში ეკატერინე II ამ მიმართულების ტიპიურ წარმომადგენლებად არიან ცნობილნი.

სენსუალიზმი და მატერიალიზმი.

ვოლტერი თავის მსოფლმხედველობაში ხშირად მერყეობას იჩენდა: იგი ხშირად იცვლიდა აზრსა და შეხედულებას ღვთაებასა და სამყაროზე, საზოგადოებრივ ურთიერთობასა და მთავრობაზე. მაგრამ თავისუფალ მოაზროვნეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელნიც ერთხელ მიღებულ **აზრს** მტკიცედ ადგენ და მისგან უკიდურესი შედეგები გამოჰყავდათ. ასეთ უკიდურესობად იმდროინდელი სენსუალიზმი და მატერიალიზმი ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

a. **კონდილიაკი**

სენსუალიზმის ტიპიურ წარმომადგენლად კონდილიაკი უნდა ჩაითვალოს. ლოკს ადამიანის იდეების შინაარსი გრძნობების განცდათაგან გამოჰყავდა, მაგრამ ამ განცდათა (воспріятіе) რეფლექსით დამოუკიდებელ გადამუშავებას ადამიანის სულს აკუთვნებდა. კონდილიაკი ლოკკზე უფრო შორს წავიდა და სულის დამოუკიდებლობა ყოველმხრივ უარჰყო: ერთად ერთი, რაც ადამიანის სულის შინაარსს წარმოადგენს — ეს მხოლოდ შეგრძნებაა (ощущеніе), რომელიც ლოდიკურ პროცესში მარტო სახეს იცვლისო. ამიტომ ადამიანი შეიძლება ქანდაკებას შევადაროთ, რომელშიც სულსა და ცნობიერებას მხოლოდ გრძნობათა ორგანოების აღძვრით გამოწვეული შეგრძნებანი ჰქმნიანო. ცხადია, რაკი კონდილიაკის რწმენით მთელი ჩვენი ცნობიერების შინაარსი გრძნობათა მოქმედებით (sensus) ამოიწურება, იგი ტიპიურ სენსუალისტად უნდა იქნეს მიჩნეული.

b. **ჰოლბახი.**

ბარონ **ჰოლბახის** წიგნი „ბუნების სისტემა“ მატერიალიზმის საბოლოო ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ წიგნმა დიდი მიხლა-მოხლა გამოიწვია; მან თავისუფალი მოაზროვნეებიც კი შეაშფოთა. ჰოლბახი ამტკიცებს, თითქოს ბუნება მარტო ნივთიერების მუდმივ მოძრაობას წარმოადგენს („არ არის ძალა ნივთიერების გარეშე, და ნივთიერება ძალის გარეშე“). იგი უარჰყოფს ღმერთს, როგორც სამყაროს შემქმნელს და მის მმართველს, ადამიანში იმავე ნივთიერების თავისებურ კომპლექსს ჰხედავს და კაცის ზნეობრივ ცხოვრებას მისი თვითდაცვისადმი მისწრაფებით, ე. ი. **ეგოიზმით** ხსნის.

c. **ენციკლოპედია.**

მატერიალისტმა **დიდრომ** მეცნიერების პოპულარიზაცია დაისახა მიზნად, რათა იგი განათლებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდენი გამხდარიყო. მრავალი დაბრკოლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად, მან ბევრი ნიჭიერი თანამშრომლის ერთად შეკრება მოახერხა და თავისი ინციატივითა და ხელმძღვანელობით ცნობილი **„მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ხელობათა ენციკლოპედია“** გამოსცა. თუმცა საცენზურო დაბრკოლებები დიდი იყო, მაგრამ ენციკლოპედია მაინც სრულს, განათლების ხანის მსოფლმხედველობის მიხედვით, გადამუშავებულ შეხედულებათა და ცოდნათა კრებულს წარმოადგენდა. ენციკლოპედიის გავლენა განუსაზღვრელი იყო. იგი ყოველი პროფესიის ადამიანს უდგებოდა, აძლევდა მას მთავარი კითხვების ახსნას და მთელ მასალას განსაზღვრული თვალსაზრისით აშუქებდა. იგი იმ დროინდელი განათლებული ხალხისათვის ნამდვილს „დაბადებად“ გარდაიქცა.

d. პოლიტიკური ეკონომია.

განათლების ხანის მოძრაობის ადრინდელი წარმომადგენლები ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი საკითხებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ხოლო პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. მაგრამ უკანასკნელის მნიშვნელობა თანდათან აშკარა ხდებოდა. ძლიერ მალე, სრულიად დამოუკიდებლად ახალი მიმართულება წარმოიშვა, რომელმაც მიზნად სახალხო მეურნეობის შესწავლა დაისახა. ინგლისში მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის ბატონობას არას დროს არა ჰქონდა ისე ფართო სარბიელი, როგორც ეს კონტინენტალური ევროპის სახელმწიფოებში იყო; კერძო წარმოება და თავისუფალი მეტოქეობა ინგლისში იმ თავითვე ჩაისახა, და ეს იყო მიზეზი, რომ თავისუფალი ვაჭრობის იდეოლოგები პირველად სწორედ იქ გაჩნდენ. მეთვრამეტე საუკუნეში მათ მოძღვრებას საფრანგეთშიაც დიდი თანაგრძნობით შეხვდენ. გადამეტებულმა კოლბერტიზმმა ამას ნიადაგი მოუმზადა, და მალე მის საწინააღმდეგოდ ე. წ. **ფიზიოკრატიზმი** გაჩვითარდა. მისი შეხედულებით, ნამდვილ სიმდიდრეს მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ნედლი მასალის დამამუშავებელი შრომა და განსაკუთრებით **მეურნეობა** ჰქმნის. ამიტომ ძველი მონოპოლიები, პრივილეგიები და სხვა ხელოვნური დაბრკოლებები, რომელნიც წინანდელი საფინანსო ფოლიტიკის მიერ იყვნენ შექმნილნი, უნდა მოსპობილიყვნენ; და ფიზიოკრატები ამას ენერგიულად მოითხოვდენ. ინგლისელმა მეცნიერმა **ადამ სმიტმა** თავი მოუყარა გაბნეულ ცნობებსა და მოძღვრებას ხალხის მეურნოებითი შემოქმედების შესახებ და მას მეცნიერული ხასიათი მისცა (მისი წიგნი: **„ხალხის სიმდიდრე“** გამოვიდა 1776 წ.). პოლიტიკურ ეკონომიას მან საფუძვლად ის შეხედულება დაუდვა, რომ ყოველი კაცი თავის სამეურნეო მოღვაწეობაში შეძენის სურვილით ხელმძღვანელობს. ამასთანავე მან თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ წარმოების ძირითადი თვისებების ერთგვაროვნობის გამო, განაწილება და ღირებულების გაცვლა-გამოცვლა საზოგადო კანონების მიხედვით ხდება. ამიტომ რამდენადაც ნაკლებ ჩაერევა მთავრობა სამეურნეო ცხოვრების მიმდინარეობაში, რამდენადაც უფრო მეტ თავისუფლებას მისცემს მას, მით უკეთესია, ამბობდა სმიტი.

e. **მონტესკიე.**

ბორდოს პარლამენტის ერთმა მოსამართლეთაგანმა — **მონტესკიემ** განიზრახა, სოციალური მეცნიერებისათვის იგივე გაეკეთებია, რაც სმიტმა ადამიანის მოქმედების უბრალო დარგის თვის, მეურნეობისათვის გააკეთა. თხზულებაში, **„სული კანონებისა“** მონტესკიე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ერების ცხოვრება არ არის დამოკიდებული შემთხვევების უბრალო შეჯგუფებაზე, რომ, პირიქით, იგი მუდმივი კანონების ზეგავლენას ემორჩილება. მონტესკიე მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავის თხზულებაში საკმაოდ მდიდარი მასალით ესარგებლებია. მას ერთი მხრით მხედველობაში კლასიკური ხალხების ისტორია ჰქონდა, ხოლო მეორე მხრივ — ინგლისისა და საფრანგეთის უკანასკნელი საუკუნეების მოვლენები. სახელმწიფოებრივი მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობის ფორმა მონტესკიემ ამგვარად დაჰყო: რესპუბ-ლიკა, დესპოტია და მონარქია, ე. ი. ისეთი ფორმა მეფის ძალაუფლებისა, რომელიც კანონებითა და არისტოკრატიის მონაწილეობით არის შეზღუდული. თითოეული ფორმა სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობისა ხალხის ზნეობრივ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. თუ ხალხში ძლიერია მოქალაქეობრივი სიმხნეევ, მაშინ მას მართველობის რესპუბლიკანური ფორმა შეჰფერის; თუ ხალხის თავდაჭერისათვის შიშია საჭირო, მისთვის დესპოტიაა აუცილებელი, ხოლო თუ მოქალაქეთა თვალში პირველი ადგილი პატივსა და წარჩინებას აქვს მიკუთვნილი, მას არისტოკრატიული ძონარქია უნდა ჰქონდეს. მართალია, მონტესკიე მართველობის ფორმას ერის შეგნებას უკავშირებს, მაგრამ მისი აზრით, სახელმწიფოებრივი მართვაგამგეობის საუკეთესო ფორმად მაინც ისეთი ფორმა უნდა ჩაითვალოს, სადაც თავმოყრილი იქნება როგორც მონარქიის, ისე რესპუბლიკის საუკეთესო თვისებები. ამგვარი მართველობა, მონტესკიეს აზრით, ინგლისში არსებობს, და უმთავრეს მის თვისებას **ძალაუფლების განაწილება შეადგენს**. ხალხს კანონმდებლობითი უფლება ეკუთვნის; მეფეს აღმასრულებელი; ხოლო დამოუკიდებელ მსაჯულთა წოდებას სამართლის უფლება აქვს დათმობილი. ძალაუფლების ასეთი განაწილების უპირატესობას მონტესკიე იმაში ხედავს, რომ იგი საშვალებას უკარგავს ყველას, ვინც ძალაუფლებით არის მოსილი, ხელში იმდენი ძალა მოიკრიბოს, რომ მოქალაქისათვის საშიში შეიქმნეს.

f. **რუსო.**

განათლების ხანის მწერლები უკმაყოფილონი იყვნენ არსებული წესწყობილებით და მისს სრულ აღკვეთას მოითხოვდენ. ამიტომ, სხვათაშორის, იგინი ანგარიშს ვერ უწევდენ ისტორიულ მოტივებს, რომელნიც არსებულ წესწყობილებას ამართლებდენ. მონტესკიე კი თავის თეორიას ისტორიული და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირვებაზე ამყარებდა და ეს იყო მიზეზი, რომ მას მდენი გავლენა არ მოუპოვებია, რამდენიც გაბედულმა და უკიდურესმა **ჟან ჟაკ რუსომ** მოიპოვა (1712 — 1778). უბრალო მესაათის შვილი, ღარიბი, ავადმყოფური თავმოყვარეობის ჰატრონი, ეჭვიანი და შურიანი ჟენეველი, რუსო ბრწყინვალე ლიტერატურული ნიჭით იყო დაჯილდოვებული. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხალხმა კვლავ სარწმუნოებისა და ეკლესიისაკენ ჰქმნა პირი, და ამ მხრივ რუსო თავისი დროის სრულ განსახიერებას წარმოადგენდა: მართალია იგი გაბატონებულ ეკლესიასა და წესწყობილებას სხვაზე ნაკლებ არ ებრძოდა, მაგრამ ეს მიტომ ხდებოდა, რომ იგი სარწმუნოებას გულწრფელობაზე ამყარებდა, ხოლო პოლიტიკაში ბოროტების მოსპობას რეფორმების საშუალებით მოითხოვდა. მეცნიერების ძლევამოსილების წინ ქედის მოხრა, განმანათლებელი მისიის სიდიადის ამაყი შეგნება, მტკიცე რწმენა იმისა, რომ გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მაინც სიბათლესა და სიკეთეს ხვდებოდა წილად — ყველაფერი ეს, თითქოს რევოლუციის მოახლოების წინადგრძნობის გამო, რუსოს დროს თეორეტიული აზრისადმი ზიზღსა და არსებული წესების სიძულვილს უთმობდა ადგილს. თავისი პირველი თხზულება, რომელმაც რუსოს სახელი შესძინა, მან იმის დამტკიცებას უძღვნა, რომ მეცნიერებამა და ხელოვნებამ, მთელმა ცივილიზაციამ ხალხი გარყვნა, და რომ კაცობრიობის გარდასაქმნელად უბრალო, პირველყოფილი ზნე-ჩვეულებებისადმი დაბრუნებაა საჭირო. მეორე თხზულებაში რუსომ განათლებული საზოგადოების საზოგადოებრივი წყობილება გაარჩია, რომელშიც ქონებრივი უთანასწორობაა გაბატონებული, სადაც წოდებრივი დანაწილება და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელოვნური ფორმები არსებობს, და მთელი ეს წეს-წყობილება დაჰგმო.

თავისი ნაწერების პირველ რიგში რუსო ცდილობდა დაენგრია ის, რაც მისი აზრით უსარგებლო და მავნე იყო; ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკ ნაწერების მეორე რიგში იგი დანგრეულის ადგილზე ახალი შენობის აგების ცდილობდა. „ემილში“ მან თავისი პედაგოგიური თეორია გამოაქვეყნა. ამ თხზულების დედა-აზრი ის არის, რომ მოწაფემ ყოველგვარი აუცილებელი ცოდნა და ზნეობრივი ჩვეულებები თვითმოქმედებითა და დამოუკიდებელი მუშაობით უნდა შეიძინოს; აღმზრდელის როლი, ამისდამიხედვით, მარტო იმაში უნდა მდგომარეობდეს რომ მან თავისი შეგირდის თვითმოქმედების განვითარებას ხელი შეუწყოს, ჩააყენოს იგი ისეთ მდგომარეობაში, რომ მან თვითონვე გადასწყვიტოს, თუ რა უნდა ისწავლოს, რა ცოდნა შეიძინოს და ან როგორ მოიქცეს. ამ აზრის განხორციელება, რუსოს აზრით, მიტომ არის შესაძლო, რომ ადამიანი ბუნების მიერ ცოცხალი აზრითა და ცოცხალი ლტოლვით არის დაჯილდოებული, და მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ხელოვნური პირობების ზეგავლენა რყვნის მას და უჩლუნგებს გონებას; საჭირო ცოდნის რაოდენობა არ იქნება ძალიან დიდი, თუ მას იმ ზედმეტ ნაწილს ჩამოვაშორებთ, რომელიც ცხოვრებაში გამოუსადეგარია; უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა გონების გაწვრთნას, არამედ ხასიათის აღზრდას. იმის მიხედვით, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა რუსსო გრძნობას, ის მოუწოდებლად აღნიშნავდა სარწმუნოების კეთილ გავლენას. თუმცა ეს თავისებურად ესმოდა მას. ის სწერდა: „მე მრწამს ღმერთი, და ღმერთი უსამართლო იქნებოდა, რომ მას ჩემი სული უკვდავ არ ეყოო; ჩემი წარმოდგენით ეს არის არსებითი, დანარჩენზე იკამათონ კამათის მოყვარულებმა“.

რუსოს პოლიტიკური მრწამსი მთელის სისრულით მისს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაშია“ გატარებული. ავტორი, ლოკკის არ იყოს, ფიქრობს, რომ ადამიანთა საზოგადოება მათ შორის დადებული ხელშეკრულების ძალით წარმოიშვა, ხოლო მანამდე ხალხი სრულიად თავისუფალი იყო. მაგრამ აქედან რუსოს სხვაგვარი დასკვნა გამოჰყავს, ვიდრე ლოკს: **ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში შედის, უარს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს თავის პირად თავისუფალ ნებაზე, რათა მიიღოს ნაწილი იმ საზოგადო თავისუფლებისა, რომელსაც კავშირი ჰქმნის. ვინც პიროვნების დამოუკიდებლობას ჰკარგავს, ის თვითმპყრობელ ხალხის ნაწილად იქცევა.

ხალხის უაღრეს უფლებიანობას რუსსო ისეთს უცილობელ ჭეშმარიტებად სთვლის, რომ გაგონებაც არა სურს წარმომადგენლობითი სისტემისა და ძალაუფლების დანაწილების შესახებ. ყოველგვარი განკარგულება სახელმწიფოში სახალხო კრებისაგან უნდა გამოდიოდეს, რომელშიც ყოველი მოქალაქე იღებს მონაწილეობას. მეორე მხრით, პიროვნება სრულებით უარს ამბობს თავის ნებაზე საერთო ნების სასარგებლოდ: ხალხის უფლებამოსილების წინაშე პირად თავისუფლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. თვითონ ხალხი ჰქმნის მოქალაქეთა-თვის კანონებს, ზნე-ჩვეულებებს, სარწმუნოებრივ შეხედულებებს.

რუსოს პოლიტიკური მოძღვრება ერთნაირად იყო მიმართული როგორც ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმის, ისე თვით სახელმწიფოს ცნების წინააღმდეგაც, ვინაიდან სახელმწიფო ისტორიისა და ცივილიზაციის ნაყოფს შეადგენს. მისი მთავარი ინტერესი ადამიანთა თანასწორობის იდეის განხორციელებაში მდგომარეობს და ამისთვის იგი არაფერს არ იშურებს.

3. გერმანია.

რუსსოს მთელი მოღვაწეობა ახალი ხანის დასაწყისის წინამორბედი იყო. განათლების ხანის ფილოსოფია მშრალი-გონებრივი და ცალმხრივი აღმოჩნდა; ახალი თაობა კი ადამიანის სულის ყოველმხრივსა და სრულ განვითარებას და უწინარეს ყოვლისა ცხოველ გრძნობას მოითხოვდა. და რუსოც სწორედ ამას აქცევდა დიდ ყურადღებას. საზოგადოების ინტერესს პირველყოფილი ხანა და ნახევრად ველური ხალხები იზიდავდენ. ბუნებრივობასა და გრძნობის სიძლიერეს მათში ეძიებდენ. ამ ახალმა მომართულებამ გერმანიაში უფრო ნათელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატულება ჰპოვა. ოცდაათი წლის ომმა და პოლიტიკური ცხოვრების სივაგლახემ გერმანელების კულტურული განვითარება დიდი ხანით შეაჩერა; მის მაგიერ, რომ ევროპის ხალხების პირველ რიგში ჩამოგარიყვნენ, როგორც ეს რეფორმაციის ხანაში მოხდა, გერმანელები ინგლისელებსა და ფრანგებს უკან ჩამორჩენ და მათს ხელმძღვანელობას დაემორჩილენ. ლეიბნიცისთანა პირები მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდენ. მოწინავე ელემენტები, რამდენადაც შესაძლო იყო, პარიზელებს ბაძავდენ; ფრიდრიხ მე-II-მ მაგალითად, ფრანგული ენა უკედ იცოდა, ვიდრე გერმანული, და გერმანულ ლიტერატურას ზიზღით ეპყრობოდა.

ლესინგი.

ლიტერატურაში ამ მიმართულებას **ვოლფგანგ ლესინგმა** მოუღო ბოლო. იგი განათლების ხანის ფილოსოფიის ჰუმანიურ იდეებს იზიარებდა; ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი მისი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, „ნატან ბრძენი“, რომელიც სინდისის თავისუფლების კეთილშობილურსა და ხელოვნურ დაცვას წარმოადგენს. როგორც განმანათლებელი, ლესინგი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ფრანგ ფილოსოფოსთაგან. მაგრამ იგი აღშფოთებული იყო თავისი ერის გონებრივი დამონავებით და ფრანგული ლიტერატურული ნიმუშების წინაშე ქედის მოხრით. რა თქმა უნდა ეს მარტო მიტომ კი არ ხდებოდა, რომ ლესინგს ძლიერი მამულიშვილური გრძნობები ჰქონდა; იგი ფრანგების ლიტერატურის მიმართულების ცალმხრივობას გრძნობდა, მისს არაბუნებრივობას და ნაძალადევობას კარგათ იცნობდა და არ შეეძლო, ყველა ამის წინააღმდეგ არ გალაშქრებულიყო. „ჰამბურგის დრამატურგიაში“ მან ფსევდოკლასიკური დრამის თაყვანისმცემლები სასტიკად დაამარცხა და სანიმუშოდ მკითხველს ინგლისურისა და კლასიკური მწერლობისაკენ მიუთითა, სადაც სინამდვილის ალღო და მისი გამოსახვის უნარი მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანდა, ვიდრე ფრანგების უსიცოცხლო სქემატიზმის ნიადაგზე აგებულს ფსევდო-კლასიკურ თხზულებებში. შექსპირი უდიდესი დრამატურგი იყო ლესინგისათვის, და იგიც ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რათა მისი უპირატესობა ყველასათვის თვალსაჩინოდ დაემტკიცებია. ამასთანავე ლესინგი ფსევდოკლასიციზმის კრიტიკით როდი კმაყოფილდებოდა. მან თავის თავზე აიღო ვალი ახალი დრამის ნიმუშების შექმნისა, რომელიც ფრანგების სქემატიზმისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, და გერმანული დრამის პირველი ნიმუშები შეჰქმნა.

ჰერდერი.

ჰერდერი კიდევ უფრო შორს წავიდა. იგი განათლების ხანის ფილოსოფოსთ შეებრძოლა და კერძოდ **საზოგადოების** ან **ხალხის** გენეზისის საკითხის გადასინჯვა დაისახა მიზნად. თუ განათლების ფილოსოფოსნი საზოგადოების გენეზისს ადამიანთა შეთანხმებითა და მათ შორის დადებული ხელშეკრულებით ხსნიდენ, თუ საზოგადოებაში იგინი პიროვნებათა მექანიკურ კრებულს სჭვრეტდენ, ჰერდერმა, პირიქით, საზოგადოება და ხალხი **ორგანიულ მთლიანად** დასახა და მისი წარმოშობვისა და დამახასიათებელი თვისებების ძებნა ხალხის ბუნებრივის, და არა კულტურული ცხოვრების წიაღში დაიწყო. ამგვარად იგი **სახალხო პოეზიას** წააწყდა, და მითები, თქმულებანი, ხალხური მოთხრობანი და ზღაპრები კვლევაძიების ცენტრში მოაქცია. თუ განათლების ფილოსოფოსნი ყველა ამაში უგუნურებასა და უსუსურებას სჭვრეტდენ, ჰერდერი პირიქით უშუალო სიბრძნისა და მშვენიერების ნიმუშს სწორედ აქ ხედავდა. თავის მთავარ თხზულებას („**აზრები კაცობრიობის ისტორიაზე**") ჰერდერმა საფუძვლად სახალხო ცხოვრების გაგება დაუდო, მაგრამ ამავე დროს მთელ ნაშრომში კაცობრიობის კულტურული განვითარების, განათლებისა და მეცნიერებისადმი პროგრესიული სვლის იდეა გაატარა. ხოლო პროგრესი, მისი აზრით, მარტო გონების შენაძენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში კი არ გამოიხატება, არამედ ადამიანის ზნეობრივი ღირ-
ძინების თანდათანობითს გაუმჯობესებაში. ჰერდერის იდეებმა
მიმდევრები იპოვა, და გერმანიაში ახალი ხანა დაიწყო. „შე-
ტევისა და ქარიშხალის“ ეპოქა (Sturm—und Drangperi-
ode) გერმანიის სულიერი ცხოვრების განთავისუფლების პი-
რველი საფეხური იყო, და როგორც ყველგან ასეთ შემთხ-
ვევებში, იქაც მწერლობის ყველა დარგში მრავალი ახალგა-
ზრდა, ნიჭიერი მოღვაწე გაჩნდა. ყველაფერი კრიტიკის ქარ-
ცეცხლში ტარდებოდა; ზეცამდე აჰყავდათ **უშუალო** გრძნო-
ბა და ძალა, აზრისა და გამოთქმის თავისუფლება, ბუნე-
ბასთან სიახლოვე. გოეტემ და შილერმა სწორედ ამ მოუს-
ვენარ დროს დაიწყეს თავისი მოღვაწეობა.

გოეტე.

გოეტეს (1750—1832) სახით სინამდვილეში განხორ-
ციელდა ძლიერი პიროვნების ის იდეალი, რომელზედაც იმ
დროინდელი მწერლები ოცნებობდენ. მისი გრძნობიარე ბუნება
მათ მისწრაფებათა უტყუარ სარკეთ გადაიქცა. თავის „ვერ-
ტერში“ გოეტემ იმ ტანჯვის სიმწვავე დაგვიხატა, რომელ-
საც არსებული საზოგადოებრივი პირობების სიდუხჭირე და
არარაობა ჰქმნის და ჰკვებავს, და რომელიც თავის გაზოგა-
დოებული ფორმით „მსოფლიო სევდის“ წყაროთ იქცევა. ეს
ის გრძნობაა, რომელიც თავის დაკმაყოფილებას საზოგადოება-
ში კი არა, **ბუნებაში** პოულობს. აქ რუსოს ხაგავლენას გარ-
და განსაკუთრებით ჰერდერის აზრების ზედმოქმედებასაც ჰქონ-
და ადგილი: „ფაუსტის“ პირველი ნაწილისათვის გოეტემ
ერთი ძველი გადმოცემით ისარგებლა, რომლის მიხედვითაც
ერთმა მეცნიერმა ძლიერების მოსაპოებლად თავისი სული
ეშმაკს მიჰყიდა. ეს მოთხრობა ახალი დროის უდიადეს პოე-
მად გარდაიქცა: მეფისტოფელის დაცინვაში და ფაუსტის
აზხედრებაში მეცნიერებისა და საზოგადო წეს-წყობილების წი-
ნააღმდეგ გადმოხეთქა ძლიერმა უკმაყოფილების გრძნობამ, მი-
სწრაფებამ მიუწდომელ იდეალისაკენ, რომლის წინაშეც ცო-
დნა და სიყვარული ორივე ქედს იხრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილერი

გერმანიის მეორე დიდი მგოსანი, შილერი (1759—1805) გენიოსობის მხრივ გოეტეზე დაბლა იდგა, მაგრამ თავისი დროის პოლიტიკური ცხოვრების ნაკლს ის უფრო მძაფრად გრძნობდა. მის ადრინდელ პიესებში რევოლიუციონური სულისკვეთება გამოსჭვივის. „ყაჩაღებში“ გამოხატულია გმირი, რომელიც ომს უცხადებს უვარგის საზოგადოებას, ადგენს ავაზაკების ბრბოს, რომელსაც ვერ მოუთმენია გამეფებული უსამართლობა და შეურაცხყოფა. „ცბიერება და სიყვარული“ საჭარცხვინო ბოძზე აკრავს **სასახლის** საზოგადოების წარმომადგენლებს, უსულგულო, ცრუ, პატივმოყვარე და უბადრუკ ადამიანებს. „დონ-კარლოსში“ დესპოტიზმისა და ფანატიზმის განხორციელების, ფილიპე მე-II წინააღმდეგ ჰუმანობისა და თავისუფლების ქომაგი მარკიზი **პოზა** არის დახასიათებული.

4. მწერლობის გავლენა სინამდვილეზე.

ფილანთროპია.

თუ აქამდე ლაპარაკი მხოლოდ მე-XVIII საუკუნის გონებრივ მოძრაობაზე იყო, რამდენადაც ეს უკანასკნელი იმ-დროინდელის, თვალსაჩინო და ცნობილი მწერლების ნაწარმოებებში გამოიხატა, ეხლა საჭიროა განვიხილოთ, თუ რამდენად ეგუებოდა ყველა ეს არსებულ სინამდვილეს. ძველი წესწყობილების სინამდვილესა და ფილოსოფოს-ლიტერატორთა მოთხოვნილებებს შორის დიდი უფსკრული არსებობდა, მაგრამ სწორედ ეს წინააღმდეგობა, იყო რომ ხალხს სამოქმედოდ იწვევდა. აზრთა სერიოზული სხვადასხვაობის მიუხედავად, მე-XVIII საუკუნის ყველა მოღვაწენი უმთავრეს საკითხებში ერთსულოვნებას იჩენდენ. ისინი ქადაგებდენ „ადამიანობას“, კაცის პიროვნების ღირსებისა და მოთხოვნილებისადმი პატივისცემას, **ფილანთროპიას**, ხალხისადმი სიყვარულით მოპყრობას, და ყველაფერს ამას, შეძლებისადაგვარად პრაკტიკულ სინამდვილეშიც ატარებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასონები და ილუმინატები

ახალი მიმართულების მიმდევარნი ცოცხლად გრძნობდენ თავის ნათესავობას გარშემორტყმულს, მტრულად განწყობილ ძალთა წინაშე, და მათაც შეკავშირებისა და წესიერი ურთიერთობის მოწყობის სურვილი აღეძრათ. 1717 წელს ინგლისელმა განმანათლებლებმა ასეთი კავშირის შესაქმნელად საშუალო საუკუნეთა კალატოზების ამქრის ნახევრად მივიწყებული ჩვეულებებით ისარგებლეს და კავშირი შეჰქმნეს, რომლის დანიშნულებასაც, როგორც თვითონ ამბობდენ, ადამიანის მომზადება შეადგენდა სულიერი აღმშენებლობისათვის. თავისუფალი კალატოზების, ან **მასონების** ორდენი სწრაფად გაიზარდა და მისი „ლოჟებით“ მთელი ევროპა და თითქმის მთელი ქვეყანაც კი დაიფარა. ორდენს საიდუმლო ჩვეულებები და წესდება ჰქონდა; იგი აშკარა ბრძოლას არ უცხადებდა სახელმწიფო მთავრობებსა და ეკლესიებს, მაგრამ თვითონ მაინც მათი გავლენის გარეშე იდგა: სარწმუნოების სფეროში დეიზმს აღიარებდა, საზოგადოებრივში კი—მთელი კაცობრიობის ძმობასა და თანასწორობას. მთავრობა ორდენს ლმობიერად ეპყრობოდა; სამაგიეროდ კათოლიკურმა ეკლესიამ მას შეურიგებელი ომი გამოუცხადა. მასონებს დიდი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე, მაგრამ ისინი ფრთხილად იქცეოდენ და მწვავე საკითხებს ყოველთვის გაურბოდენ. სულ სხვა იყო „ილუმინატების“ ორდენი, რომელიც XVIII საუკუნის დასასრულს ბავარიაში დაარსდა: იგი პირდაპირ რევოლიუციონურ მოძღვრებას ავრცელებდა, და ბავარიის მთავრობაც იძულებული შეიქმნა, ორდენი პასუხისგებაში მიეცა.

აზრთა ასეთს ძირითადსა და საყოველთაოდ მიღებულ ცვლილებებს შეუძლებელია, თავისი გავლენა მართველ წრეებზეც არ მოეხდინა. ეს იყო მიზეზი, რომ არსებულ წესწყობილებაში ბევრი რამ ისეთი შეიცვალა, რასაც ათასი წლის ისტორია ჰქონდა, და ეს გარემოება არსად საწინააღმდეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობას არ იწვევდა. გერმანელმა რაციონალისტებმა ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში გაილაშქრეს ჯადოსნობისათვის დევნის წინააღმდეგ, და თანდათან მოახერხეს იმ შეხედულების გატარება, რომ მოყვასისათვის ვნების მისაყენებლად შეუძლებელია კაცმა უშუამავლო დამოკიდებულება დაიკავოს ბოროტ სულებთან. დაიწყო ბრძოლა წამების, როგორც გამოძიების საშუალების, წინააღმდეგაც; განათლების ხანის ლიტერატურამ აქაც მოახერხა მთავრობის დარწმუნება ამ ჩვეულების სიცრუეში, რომელმაც თავის დროზე უამრავი უდანაშაულო სხვერპლი შეიწირა. იტალიელმა **ბეკკარიამ** სისხლის სამართლის უფლების არა ადამიანური სიმკაცრე გამოაშკარავა („დანაშაულებებზე და სასჯელებზე", 1764), სიმკაცრე, რომელმაც სასჯელის გადაწყვეტის დროს არავითარი საზომი არ იცოდა. ინგლისელმა **გაუარდმა** მთელი თავისი სიცოცხლე პატიმართა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას შესწირა. ეს ყველაფერი ისეთი რამ იყო, რაც არსებული სინამდვილის ევოლიუციის უტყუარ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს.

5. განათლებული აბსოლუტიზმი.

განათლებული აბსოლუტიზმის მოღვაწენი.

განათლების ხანის მოძრაობას მარტო კერძო საკითხებზე და უფლების დარგზე როდი ჰქონია გავლენა; არა, მან თავისებური მიმართულება მისცა თვით ძალაუფლების მატარებელთა საზოგადო პოლიტიკასაც. ბევრი იმ რეფორმათაგანი, რომელსაც განათლების ხანის ლიტერატურის წარმომადგენლები მოითხოვდენ, სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისითაც სასურველი იყო, და მე-XVIII საუკუნის სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა მთელმა რიგმა იმდენი გამბედაობა და ენერგია გამოიჩინეს, რომ მომენტის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გატარება იდვეს თავს. მაგრამ მათი დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ამ რეფორმებს ხალხის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვალებით როდი აღარებდენ; პირიქით, იგინი უნდობლობით ეპყრობოდენ მას და თვითონ იტოვებდენ მთელ ძალაუფლებას, რათა იგი ხალხის საკეთილდღეოდ მოეხმარათ. „ყველაფერი ხალხისათვის, მაგრამ არა ხალხის საშვალებით!“ აი რა იყო მათი დევიზი. **არანდა**—ისპანიაში, **პომბალი**—პორტუგალიაში, **ტანაუჩჩი**—ნეაპოლში, **ეკატერინე მე-II**—რუსეთში, **გუსტავ მე-III**—შვეციაში—აი ტიპიური წარმომადგენლები იმ პოლიტიკისა, რომელიც ე. წ. განათლებულ აბსოლუტიზმს ახასიათებდა. კათოლიკურ ქვეყნებში განათლების ხანის აბსოლუტიზმის ერთს მთავარ მიზანთაგანს ეკლესიის პოლიტიკურისა და საზოგადოებრივი გავლენის შეზღუდვა შეადგენდა. ცხადი იყო, განათლების ხანის აბსოლიუტიზმის წარმომადგენლები ამ ნიადაგზე უეჭველად იეზუიტების ორდენს უნდა დაპირდაპირებოდენ, ორდენს, რომელიც ახალი დროის კათოლიციზმის საქმიანობის მთავარ იარაღად ითვლებოდა. პორტუგალიისა და ისპანიის მთავრობებმა იეზუიტები ყველა თავის სამფლობელოდან განდევნეს; ბოლოს, თვით ეკლესიაც იძულებული შეიქმნა ამ საერთო ტენდენციას დაქვემდებარებოდა, და საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით პაპა კლიმენტ XVI-მ ორდენი სრულიად დაშალა; მართალია, იგი შემდეგში ისევ აღდგენილი იქმნა, მაგრამ ეს მისთვის იმდენად დიდი უბედურება იყო, რომ კარგა ხნით წელში ვერ გაიმართა.

განათლების ხანის აბსოლიუტიზმის საუკეთესო დახასიათებას დასავლეთი ევროპის ორი მეფის მოღვაწეობა წარმოადგენს: **ფრიდრიხ მე-II**ს, პრუსიაში და **იოსებ მე-II**-სი ავსტრიაში.

ფრიდრიხ II დიდი.

ფრიდრიხ მე-II-ს „დიდი“-ს სახელწოდება მარტო სამხედრო და დიპლომატიური წარმატებით როდი დაუმსახურებია. სახელმწიფოს მართვაგამგეობაში მან პირველმა განახორციელა „განათლების ხანის აბსოლიუტიზმის“ იდეები. აღზრდილი თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამედროვე პოპულიარულ ფილოსოფიაზე, იგი შეგნებულად ეპყრობოდა თავის მდგომარეობას და მმართველის ვალდებულებანი ადამიანთა საზოგადოების თვისებებიდან გამოჰყავდა.

მისთვის მეფე „სახელმწიფოს პირველი ნსახური“ იყო, რომლის ძალაუფლებასაც ქვეშევრდომნი მიტომ ემორჩილებიან, რომ შინაგანი არევ-დარევისა და უცხოელების ძალადობის თავიდან აშორება სურთ. მაგრამ ხელმწიფის ყოველგვარ მოქმედებას მიზნად უნდა ჰქონდეს ქვეშევრდომების კეთილდღეობა, მათი ყოფა-ცხოვრების გონიერად მოწყობა, ღარიბთა და მდიდართა შორის განსხვავების შემცირება, უბედურთა და ჩაგრულთა დახმარება. ხელმწიფის ძალა-უფლება უცილობელია, მიტომ რომ ის მთლიანი ორგანიზმის წარმომადგენელია. ფრიდრიხ მე-II არა თუ არ ცნობდა მეფის უფლების შეზღვუდას, არამედ თავის აღმასრულებლებსაც არ უნაწილებდა უფლებას და მართვა-გამგეობის ცალ-ცალკე დარგების ხელმძღვანელი მინისტრებიც კი არ ჰყავდა. ყოველს ცალკე დარგს რამდენიმე პირისაგან შემდგარი კოლეგია განაგებდა, ხოლო საქმეების მოსახსენებლად მეფე საიდუმლო მრჩევლებს ნიშნავდა, მეტ წილად უბრალო შთამომავლობისას და ხშირად ისეთებს, რომელთაც უმაღლესი სწავლაც კი არ ჰქონდათ მიღებული. მეფე ყველაფერს თვითონ ადევნებდა თვალ-ყურს: მისი მიზანი მართველობის მთელი შემადგენლობის მორჩილ მანქანად გარდაქცევა იყო, რომელსაც დაუყოვნებლივ მისი განკარგულებანი უნდა შეესრულებია.

დიდ ყურადღებას მოითხოვდა, რასაკვირველია, არმია, სადაც 200.000 მეომარი ითვლებოდა, მაშინ როდესაც მთელ სახელმწიფოში მცხოვრებთა საერთო რიცხვი მხოლოდ 5 მილიონს უდრიდა; მაგრამ მეომრების მთელი რიცხვის ნახევარზე მეტს უცხოელები შეადგენდნენ; მათ მოსაკრებად მთავრობის აგენტები ათასგვარ ხერხს მიმართავდენ: რეკრუტების მოსაგროვებლად ჩვეულებრივ საშუალებას ახალგაზრდების დათრობა და სიმთვრალის დროს მათი დაბეჭდვა შეადგენდა. ამგვარად მოკრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი მეომრები ბრბოს წარმოადგენდენ; მათ გასაწვრთნელად და მწყობრ რაზმებად გარდასამქნელად რკინის დისციპლინა იყო საჭირო; ოფიცრობას აზნაურობა იძლეოდა, და ყველა თანამდებობაზე განწესება დანიშვნის სისტემით ხდებოდა; უცხო არმიებში კი ამ დროს, მაგ. საფრანგეთისა და ინგლისისაში თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვის სისტემა იყო გაბატონებული.

არმიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფინანსები. შემოსავლის გასადიდებლად ფრიდრიხ მე-II არცერთ საშუალებას არ ერიდებოდა; სხვათა შორის, ზოგიერთი გადასახადის მოსაკრებად ფრანგი მოხელეები ინიშნებოდენ, რომლებიც სახლებს და დუქნებს ჩხრეკდნენ და ამით მცხოვრებთ თავს აბეზრებდენ და აძულებდენ. მაგრამ ფრიდრიხ მე II კარგად ესმოდა, რომ სახელმწიფოს სიმდიდრისათვის მრეწველობის განვითარება იყო საჭირო, და ამ მიზნის განხორციელებას იგი მთავრობის ენერგიული დახმარებისაგან ელოდა. მიწადმოქმედებას ჭაობების ამოშრობით, წყლის განაწილებით, კოლონისტების მიზიდვით და მემამულეთათვის იაფი კრედიტის გახსნით ეხმარებოდა. მაგრამ ყველაზე უფრო ფრიდრიხი საფაბრიკო მრეწველობის განვითარებაზე ზრუნავდა; ამ მხრივ იგი კოლბერს ჰბაძავდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ დარგში მის ცდას დიდი ნაყოფი არ გამოუღია.

„განათლების ხანის აბსოლუტიზმის“ განსაკუთრებული თვისებები ფრიდრიხ მე-II-ს მართლმსაჯულებისა და სასამართლოს მოწყობის შესახებ მზრუნველობაში გამოიხატა, იმ მზრუნველობაში, რომელშიც იგი მოვალეობის შეგნებითა და მმართველის უმაღლესი დანიშნულების იდეით ხელმძღვანელობდა. იგი ხშირად ამბობდა, ხელმწიფე პირველ ყოვლისა თავის ქვეშევრდომთა მსაჯული არისო. ფრიდრიხი სასტიკად ადევნებდა თვალ-ყურს, რათა პრუსიის სასამართლოებში საქმე დაუყოვნებლივ და მიუდგომლად გარჩეულიყო. სასამართლოს წინაშე იგი მდიდარსა და ღარიბს შორის, წარჩინებულსა და არა წარჩინებულს შორის არავითარ განსხვავებას არ სცნობდა. დიდი შთაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე მეწისქვილე არნოლდის საქმემ, რომელმაც მეფეს საჭირო გადასახადი არ მისცა, ვინაიდან ლანდრატმა მას წყალი წაართვა. მეწისქვილე დასაჯეს, მაგრამ მეფე დარწმუნდა, რომ ეს ლანდრატის გულის მოსაგებად იყო ჩადენილი, და კანცლერი და რამდენიმე მსაჯული გადააყენა; სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად იგი არავის ნებას არ აძლევდა, საქმეში ჩარეულიყო, თუნდ ეს თვითონაც ყოფილიყო. ამ მხრივ იგი თავისი ნების შეზღუდვის შესაძლებლობას სცნობდა და, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, კანონის შესრულებას მოითხოვდა. კანცლერის კოკცეის თავმჯდომარეობით მან კომისია შეადგინა, რომელსაც პრუსიის კანონების კოდიფიკაცია დააკისრა. შედეგი კომისიის მუშაობისა Codex juris Fridericiani-ს (ფრიდრიხის უფლების კრებული) შედგენა იყო; ამ შესანიშნავ იურიდიულ ძეგლს საფუძვლად გერმანული უფლებრივი ჩვეულებები და პრუსიის კანონები დაედვა, მაგრამ მასალა გადამუშავებულ იქმნა რომის უფლებისა და მე-XVIII საუკუნის ფილოსოფიური იდეების გავლენის ქვეშ. მეფე თავის სამფლობელოში სრულს სინდისის თავისუფლებას იცავდა; მისი აფორიზმი: „ყველას აქვს უფლება, თავისებურად ცხონდეს“-ო (es mag ein jeder selig werden nach seiner Façon)—თითქმის დევიზი შეიქმნა ჰოჰენცოლერნების სარწმუნოებრივი პოლიტიკისა.

ფრიდრიხ მე-II მარტო ერთში ვერ გაჰბედა ძველი წესწყობილების შეცვლა: წოდებრივი წყობილება მან ხელუხლებელი დატოვა. აზნაურობა მეფეს სახელმწიფოს დამცველ აუცილებელ ძალად მიაჩნდა. მისი ოფიცრები ძალიან მცირე ჯამაგირს იღებდენ, ხოლო პენსიას სრულებით არა, მათ თვითონ უნდა ერჩინათ თავი. აზნაური-მემამულეები კიდევ მიტომ იყვნენ ჯარისათვის საჭირონი, რომ წოდებრივი პატივის გრძნობას უნდა აეწია მისი მხნეობა, რისთვისაც ჯოხის დისციპლინა არ კმაროდა. მეფე დიდად ენდობოდა ოფიცრებს; ამიტომ მათ, მოხელეებთან შედარებით, უპირატესო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას აძლევდა და მათი სამსახურით ხშირად სამოქალაქო უწყებაშიაც სარგებლობდა. ამიტომაც იყო, რომ მეფე აზნაურ-მემამულეებს ყველას მოსამსახურეთ თვლიდა, ითხოვდა მათგან ანგარიშს, თუ დიდ ხანს დარჩებოდენ თავიანთ მამულებში, უკრძალავდა საზღვარ გარედ წასვლას, თუ განსაკუთრებულ ნებართვას არ აიღებდენ და სხვა. რაკი აზნაურებს ამგვარი როლი ჰქონდა სახელმწიფოში, დანარჩენ წოდებათა მდგომარეობის გაუმჯობესება უკვე შეუძლებელი შეიქმნა. მართალია მეფეს ძალიან სურდა გლეხებსაც დახმარებოდა, მაგრამ ამ მხრივ ძალიან ცოტა გააკეთა, და ამის მიზეზი ისევ აზნაურ-მემამულეთა დანიშნულება იყო. სახელმწიფო მამულების მოურავთა უფლებებს შეზღუდვა, რამდენიმე მემამულის დასჯა, რომლებიც თავიანთ უფლებას ძალიან ბოროტად იყენებდენ, გლეხების მიწიდან აყრის აღკრძალვა—აი ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც მოახერხა ფრიდრიხმა; მაგრამ დასჯისა და თვითნებური ბრძანების უფლება მებატონეებს მან მაინც ვერ მოუსპო, და გლეხებიც ძველებურად იხდიდენ გადასახადებს და ასრულებდენ ვალდებულებებს მემამულეთა სასარგებლოდ.

განათლებული მეფე მუდამ ცდილობდა, ფრანგ ფილოსოფოსებთან პირადი დამოკიდებულება ჰქონოდა (ვოლტერი ერთხანს მის სასახლეში ცხოვრობდა) და სწერდა პოლიტიკურ ტრაქტატებს; ცოტა რამ მან გიმნაზიებისა და უნივერსიტეტებისათვისაც გააკეთა; გადააკეთა მეცნიერების აკადემია და განაცხადა, სწავლა ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოსო, მაგრამ ამის მიუხედავად სახალხო სკოლებზე მაინც ძალიან მცირე მზრუნველობა გამოიჩინა.

იოსებ II და მისი რეფორმები.

ფრიდრიხ მე-II-ზე უფრო გაბედულად განათლების ხანის აბსოლუტიზმის მეორე წარმომადგენელი—იმპერატორი იოსებ მე-II მოქმედობდა. ჯერ კიდევ მარიამ ტერეზიამ შეიტანა თვალსაჩინო გაუმჯობესება საფინანსო მართველობაში, გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების მდგომარეობასა და საეკლესიო წეს-წყობილებაში. მაგრამ ეს ფრთხილი რეფორმები არ აკმაყოფილებდა იოსებ მე-II, და იგიც იმთავითვე სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგის საფუძვლიანად გარდაქმნას შეუდგა: მან მოსპო აზნაურების უპირატესობა სასამართლოს წინაშე, ყველა წოდებისა წარმომადგენლებს გაუხსნა გზა თანამდებობისაკენ, მემამულეებს გლეხებზე სასამართლო და საპოლიციო უფლებები ჩამოართვა, თავისი სამფლებელოების უმეტეს ნაწილში ბატონყმობა გააუქმა და მიწები გლეხებს საკუთრებად მისცა; სადაც ბატონყმობა კიდევ დარჩა, ყმების ვალდებულებანი ძალიან შეამსუბუქა. ამავე დროს იმპერატორი თავგამოდებით ზრუნავდა სახალხო სკოლებზე, შემოიღო იქ უფასო სწავლა და დააარსა სამასწავლებლო სემინარიები. რელიგიაში სინდისის თავისუფლება გამოაცხადა და გაათანასწორა უფლების მხრივ პროტესტანტები და კათოლიკები. შემდეგ, დახურა ყველა ის მონასტერი, რომელსაც განმანათლებელი და ფილანთროპიული ფუნქციები არ ჰქონდა, და მათი ქონება სამრევლო ეკლესიების მოწყობას მოახმარა. როდესაც იმპერატორი იოსებ მე-II დახავსებულ დაწესებულებებს აუქმებდა და მოქალაქეობრივი თანასწორობა შემოჰქონდა, იგი სცდილობდა, ნახევრად ფეოდალური ავსტრიის მიწა-წყალი ერთფეროვან ბიუროკრატიულ სახელმწიფოდ გარდაექმნა, რომელიც სავსებით მისი ძალაუფლების მორჩილი უნდა ყოფილიყო; მან ანგარიში არ გაუწია ისტორიულად შექმნილ პროვინციებს და სახელმწიფოს ახალი დანაწილება შემოიღო: ამ დანაწილებას საფუძვლად მან არა ისტორიული, არამედ მათემათიკური პრინციპი (თანასწორ-ზომიანობა) დაუდვა. ყოველგვარს ისტორიულ განსხვავებას ის ცრუმორწმუნეობად სთვლდა და, მაგალითად, განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ოფიციალურ დაწესებულებაში მხოლოდ გერმანული ენა ყოფილიყო ხმარებული, თუმც უნგრები, სლავები და ბელგიელები ღრმად შეურაცყოფილნი დარჩენ მათი ეროვნული ენის წინააღმდეგ გალაშქრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის გასაკვირველი, რომ მისმა რეფორმებმა მრავალერიან სახელმწიფოში უკმაყოფილება და ზოგიერთ ადგილს აჯანყებაც კი გამოიწვია. უმაღლესი კლასები არ სთმობდენ თავის უპირატესობათ, მდაბიო ხალხი არ თანაუგრძნობდა სარწმუნოებრივ რეფორმებს, ყველა სჩიოდა ადმინისტრაციის თვითნებობას და თავხედობას, და ყველა უკმაყოფილო დარჩა ნაციონალური განსხვავებების დარღვევით.

უნგრეთში ხალხის აჯანყებას მხოლოდ ავსტრიის ჯარები აჩერებდენ, ნიდერლანდების პროვინციებში კი ნამდვილმა რევოლუციამ იფეთქა, რომლის დაწყნარებაც იმპერატორმა ვერ მოახერხა. მას გულს უკლავდა, რომ ხალხმა ვერ გაიგო და ვერ დააფასა მისი კეთილშობილური გეგმები და შრომა და სახელმწიფო დამღუპველ ანარქიამდე მიიყვანა, და ეს მწარე ტკივილი მან საფლავში ჩაიტანა (1790).

II. რევოლუცია.

1. მონარქიის დამსხვრევა საფრანგეთში.

ძველი წეს-წყობილების სიმწვავე საფრანგეთში.

ძველი წეს-წყობილება ყველაზე უფრო გააფთრებულ თავდასხმას საფრანგეთის ლიტერატურაში განიცდიდა; ეს, რასაკვირველია, მარტო ეროვნული განსხვავებული თვისებით არ აიხსნება: არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული გადაჭარბებული ოპოზიცია საფრანგეთის სახელმწიფოისა და საზოგადოების ცხოვრების განსხვავებული პირობებისაგანაც გამომდინარეობდა; ჩვენ ვიცით, რომ ფრანგები გაცილებით უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ძველი წესების, ვიდრე გერმანელები ან ინგლისელები, რადგანაც იგინი ინგლისელებს უკან ჩამორჩენ, ხოლო გერმანელებს წინ გაუსწრეს: მათთვის ძველი წეს-წყობილება არ წარმოადგენდა არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალურ ძალას, როგორც ეს გერმანიაში იყო, და არც ინგლისის მოგონებას, ინგლისის მსგავსად; მათ ამ წესწყობილების ნაშთები უფრო აბრაზებდენ, რომელნიც ათასგვარ პრივილეგიებში გამოიხატებოდენ; მთავრობა კი, მის მაგიერ რომ განათლების ხანის აბსოლუტიზმის ნიადაგზე დამდგარიყო და ეს პრივილეგიები მოესპო, პირიქით, მათ დამცველად გამოდიოდა.

ჯონ ლოუ.

ლიუდოვიკ მე-XIV პოლიტიკის დამსხვრევის შემდეგ, საფრანგეთის მართვაგამგეობის საქმე კიდევ უფრო გართულდა. „დიდმა მეფემ“ თავის მცირეწლოვან მემკვიდრეს სამ ნახევარი მილიარდი ვალი და 800 მილიონი ლივრის ყოველ წლიური დეფიციტი დაუტოვა. საფრანგეთის ხალხი ნივთიერად განადგურებული იყო და ამავე დროს მას უპირატესობა საგარეო პოლიტიკაშიც დაკარგული ჰქონდა. ახალგაზრდა ლიუდოვიკ მე-XV ოპეკუნის, **ორლეანელი ჰერცოგის** რეგენტობის დროს გაჭირვებული ფინანსიური მდგომარეობის გამობრუნება ფინანსიური სპეკულიაციით სცადეს; ვინმე შოტლანდიელმა **ლოუმ**, რომელიც სავაჭრო და საბანკო საქმეებს კარგად იცნობდა, დაარწმუნა რეგენტი, რომ კრედიტის, ე. ი. საზოგადოების ნდობის წყალობით, ქაღალდის ფულის ნიშნების გაცილებით მეტი რიცხვის გამოშვება შეიძლებოდა, ვიდრე ეს სახელმწიფოს ლითონის სიმდიდრეს შეეფერებოდა; ქაღალდის ნიშნების რიცხვის გაზრდა ხელს შეუწყობდა ვაჭრობის გაფართოვებას, რადგანაც ხალხი მეტს იყიდდა და მეტს გაყიდდა, ამით ქვეყანაც გამდიდრდებოდა და მთავრობაც მოგებული დარჩებოდა. ლოუს შეხედულობებში ძალიან ბევრი სიმართლე იყო: ეხლანდელი ვაჭრობა ფართოდ სარგებლობს კრედიტით და დღევანდელ პირობებში უიმისობა შეუძლებელიცაა; მაგრამ კრედიტი ძლიერ სახელმწიფოშიც განსაზღვრულია, საკრედიტო ქაღალდის გამოშვების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ შესაძლებლობას, რომ მის მიმღებს ქაღალდის ფულის ნიშნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიერ ლითონის ფულის ან სხვა რეალური ღირებულების მოთხოვნა შეუძლია. მაგრამ ლოუმ ამას ყურადღება არ მიაქცია, და უბედურებაც სწორედ ამან გამოიწვია.

პირველ ხანებში ლოუ ძალიან ფრთხილად იქცეოდა, და მის მიერ დაწყებული საქმე დიდის წარმატებით ვითარდებოდა. ლოუს პირველი ნაბიჯი იმაში გამოიხატა, რომ მან სააქციონერო ბანკი დააარსა, რომელიც სესხს ხელსაყრელ პირობებში იძლეოდა და რომლის ქაღალდის ნიშნებსაც სახელმწიფო ფულის მაგიერ ღებულობდა. ორი-სამი წლის განმავლობაში ბანკმა ხელში ჩაიგდო ყველა უმთავრესი კომერციული საქმე—ფულის მოჭრა, კოლონიებთან ვაჭრობა, გადასახადების მოკრება. ის აქციები, რომლებიც ნომინალურად 500 ლივრად ღირდა, 20.000-ად იყიდებოდა. მთელი საზოგადოება საბირჟო ცხელებამ შეიპყრო, ყიდულობდენ და ჰყიდდენ აქციებს, რის გამოც მრავალი უეცრად მდიდრდებოდა და ბევრი ღარიბდებოდა. რეგენტი ყოველ მხრივ ეხმარებოდა ლოუს და 1718 წელს მისი ბანკი სახელმწიფო ბანკად გამოაცხადა, რომელსაც მრავალი მონოპოლური უფლება მიანიჭა. აქციების პატრონნი დიდ მოგებას ელოდენ, და მათი ფასი კიდევ უფრო იწეოდა. მაგრამ ბანკის ზოგიერთი საქმე ცუდად წავიდა, და ამას გარდა ლოუმ ქაღალდის ნიშნების შეუსაბამო რიცხვი გამოუშვა (სამი მილიარდი). შეშინებულმა საზოგადოებამ ლითონის ფული მოითხოვა, რაც ძალიან მცირე აღმოჩნდა; მაშინ ლოუ რეპრესიული ზომების მიღება განიზრახა, რათა ამით ლითონის მოთხოვნა შეეჩერებია. მთავრობამ, მისი შთაგონებით, აკრძალა 50 ლივრზე მეტის ოქროს ფულის სახლში შენახვა; სჩხრეკდენ სახლებს, რათა იქ შენახული ოქრო აღმოეჩინათ. მაგრამ ამ საშუალებამ კიდევ უფრო შეაშინა საზოგადოება: აქციებმა ყოველივე ღირებულება დაჰკარგა, აღარავინ აღარ იღებდა საკრედიტო ბილეთებს, და საქმე გაკოტრებით გათავდა. ბანკის გაკოტრება სახელმწიფოს არაპირდაპირი გაკოტრებაც იყო, რადგანაც იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარს უჭერდა ლოუს ოპერაციებს და მისი ბილეთებით საკუთარი ვალების თვალსაჩინო ნაწილი გამოიყიდა. კერძო პირების უამრავი რიცხვი, რომელთაკ აქციებისა და ლოუს ბილეთების გასაღება ვერ მოასწრეს, სრულიად გაღატაკდენ.

ლუდოვიკ XV.

ასე იყო თუ ისე, ის ტვირთი, რომელიც ლიუდოვიკ მე-XIV საფრანგეთს დააკისრა, თუმცა არაკეთილშობილური გზით, მაგრამ მაინც შემსუბუქებულ იქმნა; ახლა საჭირო იყო თადარიგის დაჭერა, რათა სახელმწიფო კვლავ იმ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, როგორშიაც იგი 1715 წელს იმყოფებოდა. მაგრამ ლიუდოვიკ მე-XV განათლების ხანის მონარქების რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომლებიც, ფრიდრიხ მე-II და იოსებ მე-II მსგავსად, მთელ თავის ძალ-ღონეს სახელმწიფოს ინტერესების სამსახურს ანდომებდენ. იგი პირადი სიამოვნებისათვის ცხოვრობდა, განცხრომას ყველაფერზე მაღლა აყენებდა და თავისი პოლიტიკის შედეგებს, რამდენადაც ეს პირადად მას არ ეხებოდა, ძალიან გულგრილად უყურებდა: „ჩემს შემდეგ თუნდ წარღვნაც მოხდესო“!. ამბობდა იგი.

სახელმწიფოში მთავარ როლს ისევ ის ძალები ასრულებდენ, რომლებიც მეფის ყურადღებით სარგებლობდენ. ლიუდოვიკ მე-XV კარგი მინისტრებიც ჰყავდა, მაგრამ სახელმწიფოში საჭირო გაუმჯობესების შეტანა მათაც ვერ შესძლეს. სახელმწიფო მოვალეობათა უთანასწორო განაწილება, პრივილეგიებით მოსილი პირების მიერ საზოგადო ქონების ფლანგვა, საფინანსო მართველობის საქმის არევ-დარევა—ყველაფერი ეს კვლავ გრძელდებოდა. საგარეო პოლიტიკა სამარცხვინოდ მიდიოდა, სამხედრო და დიპლომატიური დამარცხებები თავმოყვარე ფრანგთათვის ძლიერ ძნელი ასატანი იყო: პოლონეთის მემკვიდრეობისათვის ომის დროს ფრანგების კანდიდატი დამარცხდა; ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ატეხილი ომით პრუსიამ ისარგებლა, საფრანგეთი კი იძულებული შეიქმნა თავის გეგმებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი განეცხადებია; შვიდი წლის ომის დროს ფრანგებმა რამდენიმე სამარცხვინო დამარცხება იგემეს; მთელი მეფობის განმავლობაში ინგლისელები ფრანგების ახალშენებს იკავებდენ და მათ ფლოტს ამარცხებდენ.

გენერალური კონტროლიორი, **მაშო** შეეცადა საფუძვლიანად შეეცვალა საფინანსო მართველობა: მან შეზღუდა სამღვდელოების უფლება უძრავი ქონების შეძენის საქმეში, რადგანაც ის მიწები, რომელნიც სამღვდელობის ხელში იმყოფებოდენ, მიწის ბაჟისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ. მანვე შემოიღო გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, რაც ყველა წოდებაზე ვრცელდებოდა და იმ ტვირთს ამცირებდა, მდაბიო ხალხს რომ კისერზე აწვა. მაგრამ მაშოს რეფორმებმა უკმაყოფილება გამოიწვიეს როგორც სასახლეში, ისე სამღვდელოებაშიც, და მეფემაც ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ გააუქმა და გაბედული რეფორმატორი სამსახურიდან დაითხოვა.

ბრძოლა პარლამენტებთან.

საზოგადოება, რომელიც რეფორმებს მეფისაგან მოელოდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისგან იგი არაფერს არ უნდა გამოელოდეს, და მთავრობის ყოველ მოქმედებას უნდობლობის თვალით დაუწყო ცქერა. საზოგადოებრივი აზრის ასეთ განწყობილებას სხვათა შორის სასამართლო წოდებამ მისცა გამოხატულობა. უმაღლესი სასჯავროები, ეგრედ წოდებული პარლამენტები, თვითონ მთლად ძველ წეს-წყობილებას ეკუთვნოდენ, და სასამართლოს არისტოკრატიის აზრები ხშირად სახელმწიფოს ნამდვილ ინტერესებსა და განათლებული პოლიტიკური მოღვაწეების შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდენ. მაგრამ სასამართლოს წოდებას თავი დამოუკიდებლად ეჭირა, **მას გამბედაობა შესწევდა მთავრობას შეცილებოდა**, და ამიტომ საზოგადოების თანაგრძნობა მის მხარეზე იყო.

პროტესტის უფლება პარლამენტებმა რამდენჯერმე გამოიყენეს; ლიუდოვიკ მე XV მეფობის დროს პირველი გააფთრებული

შეტაკება იმის გამო მოხდა, რომ ბრეტანის პარლამენტის პრო-კურორმა პროვინციის გუბერნატორი უფლების ბოროტად სარგებლობისათვის პასუხისგებაში მისცა. სასახლე გუბერნატორს გამოესარჩლა, და პარიზის პარლამენტმა, სადაც საქმე ირჩეოდა, მისი შეჩერების შესახებ ბრძანება მიიღო. მაშინ მთელი საფრანგეთის პარლამენტები შეთანხმდენ და განაცხადეს, რომ ისინი აღარ გაარჩევდენ საქმეებს, თუ თავისუფლად მოქმედებას იქნებოდენ მოკლებულნი. კანცლერ მოპუს (იუსტიციის მინისტრის) შუამდგომლობის თანახმად გამოიცა ბრძანება გაჯიუტებული მოსამართლეების გადასახლებისა და პარლამენტების ახალი სასამართლოებით შეცვლის შესახებ. სასამართლო დაწესებულებაში შეტანილ იქმნა არსებითი გაუმჯობესება: მოსპეს თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა და სამართლის წარმოება გაამარტივეს. ამის მიუხედავად საზოგადოება პარლამენტების ხელეზე იყო, და ვექილებმა საქმეების დაცვაზე უარი განაცხადეს.

ლუდოვიკ XVI.

ეს ბრძოლა დასრულებული არ იყო, რომ ლიუდოვიკ მე-XV გარდაიცვალა. ტახტზე მისი შვილის შვილი, კეთილი სურვილებით აღვსილი, მაგრამ სუსტი ხასიათის ლუდოვიკ XVI ავიდა. პარლამენტთან ბრძოლა მან იმით დაასრულა, რომ ძველი მდგომარეობა აღადგინა.

ტიურგო და მისი პლანები.

მისი საუკეთესო მინისტრი, ტიურგო წინააღმდეგი იყო ამ ნაბიჯისა, მიტომ კი არა მხოლოდ, რომ ეს მეფის ავტორიტეტის დაცემას მოასწავებდა, არამედ მიტომაც, რომ მას წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა ის წინააღმდეგობა, რომელსაც მას შემდეგში, სერიოზული რეფორმების განხორციელების დროს გაუწევდენ პარლამენტები. ტიურგო გამოცდილი ეკონომისტი და ადმინისტრატორი იყო, მხურვალე პატრიოტი და ფართო, ორიგინალური გონების ადამიანი. მას ესმოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრ. ნგეთს **არა მარტო ფინანსების გაუმჯობესება, არამედ ცხოვრების ყოველი დარგის ფართო და რადიკალური გარდაქმნა ესაჭიროებოდა.** მისი განზრახვები ყველანი აქეთ იყვნენ მიპყრობილნი, და მეფეც თანაუგრძნობდა მას.

ტიურგო გადასახადების უთანასწოროდ განაწილების მოსპობასა და მიწის გადასახადის ყველა წოდებაზე გავრცელებას აპირობდა, ფეოდალური ბეგარა დროის შეუფერებლად მიაჩნდა, ხოლო სავაჭრო მონოპოლიების მოსპობას აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა, ამქრული წესწყობილება და შინაური საბაჟოები, მისი აზრით, უნდა გაუქმებული ყოფილიყვნენ. ადმინისტრაციაში ის საჭიროდ სთვლიდა თვითმართველობის განვითარებას და ამ მიზნისათვის სახელში ჰქონდა, ადგილობრივი საქმეებ ს წარმოება **მუნიციპალიტეტების** ხელში გადაეცა; პროვინციალური საქმეებისათვის პროვინციალური მუნიციპალიტეტები უნდა შეექმნა და, დასასრულ, ზოგიერთი სახელმწიფო საქმის გასარჩევად, მისი პროექტით, **„ნაციონალური მუნიციპალიტეტი“** უნდა დაარსებულიყო, რომლის წევრებიც პროვინციალური კრებების მიერ უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი. საწმუნოების საკითხში ტიურგო სინდისის თავისუფლებისა და პროტესტანტების კათოლიკებან გათანასწორების მომხრე იყო. ყველა ასეთი რეფორმის სიმტკიცისა და სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად მას ფართო სახალხო განათლების საფუძველი მიაჩნდა აუცილებლად, და ამ მხრივ ზომების მიღებას აპირობდა.

არა თუ ყველა ჩამოთვალილი რეფორმების, არამედ მცირე ნაწილის განხორციელებაც ძალიან ძნელი გამოდგა: სასახლე, პარლამენტები და საქვეყნოება ყველა მის წინააღმდეგ ამხედრდა. არც ხალხს ესმოდა რეფორმების მნიშვნელობა, და ხშირად მის ცხოვრებაში გატარებას ამბოხებით უპასუხებდა. ტიურგომ მაინც გამოაცხადა პურით ვაჭრობის თავისუფლება, ამქრების გაუქმება და შინაური საბაჟოების მოსპობა. მაგრამ ამისთვის პარლამენტებზე ძალდატანება და მდაბიო ხალხის აჯანყების იარაღით ჩაქრობა შეიქმნა საჭირო

ტიურგო ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდ მიზანს მიეღწია, მაკრამ ამგვარი ბრძოლისათვის თვით მეფე გამოუსადეგარი აღმოჩნდა და დედოფლისა და დაახლოებული პირების გავლენის გამო მალე დიდი მინისტრი გადააყენა.

მაგრამ ტიურგოს გადაყენება სრულიად არ იყო იმის მომასწავებელი, რომ მთავრობა სამუდამოდ იღებდა ხელს რეფორმებზე: ფინანსების არევ-დარევა ერთის მხრივ, და საზოგადოებაში გამეფებული იდეების გავლენა მეორეს მხრივ, იმდენად ძლიერი იყო, რომ რეფორმების პროექტებს ტიურგოს მოადგილეების დროსაც ექონდათ ადგილი (ნეკერი, კოლონნი, ბრ ენნი). მაგრამ მტკიცე პოლიტიკისა და გარკვეული გეგმის გაყოლ ს მაგიერ ტიურგოს მოადგილეები მუდამ რყევას განიცდიდენ, ერთ ნაბიჯს წინ გადადგამდენ, მეორეს უკან: ხან მეფეს უცხადებდენ პრივილეგიებით მოსილებს და განათლების ხანის პროგრამის სამარ ლიანობას სცნობენ, ხან კიდევ დათმობის გზას ადგებოდენ და ლიუდოვიკ მე-XIV ენით ლაპარაკს ცდილობდენ.

საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია: მიელი მე-XVIII საუკუნის განმავლობაში ინგლისი დამცირებას აყენებდა მას, მაგრამ როდესაც ჩრდილო-ამერიკის ახალშენები ინგლისს აუჯანყდენ, საფრანგეთმა მათ ხელი დაუჭირა და ამით რამდენადმე თავის მოწინააღმდეგეს სამაგიერო უზღო. მაკრამ მეორეს მხრივ, ჩრდილო-ამერიკის ომში მონაწილეობის მიღება საფრანგეთის მთავრობისათვის სრულიად არ გამოდგა ხელსაყრელი, რადგანაც ამან ხელი შეუწყო პოლიტიკურ თავისუფლებისადმი მისწრაფების გაღვივებას თვით ს ფრანგეთში.

შინაურ მართველობაში კიდევ გაქონდათ თავი ახალ-ახალი ვალის აღებით, მაგრამ დეფიციტი თანდათან იზრდებოდა და ბოლოს წლიურად 198 მილიონ ლივრს მიაღწია. ცხადზე უცხადესი შეიქმნა ერთის მხრივ ფინანსიური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ის, ოომ მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა თავისი ძალით თავს ვერ გაართმევდა ამ რთულ საქმეს; და ამიტომ საზოგადოების დახმარება იყო საჭირო. თუმცა დამახინჯებული სახით, მაგრამ ტიურგოს გეგმამ ისევ წამოიყო თავი. **საქმე საოლქო და ადგილობრივი რეფორმიდან** დაიწყო. ინტენდანტების საადმინისტრაციო ფუნქციები თითქმის სავსებით პროვინციალურ სასოფლო კრებებს გადაეცა; მაგრამ ამ რეფორმით არავინ არ დარჩა კმაყოფილი: ზოგი იმით იყო უკმაყოფილო, რომ დაბალ კლასებთან თანასწორად უხდებოდათ მუშაობა, ზოგი კიდევ მეტ უფლებას მოითხოვდა. როდესაც მთავრობამ გადასახადების რეფორმას მოჰკიდა ხელი, მას გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. პარიზის პარლამენტმა უარი სთქვა ბრძანების რეგისტრაციაზე, პროტესტი განაცხადა მეფის სახელით განკარგულების გაცემის წინააღმდეგ და გამოაცხადა, რომ მთავრობას არა აქვს უფლება დააპატიმროს მისთვის არასასიამოვნო პირები თვითნებურად და ბრალდების წაუყენებლად, და ბოლოს მან გენერალური შტატების მოწვევა მოითხოვა. თუმცა პარლამენტი რეაქციონურ მიზნებს ისახავდა, მაგრამ საზოგადოება მაინც მას თანაუგრძნობდა. სასამართლოს გარდაქმნის ცდამ მეფეს ისევე უნაყოფოდ ჩაუარა, როგორც ერთ დროს მოპუს რეფორმამ. დალია ჩაილუღლის წყალი: ბრძანება რეფორმის შესახებ უკანვე იქმნა **წალებული.**

გენერალური შტატები 1789 წ.

საზოგადო არევ-დარევისაგან თავის დასაღწევად ერთი გამოსავალი ღა იყო დარჩენილი: მთელი ერის წარმომადგენლების მოწვევა და მათთვის საქმის მოგვარების მინდობა; ლიუდოვიკ მე XVI ეც იძულებული შეიქმნა ამ გზას დადგომოდა და ბრძანება გასცა, გენერალურ შტატებში გასაგზავნი დეპუტატების არჩევნები მოეხდინათ (გენერალური შტატები 1614 წ. შ. პირველად ახლა უნდა შეკრებილიყო); არჩევნები წო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებების მიხედვით ხდებოდა; დეპუტატებს თან უნდა ჰქონოდათ მცხოვრებლებისაგან მიცემული „რვეულები“ (cahièrs), სადაც ამომრჩეველთა სურვილები უნდა ყოფილიყო აღნუსხული. რაკი დეპუტატების არჩევის უფლება სამივე წოდებას (სამღვდელოებას, თავად-აზნაურობას და მესამე წოდებას) ჰქონდა, ამ „რვეულების“ საშუალებით ნათლად შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ რა ეწადა და რას მოითხოვდა თითოეული წოდება ამ ღირსშესანიშნავ დროს, ან როგორი იყო საზოგადოდ სულიერი განწყობილება ერის უმრავლესობისა. ცხადად სჩანდა, რომ დიდი უმრავლესობა ხალხისა მუდმივს სახალხო წარმომადგენლობასა და რადიკალურ რეფორმებს უჭერდა მხარს. რეფორმები პოლიტიკურ წესწყობილებასაც უნდა შეხებოდენ, და იკი უფრო მარტივ ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო.

გენერალური შტატების მოწვევა ფინანსთა მინისტრის, ნეკერის საქმე იყო. მაგრამ მას მთავრობისათვის სამოქმედო გეგმა არ შეუმუშავებია. მას ისიც კი არ გაურკვევია, შტატები ცალ-ცალკე გამართავდენ ბჭობას, თუ ერთ კრებას შეადგენდენ; ეს საკითხი კი ფრიად საყურადღებო იყო, რადგანაც მასზე იყო დამოკიდებული როგორც ნაყოფიერება, ისე თვითხასიათი სახალხო წარმომადგენლების კრების მუშაობისა. მესამე წოდებას, არჩევნების შესახებ გაცემული ბრძანების ძალით, იმდენი დეპუტატის არჩევის ნება ეძლეოდა, რამდენიც ორს დანარჩენ წოდებას ერთად (აზნაურობიდან არჩეულ იქმნა 270, სამღვდელოებიდნნ 291, მესამე წოდებიდან 557). იმ შემთხვევაში, თუ თითოეული წოდება ცალკე გამართავდა კრებებს, მესამე წოდება, იმის მიუხედავად, რომ დეპუტატების მთელი რიცხვის ნახევარი მას ეკუთვნოდა, მაინც უპირესობაში დარჩებოდა, რადგანაც ხმის მიცემის დროს მას მხოლოდ ერთი ხმა ექნებოდა (უეჭველი იყო, რომ სამღვდელოება და აზნაურობა ერთი მეორეს დაუჭერდა მხარს პროგრესიულ მესამე წოდების წინააღმდეგ). ამიტომ მესამე წოდებისათვის საერთო სხდომები

ეროვნული

იყო სასურველი, რადგანაც ამ შემთხვევაში ის უმრავლესობას შეჰქმნიდა სხვა წოდებათა დეპუტატებთან ერთად, რომელნიც მის შეხედულებებს იზიარებდენ და უეჭ ელია მას შეუერთდებოდენ. მთავრობასაც ეს სურდა, რამდენადაც მას გადასახადების რეფორმების შემოღება აინტერესებდა, მაგრამ მეორე მხრივ კიდევაც ეშინოდა მესამე წოდების, როგორც გარკვეული პოლიტიკური მრწამსის მატარებლის. ბოლოს ამ საკითხის გადაწყვეტა ბუნებრივ მიმდინარეობას მიენდო.

ნაციონალური კრება.

როდესაც 1789 წლის 5 მაისს დეპუტატები ვერსალში შეიკრიბენ, აზნაურობამ და სამღვდელოებამ ცალკე შტატები მოაწყვეს, მაგრამ მესამე წოდების დეპუტატებმა უარი სთქვეს ცალკე ბჭობის გამართვაზე და საერთო კრების შექმნის შესახებ თავისი სურვილი გამოსთქვეს. დაიწყეს მოლაპარაკება, რამაც ერთ თვეზე მეტს გასტანა; ბოლოს მესამე წოდებამ, როგორც მცხოვრებთა უმრავლესობის წარმომადგენელმა, თავისი თავი „ნაციონალურ კრებად“ გამოაცხადა და დანარჩენ წოდებათა დეპუტატებს მასთან შეერთების ნება მისცა. ამ არაჩვეულებრივმა ნაბიჯმა მთავრობა უმოქმედობის მდგომარეობიდან გამოიყვანა. მეფის ბრძანებით, ვერსალის ზალა დახურეს, სადაც კრებები იმართებოდა, მაგრამ დეპუტატები მანეეში (jeu de paume) შეიკრიბენ და ფიცი დასდვეს, რომ არ დაიშლებოდენ, სანამ ახალ სახელმწიფო წესწყობილებას არ შეიმუშავებდენ. 23 ივნისს ისინი, სამღვდელოებასა და აზნაურობასთან ერთად, სადღესასწაულო სხდომაზე მიიწვიეს, სადაც მეფემ ბრძანება გასცა—ყოველი შტატი ცალცალკე შედგომოდა საქმეს და უმაღლეს წოდებათა უპირატესობებისათვის ხელი არავის ეხლო. მაგრამ მეფის ბრძანებამა და მუქარამ შესაფერი შთაბეჭდილება მაინც ვერ მოახდინეს; მესამე წოდება მაინც „ნაციონალურ კრებად“ სთვლიდა თავს და სხდომებს განაგრძობდა; ხოლო დანარჩენ წოდებათა დეპუტატები დღითი-დღე მის მხარეზე გადადიოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია.

მეფემ კრების დაუყოვნებლივი დათხოვა ვერ გაბედა, მაგრამ პარიზის გარშემო ჯარის მოგროვება დაიწყო და ნეკერი სამსახურიდან გადააყენა. ამ გარემოებამ დიდი აღელვება გამოიწვია სატახტო ქალაქში; ქუჩაში მშიერი ხალხის ბრბო გამოვიდა, რომელიც ნაციონალური კრებისაგან თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა, ხოლო ბრწყინვალე წოდებას ზიზღით უყურებდა. ბრბოს საწინააღმდეგოდ სამხედრო ძალას მიმართეს. მაგრამ ზოგიერთ რაზმს მცხოვრებლებისადმი თანაგრძნობა ეტყობოდა. 14 ივლისს ხალხის უზარმაზარი მასსა **ბასტილიისაკენ** გაეშურა, რათა იქ დაგროვილი იარაღი ხელში ჩაეგდო. ციხის მცირე-რიცხოვანმა გარნიზონმა სროლა აუტეხა ხალხს, რომლისაგანაც რამდენიმე ათეული იქმნა მოკლული, მაგრამ ამან მომხდურები უფრო გააბრაზა: ისინი ციხეში შეიჭრენ; გარნიზონმა იარაღი დაჰყარა, მაგრამ რამდენიმე ჯარის კაცი და უფროსი მაინც მოჰკლეს. ჯარის თავდასხმის მოლოდინში მყოფი პარიზის ქუჩები ბარიკადებით მოიფინა, ბურჟუაზია შეიარაღდა და წითელი გვარდია შეადგინა, რომლის სათავეშიც ჩრდილოეთ-ამერიკის ომის გმირი, ძარკიზი **ლაფაიეტი** ჩადგა. ლიუდოვიკ მე-XVI ვერ გაბედა სამოქალაქო ომის დაწყება. იგი ხალხს დაპირდა ჯარის დაშლას, დაამტკიცა აჯანყებულთა მოთხოვნილებები და ნაციონალურ კრებას შეურიგდა.

ამბავი ბასტილიის დაცემის შესახებ მთელს საფრანგეთს ელვის სისწრაფით მოედო. მართალია, ამ ციხის აღებას იმდენი რეალური მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორც აქამდე ფიქრობდენ, მაგრამ მისი ზნეობრივი გავლენა მაინც განუსაზღვრელი იყო, რადგანაც ბასტილია ძველი წესწყობილების ერთგვარ განსახიერებას წარმოადგენდა, და მისი დაცემა საზოგადოდ ძველი მართველობის დამხობის მომასწავებელი იყო. მოძრაობა ყველგან დაიწყო, და განსაკუთრებით სოფლებში მიიღო მან მრისხანე ხასიათი: გლეხები არბევდენ და სწვავდენ კოშკებს, ზოგიერთ შემთხვევაში ჭლეტდენ მემამულეებს და მათ მოურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს. ამ საზოგადო აჯანყებამ თვით ნაციონალურ კრებაზეც დიდი გავლენა იქონია. 4 აგვისტოს რამდენიმე ახალგაზრდა აზნაურმა განაცხადა, რომ იგინი იმ უპირატესობებზე, რომლითაც დიდი ხანია სარგებლობდენ, უარს აცხადებენ. მაშინ ყოველი მხრიდან წამოიჭრენ წარჩინებულ წოდებათა დეპუტატები და თავის უპირატესობებზეც უარი სთქვეს. 4 აგვისტოს, **ხალამოს სხდომაზე, გაუქმებულ იქმნა გამოუსყიდველად ყოველგვარი ფეოდალური ვალდებულება, უპირატესობა, პრივილეგია, მონოპოლიები, რითაც ასე მდიდარი იყო ძველი წესწყობილება.**

4 აგვისტოს ღამეს ნაციონალური კრების მიერ მიღებული დადგენილება ძირიან-ფესვიანად სცვლიდა ძველ წესწყობილებას; ამას, რასაკვირველია, სასახლე ვერ შეურიგდებოდა, და ამიტომ მისგან მოსალოდნელი შიში ნორჩი მოძრაობის წინაშე კვლავ აღიმართა. მუდამ რყევაში მყოფი ლიუდოვიკ მე-XVI კვლავ დაემორჩილა დედოფლის გავლენას და ვერსალში ჯარს თავი მოუყარა; ერთს სამხედრო დღესასწაულზე, სადაც მეფე და მისი ოჯახობაც იღებდენ მონაწილეობას, ოფიცრებმა ჩამოიხიეს და ფეხით გასთელეს სამფერიანი ლენტები, რომელიც ბასტილიის აღების შემდეგ იქმნა შემოღებული ერთფერიანი (თეთრი) ლენტის მაგიერ. პარიზის მცხოვრებლებმა კვლავ მიმართეს იარაღს; აჯანყებულებმა, რომელთა შორისაც ქალებიც ბევრი იყო, აღარ დაუცადეს მოწინააღმდეგის გამოსვლას და თვითონ გაეშურენ ვერსალისაკენ, შეიჭრენ სასახლეში და მოითხოვეს მეფის პარიზში გადმოსახლება. მეფემ კვლავ დაუთმო, რათა სისხლის ღვრა თავიდან აეშორებია (5-6 ოქტომბერს). იგი **პარიზში გადასახლდა და ამით თავისი თავი სატახტო ქალაქის მოუსვენარი მცხოვრებლების ნებას დაუქვემდებარა.** ნაციონალური კრებაც მას გაჰყვა თან.

დამფუძნებელი კრება და დეკლარაცია „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ“.

რადგანაც ნაციონალური კრების მთავარ დანიშნულებას ახალი კონსტიტუციის შექმნა, ახალი წესწყობილების დამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება შეადგენდა, ამიტომ ის იმავე დროს **დამფუძნებელი კრებაც** იყო (assemblèe constituante). უკანასკნელის საქმიანობა არაჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობდა. დეპუტატებმა, რომლებიც საშუალო საუკუნეების წოდებრივ შტატებში ძლიერი მეფისათვის თხოვნის მისართმევად იყვნენ მიწვეულნი, მოულოდნელად თავისი თავი მთელი ერის უფლებამოსილ წარმომადგენლებად გამოაცხადეს, ყველა ისტორიული დაწესებულებები უარჰყვეს და სახელმწიფოებრივი წესწყობილების ახლად შექმნას მიჰყვეს ხელი. თავისი შემოქმედების სახელმძღვანელოდ დეპუტატებმა საზოგადო მოსაზრებანი გაიხადეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა, სახელმწიფოს დანიშნულებასა და მთავრობის მისდამი დამოკიდებულების შესახებ. თუ მონარქიული მთავრობა საფრანგეთში შეუზღუდველად და უკონტროლოდ დიდხანს მოქმედობდა, სამაგიეროდ ეხლა მთავრობას გავლენის ძლიერ მკირე ნაწილს უთმობდენ და არ შიშობდენ, რომ ეს უწესრიგობასა და ძალადობას გამოიწვევდა. საზოგადოდ უნდა ითქვას რომ დამფუძნებელი კრების მუშაობა პარიზის დემოკრატიის გავლენას ექვემდებარებოდა.

დემოკრატიამ თავისი ძალა განსაკუთრებით მას შემდეგ იგრძნო, რაც მან მრისხანე ბასტილია დაამხო და მეფის მიერ შეკრებილი ჯარი გაფანტა. დემოკრატია თავისს ახლად დაარსებულ კლუბებში მოურიდებლად არჩევდა იმავე საკითხებს, რასაც დამფუძნებელი კრება, და ამ უკანასკნელზე უფრო გაბედულსა და რადიკალურ აზრებს გამოსთქვამდა. ერთმა ამგვარმა კლუბმა, ეგრედ წოდებულმა **იაკობინელების კლუბმა**, თავისი განყოფილებები საფრანგეთის ყოველ კუნჭულში მოაწყო და მათთან დამოკიდებულებას ერთი წუთითაც არ სწყვეტდა.

დამფუძნებელმა კრებამ აღიარა, პირველ რიგშივე აუცილებლად დასმულიყო საკითხი **რიგიანად მოწყობილის პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი პირობების აღნუსხვის შესახებ** და კერძო ზომების შემუშავებაზე მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყო. ხანგრძლივი კამათის შემდეგ შედგენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა „დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ“, სადაც აღიარებული იყო, რომ ყოველი ადამიანი თანასწორ-უფლებიანი და პირადად თავისუფალია, რომ მოქალაქეთა კრებულს, ე. ი. ხალხს სახელმწიფოში უაღრეს-უფლებიანობა ეკუთვნის, და თუ ხალხი მთავრობის მხრივ შევიწროებას განიცდის, მას უფლება ენიჭება ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა გაუწიოს.

მაგრამ, როდესაც საქმე ამ განყენებულ დებულებათა განხორციელებაზე მიდგა, მრავალმა დაბრკოლებამ წამოჰყო თავი. თანასწორობა საკმაოდ ფართოდ იქმნა გატარებული; 4 აგვისტოს ღამეს ერთბაშად იქმნენ მოსპობილნი უპირატესობანი და პრივილეგიები; შემდეგში აზნაურებს ტიტულები, ღერბები და სხვა გარეგნული წარჩინების ნიშნები ჩამოერთვათ. **მაგრამ პოლიტიკურის მხრივ თანასწორობა ძალიან შეზღუდული დარჩა.** არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ იმ მოქალაქეთ მიეცათ, რომელნიც სახელმწიფოს სასარგებლოდ არა ნაკლებ სამი სამუშაო დღის ქირის რაოდენობის პირდაპირ გადასახადს იხდიდენ. ესენი აქტიურ მოქალაქეებად ითვლებოდენ. მათი წრიდან გამოსული პირებიდან სდგებოდა ნაციონალური გვარდიაც, რომლის დანიშნულებასაც მთელ სახელმწიფოში რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებისა და წესრიგის დაცვა შეადგენდა. ამგვარად არჩევნების უფლებას არა მარტო ქალები და ბავშვები იყვნენ მოკლებულნი, არამედ სრულწლოვან მამაკაცთა უმრავლესობაც.

კონსტიტუცია 1791 წლ.

ხალხის უაღრეს უფლებიანობის განხორციელების დროს ნაციონალურ კრებას მონტესკიეს იდეები ჰქონდა სახეში. არჩევნების სისტემა თითქმის ყველა დაწესებულებაში იქმნა შემოღებული; ამასთანავე, ძალაუფლების განაწილების თეორიის მიხედვით, ყველა დაწესებულება სამ ჯგუფად იქმნა გაყოფილი: **საკანონმდებლო უფლება** და ამავე დროს სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეების ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა სახალხო კრებას, რომელიც ერთი პალატისაგან (და არა ორისაგან, როგორც ეს ინგლისში და ამერიკაში იყო შემოღებული) შესდგებოდა, რომლის წევრებსაც ორი წლით ირჩევდენ. **აღმასრულებელი უფლების** სათავეში მეფე უნდა მდგარიყო, მას ენდობოდა ჯარის, ფლოტისა და პოლიციის უფროსობა და აგრედვე დიპლომატიური მიწერ-მოწერის წარმოებაც. მას ახალი კანონების შემოღების შეჩერების უფლებაც ჰქონდა მინიჭებული, რითაც მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ესარგებლებია, თუ კანონპროეკტი სახელმწიფოსათვის მავნებლად მოეჩვენებოდა; მაგრამ, თუ კრება ერთსა და იმავე კანონს სამჯერ გაიყვანდა, მაშინ მეფის veto მნიშვნელობას ჰკარგავდა. მეფეს უნდა ჰყოლოდა მინისტრები, რომელნიც თავისი მოქმედებისთვის საკანონმდებლო კრების წინაშე პასუხისმგებელნი უნდა ყოფილიყვნენ. საკანონმდებლო კრებიდან მინისტრების დანიშვნა აკრძალული იყო, რაც ერთ-უფროსობისადმი უნდობლობიდან და აღმასრულებელი და კანონმდებლობითი უფლების მკაცრი განაწილების სურვილიდან გამომდინარეობდა. სამართლის უფლება ტრიბუნალებს ეკუთვნოდათ, რომელთა წევრებსაც ადგილობრივ კრებებზე ექვსი წლის ვადით ირჩევდენ.

ადგილობრივი და საოლქო მმართველობა ნომინალურად მეფისა და ბინაგან საქმეთა მინისტრის ზედამხედველობას ემორჩილებოდა, ხოლო ფაქტიურად იგი ადგილობრივი სახალხო კრებების ხელში იყო, რომლის წევრებსაც აქტიური მოქალაქენი ირჩევდენ. **საერთოდ კი უფლების განაწილება უფრო ქალალდზე არსებობდა, ვიდრე** სინამდვილეში: სასამართლოსა და აღმასრულებელი უფლების წარმომადგენლები ფაქტიურად დამოუკიდებლობით ვერ სარგებლობდენ, რადგან სავსებით პარტიების ზეგავლენას ემორჩილებოდენ. ერთად ერთ უფროსად მეფე დარჩა, რომელსაც ძალა-უფლება ტრადიციის ძალით შერჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციაში დაწვრილებით იმის აღნუსხვა, თუ რა უფლებებით უნდა ესარგებლებიათ მოქალაქეთ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის შემთხვევის დროს, ძალიან ძნელი იყო, მაგრამ უფლებათა დეკლარაციაში მისი ფორმალურად ცნობა მაინც არ იყო მნიშვნელობას მოკლებული, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ რევოლიუციონურ განწყობილებას, რომელიც იმ დროინდელ საზოგადოებრივ აზროვნებას ახასიათებდა.

წესწყობილების აგების დროს ნაციონალურ კრებას უთუოდ ანგარიში უნდა გაეწია ერთი დაწესებულებისათვის, რომელიც თავის თავს მარადიულ დაწესებულებად სთვლიდა; ეს დაწესებულება ეკლესია იყო. დეპუტატების უმრავლესობას განათლების ხანის ფილოსოფიის სკოლა ჰქონდა განვლილი, და ამიტომ მათ ეკლესიის ზესთაბუნებრივი წარმოშობვის საბუთი სრულიად არ აღშფოთებდათ. კრებამ განათლების ხანის დესპოტებს მიჰბაძა და **სასულიერო კორპორაციების უზარმაზარი უძრავი ქონება, დაახლოვებით სამ მილიარდ ფრანკად ღირებული,** სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. რადგანაც ეს ერთად ერთი საშუალება იყო ფინანსიური კრიზისიდან თავის დასაღწევად, ამიტომ ასე თუ ისე სამღვდელოებაც შეურიგდა ამ ზომას. მაგრამ, „რადგანაც ეკლესიამ თავისი ქონება დაჰკარგა, საჭირო შეიქმნა მისი ჯამაგირით უზრუნველყოფა. ამ საკითხის განხილვის დროს კრებამ იმგვარ კითხვებს შეეხო, რომელიც, საეკლესიო კანონით, საერო უფლების კომპეტენციას აღემატებოდა. კრებამ დახურა ძველი ეპარქიები და დაადგინა, ეპისკოპოსებს სადეპარტამენტო საბჭოები, ხოლო მღვდლებს უფლებიან მოქალაქეთა სათემო კრებები უნდა ირჩევდენო. მორწმუნე კათოლიკებისათვის ეს განკარგულება თავისუფლად მოაზროვნეთა თავხედი გამოლაშქრება იყო საეკლესიო ცხოვრების წინააღმდეგ. პაპმა დაჰგმო ეს ე. წ. **„ეკლესიის სამოქალაქო წყობილება“**; სასულიერო პირთა უმრავლესობამ უარი განაცხადა მის დამორჩილებაზე; მხოლოდ ეპისკოპოსებისა და მღვდლების ერთი ჯგუფი დანარჩენებს გამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიშა და ამით კათოლიკური ეკლესიის თვალსაზრისით მწვალ-ლებელთა რიცხვს შეუერთდა.

გარფი მირაბო.

ყველა დეპუტატი როდი თანაუგრძნობდა იმ მიმართულებას, რომელიც დამფუძნებელი კრების საქმიანობამ მიიღო: იყვნენ ძველი წესწყობილების მომხრენიც, რომელთაც რევოლიუცია სძაგდათ; იყო მცირე უკიდურეს მემარცხენეობა ჯგუფიც, და მას რევოლიუციის გაგრძელება და გაღრმავება ეწადა; თვით უმრავლესობაშიც იყვნენ ისეთი პირები, რომელთა აზრითაც ნაციონალური კრება კეთილშობილური ვანზრახვებით და განყენებული მსჯელობით მეტის-მეტად გატაცებული იყო. საქმის მდგომარეობა ნათლად მარტო ერთს სახელმწიფოებრივად განწყობილ პირს ჰქონდა წარმოდგენილი. ეს სამხრეთელი დეპუტატი გოაფი მირაბო იყო. მან ძველი წესწყობილების დამხობაში თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო და პოლიტიკურ თავისუფლებასა და საზოგადოებრივ რეფორმებს მხურვალედ თანაუგრძნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ფართო რეფორმების განხორციელება მხოლოდ ძლიერს ნაციონალურ მთავრობას შეეძლო და ამგვარ მთავრობის საფუძველს იგი საფრანგეთის ძველ ნაციონალურ მონარქიაში ჰპოებდა.

მირაბოს არა მარტო გარკვეული პროგრამა ჰქონდა, მას მისი შესრულების საშუალებაც მოეპოებოდა: როგორც გამოჩენილი ორატორი, იგი კრებაზე დიდი გავლენით სარგებლობდა, ხოლო სასახლესთან მან საიდუმლო დაახლოვება მოახერხა და მეფის ერთერთ მრჩევლად შეიქმნა მაგრამ საქმის სათანადო გზაზე დაყენება მან მაინც ვერ შეძლო. კრება ეჭვის თვალით უცქეროდა მის პატივმოყვარეობას და გამჭრიახობას; მეფის შინაკაცებს კი ვერ ეპატიებინათ მირაბოსათვის მისი რევოლიუციონური წარსული, ავანტიურისტად სთვლიდენ მას, და რაც უმთავრესია, ვერ შეეგნოთ ის იდეა, რომელსაც მირაბო ემსახურებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ არაჩვეულებრივი მო-

ლვაწის მთელი საქმიანობა მარტო პლანების შედგენით, ეროვნ. ხასიათის საკითხების დამუშავებითა და ლამაზი სიტყვებით განისაზღვრებოდა. იგი 1791 წელს მოულოდნელის და მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთს არევ-დარევა და ომები ემუქრებოდა.

ევროპა რევოლუციის დროს.

სამღვდელოება და გულმოდგინე კათოლიკები გაბრაზებული იყვნენ ეკლესიის სამოქალაქო წყობილების შემოღების გამო. ბევრი აზნაურთაგანი საზღვარ-გარედ გაიქცა და უცხოეთის მთავრობებს ემუდარებოდა, საფრანგეთის „ამბოხების“ ჩასაქრობად ჯარი გაეგზავნათ; თვითონ კი საფრანგეთის საზღვარზე ტრირის საარქიეპისკოპოსში მცირე რიცხოვანი ჯარი შეადგინეს. მეორე მხრივ, რევოლიუციამ ხელი შეუწყო საფრანგეთსა და მის მეზობლებს შორის სადავო საკითხების წამოყენებას: ფეოდალური უფლებების მოსპობა სახელმწიფოს ალმოსავლეთ ნაწილში (ალზასი, ლორენი, ფრანშ-კომტე) მცხოვრებ გერმანელი მემამულე თავადების ინტერესებსაც ეხებოდა; ავინიონიდან, რომელიც კვლავ პაპს ეკუთვნოდა, მცხოვრებლებმა პაპის მოხელეები განდევნეს, და ქალაქი საფრანგეთს შეუერთდა; ნაციონალური კრება ბელგიაში ხელს უწყობდა აჯანყებას ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ. ამ დროს ძალიან ბევრ სხვა საკითხსაც ჰქონდა თავი მოყრილი, და ყველაფერი ეს ევროპის დიპლომატებისაგან გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვდა. იოსებ II სიკვდილის შემდეგ ავსტრიის მიწა-წყლის საქმეები აწეწილ-დაწეწილი დარჩა; და მისი ძმისა და მემკვიდრის, ლეოპოლდის მთავარს საზრუნავ საქმეს შეადგენდა, ძმის შეცდომებიც გაეწორებია და არც მთავარი რეფორმები, სინდისის თავისუფლება და ბატონყმობის მოსპობა, დაეთმო. მან შესძლო მცხოვრებთა უმეტესი ნაწილის დაშაყოფილება ეროვნულ ჩვეულებაია დამობით, ხოლო ბელგია მისმა ჯარმა ხელახლა დაიკავა. მეორე არა სასიამოვნო სამკვიდრო, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ძმამ გადასცა, ოსმალეთთან ომი იყო, რასაც ის არ თანაუგრძნობდა, ვინაიდან ეს ომი ოსმალეთის ხარჯზე რუსეთის გაძლიერებას უწყობდა ხელს. ამიტომ იგი ოსმალეთს ძალიან საპატიო პირობით შეეკრა. საზოგადოდ ლეოპოლდმა ხელოვნური დიპლომატობა გამოიჩინა და ავსტრიის მნიშვნელობა ევროპაში მალე აამაღლა.

ვენის გვერდით ევროპის პოლიტიკის დიდ ცენტრად პეტერბურგი ითვლებოდა. თუმცა ეკატერინე მე-II საფრანგეთის რევოლიუციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისი ყურადღება განსაკუთრებით სამი საკითხით იყო დაინტერესებული, რომელიც პირდაპირ რუსეთს შეეხებოდა: მას უხდებოდა ერთსა და იმავე დროს იმის წარმოება შვედებისა და ოსმალების წინააღმდეგ, და ამას გარდა, საჭირო იყო პოლონეთის საქმეების ყურისგდებაც. გუსტავ მე-III-თან ომი ვერელის ზავით დამთავრდა, ოსმალეთში კი სუვოროვი და რეპნინი ბრწყინვალეთ იმარჯვებდენ, იმის მიუხედავად, რომ რუსები მოკავშირე ავსტრიელებისაგან მიტოვებულ იქმნენ. სამაგიეროდ პოლონეთში ცუდად მიდიოდა იმ სახელმწიფოთა საქმე, რომლებმაც პირველი განაწილება მოახდინეს და თავისი გავლენის გასავრცელებლად რესპუბლიკის (ანუ პოსპოლიტა) საქმეების არევ-დარევით სარგებლობას მიეჩვენ. ბოლოს და ბოლოს პოლონელები დარწმუნდენ, რომ მათთვის გაერთიანება და მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების შექმნა იყო საჭირო, და აი, 1791 წლის 3 მაისს ვარშავაში სეიმმა ძველი ანარქიული წესწყობილება გამოსცვალა. ე. წ. 3 მაისის კონსტიტუციით, გამოცხადებულ იქმნა გვარგვინის მემკვიდრეობა, liberum veto მოისპო, საშლიახტო სეიმი დეპუტატების პალატით შეცვალა, ხოლო მეფისა და მინისტრების უფლებანი საგრძნობლად გაფართოვდენ.

ამგვარად, უცხო სახელმწიფოთ ისედაც მრავალი საზრუნავი ჰქონდათ და საფრანგეთის საქმეებში ჩარევისთვის ალარ ეცალათ. ამის მიუხედავად არა მარტო ემიგრანტები, თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუდოვიკ მე XVI-ც კი ამ ჩარევაზე ამყარებდა მთელს თავის იმედებს.

ლტოლვა მეფისა.

იმ წერილობით მოხსენებებში, რომლებსაც მირაბო მეფეს აწვდიდა, იგი ხშირად ეხებოდა საკითხს მეფის პარიზიდან გაქცევისა და სამხედრო ძალით კრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: ერთიცა და მეორეც მას შესაძლოდაც და სასურველადაც მიაჩნდა, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მეფის უფლების გადარჩენა, რომელიც სრული მოსპობისაკენ მიექანებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად მირაბო უცხოელების საქმეში ჩარევის წინააღმდეგ მაინც ენერგიულად ილაშქრებდა; ის დარწმუნებული იყო, რომ ეს პატრიოტული გრძნობის აფეთქებას გამოიწვევდა და ყველა იმას, ვინც უცხოელებს მიმართავდა, მოღალატის მდგომარეობაში ჩააყენებდა. მაგრამ მეფისათვის ყველაფერი ეს ვაუკეთბარი რჩებოდა.

1791 წლის ზაფხულზე მეფე და დედოფალი პარიზიდან გაქცევას შეეცადენ; მათ იმედი ჰქონდათ, ლორენში მდგომ ჯარს შეფარებოდენ, შემდეგ დედოფლის ძმის, იმპერატორის ლეოპოლდისაგან დახმარების გარანტია მიეღოთ და დამფუძნებელი კრების საწინააღმდეგო მოქმედება დაეწყოთ. მაგრამ ეტლი, რომლითაც ისინი მიდიოდენ, **ვარენნაში** დააკავეს და გაპარული მეფე-დედოფალიც მცველების თანხლებით სასირცხოდ პარიზში დააბრუნეს. ამას შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. თუმცა გვირგვინის შესარჩენად ლიუდოვიკ მე-XVI კონსტიტუცია დაამტკიცა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, **რომ მას ეს კონსტიტუცია მთელის არსებით ეზიზღებოდა.** დამფუძნებელი კრების მემარჯვენე ფრთა ყაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა: ერთი მხრით მეფის ლტოლვის და ხალხის აბობოქრებული სარევოლიუციო განწყობილების გამო შეუძლებელი იყო ძველს ზომიერების ნიადაგზე დადგომა, მაგრამ მეორე მხრით მისი ადრინდელი მოღვაწეობა მას საშუალებას არ აძლევდა, უფრო მარცხნივ გადახრილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო აშკარა ხდებოდა ის წინააღმდეგობა, რომელიც ბურჟუაზიასა და მუშა ხალხს ერთმანეთს აშორებდა; უკანასკნელი მოუთმენლად მოელოდა საქმის მოგვარებას და უფლების ხელში ჩაგდებას, რადგანაც სიძვირისა და ცხოვრების არევ-დარევის შედეგებს მასზე უფრო მწვავედ არავინ არ გრძნობდა იაკობინელები აშკარად მოითხოვდენ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას და მის პასუხისგებაში მიცემას, მაგრამ კრების უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იყო და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ როგორმე საშუალება გამოენახა, რათა შემდეგში მეფე კონსტიტუციის ერთგული ყოფილიყო. ამ გადაწყვეტილებას კრება მტკიცედ იცავდა; ამიტომ, როდესაც მარსის ველზე ხალხი შეიკრიბა და რესპუბლიკის გამოცხადებას აპირებდა, კრების მიერ გაგზავნილმა გვარდიამ იგი ტყვიით გაჰფანტა. კრება მაინც ანკარიშს უწევდა მოწინააღმდეგე ძალას, და მისი გავლენით კონსტიტუციაში ორი თვალსაჩინო ცვლილება იქმნა შეტანილი: გაუქმებულ იქმნა სადეპუტატო ცენზი, და კონსტიტუციას ახალი მუხლი დაემატა, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის ლიკვიდატორთათვის ან რაიმე ბიუროტმოქმედებისათვის მეფე ტახტიდან უნდა გადაყენებულიყო და უცრალო მოქალაქესაკით სამართალში მიცემულიყო.

საკანონმდებლო კრება.

დამფუძნებელმა კრებამ ამგვარად შესწორებული კონსტიტუცია საბოლოოდ მიიღო, თავისი მისია დამთავრებულად სცნო და დაიშალა. მაგრამ, სანამ თავის თავს დაშლილად გამოაცხადებდა, კრებ მ ერთი დადგენილება გამოიტანა, რომლითაც მომავალს საკანონმდებლო კრებას დიდი ზიანი მიაყენა: დემოკრატიული თანასწორობის მცდარი გაგების გავლენის ქვეშ კრებამ იაკობინელების ერთის ხელმძღვანელთაგანის რობესპიერს წინადადება მიიღო, რომლის ძალითაც დამფუძნებელი კრების წევრების ხელმეორედ დეპუტატებად არჩევა მხოლოდ მეორე საკანონმდებლო კრებაში შეიძლებოდა, რადგანაც დე-

პუტატების უფლების დიდი ხნით შენარჩუნება მათ სხვა მოქალა-ქეებზე მაღლა დააყენებდა და ამით დემოკრატიზმის იდეა და-ირღვევოდა.

ამ დადგენილებას ის შედეგი მოჰყვა, რომ საკანონ-მდებლო კრებაში ახალგაზრდა და გამოუცდელი დეპუტა-ტები იქმნენ არჩეულნი, და იქ უმრავლესობა იმ ჯგუფმა შეადგინა, რომელსაც ჟირონდისტები ეწოდა, მიტომ რომ სათავეში რამ-დენიმე გამოჩენილი ორატორი უდგათ, რომელნიც დეპარტამენტ ჟირონდაში იყვნენ არჩეულნი (სამხრეთ-დასავლეთ საფრანგე-თში) იგინი კეთილშობილი ხასიათის, მაგრამ მცირე გამოცდილე-ბის ხალხი იყვნენ, რომლებიც არა მარტო რესპუბლიკანური წესე-ბის შემოღებაზე ოცნებობდენ, არამედ ძველი ბერძნებისა და რომაელების ხასიათის გახახლებაზეც ფიქრობდენ. მაგრამ ჟი-რონდისტების გავლენას ცხად საფრთხეს უმზადებდენ ე. წ. იაკობინელთა კლუბები, რომე თაც მაცრი, ფანატიკ სი რო-ბესპიერი და ნიჭიერი, მაგრამ უზნეო დანტონი ხელმძღვა-ნელობდნენ.

საკანონმდებლო კრების უმთავრეს საქმეს იმ ბრძოლის ასე თუ ისე დამთავრება შეადგენდა, რომელიც სამღვდელოე-ბისა და ემიგრანტების წინააღმდეგ დამფუძნებელმა კრებამ და-იწყო. დათმობაზე ლაპარაკიც კი არ შეძლებოდა; პირიქით, კრებამ უკიდურეს საშუალებს მიმართა. მან კონფისკაცია უყო ემიგრანტების ქონებას და საფრანგეთიდან ყველა იმ სამ-ღვდელო პირების გაძევება დაადგინა, რომელთაც ეკლესიის სამოქალაქო წყობილების დაცვაზე ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ფიცი დადებული, ოღონდ ამისათვის საჭირო იყო ოც მოქა-ლაქეს მაინც შემოეტანა შესაფერი განცხადება. ამავე დროს დადგენილ იქმნა, დაბეჯითებით მოეთხოვათ, რომ გერმანიის სახელმწიფოებს ემიგრანტებისათვის მხარი არ დაეჭირათ. თვით საფრანგეთში ამასობაში საქმე იმგვარ ხასიათს ილებდა, რომ უცხო სახელმწიფოები უფრო და უფრო ბრაზდებოდენ, და იმპერატორმა ლეოპოლდმაც ფრანგეთზე ზეგავლენის მოსახდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ დ დრო შესაფერად ჩასთვალა და რამდენიმე მუქარის მანიფესტი გამოსცა. მან ამავე დროს საკითხი აღძრა ევროპის სახელმწიფოთა კონგრეს ს მოწვევის შესახებ, რომელსაც საკითხი უნდა გაერჩია საფრანგეთის შინაური მდგომარეობაზე. მაგრამ სხვა ერთი დიპლომატიერ ამ მემორიალში მოსტყუვდა: **მუქარამ არა თუ შეაშინა ფრანგები, პირიქით, სასტიკი წინააღმდეგობაც გამოიწვია.** საქმე ომამდეც კი მივიდა, რაც ლეოპოლდისათვის საურველი არ იყო. ომის გამოცხადებამდე სულ რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი, რომ ლეოპოლდი გარდაიცვალა, და საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრება მის ახალგაზრდა მემკვიდრეს **ფრანც მე-II**ს და პრუსიის მეფეს **ფრიდრიხ ვილჰელმს** ხვდათ წილად.

გერმანიის ჯარ ს თავდასხმამ **შველის** მაკიერ ლიუდოვიკ მე XVI სულ დაუკარგა. მას ეშვი აუღეს, თითქოს იგი მთავარი უფროსი **საფრანგეთის ჯარებ ა, მტერთან მიწერ-მოწერა** აწარმოებდა და მათ გამარჯვებას შეეხარობოდა. ომის დ წყებისთანავე გამომჟღავნდა, რომ საფრანგეთის ჯარ სრულიად გამოუსადეგარი იყო ომ სთვის. ამის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ჯარ ს, რევოლიუციის ზეგავლენით, ძველი არისტოკრატული ხასიათი აღარ ჰქონდა, ხოლ ო დემოკრატიული ჯარ კიდევ ვერ მიეღო. ამის მიუხედავად, ს ზოგადოებრივი აზრი ყველაფერში მეფეს სდებდა ბრალს. მან სრულიად ვერ აუღო ალღო მდგომარეობის სერიოზულობას და განსაკუთრ ებულ წინააღმდეგობას სამეფოელოებ ა და ემიგრანტების საქმეში საკანონმდებლო კრებას სწორედ ახლა უწევდა. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აბრაზებ ა ხალ ს, და საკმარისი იყო პრუსიის მთავარსარდლის მრისხანებითა და მუქარით აღსავსე მ ნიფესტი გამოქკეყნ ებულიყო, რომ ხალხს აჯანყების დროშა აეფრიალებია. **1792 წ. 10 აგვისტოს** პარიზის გარეუბ ნებიდან შეიარაღებული მუშები ტიუილერის სასახლეს აკენ დაი რენ. მცირე შეტაკების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას **შვეიცარიელთა** გვარდია იღებდა, მეფემ წონასწორობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭარგა და თავისი ცოლშვილით საკანონმდებლო კრებას შეაფარა თავი. საკანონმდებლო კრებამ თავის მხრივ ანგარიში გაუწია მომხდარ ფაქტს და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო ლიუდოვიკი თავის ტყვედ.

2. საფრანგეთის რესპუბლიკა.

ომი კოალიციასთან.

როდესაც მოკავშირეთა ჯარი საფრანგეთს შეესია, იქ ისეთი არევ-დარევა და ალიაქოთი მეფობდა, რომ მოკავშირეთა პარიზში შესვლასა და რევოლიუციონერთა დასჯას ხელს არაფერი არ უშლიდა. ავსტრია-პრუსიის წინააღმდეგ გამოყვანილ ჯარში არც დისციპლინა იყო და არც ნდობა უფროსებისადმი: ერთმა უფროსთაგანმა 10 აგვისტოს ამბები რომ გაიგო, პარიზის წინააღმდეგ ჯარის წაყვანა სცადა, მაგრამ, როდესაც ჯარისკაცებმა ამაზე უარი განაცხადეს, გერმანიაში გაიქცა. 1791 წელს დამყარებული წესწყობილება დაირღვა, მეფე დაპატიმრებული იყო; მინისტრებს არავითარი ძალა არ გააჩნდათ; პარიზი შეიარაღებულ ბრბოისა და კომუნ ლური საბჭოს ხელში იმყოფებოდა; საფრანგეთში თითქმის აღარავინ აღარ იყო შექმნილი მდგომარეობით კმაყოფილი.

ამ გაჭირვების დროს გამოჩენილ-ვნდა კაცის ბუნების როგორც უკეთილშობილესი, ისე უმდაბლესი მხარეებიც: მამულიშვილურმა გრძნობამ ფრანგებს ძალა მისცა მთელი ევროპის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ბრძოლისათვის საჭირო ორგანიზაცია ტერორით იქმნა შექმნილი და საზოგადოების არასაიმედო ელემენტების თავიდან მოშორება თ. ორივე მხრივ დანტონი იყო გზის მაჩვენებელი. იგი სათავეში ჩაუდგა შეიარაღების საქმეს და გაცხარებული ენერგიით მუშაობდა; ქალაქის მცხოვრები და გლეხი — ყველა ერთნაირად იყო დაინტერესებული სამშობლოს დაცვისა და რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლების შენარჩუნების საქმეში; მოხალისეთა რაზმები სასწრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოდ სდგებოდა და ჯარის მისაშველებლად იგზავნებოდა. საფრანგეთი ხალხის აღფრთოვანებამ, ცოცხალი ძალების ამოძრავებამ და აგრეთვე მოკავშირეთა უთავბოლო მოქმედებამაც იხსნა. მას შემდეგ რაც პრუსიელები ვალმიდან უკუგდებულ იქმნენ, ხოლო ავსტრიელები ჟემაპასთან დამარცხდენ, საფრანგეთის რაზმებმა საზღვრები გადალახეს და ბელგია და შუარეინის ქალაქები დაიკავეს.

სექტემბრის დღეები.

მამულიშვილური გრძნობით გატაცების გვერდით სხვა გრძნობებმაც იჩინეს თავი: ეპვებმა რევოლიუციისაგან დაზარალებულთა წინააღმდეგ, დაბალი კლასების სიძულვილმა მაღალი-სადმი და შურისძიებისა და გამდიდრების სურვილმა. **დანტონი საჭიროდ სთვლიდა ყველა ამგვარი გრძნობის გაღვივებას.** როგორც იუსტიციის მინისტრმა, მან საკანონმდებლო კრებისაგან პარიზელთა გაჩხრეკის ნებართვა გამოითხოვა, რათა ამით ფიცმიუღებელი სამღვდელო პირების, ემიგრანტების ნათესავებისა და საზოგადოდ ყველა საეკვო პირის დატუსაღების საშვალება მისცემოდა. საპატიმროები ისეთი პირებით აივსო, რომელთა დანაშაულიც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ეგინი ან მათი ახლობლები რევოლიუციისაგან იყვნეს დაზარალებულნი. 2 სექტემბერს საპატიმროების გაწმენდას მიჰყვეს ხელი: საზოგადოების ნაძირალებისაგან შემდგარმა ყაჩაღთა ბრბომ, სულ რაღაც 200 კაცმა, სატუსაღოებში შესვლა მოახერხა და „მოღალატეებისა“ და „არისტოკრატების“ ელეტა დაიწყო, რომლის დროსაც არც წლოვანებას (ერთ საპატიმროში გაჟლეტილ იქმნა 13 ბავშვამდე) და არც სქესს არ არჩევდენ, დაცინოდენ თავის სხვერპლებს და შესვენების დროს ლოთობდენ. ელეტა მთელს სამ დღეს გაგრძელდა (2, 3 და 4 სექტ.); მთავრობისა და წითელი გვარდიის თვალის წინ 1500-დე პარიზელი გასწყვიტეს და ამის შემდეგ თავისი ასპარეზი პროვინციებში გადაიტანეს. თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი აქ არაფერ შუაში იყო, მაგრამ მკვლელები დანტონმა შემდეგი სიტყვებით გაამართლა: „ხალხი შურს იძიებსო“.

კონვენტი.

„სექტემბრის დღეების“ შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ **კონვენტი** შეიკრიბა. ჟირონდი'სტებმა, საკანონმდებლო კრების მარცხენა ფრთამ, კონვენტში მარჯვენა ადგილი დაიკავეს; პიროვნების სრული თავისუფლებისა და ხალხის სუვერენობის იდეას იგინი ახლაც ალიარებენ, მაგრამ ძარცვა-გლეჯასა და ჟლეტას თანაგრძნობით ვერ უყურებდენ და ამიტომ ჭალაქის საბჭოს, იაკობინელების კლუბსა და დანტონს იმ თავითვე ბრძოლა გამოუცხადეს.

მარცხენა მხარეზე, მაღლობ ადგილზე, დანტონისა და რობესპიერის გარშემო „**მონტანიარები**“ ისხდენ, იგეთივე უკიდურესი მიმართულებისანი, როგორისაც ჟირონდისტები იყვნენ, მაგრამ ამ ორ ჯგუფს შორის ის მთავარი განსხვავება არსებობდა, რომ მონტანიარები ცენტრალისტები იყვნენ და ამას გარდა **რევოლიუციონურ პრაქტიკას**, მოწინააღმდეგეზე ძალადობას და საზოგადოების დაშინების საჭიროებას ალიარებდენ. ცენტრი „ჭაობის“, ან „ბარის“ დეპუტატებს ეშინათ, რომლებიც სწორედ იმ მერყევ საზოგადოებრივ წრეებს ეკუთვნოდენ, რომლის დაშინებაც მონტანიარებს საჭიროდ მიაჩნდათ.

მეფის გასამართლება.

მიმართულებისა და ძალთა განწყობილების გამოსაცდელად საუკეთესო შემთხვევას მეფის ბედის გადაწყვეტის საკითხი იძლეოდა. ჟირონდისტებმა წინდაუხედავობა გამოიჩინეს და კონვენტს წინადადება მისცეს—მეფე გაესამართლებიათ; მაგრამ 1791 წლის კონსტიტუციის ძალით მეფე თავის მოქმედებაზე პასუხს არ აგებდა, და მაშასადამე მისი გასამართლებაც ყოველს იურიდიულ საბუთს მოკლებული იყო. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესი მას ულანაშაულო სხვერპლის მდგომარეობაში აყენებდა, და შემთხვევას აძლევდა მას—ნების სიმტკიცე და სულის კეთილშობილება გამოეჩინა, რითაც იგი საკმაოდ დაჯილდოვებული იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით მეფის გასამართლება მონტანიარებისათვის სასარგებლო იყო, რადგანაც იგი საშვალებას აძლევდა მათ, თავისი შეურიგებელი მტრობა ძველი საფრანგეთის მიმართ თვალსაჩინოდ დაემტკიცებიათ.

ლიუდოვიკ მე-XVI-ს მთელი პროცესის დროს თავი მშვიდად და ღირსეულად ეჭირა. მას ალმოუჩნდენ თავდადებული დამცველები, რომლებიც ხელოვნურად და მხურვალედ იცავდენ მას. ჟირონდისტების ყალბი მდგომარეობა სავსებით გამოაშკარავდა, როდესაც საქმე განაჩენის გამოტანაზე მიდგა: მათ არ სურდათ მეფის დასჯა, მაგრამ ვერც აშკარად გამოექომაგენ მას. მეფე თითქმის ერთხმად იქმნა ცნობილი დამნაშავედ, მაგრამ სიკვდილით დასჯა მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობით იქმნა მიღებული. ლიუდოვიკ XVI დასჯილ იქმნა 1793 წლის 21 იანვარს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ღმერთმა ქმნას, რომ ჩემი სისხლი საფრანგეთის საკეთილდღეოდ იქმნას დაღვრილი“-ო!

ბრძოლა ჟირონდისტებსა და მონტანიარებს შორის.

მეფის დასჯის შემდეგ ბრძოლა ჟირონდისტებსა და მონტანიარებს შორის კიდევ უფრო გამძვინვარდა. ჟირონდა ცდილობდა, რათაც უნდა დაჯდომოდა, ძალეომრეობა შეეჩერებია და დამნაშავენი დაესაჯა. მონტანიართა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. დანტონი არ იყო ჟირონდისტებთან დაახლოვების წინააღმდეგი, მაგრამ სექტემბრის ელეტამ მათ შორის უფსკრული გასთხარა. და ჟირონდამაც ზიზღით უყურადო შეთანხმების შესაძლებლობა.

მონტანიარების უმრავლესობამ რობესპიერის გარშემო მოიყარა თავი და ტერორისტული ზომების განვითარებას მოითხოვდა მის განკარგულებაში პარიზის **სანკიულოტები** და იაკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინელების კლუბები იყვნენ. ჟირონდისტებიც იძულებული მეიქმნენ საბრძოლველ იარაღზე ეფიქრათ და დახმარებას პროვინციალურ საზოგადოებაში ეძიებდენ. მაგრამ პარიზში პარიზის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ძნელი იყო: რაკი ჟირონდისტები მომხრეებს პროვინციაში ეძებდენ, მონტანიარებმა მათ ბრალდება წამოუყენეს, საფრანგეთის მთლიანობის დარღვევა გწადიათ და ამიტომ სამშობლოს მტრებად უნდა ჩაითვალოთო.

ჟირონდისტებს სასიკვდილო ლახვარი იმავე საგარეო პოლიტიკამ დასცა, რომელმაც წინედ მეფის უფლება ისხვერპლა. რესპუბლიკანური ჯარების წარმატება ხანგრძლივი ვერ აღმოჩნდა. რაზმებში დისციპლინა ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დამკვიდრებული, მათ არც საკმაო სამხედრო გაწვრთნა ჰქონდათ. ამავე დროს ავსტრიისა და პრუსიის მაგიერ საფრანგეთს თითქმის მთელი ევროპის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა.

საქმე ის არის, რომ კონვენტმა ჯერ კიდევ 1792 წ. განაცხადა: რესპუბლიკა ერების განსათავისუფლებლად აწარმოებს ომსო, და ამით მან ევროპის ყველა სახელმწიფო გადაიმტერა; ლიუდოვიკ მე-XVI დასჯა მუქარა იყო არა მარტო მათ წინააღმდეგ, ვისაც საფრანგეთში ძველი წესწყობილების განახლება ეწადა, არამედ ყველა დანარჩენ სახელმწიფოთა წინააღმდეგაც. გერმანიის წვრილმა სახელმწიფოებმა—ე. წ. იმპერიამ, იტალიის სახელმწიფოებმა, ისპანიამ, ინგლისმა—ყველამ საფრანგეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. რესპუბლიკის ჯარები იძულებულნი შეიქმნენ, ყველგან დაეხიათ უკან; მთავარი არმია, რომელიც ბელგიაში იდგა, ავსტრიელების მიერ იქმნა დამარცხებული. ამ დროს თითქმის კვლავ განმეორდა ის, რაც 1792 წლის შემოდგომაზე მოხდა. კონვენტმა განკარგულება მოახდინა, სამშობლოს დასაცავად 300,000 ჯარისკაცი მოეგროვებიათ, ხოლო შინაურ პოლიტიკაში უკიდურესი რევოლიუციონერების დიკტატურას დაემორჩილა, რომელიც **ტერორს** ეყრდნობოდა.

1793 წ. ივნისის თვის დასაწყისში პარიზის ნაციონალური გვარდია, რომელიც იმ დროს განსაკუთრებით სანკიულოტებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან შესდგებოდა, ბრბოსთან ერთად რამდენჯერმე შეიჭრა კონვენტში და ჟირონდისტების იქედან გაძევება და გასამართლება მოითხოვა. კრებას მეტი ძალა არ ჰქონდა, უნდა დაეთმო; 34 გამოჩენილი ჟირონდისტი კონვენტიდან გამორიცხეს და შემდეგ ყველა, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, პასუხისგებაში მისცეს. ახალგაზრდა ქალმა **შარლოტტა კორდემ**, რომელიც ჟირონდისტების იდეალების აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო, **მარატის** მოკვლა მოახერხა, იმ მარატის, რომელიც თავის ჟურნალში („ხალხის მეგობარი") განსაკუთრებული ენერგიით ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის პოლიტიკას იცავდა.

ნორმანდიაში, ბორდოში, ლიონში, მარსელში, ტულონში პარიზელი ტირანების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. **ვანდეის** (ვანდეა დასავლეთი პროვინციაა, მისი მთავარი ქალაქი **ნანტია**) მცხოვრებნი კიდევ უფრო ადრე აჯანყდენ, მათ საოთავეში თავად-აზნაურობა და სამღვდელოება უდგა. იყო მომენტი, როდესაც აჯანყების დროშის ქვეშ სამოცამდე დეპარტამენტი იდგა. მაგრამ ყველა ამგვარი მოვლენა რევოლიუციონერებს კიდევ უფრო აბრაზებდა და შეუბრალებლად ხდიდა.

ტერორი.

რაკი მეფე გადაყენებული იყო, საჭიროშეიქმნა მთავრობის ახალი ორგანოს შექმნა. თანდათანობით ასეთ ორგანოდ ე. წ. **„საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი"** გადაიქცა, რომელიც კონვენტის დეპუტატებისაგან შემდგარ კომისიას წარმოადგენდა. ჟირონდისტების გაძევების შემდეგ კომიტეტი ხელახლა იქმნა მოწყობილი (1793 წლის ივლისში კომიტეტში 9 წევრი აირჩიეს; შემდეგ წევრთა რიცხვი 12 იქმნა აყვანილი); დანტონი კომიტეტში არ შესულა; არჩეულ იქმნა რამდენიმე ხაქმის მცოდნე პირი; მათ შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი **კარნო** იყო, საფრანგეთის ჯარების დაუღალავი ორგანიზატორი; ცენტრიდან კომიტეტში ორი-სამი წევრი შედიოდა, რომლებიც გამარჯვებულ პარტიას მორჩილებით ეპყრობოდნ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დასასრულ აქვე იყო რობესპიერიც თავისი მთავარი თანამოაზრეებით. რობესპიერი, გაბატონებული მიმართულების უმთავრესი წარმომადგენელი, მშრალი, სისტემატიური გონებისა და ეიწრო სოფლმხედველობის კაცი იყო, მედიდური პედანტი, რომელიც თავისი გეგმის მიხედვით მთელი საფრანგეთის საქმეებს მოწყობას ლამობდა და ყველას, ვინც მის აზრებს არ იზიარებდა, გულწრფელად კაცობრიობის მტრად თვლიდა. რობესპიერთან ყველაზე უფრო ახლო იდგა **სან ჟიუსტი**, რომლის მიზანსაც საფრანგეთში იმგვარი წესწყობილების შემოღება შეადგენდა, რომელსაც სპარტასა და რუსოს სახელმწიფოს შორის საშვალო ადგილი უნდა დაეჭირა. ტეროორის მთავარი ორგანიზატორი და კომიტეტის მოქმედების ხელმძღვანელი **ბილლო ვარენი** იყო; დიდი თეორიებით იგი თავს არ იწუხებდა, მაგრამ ტეროორის უაღრესობაში მტკიცედ იყო დარწმუნებული და მას ცხოვრებაში შეურყეველად ატარებდა.

„საზოგადოებრივ ხსნის კომიტეტთან“ ძალიან ახლოს იყო დაკავშირებული ე. წ. **„საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტი“**-ც, რომელსაც სახელმწიფო პოლიცია ექვემდებარებოდა. პროვინციაში და არმიაში კონვენტმა თავისი განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი კომისრები დაგზავნა. რევოლიუციონური კომიტეტები მთელ საფრანგეთს მოეფინა: განსაზღვრულ ადგილას კომიტეტი თვალ-ყურს ადევნებდა მოქალაქეთა ყოფა-ქცევას, იღებდა საიდუმლო დაბეზღებას, ახდენდა დაპატიმრებებს; პროვინციის კომიტეტების წევრებს კონვენტის კომისრები ნიშნავდენ; ვინც ზომიერებას გამოიჩენდა, მას დაუყონებლივ ითხოვდენ. ტეროორის ორგანიზაცია ამგვარად მთელ ქვეყნის წარმოადგენდა, რომლითაც მთელი საფრანგეთი იყო დაფარული. მონტანიარების მიერ 1793 წელს ნაჩქარევად შედგენილ კონსტიტუციაში პიროვნების და კავშირების თავისუფლებაზე ბევრი იყო ნალაპარაკევი, მაგრამ ეს კონსტიტუცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, სინამდვილეში კი კვლავ ცენტრალიზაცია და მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის თვითნებობა ბატონობდა; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ წინედ ასეთს შემთხვევებში თავის გასამართლებლად „ძალაუფლების ღვთაებრიობას“ იმოწმებდენ, ახლა კი „ხალხის უაღრესუფლებიანობას“.

რაც შეეხება მთავრობის საქმიანობას, ეს უკანასკნელი უმთავრესად და განსაკუთრებით ყველა იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვისგანაც ძველი რეჟიმის მომხრეობას მოელოდენ: მონტანიარების წინადადებით, კონვენტმა კანონი მიიღო „საეკვოთა“ წინააღმდეგ, რომლის ძალითაც ყველა იმ პირებს, რომელიც რევოლიუციისაგან იყვნენ ასე თუ ისე დაზარალებულნი, დაპატიმრება და გასამართლება მოელოდათ. პოლიტიკური ბრალდებების გასარჩევად დაარსებულ იქმნა „**რევოლიუციონური ტრიბუნალი**“, რომელიც ჩვეულებრივი იურიდიული პროცედურისაგან განთავისუფლებული იყო. პარიზელი მუშების დასაკმაყოფილებლად სურსათზე მაქსიმალური ფასები იქმნა შენოლებული, და ყოველგვარი ცდა ზედმეტ ფასად გაყიდვისა ან გაძვირების მოლოდინში თადარიგის დაჭერისა სიკვდილწიფო ღალატად ითვლებოდა. საეკვო პირებთან და დამნაშავეებთან ანგარიშს თითქმის ყოველთვის ერთი და იმავე სახით ასწორებდენ: მათ თავს სჭრიდენ **გილიოტინაზე**, რომლის მსხვერპლიც სხვათა შორის მარია ანტუანეტა (დედოფალი), ჟირონდისტები და ჰერცოგი ორლეანელი შეიქმნენ, თუმცა აღსნიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა თავის ტიტულზე უარი განაცხადა და კონვენტში ლიუდოვიკ მე-XVI სიკვდილით დასჯას მისცა ხმა.

ასე იღუპებოდა ხალხი ათასობით (რევოლიუციონური ტრიბუნალი გილიოტინაზე კვირაში ჯერ 30—40 კაცს აგზავნიდა, მაგრამ 1794 წლის ზაფხულზე კვირაში 200 კაცზე მეტს და უწყო ეშაფოტზე გზავნა); დანაშაულს გარჩევა არ ჰქონდა საკმაო იყო უბრალო დაბეზღება, რომ მსხვერპლი ულმობელი მანქანისაკენ გაეგზავნათ. ზოგიერთი კომისრის აზრით, გილიოტინა ძალიან ნელა მოქმედობდა: ნანტში მთელ ჯგუფებს ალრჩობდენ წყალში, ხოლო ლიონში ზარბაზნით ანადგურებდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე განხეთქილებამ თვით მონტნიართა წრეში ირინა თავი. პარიზის ქალაქის საბჭო ჟირონდისტების დამარცხებას თავის დამსახურებად სთვლიდა, და, დამორჩილების მაგიერ, კონვენტს თავის განკარგულებებს უგზავნიდა; მისი წევრები იმის ცდაში იყვნენ, რომ სახელმწიფო და მდიდრები ბრბოს დასაკმაყოფილებლად გაეძარცვათ: სდევნიდენ არა მარტო ფიცმიუღებელ სამღვდელო პირებს, არამედ საერთოდ ყველას, ვინც ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდა. მათ „გონების“ კულტი შემოიღეს და მისი სახელით, პარიზის ღვთისმშობლის საკრებულო ტაძარში ორგიებს მართავდენ. მეორე მხრივ, დანტონი და მისი მეგობრები კომიტეტს გადაჭარბებულ სისხლის მსმელობასა და უფლებამოყვარეობაში სდებდენ ბრალს. მაგრამ რობესპიერისა და მისი ამხანაგების ჩამოგდება არც ისე ადვილი საქმე იყო: ქალაქის საბჭოს დასაუძლურებლად სანკიუტმა წინადადება მისცა კონვენტს, ღარიბ მოქალაქეთათვის ნაციონალური ქონება გაეყოთ, და, როდესაც კომიტეტმა საბჭოს ბელადები შეიპყრო, პარიზის მცხოვრებლებმა მათ დასაცავად თავი აღარ შეიწუხეს, და იგინიც დაიღუპენ. არ გასულა დიდი ხანი, რომ დანტონსაც იგივე ბედი ეწვია.

ამგვარად, რობესპიერს თითქმის არცერთი სერიოზული მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა. რობესპიერმა თავისი მოღვაწეობის ახალი ხანა იმით დაიწყო, რომ ქრისტიანობის მაგიერ ახალი სარწმუნოება შემოიღო. დეიზმის ზეგავლენით, ერთადერთ ღვთაებად „უშალელესი ძალა“ იქმნა აღიარებული, რომლის კურთხევის დღეც დიდის ზეიმით იდღესასწაულეს. რობესპიერის აზრით ახალი სარწმუნოება და ზნეობა **ტერორის საშუალებით უნდა განმტკიცებულიყო.** ამიტომ ტერორი კიდევ უფრო გააძლიერეს. რობესპიერის ზეგავლენით კონვენტმა კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც რევოლიუციონურ ტრიბუნალს მოქალაქეთა სიცოცხლისა და თავისუფლების საკითხში კიდევ უფრო მეტი უფლება ენიჭებოდა, ვიდრე წინად (მაგ. მას უფლება ჰქონდა კონვენტის წევრების შეპყრობისა და გასამართლების თვით ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულების ნება დაურთველად); რა თქმა უნდა, ტერორ-ნალმა თავისი ახალი უფლებით ფართოდ ისარგებლა. ახლა კი თვით ტერორისტების გულსაც შიში შეეპარა: **კომიტეტის** წევრები ხედავდენ, რომ არ მათი სიცოცხლე იყო უზრუნველყოფილი, სანამ საფრანგეთის სათავეში რობესპიერი იდგა, ამიტომ მათ ამ საშინელი კაცის თავიდან მოცილება სცადეს, მაგრამ რობესპიერი განზრახვას მიუხვდა და დაასწრო: თვითონ მ ნ იაკობინელთა კლუბში გაილაშქრა ორივე კომიტეტის წინააღმდეგ, ხოლო სანჟუსტმა კონვენტში (1794 წ.) შედეგი ის იყო, რომ ორივე დაკავებულ იქმნენ, მაგრამ ქალაქის საბჭოს განკარგულებით, რომელიც რობესპიერის მომხრეთაგან შესდგებოდა, იგინი ძალით იქმნენ განთავისუფლებულნი. კონვენტმა და კომ ტეტმა კარგად იცოდა, რომ საქმე სიკვდილ სიცოცხლეს ეხებოდა. მათი ბრძანების თანახმად ჯარი და ნაციონალური გვარდია საბჭოს დარბაზში შეიჭრა და რობესპიერი დაატყვევა. ის და მისი მომხრეები მეორე დღესვე იქმნენ დასჯილნი.

1793—94 წლ. ომები.

მართალია, ტერორის ხანა ყოველმხრივ აღმაშფოთებელი იყო, მაგრამ ერთი მხრივ მან მაინც დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთს. ასე თუ ისე მან ხელი შეუწყო მტკიცე მთავრობის შექმნას, და ამან საფრანგეთს საშუალება მისცა, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ეწარმოებინა.

საფრანგეთის საუკეთესო ძალები ამ ბრძოლას ხმარდებოდა; მარტო არმიაში შეიძლებოდა რევოლიუციონური ინკვიზიტორებისაგან თავის დახწევა, თავისუფლად ამოსუნთქვა და კეთილშობილური და მამულიშვილური საქმეებისთვის თავის დადება. სამხედრო დისციპლინა და ორგანიზაცია, თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც აღდგენილ იქმნა; დემოკრატიული ცვლილებების წყალობით ყველა კლასსა და მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობის ხალხისათვის გაიხსნა გზა უმაღლეს თანამდებობათა შესაღებად. სულ უბრალო შთამოშავლობის პირნი სწრაფად წინაურდებოდენ, და ზოგიერთი მათგანი საუკეთესო მხედართ მთავრებადაც კი დარჩნენ (მაგ. გოში მეჯინიბე იყო). რევოლიუციონურ არმიაში განსაკუთრებული სტრატეგია შემუშავდა: იგი დიდს მასიურ მოქმედებასა და სწრაფ გადასვლა-გადმოსვლას ემყარებოდა.

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ აჯანყება ყველგან ჩაქრეს; განსაკუთრებით გააფთრებული წინააღმდეგობა მთავრობას ვანდეამ გაუწია. მთავრობის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვებას შიაღწიეს: ინგლისელებს, ავსტრიელებს, პრუსიელებს, იტალიელებსა და ისპანელებს ყველას სასტიკად ამარცხებდენ. ამ დროს განსაკუთრებით ისახელეს თავი გოშ'ა, მორომ და პიშეგრიუმ. უკანასკნელმა ჰოლანდია დაიკავა და იქ „ბატავიის რესპუბლიკა" დააარსა, რომელიც საფრანგეთს შეუკავშირდა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯარის კაკებს მამაცობა და სარდლების ხელოვნებას გარდა, საფრანგეთის გამარჯვებას არანაკლებ შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ პრუსიისა და ავსტრიის მთავარი ძალები პოლონეთის საკითხით ყვნენ შეპოყვილნი.

3 მაისის კონსტიტუციას არ შეეძლო ერთბაშად გარდაექმნა პოლონეთი: პოლონეთის არისტოკრატიაში ძველი, ანარქიული წესწობილების მომხრე კიდევ მრავალი მოიპოვებოდა. მათ ტარგოვიცაში კონფედერაცია შეადგინეს იმ პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განმტკიცება ჰქონდა მიზნად დასახული, და ამას გარდა რუსეთსაც მიმართეს დახმარებისათვის. რუსის ჯარები პოლონეთში შევიდენ; თავის მხრივ პრუსიამაც დასძრა ჯარები პოლონეთის მიდამოებისაკენ; პოლონელების წინააღმდეგობა დაძლეულ იქმნა, და მოხდა პოლონეთის მეორე განაწილება: **პრუსიამ წაიღო დანციგი, ტორნი და პოზნანის ნაწილი, ხოლო რუსეთმა მინსკი, ვოლინი და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდოლია დაიკავა. პოლონელი პატრიოტები ვერ შეურიგდენ ამ შეზღუდულ ამგვარ დამ ირებას და კოსტიუშკოს მეთაურობით საქმის გამოკვეთებას შეეცადენ, მაგრამ ეს მათი თავზე ხელაღებული ცდა დამარცხებითა და პოლონეთის მესამე განაწილებით დამთავრდა, რომელშიც ავსტრიამაც მონაწილეობა მიიღო. ამ უკანასკნელმა კრაკოვი წაიღო, პრუსიამ—ვარშავა, ხოლო რუსეთმა—ვილნო.

ალბოსავლეთი ევროპის საქმეებში გერმანელი ჯარები ინ-საველეთის ფრონტზე შეასუსტა და ამან ფრანგების გამარჯვებას საგრძნობად შეუწყო ხელი. პრუსიამ საჭიროდ დაინახა, სრულებით ჩამოშორებოდა კოალიციას; 1795 წელს იგი ზავით შეეკრა ბაზელში საფრანგეთს. სვას რომ თავი დავანებოთ, აქ ყველაზე უფრო საინტერესო ის იყო, რომ პრუსია ამით საფრანგეთის პოლიტიკურ ცვლილებებსა და იქ დამყარებულს ახალ წესწყობილებას სცნობდა.

ტერორის დასასრული.

რობესპიერის დაცემა მარტო ტერორისტების წრეში ატეხილი უთანხმოებით როდი იყო გამოწვეული; თვით საზოგადოებაშიც მათი შეურიგებელი მტრობა ჩაისახა: ტერორისტებისადმი სიძულვილი განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეტყობოდა, რომელსაც იმდენად თავისუფლებისა და ხალხის სუვერენობის დეალები აღარ იტაცებდა, რამდენადაც სამხედრო ძალისა და მონარქიული ტრადიციების სიმპატიები. მდიდართა წრეებიდან გამოსული ახალგაზრდობა აშკარა სიძულვილს იჩენდა სანკიულოტებისადმი, და „ოქროს ახალგაზრდობის" რაზმები ყოველი შემთხვევით სარგებლობდენ, რათა სანკიულოტებისათვის სამაგიერო ეზღოთ.

საზოგადოებრივი აზრის ამგვარი შეტრიალება მთავრობის წრეებსაც დაეტყო; ძალა-უფლება თანდათანობით ცენტრისა და მარჯვენა ფრთის ხელში გადავიდა; 1794 წლის ბოლოს ჯაკობინელების კლუბიც კი დახურეს. ქალაქის გარე უბნებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1765 წელს კონვენტის დამოარჩილება და ტერორის ძველებურად განცხოველება ერთხელ კიდევ სცადეს, მაგრამ მათი გამოსვლა მოგერებულ იქმნა, და საქმე მხოლოდ იმით დამთავრდა, რომ რამდენიმე გამოჩენილი ტერორისტი დასაჯეს და ზოგი გადაასახლეს, სხვათა შორის გადასახლებულ იქმნა ბილლო-ვარენნიც. მას შემდეგ, რაც კონვენტმა განკარგულება მოახდინა, რომ ჟირონდისტები და მათი თანაგრძნობისათვის გაძევებული დეპუტატები კვლავ კონვენტში დაებრუნებიათ, რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა.

3 დირექტორია.

III წლის კონსტიტუცია.

ამგვარ პირობებში კონვენტმა ე. წ. მე III წლის კონსტიტუცია შეიმუშავა, რომელიც ახალს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას საფუძვლად უნდა დადებოდა.

ამ კონსტიტუციის ავტორები აღმასრულებელი უფლების ზედმეტ შეკვეცას საჭიროდ აღარ თვლიდენ: ისინი ცდილობდენ, თანა წორობა დაეცვათ აღმასრულებელსა და საკანონმდებლო უფლებათა შორის. კანონების შედგენა და გადასახადების განსაზღვრა ორ პალატას—უხუცესთა და ხუთასთა საჭოს ჰქონდა მინდობილი; მთელი მართველობა ხუთი დირექტორისა და მათ მიერ დანიშნული მინისტრების ხელში უნდა ყოფილიყო. საზოგადოებრივი აზრის ცვლილება ისე არაფერში არ გამოხატულა, როგორც საოლქო მართველობის სისტემაში: არჩეული პროკურორები დირექტორებია მიერ დანიშნული აგენტებით იქმნენ შეცვლილნი.

მაგრამ კონსტიტუციის განხორციელება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, რადგანაც პალატებსა და დირექტორებს შორის. იმ თავითვე მეტოქეობამ იჩინა თავი. რევოლ ციის დროს შეთვისებული ჩვეულების მიხედვით, ყველა დამოუკიდებლად მოქმედებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობდა, თუ კი იმდენად ძლიერად გრძნობდა თავს, რომ კანონის დარღვევას არ მოერიდებოდა. ამის მაგალითი ხალხს ყველაზე ადრე თვით კონვენტმა მისცა: თუმცა, კონსტიტუციით, ორივე საბჭოს შემადგენლობა ხალხის მიერ არჩეული წევრებით უნდა შევსებულიყო, მაგრამ ამის მიუხედავად კონვენტმა მთელი შემადგენლობის ორი მესამედი თავისი წრიდან დანიშნა, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედის არჩევა ხალხს მიანდო. თავს იმით იმართლებდენ, თითქოს წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს წევრთა უმრავლესობას როიალისტები შეადგენდენ და რესპუბლიკას დაამხობდენ. როიალისტებმა ეს რომ გაიგეს, პარიზში აჯანყება მოახდინეს, რომელიც ახალგაზრდა გენერლის, **ბონაპარტეს** თაოსნობით იქმნა ჩაქრობილი. (ბონაპარტე კორსიკიდან იყო შთამომავლობით; ის 1769 წელს დაიბადა ერთი ღარიბი ვექილის ოჯახში, სწავლობდა ბრიუნის სკოლაში, სადაც მათემატიკურ ნიჭსა და ისტორიისადმი ინტერესს იჩენდა, არტილერიის ოფიცრობა მიიღო და რევოლიუციის დროს რობესპიერის პარტიას მიემხრო). დირექტორიის შემდეგი მოქმედება დასაწყისის გაგრძელება იყო: 1797 წელს სამმა დირექტორმა ჯარის დახმარებით 55 დეპუტატი დააპატიმრეს და ორი თავისი ამხანაგიც განდევნეს, რათა ამით რესპუბლიკის საუნაოღმდეგო აგიტაცია მოესპოთ; სამაგიეროდ 1799 წელს, თავის მხრივ, ორივე პალატამ ძალა დაატანა დანარჩენ სამ დირექტორს, თანამდებობიდან გადამდგარიყვნენ, ვინაიდან იგინი თავისი რესპუბლიკანური სულისკვეთებით იყვნენ ცნობილნი.

ამ ვარი მთავრობა ვერც თავის წინაშე გამოიწვევდა პატივისცემას და ვერც კანონის წინაშე, რომელსაც თვითონვე არღვევდა. რევოლიუციონური იდეალების **ათვალწუნება** თანდათან აშკარა ჰხდებოდა, ხოლო მის ადგილს ზნეობისა და რწმენის საზოგადო ჩამოქვეითება, საზოგადოებრივ მოღვაწეობისადმი და იდეურ მოთხოვნილებისადმი ცინიკური მოპყრობა, ნივთიერი კეთილდღეობისა და განცხრომის მოპოვების სურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი იკავებდა. ამ დროს საზოგადოება მხოლოდ ორ იდეალურ ძალას ცნობდა: ტერორისაგან დაშინებული საზოგადოება წყნარ ნავთსაყუდელს ეძებდა, და ამგვარ ნავთსაყუდლად ეკლესია იქმნა მიჩნეული; განმტკიცდა აზრი, რომ სარწმუნოება საზოგადოების მშვიდობიანობისათვის საუკეთესო საფუძველია. გაღვივდა პატრიოტული გრძნობაც, რომელიც ბრძოლისა და გამარჯვების სურვილში გამოიხატებოდა. იმდროინდელი საფრანგეთისათვის ომი თითქმის ყველაფერზე უფრო საჭირო იყო: ერთი მხრით, საზოგადოების ყურადღება სასირცხო საშინაო პოლიტიკიდან საგარეოზე გადადიოდა, ხოლო მეორე მხრით ომს სახელმწიფოსთვის ფინანსიური სარგებლობაც დიდი მოჰქონდა: უამრავი რევოლიუციონური კონფისკაციებითაც ძნელი იყო იმის ანაზღაურება, რაც მრეწველობის მოშლითა და რევოლიუციონური მთავრობის უნაყოფო ხარჯებით დაიკარგა; 1790 წელს მომხდარი საეკლესიო ქონების სეკულიარიზაციის შემდეგ გამოშვებულმა ქაღალდის ფულმა სრულებით დაჰკარგა ყოველივე ღირებულება: საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთ რწყვილ ფეხსაცმელში ქაღალდის ფულით 10.000 ფრანკს აძლევდნენ; 1793 და 1796 წელში საქმე თითქმის სრულ გაკოტრებამდე მივიდა. დირექტორიის შემოსავლის ერთს მთავარ წყაროს დაკავებული ქვეყნებიდან აღებული კონტრიბუციები შეადგენდენ: საფრანგეთის დატარიელებული კასის შევსება ჰოლანდიას, გერმანიასა და იტალიას უხდებოდათ.

1796—99 წლ. ომები.

მთავარი სამხედრო ოპერაციები ამ დროს იტალიაში სწარმოებდა. როიალისტების აჯანყების ჩაქრობისათვ ს ბონაპარტეს სამაგიერო მით გადაუხადეს, რომ მა მოავალრიცხოვნი, თუმცა ცუდად შეიარაღებული ჯარი მიანდვეს (1796). ჩრდილოეთ იტალიაში ფრანგებს სარდინიის მეფისა და ავსტრიელების წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლის წარმოება; პირველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიემონტი ეკუთვნოდა, ხოლო მეორეს — ლომბარდია. ბონაპარტემ მოწინააღმდეგეთ შეერთება არ აცალა: პირველად რამდენიმე ბრძოლაში სარდინიის მეფე დაამარცხა და ზავი მოათხოვნია, ამის შემდეგ ავსტრიელებისაკენ იბრუნა პირი, ლომბარდია დაიკავა და მტერი ტიროლისკენ განდევნა. სამჯერ კიდევ შეეცადნენ ავსტრიის სარდლები საქმის გამოსწორებას, მაგრამ სამივეჯერ დამარცხდენ. 1797 წელს ავსტრიამ ბონაპარტეს წინააღმდეგ თავისი საუკეთესო სარდალი ერცჰერცოგი კარლოსი გაგზავნა; მაგრამ ისიც ძლეული იქმნა, და ავსტრია იძულებული შეიქმნა, თავი დამარცხებულად ეცნო. **კამპოფორმიოში** შეკრული ზავით ავსტრიამ უარი სთქვა **ლომბარდიაზე**. ლომბარდია და მის ახლოს მდებარე ადგილები გამოცხადებულ იქმნა **ციზალპინის რესპუბლიკად, გენუია** კი — **ლიგურიის რესპუბლიკად**. ავსტრია და პრუსია, ეს ორი უმთავრესი სახელმწიფო, რომელიც საფრანგეთს ებრძოდა, იძულებულნი შეიქმნენ, მას შერიგებოდენ.

დარჩა კიდევ ინგლისი, რომელიც ფლოტის დახმარებით მოკავშირეებზე უკ თესად იბრძოდა. ინგლისმა ჰოლანდიისა და ისპანიის ფლოტი დაამარცხა, რომელიც საფრანგეთის ესკადრასთან ერთად იბრძოდა, და შემდეგ ფრანგების, ისპანელებისა და ჰოლანდელების ახალშენების მეტი ნაწილი დაიკავა. გოში ირლანდიაში გადასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ მისი გემები ქარიშხალმა დაამსხვრია. ბონაპარტემ ვერ გაბედა ამ ცდის განმეორება, მაგრამ ეგვიპტიდან ინგლისელებზე თავდასხმის გეგმა გამოიმუშავა, დაჯერა მთავრობა თავისი გეგმის მიზანშეწონილობაში და თვითონ აღნიშნული ადგილისაკენ გაილაშქრა.

მას თავლწინ ეხატებოდა ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ წყლებში ინგლისის თავისუფალი ვაჭრობის მოსპობის შესაძლებლობა და შემდეგ თვით ინგლისზე გალაშქრება. დირექტორია მოხარული იყო გამოჩენილი და საშიში გენერლის თავიდან მოშორებით, მისკენ მას კარკად გამოწყობილი ჯარი, და ბონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტემაც საფრანგეთის სანაპიროები დასტოვა (1798). მართალია, მან ინგლისის ესკადრის გვერდის ავლა მოახერხა, მაგრამ ადმირალი **ნელსონი** ფრანგების ესკადრას მაინც უკან დაედევნა და **აბუკირთან** სრულებით გაანადგურა იგი. ხმელეთის ჯარმა ნაპირზე გადასვლა მოასწრო. ბონაპარტემ სწრაფად დაიკავა ეგვიპტე მაგრამ, რადგან ჯარი მოწყვეტილი იყო საფრანგეთს, მისი მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. ოსმალოები ახალ ჯარებს გზავნიდენ. ბონაპარტემ დასწრება არჩია და თვითონ გაილაშქრა სირიაზე. მან ალყა შემოარტყა **აკრას**, ძაგრამ ქალაქის აღება ვერ მოასწრო, რადგანაც ევროპიდან მოსულმა ცნობებმა აიძულეს იგი, აღმოსავლეთის საქმეებისათვის თავი მიენებებია და საფრანგეთს გაშურებოდა. (ბონაპარტეს წასვლის შემდეგ ფრანგების საქმე ეგვიპტეში ცუდად წავიდა და ბოლოს იძულებული შეიქმნენ ეს ქვეყანა სრულიად გაეწმინდათ.)

იმ დროს, როდესაც ბონაპარტე აღმოსავლეთში იმყოფებოდა, ევროპაში კვლავ ომი დაიწყო. საფრანგეთის ჯარები შვეიცარიასა და სამხრეთ იტალიაში შეიჭრენ და აქ ორი ახალი რესპუბლიკა დააარსეს—**რომიხა** და **პართენოპეასი** (ნეაპოლი), ხოლო შვეიცარიაში პიემონტი და ტოსკანა საფრანგეთს შეუერთეს. ამ ახალი ნაბიჯების გამო ავსტრიამ კამპოფორმიოს ზავი დაარღვია და ძლიერი რუსეთის დახმარებით ისევ ომი დაიწყო. იმპერატორმა პავლემ იტალიაში სუვოროვი გაგზავნა და სულ რამდენიმე თვეში ფრანგების წინანდელ გამარჯვებათა შედეგები მოსპო. მან ზედი-ზედ დაამარცხა მორო, მაკდონალდი და ჟუბერი. გენუას გარდა, შემოდგომისათვის მთელი იტალია გაწმენდილი იყო ფრანგებისაგან. ამის შემდეგ ავსტრიელებმა იმპერატორი **პავლე** შვეიცარიაში ჯარების გადაგზავნაზე დაითანხმეს, თვითონ კი ისეთი სიჩქარით გაიყვანეს იქიდან თავისი სამხედრო ძალები, რომ ფრანგების გენერალმა **მასენამ**, სუვოროვის მოსვლამდე, სრულებით გაანადგურა ციურიხის ახლოს რიმსკი-კორსაკოვის რაზმები. სუვოროვის მდგომარეობა, რომელმაც შემოდგომაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სან-ბოტარდი გადალახა, საშინელი იყო. იგი ბრძოლით იცავდა გზას მთის ბილიკებზე ბავარიისაკენ. ავსტიელებთან მოკავშირეობის ცდა რუსეთისათვის იმდენად ჭკუის მასწავლებელი გამოდგა, რომ იმპერატორმა პავლემ მათ თავი მიანება და საფრანგეთს დაუახლოვდა.

1799 წლის ბოლოში ბონაპარტემ ეგვიპტის რაზმი მიატოვა და თვითონ სამხრეთ საფრანგეთში გადასვლა მოახერხა. იტალიის კომპანიის დაწყების პირველ წლიდანვე იგი მთელ საფრანგეთში ყველაზე უფრო პოპულარულ პიროვნებად შეიქმნა: მის დაბრუნებას ისე შეხვდენ, როგორც მხსნელისას. ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი რევოლიუციით მონაპოვარის დაცვასა და ძველი ძლიერებისა და დიდების აღდგენას მოახერხებდა.

დირექტორია და პალატები წინადაც ვერ სარგებლობდენ ავტორიტეტით, ეხლა კი სრულიად დაჰკარგეს ნდობა. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც პალატებმა მათთვის არასასიამოვნო დირექტორები გააძევეს, და ეხლაც ბევრი იყო დეპუტატებს შორის ისეთები, რომლებიც მზად იყვნენ რესპუბლიკანური ფორმები დაეთმოთ, ოღონდ ძლიერსა და სახელოვან მთავრობას ღირსებოდენ. ბონაპარტემ აღარ დააყოვნა: 1799 წლის 18 ბრიუმერს (10 ნოემბერს) მან უხუცესთა საბჭო დაითხოვა და ჯარის კაცების დახმარებით 500-ის საბჭო გაჰფანტა; ხოლო თვითონ დირექტორებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. საღამოზე რამდენიმე დეპუტატი შეიკრიბა, რომელნიც, გენერლის გეგმას თანაუგრძნობდენ, და ბონაპარტე და კიდევ ორი, ნაკლებ მნიშვნელოვანი პირი საფრანგეთის რესპუბლიკის **კონსულებად** გამოაცხადეს.

4. ნაპოლეონი.

VIII **წლის კონსტიტუცია.**

ნაჩქარევად შედგენილის „VIII **წლის კონსტიტუციის**“ ძალით ნომინალურად საფრანგეთში ისევ რესპუბლიკანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართველობა რჩებოდა, ნამდვილად კი ერთუფლებიანობა მყარდებოდა. 1791 წელს აღმასრულებელი უფლება საკანონმდებლო უფლებას დაუქვემდებარეს, 1795 წელს ორივე უფლების გათანასწორება სცადეს, ხოლო 1799 წელს საკანონმდებლო უფლება აღმასრულებელ უფლებას დაუმორჩილეს. კანონპროექტებს **სახელმწიფო საბჭო** იმუშავებდა, შემდეგ მათ **ტრიბუნატი** იხილავდა და ტრიბუნების შენიშვნებით **საკანონმდებლო კორპუსის** ხელში გადადიოდა, რომელიც მათ არსებითად როდი იხილავდა, არამედ მხოლოდ კენჭს უყრიდა. მაგრამ ამით საქმე არ თავდებოდა: იყო კიდევ ერთი დაწესებულება, **სენატი**, რომელსაც უფლება ჰქონდა კანონპროექტი უარეყო, თუ იგი, მისი შეხედულებით, კონსტიტუციას არ ეთანხმებოდა.

ამგვარი დანაწილება საკანონმდებლო უფლებისა მის თვალსაჩინო დასუსტებას მოასწავებდა: მაგრამ ეს კიდევ არაფერი; სახელმწიფო საბჭოისა და სენატის წევრებს პირდაპირ კონსულები ნიშნავდენ, ტრიბუნატისა და საკანონმდებლო კრებისას კი—სენატი იმ სიიდან, რომელსაც ადგილობრივნა და საოლქო კრებებზე ადგენდენ. ამ პირობებში მთავარი მნიშვნელობა სახელმწიფო საბჭოს ჰქონდა, რომელიც, კანონპროექტების შედგენის გარდა, სადაო ადმინისტრატიულ საქმეებსაც სჯიდა; იგი უმაღლეს მოხელეთაგან შესდგებოდა და სავსებით კონსულებს ემორჩილებოდა. თვით კონსულებს 10 წლის ვადით ირჩევდენ; თუმცა სულ სამი კონსული იყო, მაგრამ უკანასკნელი ორი პირველის ხელში უბრალო იარაღს წარმოადგენდენ.

საფრანგეთში ყველა გრძნობდა, რომ იქ ხელმწიფე გამოჩნდა, გენერალი ბონაპარტე, და რომ რესპუბლიკანური წყობილების მოსპობა მის სურვილზეა დამოკიდებული. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით ეპყრობოდა ახალ მდგომარეობას, ვინაიდან იგი თავდები იყო ძლიერი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების, წესრიგის, ეროვნული ძლიერების, ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერი შენაძენისა და რევოლიუციით გამოწვეულის სამოქალაქო რეფორმების დაცვისა. იყვნენ, რასაკვირველია, მოწინააღმდეგენიც—როგორც ძველი მონარქიის მომხრენი, ისე რესპუბლიკანური წესწყობილების თაყვანისმცემლებიც, მაგრამ ესენი შეშინებულნი იყვნენ და აშკარა ბრძოლისათვის უძლურნი აღმოჩნდენ. ბონაპარტეს ეშვიც არ ეპარებოდა ხალხის თანაგრძნობაში, და ამიტომ თავისი უფლების განსამტკიცებლად მან ხალხსავე მიმართა, რომელმაც 3,500,000 ხმით წინაალმდეგ 1500-ისა ახალ კონსტიტუციას ნდობა გამოუცხადა.

ბიუროკრატიული სისტემა.

ძველმა წესწყობილებამ საფრანგეთი ადმინისტრატიულ ცენტრალიზაციას მიაჩვია. დამფუძნებელი კრების ცდა, რომ საფრანგეთი სხვა გზაზე დაეყენებია, დამარცხებით დამთავრდა; ტერორისტებმა ადმინისტრატიული ცენტრალიზაცია აღადგინეს, და დირექტორიაც ამ შემთხვევაში ტერორისტების გზას დაადგა. პირველ კონსულს მით უფრო ადვილად შეეძლო ფრანგების ამგვარი მიდრეკილებით ესარგებლებია, რომ იგი სწორედ იმდროს გაძლიერდა, რი დესაც მცხოვრებთ პოლიტიკური ბრძოლა და სახელმწიფოს საქმეები აღარ აინტერესებდათ. ის ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც, ზოგიერთი ცვლილებით უკანასკნელ ხანამდეა დაცული, სწორედ მაშინ იქმნა შეძუშავებული. მართველობის მთავარ ორგანოდ დეპარტამენტში **პრეფექტი** ითვლებოდა, ოლქში—სუბპრეფექტი, ხოლო თემში სოფლის და ქალაქის მერი, და ყველა ეს თანამდებობის პირნი მთავრობისაგან იყვნენ დანიშნულნი. მართალია ამ მოხელეებთან საბჭოებიც არსებობდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდათ; ამასთანავე ამ საბჭოების წევრები არჩეულნი კი არა, სხვა მოხელეებივით დანიშნულნი იყვნენ.

ამ მარტივი ორგანიზაციის წყალობით ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმე ცენტრალური მთავრობის გავლენას ექვემდებარებოდა: პირველი კონსულისა და მისი თანაშემწეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებები მთელ საფრანგეთში დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ სრულდებოდენ. მოქალაქენი ისევ ქვეშევრდომებად გარდაიქცენ, თავიანთ კერძო საქმეებს დაუბრუნდენ და იმ მორჩილ მასალად შეიქმნენ, რომელსაც მთავრობა თავისი შეხედულების მიხედვით საზოგადო საქმეებისათვის იყენებდა. **გენერალ ბონაპარტეს იდეალს ის შეადგენდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია სრულიად სამხედრო ორგანიზაციისათვის დაემსგავსებია:** მოხელეები მისთვის ოფიცრები იყვნენ, ქვეშევრდომნი კი — სამოქალაქო წყობის ჯარის კაცები.

სამოქალაქო რეფორმები და ნაპოლეონის კოდექსი.

მაგრამ პირველმა კონსულმა მისთვის კი არ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება და დაამყარა დისციპლინა, რომ მოსვენებითა და უსაქმოდ მჯდარიყო და გამარჯვების ნაყოფით დამტკბარიყო.

პოლიტიკური მხრივ იგი, მართალია, მტერი იყო რეოლუციისა, მაგრამ ამ უკანასკნელის სამოქალაქო პროგრამა მას მაინც საკვლებით ჰქონდა შეთვისებული; სძაგდა თავისუფლება და ძირშივე ახშობდა მის ნაპერწკლებს, მაგრამ ის მთელი ძრსებით ახალი წესწყობილების კაცი და რეფორმატორი იყო, რომელიც ყველაფერში და ყველგან გონიერების დებულებებისა და სისტემატიზაციის გატარებას ცდილობდა. ფინანსიურ გაჭირვებას მან მით სძლია, რომ შემოსავლის კვალობაზე ყველასათვის სავალდებულო გადასახადი შემოიღო (25%). გარდა ამისა ბონაპარტეს ცდით დასრულებულ იქმნა ის დიდი იურიდიული რეფორმები, რომელნიც ეროვნული კრებისა და კონვენტის დროს დაიწყეს: ძველი წესყობილების დამხობა უფლების ყოველივე დარგის ძირითად ცვლილებებს მოითხოვდა; რთული, არევ-დარეული და ხშირად ერთი მეორის მოწინააღმდეგე დადგენილებების მაგიერ, რომლითაც სასამართლოში მონარქიის დროს ხელმძღვანელობდენ, აღმოცენდა არაჩვეულებრივად ნათელი და ჩამოყალიბებული იურიდიული სისტემა, რომელიც რომის უფლებაზე იყო დამყარებული და ახალი ცხოვრების პირობათა მიხედვით გადამუშავებული. ე. წ. **ნაპოლეონის კოდექსში**

საეროქალაქო უფლება ორ საფუძველზე იყო აშენებული — კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობაზე და ინდივიდუალიზმზე.

ამას თან მოჰყვა სისხლის სამართლის კოდექსი, და შემდეგ სისხლის სამართლის სამოქალაქო და კომერციული სამართლის წარმოების კოდექსები. ამ კაპიტალური იურიდიული ნაშრომით სამოქალაქო წყობილებაში საბოლოოდ დაკანონდა ყველაფერი ის, რაც რევოლუციით იყო მოპოებული. მართალია, მის შედგენაში უმთავრესი როლი სპეციალისტებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მთავარი საკითხების გადაწყვეტაში პირველი კონსულიც ხშირად იღებდა მონაწილეობას, და ამიტომ მისი ღვაწლი ამ მხრივ დაუფასებელია.

სწავლა-განათლების საქმე.

განათლების საქმესაც ახალი სისტემა დაედვა საფუძვლად. ძველი წესწყობილების დროს განათლების საქმე განსაკუთრებით ეკლესიის ხელში იმყოფებოდა. კონსულმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია და ახლა იგი სახელმწიფოს მზრუნველობის საგნად გახადა. მართალია, ნივთიერის მხრივ სკოლები ისევ ადგილობრივ მცხოვრებთა ქონებასა და სურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ სახელმწიფო მათს უზენაეს მეთვალყურეობას თავის მოვალეობად სთვლიდა: კონსულმა დაბალი სკოლის ინსპექციები დააარსა. რაც შეეხება საშვალოს, სპეციალურსა და უმაღლეს სასწავლებელთ — ესენი ყველანი სახელმწიფოს ხარჯზე ინახებოდენ და რასაკვირველია სავსებით სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებოდენ. ეს საქმიანობა იმით დასრულდა, რომ 1811 წელს ე. წ. **ფრანგული უნივერსიტეტი**, ე. ი. სახელმწიფო სასწავლებელთა პროფესორებისა და მასწავლებლების კორპორაცია იქმნა დაარსებული.

კონკორდატი.

მარტო სარწმუნოების საქმეში ვერ მოახერხა პირველმა კონსულმა სახელმწიფოს გაბატონება და ერთგვაროვნობის მიღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევა. იგი იძულებული შეიქმნა რელიგიის დამოუკიდებელი ძალა ეცნო. პირადად თუმცა სრულებით მოკლებული იყო სარწმუნოებრივ გრძნობას, მაგრამ ხალხის უმრავლესობა სხვაგვარად გრძნობდა, და ამიტომ კონსულმა გადასწყვიტა, რელიგიური რწმენა თავისი უფლების განსამტკიცებლად გამოეყენებია. რევოლუციის ბიდეა რელიგიური ტოლერანტობისა მან საფუძვლად მიიღო და ყველა სარწმუნოებას თავისუფალი არსებობის უფლება მიანიჭა სახელმწიფოში, მაგრამ საფრანგეთის მთავარ სარწმუნოებრივ დაწესებულებად მაინც კათოლიკური ეკლესია სცნო და, რამდენადაც ეს შესაძლო იყო, მისი ორგანიზაციის სახელმწიფოს ორგანიზაციასთან შეგუებას შეეცადა. 1802 წ. პაპი პიუს VII-თან დადებულ იქმნა **კონკორდატი**. კათოლიკურ ეკლესიას ნივთიერი დახმარება აღუქვა; სამაგიეროდ იგი ფორმალურად იმ საეკლესიო ქონებაზე უარს აცხადებდა, რომელსაც რევოლიუციის დროს კონფისკაცია უყვეს. ეპარქიები განაწილებულ იქმნენ პაპსა და მთავრობას შორის. მომხდარი შეთანხმების თანახმად ეპისკოპოსები მთავრობას უნდა დაენიშნა, პაპი კი კანონიურად დაამტკიცებდა მათ. კონკორდატის წყალობით შეწყვეტილ იქმნა ეკლესიისა და ქრისტიანობის დევნა, რომელიც დამფუძნებელი კრების დროს დაიწყო.

ემიგრანტები.

რაც შეეხება ემიგრანტებს, თუმცა ჩამორთმეული ქონება მათ აღარ დაუბრუნეს, მაგრამ შეწყვეტილ იქმნა მათი დევნა, და მსურველებმა საფრანგეთში დაბრუნების ნებართვა მიიღეს. მრავალი ლტოლვილი დაუბრუნდა სამშობლოს იმ იმედით, რომ იქ ისევ შესძლებდენ თავისი მდგომარეობის გამოკეთებას; და მართლაც, თუმცა მამულები ველარ დაიბრუნეს, მაგრამ სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე ბევრმა მათგანმა კვლავ კეთილდღეობასა და მნიშვნელობას მიაღწია.

ომი ავსტრიის წინააღმდეგ.

ბონაპარტემ სწრაფად აღადგინა საფრანგეთის სამხედრო ძლიერება, რომელიც სუვოროვის გამარჯვებებმა შეარყია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1800 წ. ის პირადად ჩაუდგა სათავეში არმიას, რომელსაც იტალიაში უნდა ემოქმედნა, გადალახა ალპები და **მორენგოსთან** სასტიკად დაამარცხა ავსტრიელები. ამავე დროს ავსტრიის არმია გერმანიაშიც დამარცხდა (ჰოჰენლინდენთან); იმპერატორი ფრანცი იძულებული შეიქმნა, ზავი ეთხოვა (**ლიუნევილის ზავი**), რომლის ძალითაც რეინის მარცხენა ნაპირი საბოლოოდ იქმნა ცნობილი საფრანგეთის საკუთრებად, ხოლო იტალიაშიც ის მდგომარეობა იქმნა აღდგენილი, რომელიც იქ სუვოროვის ლაშქრობამდე არსებობდა. ამ ზავმა არაპირდაპირი გავლენა იქონია გერმანიის შინაურ ცხოვრებაზედაც: მთელი რიგი წვრილი სამთავროებისა და თავისუფალი ქალაქებისა, რომელნიც წინად სუვერენული უფლებით სარგებლობდენ, უფრო მსხვილ სახელმწიფოებს დაემქვემდებარენ, რომელთაგანაც ნაპოლეონმა ე. წ. **რეინის კავშირი** შეჰქმნა. ფეოდალური ხანიდან ნაანდერძევი „**რომის საღვთო იმპერია გერმანიის ერისა**“ დაიშალა, და იმპერატორმა ფრანცმა თავისი თავი **ავსტრიის** იმპერატორად გამოაცხადა (1804). ამგვარად, ნაპოლეონის ზეგავლენით ისპობოდა ის უკანასკნელი ნაშთი, რომელიც ფეოდალიზმს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰქონდა დაცული.

იმპერიის დაარსება.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ბონაპარტემ ახალი ტიტული მიიღო, რომელიც მისს ნამდვილ მდგომარეობას სავსებით შეეფერებოდა. 1802 წელს, თანახმად 3,500,000 მოქალაქის თანხმობისა, მან თავი **იმპერატორ** ნაპოლეონ პირველად გამოაცხადა. ახალი იმპერატორი თვით პაპიმ პიუს VII აკურთხა. ამით, რა თქმა უნდა, საფრანგეთში არაფერი არ შეცვლილა: მოისპო მხოლოდ **ტრიბუნატი**, რომელმაც თავისი კრიტიკით ნაპოლეონს თავი მოაბეზრა.

ახალი მხოლოდ ის იყო, რომ იმპერატორმა საიმპერატორო ტრადიციული კარი შეჰქმნა, შემოიღო ამა თუ იმ დარგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წარჩინებისათვის **საპატიო ლეგიონის ორდენი**; გრაფობა, ბარონობა, ჰერცოგობა და თავადობა დაურიგა ყველას, ვინც ჯარში და ადმინისტრაციაში განსაკუთრებულ წარმატებას იჩენდა, აღადგინა **მარშლობა**, და ამ სახით ახალი **არისტოკრატია** შეჰქმნა, რომლის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ იგი შთამომავლობას კი არა, პიროდ წარმატებისა და იმპერატორის მოწყალებას ემყარებოდა. ყველა ხედავდა, რომ წარჩინების კარები ყველასათვის ღია იყო, ვინც საკმაო ნიჭსა და ენერგიას გამოიჩენდა. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ხალხს აკტივობას ულვიძებდა და ენერგიას უასკეცებდა.

1805 – 09 წლ. ომები.

რაკი ავსტრიასთან ლაჟუნევილის ზავით საქმე გათავებულად მიაჩნდა, ნაპოლეონმა ეხლა ზრუნვა დაიწყო, რათა ინგლისს გასწორებოდა. ნაპოლეონის „დიდი არმია“ უკვე ინგლისში გადასასვლელად ემზადებოდა, რომ პიტმა მის წინააღმდეგ ხელახლა კოალიციის მოწყობა მოახერხა, რომელსაც კვლავ ავსტრია და რუსეთი მიეკედლენ (1805). იმპერატორი იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები აღმოსავლეთისაკენ გაეგზავნა. სწორედ ამ დროს მას დიდი უბედურება ეწვია: მისი ფლოტი, რომლის შექმნაზეც ფრანგებმა დიდი შრომა გასწიეს, ტრაფალგერთან ინგლისელმა ადმირალმა **ნელსონმა** გაანადგურა.

ამ გარემოებას ორი დიდი შედეგი მოჰყვა თან: პირველი ინგლისელთა ზღვაზე გაბატონების უზრუნველყოფა იყო, ხოლო მეორე—განთავისუფლება ინგლისისა ფრანგთა დესანტის საშიშროებისაგან. სამაგიეროდ მატერიკზე კოალიციის საქმე ცუდად წავიდა. ნაპოლეონმა ავსტრიის ჯარს შემოუარა, რომელმაც წინააღმდეგობა გამოიჩინა და ბავარიაში შორს შეიჭრა, და აიძულა იგი, დანებებულიყო, ხოლო მოკავშირეთა მთავარ ძალებს, რომელთაც ორივე იმპერატორი, ალექსანდრე და ფრანცი ახლდენ თან, **აუსტერლიცთან** შეხვდა და ენერგიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიმის შემდეგ სასტიკად დაამარცხა. ავსტრიამ კვლავ ქედი მოიხარა და ნაპოლეონს ზავით შეეკრა. მაგრამ კოალიციაში მის მაგიერ პრუსია შევიდა, რომელიც მანამდე განზე იდგა, და ნაპოლეონს ომი გამოუცხადა (1806). პრუსიის არმიის ამაყმა ბელადებმა რუსების მოსვლას არ დაუცადეს და ფრანგებს ისე დაუწყეს ბრძოლა. მაგრამ **იენასთან** პრუსიელებმა ისეთი სასტიკი დამარცხება იგემეს, რომ ნაპოლეონი **ბერლინში** შევიდა, ხოლო პრუსიის მეფემ **ფრიდრის ვილჰელმ** მე-III თავისი არმიის მცირე ნაშთებით რუსეთის ჯარის მფარველობას შეაფარა თავი. ბრძოლა რუსის ჯართან პირველად **პრეისიშ-ეილაუსთან** მოხდა; ხოლო მეორედ **ფრიდლანდთან**. შედეგი ის იყო, რომ ნაპოლეონმა ალექსანდრე I აიძულა, ზავზე დათანხმებულიყო. საზავო ხელშეკრულება **ტილზიტში** დაიდო. საფრანგეთის იმპერატორი არაჩვეულებრივის თავაზიანობით და სიფრთხილით მოეპყრა რუსეთის მეფეს, შესთავაზა მეგობრობა და დახმარება, თვალ წინ გადაუშალა გეგმა ევროპის საქმეებზე რუსეთისა და საფრანგეთის გავლენის შესახებ, რაც რომის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილების ურთიერთ დამოკიდებულებას მოგვაგონებდა, და ცდილობდა დაეთანხმებია იგი, შვეციისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ძალებით მოქმედება დაეწყოთ. სამაგიეროდ ზავის პირობები ზოგი მხრივ მაინც საზიანო იყო რუსეთისათვის: ჯერ ერთი, პოლონეთის იმ მიწა-წყალზე, რომელიც პირველისა და მეორე განაწილების შემდეგ პრუსიას ეკუთვნოდა, ახალი სახელმწიფო, **ვარშავის დიდი სიჰერცოგო** უნდა შექმნილიყო: ეს კი რუსეთის პოლონელებისათვის მუდამ საბოლოო განთავისუფლების შესაძლებლობის იმედის აღმძვრელი იქნებოდა და იმავე დროს რუსეთის წინააღმდეგ მომართულს ფრანგების ავანპოსტს შეადგენდა. ამას გარდა პრუსიის მიწები რეინსა და ელბასს შორის **ვესტფალიის** სამეფოში უნდა შესულიყვნენ, რომელიც ნაპოლეონის გავლენას ემორჩილებოდა.

ამ ზავის შემდეგ ნაპოლეონის სრულ ბატონობას დასავლეთ ევროპაში ხელს აღარაფერი აღარ უშლიდა. გარდა ცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრალური ევროპისა ისეთი ქვეყნებიც ნაპოლეონის გავლენის სფეროში მოექცენ. როგორც შვეცია, დანია, ისპანია, პორტუგალია და ხმელთა შუა ზღვის დასავლეთი კუნძულები. ავსტრიამ კიდევ ერთხელ სცადა ნაპოლეონის ძლიერების დამხობა, მაგრამ ამაოდ. 1890 წელს **ვაგრამთან** დამარცხებამ საბოლოოდ აიძულა იგი, ნაპოლეონის წინაშე კვლავ ქედი მოეხარა.

ფრანგებს სიამაყოთ შეეძლოთ ეთქვათ, რომ იმდენი გამარჯვება, რამდენიც მათს რესპუბლიკანურსა და საიმპერატორო არმიებს ჰხვდათ წილად, კეისრის შემდეგ ისტორიას არ ახსოვდა. ევროპის ძველ სახელმწიფოებთან შეტაკებების დროს საფრანგეთი სრულიად ახალ ძალას ეყრდნობოდა; ეს იყო ძლევამოსილი სული **დარაზმული დემოკრატიისა**: თავისი შემადგენლობით საფრანგეთის ჯარებს ძველი წესწყობილების არისტოკრატიულ არმიებთან, რომლის იდეალსაც ფრიდრიხ დიდის არმია შეადგენდა, საერთო არაფერი არა ჰქონიათ; ამ უკანასკნელის შემადგენლობას ავსებდენ ყმები, სამოქალაქო ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი ხალხი, უცხოელები და სხვა ამგვარი, და მათგან სასტიკი დისციპლინის წყალობით სდგებოდა განსაკუთრებული ჯარის კაცთა კლასი, რომელსაც აზნაური ოფიცრები მართავდენ. საფრანგეთის რევოლიუციამ, პირიქით, საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი არმიაში, და უფროსობისაკენ ყველა მდგომარეობის ხალხს გაუხსნა გზა. უბრალო მიკიტნების, მეწვრილმანეებისა და ლაქიების შვილები მარშლობას, ჰერცოგობას და ზოგჯერ მეფობასაც კი აღწევდენ; უმნიშვნელო კორსიკანელი ვექილის შვილი იმპერატორადა და მეფეთა მბრძანებლად შეექმნა. პირველი რესპუბლიკანური ჯარების ნაკლი, უწესრიგობა და დისციპლინის სისუსტე, ჩქარა გასწორდა, მაგრამ მოძრაობა და აღფრთოვანება ისევ ძველებური დარჩა. საფრანგეთის სამხედრო ძალის ძირითა დიხასიათის თანახმად მისი თავისებური ტაქტიკაც მოეწყო, რომელიც **დიდი ძალების შეთანამგებულსა** და **სწრაფ მოქმედებაზე** იყო **დამყა-**

რებული. ნაპოლეონი ასეთი ჯარებისათვის სწორედ შესაფერისი სარდალი იყო: დიდი ძალებით მასზე უკეთ არავის არ შეეძლო სარგებლობა.

ომების შედეგი.

1805—1809 წლის ომების წყალობით ევროპის რუკა ერთიანად გამოიცვალა. თვით საფრანგეთი შორს გასცილდა თავის ბუნებრივ საზღვრებს, რომლებადაც რეინი და ალპები ითვლებოდენ. ბელგიისა და რეინის მარცხენა ნაპირის გერმანულ ადგილებს გარდა, მას ზედიზედ სავოია და პიემონტი, ტოსკანა და პაპის ოლქი, ჰოლანდია და ზღვის ნაპირის გერმანია ელბამდე შეუერთდენ, და 1790 წ. დაარსებული 83 დეპარტამენტის მაგიერ, საფრანგეთი ეხლა 130-საგან შესდგებოდა.

მართალია, ლომბარდიისა და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებიდან შექმნილ იქმნა ცალკე იტალიის სამეფო, მაგრამ მის მეფედ ნაპოლეონმა თავისი თავი გამოაცხადა, ხოლო მმართველად თავისი გერი, **ევგენი ბოგარნე** დანიშნა. სამხრეთი იტალია, სიცილიის გარდა, სადაც ინგლისელების დახმარებით ბურბონებმა მოახერხეს დარჩენა, ნეაპოლიტანის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, მის მეფედ ჯერ ნაპოლეონის ძმა, **იოსებ ბონაპარტე** იყო, შემდეგ კი მარშალი **მჟურატი. შვეიცარია** ვასალურ რესპუბლიკად დარჩა. **ილირიის** პროვინციები (ისტრია და დალმაცია) მარშალ **მარმონის** მმართველობაში იყო. გერმანიაში ნაპოლეონის ძმის, **იერონიმისათვის** ვესტფალიის სამეფო იქმნა გამოჭრილი; მასში ჰანოვერის, ელბის იქითა მხარისა და რეინის მხრის პრუსიის სამფლობელოების ნაწილი შედიოდა. გერმანული სახელმწიფოების რიცხვი შემცირდა, და მათი შემადგენლობა გამარტივდა. ნაპოლეონი განსაკუთრებულ მფარველობას ბავარიას, ვიურტემბერგსა და საქსონიას უწევდა და მათს მმართველებს მეფის ღირსება უბოძა; მათ გარდა ნაპოლეონმა გერმანელ მთავართა შორის სხვა მომხრეებიც იშოვნა და ყველა ისინი **რეინის კავში-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სახით შეაერთა და ამგვარად ავსტრიასა და პრუსიას დაუპირისპირა. აღმოსავლეთში ფრანგების ფორპოსტად **ვარშავის დიდი საჰეცოგო** იყო, რომლის გვირგვინიც საქსონიის მეფეს მიეცა. დასასრულ, მარშლებს პორტუგალიისა და ისპანიის დაკავება ებრძანათ, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი 1795 წლიდან საფრანგეთის ერთგულ მოკავშირეებად ითვლებოდა. იოსებ ბონაპარტე ნეაპოლიტანის სამეფო ტახტიდან ისპანიისაზე იქმნა გადაყვანილი, ნეაპოლიტანის მეფედ კი ნაპოლეონმა მჯურატი განაწესა.

საფრანგეთის ევროპაში გაბატონებას ერთი კარგი მხარე ჰქონდა: **რევოლიუციით შექმნილი სამოქალაქო წყობილება თითქმის მთელ ევროპაში გავრცელდა.** სადაც კი გაჩნდებოდენ საფრანგეთის ჯარები, ბატონყმობა, ფეოდალური პრივილეგიები და დახავსებული ძველი კანონები ყველგან ისპობოდა, და მის მაგიერ სინდისის თავისუფლება, ნაპოლეონის კოდექსი და ფრანგული ბიუროკრატიული სისტემა მყარდებოდა. ამგვარი ძირითადი გადატრიალება მარტო ისეთ ქვეყნებში კი არ ხდებოდა, რომელნიც პირდაპირ საფრანგეთთან იყვნენ შეერთდენ, არამედ იქაც, სადაც, თუმცა პოლიტიკური დამოუკიდებლობა არსებობდა, მაგრამ საფრანგეთის გავლენა მაინც დიდი იყო, როგორც მაგალ. ბავარიაში ან საქსონიაში.

რეფორმები პრუსიაში.

პრუსიაში, რომელიც ნაპოლეონმა ერთის ხელის დაკვრით დაანგრია, **თავისებური რეფორმები** განხორციელდა. იმ დროს, როდესაც ქვეყანა უდიდეს ნაციონალურ უბედურებას და სირცხვილს განიცდიდა, საზოგადოებაში აღმოჩნდენ ძალები, რომლებმაც სამშობლოს ზნეობრივსა და პოლიტიკურ აღორძინებას ნიადაგი მოუმზადეს. სამოქალაქო რეფორმატორად პრუსიას მინისტრი, **შტეინი** მოევლინა, ორიგინალური გონებისა და შეუდრეკელი ენერგიის ადამიანი, რომელიც საფრანგეთის წესწყობილების უპირატესობას ნათლად ხედავდა, მაგრამ ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მის ნაკლსაც ამჩნევდა. მან თავის საშობლოში ბატონყმობა გააუქმა და აზნაურებს უმართებულოდ მისაკუთრებული პრივილეგიები ჩამოართვა, მაგრამ მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა მაინც ხელუხლებელი დასტოვა. მისი შეხედულებით, საზოგადოებისათვის მარტო დემოკრატიული გათანასწორება როდი იყო საკმარისი; აუცილებელი იყო აგრეთვე საზოგადოებაში დამოუკიდებლობის შეგნების შეტანა და საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღების შეჩკევა; წმინდა ბიუროკრატიული მართველობა მას ყოველთვის მავნებლად მიაჩნდა, რადგანაც ეს უკანასკნელი ხალხს უბრალო მექანიურ მორჩილებას აჩვევდა და თვითმოქმედების განვითარებას ხელს უშლიდა. შტეინს ფართო თვითმართველობის განვითარების პროგრამა ჰქონდა მიზნად დასახული, მაგრამ მან მხოლოდ სამოქალაქო კანონების გამოცემა მოასწრო და ამით საფუძველი მაინც ჩაუყარა იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც იგი ესწრაფოდა. ნაპოლეონმა შეამჩნია, რომ პრუსიაში ახალი დამოუკიდებელი ცხოვრება იწყებოდა, და შტეინის გადაყენება მოითხოვა. შემდეგმა მინისტრმა **ჰარდენბერგმა** დემოკრატიული თანასწორობისა და ინდივიდუალიზმისაკენ მიმართული რეფორმების განხორციელება განაგრძო: გაუქმა ამქრები, საშუალება მისცა გლეხებს, მორიგებოდენ მემამულეებს და მიწის ერთი მესამედის დათმობით ორი მესამედი მაინც თავის საკუთრებად ექციათ.

შტეინისა და ჰარდენბერგის გვერდით სამხედრო ორგანიზაციის შექმნაზე **შარნჰორსტი** ზრუნავდა. ტილზიტის ხელშეკრულობით პრუსიას თოფ ქვეშ მხოლოდ 42.000 ჯარის კაცის ყოლა შეეძლო. ახალი სამხედრო სისტემის შესაქმნელად მან სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა. ამ სისტემას მან საფუძვლად ორი პრინციპი დაუდვა: **საყოველთაო სამხედრო ბეგარა და სათადარიგო ნაწილების შექმნა.** პრუსიის მთელს ჯანმრთელ ახალგაზრდობას სამხედრო ბეგარა უნდა მოეხადა, მაგრამ, რადგანაც რეგულიარულ არმიაში მხოლოდ 42.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ეს არმია ხალხის სამხედრო გაწრთვნის სკოლად უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ნამდვილ ჯარად: მოკლე ვადის სამსახურის შემდეგ ჯარისკაცი ისევ სამოქალაქო ცხოვრებას უბრუნდებოდა, მაგრამ სათადარიგოდ ითვლებოდა და ომის დროს ისევ იარაღისთვის უნდა მოეკიდა ხელი. უფროსი ჰასაკისანი **ლანდვერში** ე. ი. სათადარიგო ჯარში, და **ლანდშტურმში**, ე. ი. მილიციაში ირიცხებოდენ. ამით ფაქტიურად პრუსიის ჯარი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი გამოდიოდა, ვიდრე ამას ტილზიტის საზავო პირობები გულისხმობდენ.

ადმინისტრაციის, უფლებისა და ჯარის გარდაქმნის დროს არც სახალხო განათლების საქმე დავიწყებიათ. ვილჰელმ ჰუმბოლტმა **ბერლინში უნივერსიტეტი** დააარსა, რომელმაც იმ თავითვე გერმანიის ყველა საუკეთესო საჰეცნიერო ძალა მიიზიდა.

დამორჩილებული ქვეყნების მდგომარეობა.

იმ ქვეყნებში, სადაც ფრანგები ბატონობდენ, ცხოველმყოფელ რეფორმებს იმის ანაზღაურება მაინც არ შეეძლოთ, რაც დაუსრულებელ ომებს მოჰყვა შედეგად: კონტრიბუციებს, ზედმეტ გადასახადებს, დამცირებასა და ძალდატანებას, უფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შეურაცხყოფას, რომელსაც დამარცხებულები გამარჯვებულთაგან ითმენდენ, ამას ნაპოლეონი ვერცერთი რეფორმით ვერ გამოისყიდიდა.

თუ როგორი სული ტრიალებდა დამორჩილებულ ქვეყნებში, ამას ნათლად ვესტფალიის მეფის, იერონიმ ს მოხსენებიდან ვტყობილობთ; აი რას სწერდა იგი თავის ძმას გერმანიის მდგომარეობის შესახებ: „ომი რომ დაიწყოს, რეინსა და ოდერს შუა მდებარე ადგილებს მყის აჯანყება მოიცავს. ამ საშიში მოძრაობის მიზეზი მარტო ფრანგებისა და უცხოელების ბატონობისადმი სიძულვილით როდი აიხსნება; კიდეკ უფრო მეტი მნიშვნელობა საზოგადოების ყველა კლასის გაღატაკებას აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადების აუტანელი სიმძიმის, სამხედრო კონტრიბუციების, ჯარის შენახვის, მეომრების ჩაყენებისა და ყოველგვარი შევიწროვების გამო, რაც აქ ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარა. ჩემი სამეფოს უმთავრეს ქალაქებში სახლის პატრონები თავიანთ სახლებს სტოვებენ... სიღატაკე ყველგან სტანჯავს ოჯახებს: აზნაური, გლეხი, მოქალაქე გაჭყლეტილია ვალებით და გაჭირვებით. უნდა გვეშინოდეს ხალხის სასოწარკვეთილების, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი აქვს, ვინაიდან მას ყველაფერი წაართვეს.“

ნაპოლეონს ვერ შეეგნო მდგომარეობის სერიოზულობა. ის დაჯილდოვებული იყო გონების არაჩვეულებრივი ძალით: მისი აზრი ერთი წუთითაც არ სწყვეტდა მუშაობას და მაშინაც კი სიმტკიცესა და გარკვეულობას ინარჩუნებდა, როდესაც მისი თანაშემწენი დალალულობისაგან სულს ღაფავდენ: მისი მსჯელობა არას დროს არ იყო დამოკიდებული უფერულ ფრაზებსა და განყენებულ ცნებებზე, მას ყოველთვის სინამდვილის ალღოს აღება ეხერხებოდა. მაგრამ ამ არაჩვეულებრივ კაცს ერთი დიდი ნაკლი მაინც ჰქონდა: დაუდგრომელი ფანტაზია, რომელსაც იგი ხშირად შეცდომაში შეჰყავდა, და ამას გარდა სრული უყურადღებობა **იდეალური მოტივების** სიძლიერისადმი, რომლისაც მას არაფერი არ სწამდა. ვინც ამ მის შეხედულებას არ იზიარებდა, მას იგი „იდეოლოგად“ და „ფრაზიორად“ ნათლავდა და დასცინოდა. ის ოდესღაც თვითონ იყო რევოლიუციონერი, მაგრამ არ სჯეროდა, რომ რევოლიუციონერები როდისმე მართლა თავისუფლების იდეით ყოფილიყვნენ გატაცებულნი. „თქვენ თვითონ არ გესმოდათ თქვენი წადილები“-ო, ეუბნებოდა ერთს მათგანს: „თქვენც ხომ იმგვარადვე ხართ შექმნილნი, როგორც სხვები, პირადი ინტერესი თავს ყველგან იჩენს“-ო. ასევე გაუგებარი იყო მისთვის სარწმუნოებრივი გატაცებაც და პატრიოტიზმიც. როგორც უკიდურესი ეგოიზმის წარმომადგენელს, მსოფლიოს ცხოვრება მას საყოველთაო ბრძოლის ასპარეზად ჰქონდა წარმოდგენილი, და ამიტომ იყო, რომ მას არც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვება არ აკმაყოფილებდა, სანამ თავის გვერდით დამოუკიდებელს კიდევ ვისმე ხედავდა. ასეთი ადამიანის დაკმაყოფილება მარტო მსოფლიო ბატონობას შეეძლო; და აკი დაისახა კიდეც ნაპოლეონმა ასეთი მიზანი!

მაგრამ ნაპოლეონს მალე მიეცა შემთხვევა დარწმუნებულიყო, რომ ნივთიერი ძლიერება ხშირად იძულებული ხდება, ზნეობრივი ძალის წინაშე ქედი მოიხაროს. ნაპოლეონის მიზანი იყო, ეკლესიაც თავისი მართველობის ერთერთ დარგად გაეხადა; მაგრამ აქ მას პაპის პიუს VII სახით დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობა; თუმცა ეს უკანასკნელი მეორე ხარისხოვან საკითხებში დათმობის გზას ადგა, მაგრამ იგი არასგზით არ თანხმდებოდა, ეკლესია საფრანგეთში ერთერთ საადმინისტრაციო დარგად გადაქცეულიყო. ნაპოლეონმა ყოველგვარს ძალდატანებითს საშუალებას მიმართა პაპის წინააღმდეგ: წაართვა მას საერო სამფლობელოები, დაატყვევა კიდეც იგი, მაგრამ მისი იარაღი უძლური გამოდგა უიარაღო მოხუცის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ უკანასკნელს **იდეალური მოტივები** ამოძრავებდა, რომელიც ნივთიერი ძალისთვის მიუდგომელი აღმოჩნდა.

მეორე ასეთივე შემთხვევა ნაპოლეონს ესპანიამა და პორტუგალიამ მისცა ე. ი. სწორედ იმ ქვეყნებმა, რომელნიც ფიზიკური ძლიერების მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩენილად ითვლებოდენ. პორტუგალიის დამოუკიდებელი არსებობა არ იყო ნაპოლეონისათვის ხელსაყრელი, რადგანაც მას ინგლისთან შუდამ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა; ამიტომ ეს ქვეყანა საფრანგეთის ჯარების მიერ იქმნა დაკავებული. ესპანია თუმცა ყოველთვის საფრანგეთის ერთგული მოკავშირე იყო, მაგრამ, იქნებ სწორედ ამიტომ, ნაპოლეონმა მისი სრული დაკავება სცნო საჭიროდ. **ლესაბონი** და **მადრიდი** მალე დაიპყრო. მაგრამ ფრანგებს სწორედ ამის შემდეგ გაურთულდათ საქმე. ორივე ქვეყანაში უეცრად ეროვნულმა გრძნობამ იჩინა თავი.

მცხოვრებლებმა პარტიზანული ომი გააჩაღეს და მტერს ერთ წუთსაც მოსვენებას არ აძლევდენ: ნაპოლეონს ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურმის, ყოველი საფოსტო სადგურის დაცვა უხდებოდა, და სადაც კი შესაძლო იყო—მთის ხეობებსა და გამაგრებულ ქალაქებში—ისპანელები თავის მტერს ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ; გმირული თავდაცვით განსაკუთრებით **სარაგოსამ** გაითქვა სახელი: მხოლოდ ხანგრძლივი ალყისა და ქუჩებში გამართული სისხლის ღვრის შემდეგ შესძლეს ფრანგებმა ამ ქალაქის დაკავება, მაგრამ ქალაქი უკვე მარტო ნანგრევებს წარმოადგენდა.

პორტუგალიასა და ისპანიას დახმარება ინგლისმა აღმოუჩინა. მართალია, მას არ ჰქონდა შეძლება, ნაპოლეონის წინააღმდეგ დიდი ძალები გაეგზავნა; მაგრამ იმ რამდენიმე დივიზიამაც, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულზე ლორდ **უელინგტონის** უფროსობით იქმნა გაგზავნილი, ფრანგებს დიდი ზიანი მიაყენა. ნაპოლეონმა ერთხელ პირადადაც გაილაშქრა ისპანიის წინააღმდეგ, მაგრამ პარტიზანული ომი მის სულს არ ეგუებოდა, და ამიტომ აქ ომის წარმოება თავის მარშლებს მიანდო. ინგლისელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს საფრანგეთის ჯარები, ასე რომ საქმე ცნობილმა **მასენამაც** ვერ გამოაკეთა. აღნიშნულ დაბრკოლებათა გარდა ნაპოლეონის ჯარის მარცხი მითაც აიხსნება, რომ უფროსებს შორის ინტრიგებმა იჩინეს თავი; მათ თითქოს მოსწყინდათო ამდენი გამარჯვება და ბრძოლის დროს წინანდელ ენერგიასა და სიმხნეევეს ვეღარ იჩენდენ.

კონტინენტალური ბლოკადა.

ისპანიაში ნაპოლეონს მარცხი მოუვიდა; ეს გარემოება მას მით უფრო აბრაზებდა, რომ ამის მიზეზად ინგლისელებს თვლიდა და მათთვის მას ჯერ კიდევ სამაგიერო ვერ ეზღო, ვინაიდან იგინი მიუვალ კუნძულებზე ცხოვრობდენ. მაგრამ მან ჯერ კიდევ ტილზიტის ხავის დროს გამონახა საშუალება ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად, და ეს **ე. წ. კონტინენტალური ბლოკადა** იყო: მან დახურა ევროპის მატერიკის ყველა ნავსადგური ინგლისის გემებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკად აკრძალა ინგლისის საქონლის ყიდვა და გამოაცხადა, რომ ყველა ის გემი, რომელიც ინგლისის ნავთსადგურში შევიდოდა, პატრონს უთუოდ ჩამოერთმეოდა. ამ ბლოკადის მიზანს ინგლისის ვაჭრობის მოსპობა შეადგენდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ მთელი კუნძულის კეთილდღეობა სწორედ ვაჭრობაზე იყო დამყარებული. მაგრამ ეს ზომაც დამარცხებით დამთავრდა. პირველ ყოვლისა ინგლისის ვაჭრობა არც ისე ძლიერად დაზარალებულა, როგორც იმპერატორს ეგონა. იმას გარდა, რომ ძლიერ განვითარდა კოლონიალური საქონლის კონტრაბანდად შემოზიდვა, რის გვერდის ახვევაც შეუძლებელი შეიქმნა, ინგლისელებმა კონტინენტზე ვაჭრობის შემცირება ახალშენებით აინაზღაურეს, რომელთა რიცხვიც საფრანგეთისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების ხარჯზე კიდევ უფრო გაამრავლეს. ზღვაზე ბატონობით ინგლისელებმა სრულებით ჩაჭკლეს ჰოლანდიელებისა და ფრანგების ვაჭრობა, რომელიც წინად ძლიერ კონკურენციას უწევდა მათ. ამას გარდა, ბლოკადამ თვითონ **ევროპის მატერიკზე** აუტანელი მდგომარეობა შეჰქმნა. ნაპოლეონი ცდილობდა, რაც შეიძლება სასტიკად გაეტარებია იგი ცხოვრებაში; ამისათვის მან საჭიროდ დაინახა ჩრდილოეთის ზღვის გერმანიის სანაპიროს მითვისება, ჰოლანდიის დაკავება, ნავთსადგურებში თავისი მცველების ჩაყენება, სახლების ჩხრეკა და კონფისკაციები. ბოლოს მან მოითხოვა ევროპის ყველა სახელმწიფოსაგან, რომ იგინი ბლოკადას უთუოდ მიკედლებოდნენ.

1812 წლის ომი.

ამგვარ პოლიტიკას არ შეეძლო ადრე თუ გვიან წინააღმდეგობა არ გამოეწვია. იმპერატორმა ალექსანდრემ რამდენიმედ ისარგებლა მოქმედების იმ თავისუფლებით, რომელიც მას აღმოსავლეთში ნაპოლეონმა მიანიჭა: დაიკავა ფინლანდია და ოსმალეთს ბესარაბია წაართვა. ნაპოლეონისადმი მისი განწყობილება კი თანდათან არამეგობრულ ხასიათს ღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა. კონტინენტალური ბლოკადა რუსეთს იმ მთავარ ბაზარს აშორებდა, სადაც იგი თავის ნედლ მასალას ასაღებდა; ამავე დროს, ნებსით თუ უნებლიეთ, ნაპოლეონი ალექსანდრეს ნათესავურ ურთიერთობასაც შეურაცხყოფას აყენებდა: ასეთი შეურაცყოფა იყო მაგალ. **ოლდენბურგის** საფრანგეთთან შეერთება, ვინაიდან იგი ალექსანდრეს მახლობელ ნათესავს ეკუთვნოდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რუსეთი ნაპოლეონის ბატონობას დასავლეთ ევროპაში დიდი ხნით მაინც ვერ შეურიგდებოდა, მით უმეტეს, რომ იგი პოლონეთის აღდგენით პირდაპირ რუსეთს ემუქრებოდა და, უეჭველია, მხოლოდ დროს უცდიდა, რათა უკანასკნელს თავს დასხმოდა. ომის აუცილებლობას ორივე მხარე გრძნობდა, და ამიტომაც ორივე ცხარედ ემზადებოდა მისთვის.

ხანგრძლივი მზადების შემდეგ, დაბოლოს, 1812 წელს ნაპოლეონმა დიდი ძალებით რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა. მისი არმიის ცენტრი, რომელიც თვით მას ეჭვემდებარებოდა, ფრანგების, იტალიელების, პოლონელების და ფრანგთა ქვეშევრდომ გერმანელ ჯარის კაცებისაგან შესდგებოდა. პეტერბურგისკენ მიმართული მარცხენა გვერდის არმიისათვის პრუსიელებს უნდა დაეჭირათ მხარი; მარჯვენა გვერდით უკრაინაში ავსტრიელების კორპუსს უნდა ემოქმედნა. ნაპოლეონის მთელს არმიას, რომელმაც საზღვრები გადმოლახა, 600,000 კაცი შეადგენდა; მის წინააღმდეგ რუსეთს მხოლოდ 200,000 კაცის გაყვანა შეეძლო, და ამიტომ ნაპოლეონს გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. მაგრამ მას მხედველობაში არ მიუღია, რომ ჯარის გარდა ფრანგებს ბრძოლა რუსეთის ხალხისა და რუსეთის ბუნების წინააღმდეგაც მოუხდებოდათ. კომპანიის გეგმა რუსებს თვითონ ძალთა უთანასწორობამ და გეოგრაფიულმა პირობებმა უკარნახეს.

ბარკლაი-დე-ტოლის არმია უკან იხევდა, სმოლენსკთან ბაგრატიონს (ქართველი თავადიშვილი) შეუერთდა და მტერს სასტიკი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მაინც უკან დახევა განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი და ჯარისკაცები დაჟინებით გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას მოითხოვდენ, და კუტუზოვმა, რომელმაც არმიის უფროსობა მიიღო, **ბოროდინოსთან** მტერს მოსკოვისკენ მიმავალი გზა გადაუჭრა. ბოროდინოსთან გამართული ბრძოლა სისხლის ღვრით ნაპოლეონის ყველა ბრძოლებს აღემატებოდა; აქ მონაწილეობას იღებდა 130,000 ფრანგი და 80,000 რუსი, ბრძოლის ველზე 80,000 კაცამდე იქმნა მოკლული და დაჭრილი (ორივე მხრით თითქმის თანასწორი რიცხვი). უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად ფრანგებმა მხოლოდ მოწინავე პოზიციების დაკავება მოახერხეს; მეორე დღისათვის ფრანგები ბრძოლის გასაახლებლად მზად იყვნენ, მაგრამ კუტუზოვმა სიფრთხილისა გამო მოსკოვისკენ დახევა არჩია. როდესაც ნაპოლეონი მოსკოვში შედიოდა, ის დარწმუნებული იყო, რომ ომი დამთავრებული იყო, და დამარცხებულთაგან მორჩილების გამოცხადებას ელოდა.

ამის მაგიერ რუსეთის დედა ქალაქი მას თითქმის დაცარიელებული და გადამწვარი დახვდა. იქ არც სურსათ-საზოვაგე და არც სხვა რამ მოიპოვებოდა, რაც მისთვის ასე საჭირო იყო. ცეცხლისაგან განადგურებულ მოსკოვში დიდი ხნით დარჩენა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. ოქტომბრის თვეში ფრანგებმა უკვე მიატოვეს მოსკოვი.

ნაპოლეონმა უკან დაბრუნება **კალუგით** სცადა, მაგრამ **ტარუტინთან** და **მალოიაროსლავეცთან** რუსებმა მისი კორპუსები დაამარცხეს, და ისიც იძულებული შეიქმნა დარბეულ-განადგურებული სმოლენსკის გზით დაბრუნებულიყო.

კუტუზოვი ფეხ-და-ფეხ მისდევდა ლტოლვილ მტერს; გზაში გლეხებისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმები მას საქმეს უჭირვებდენ; რუსეთის მკაცრი ბუნებისაგან (ცივი ზამთარი) დამარცხებული ფრანგების დიდი არმიის უკან დახევა უთავბოლო ლტოლვად გადაიქცა, წყობა მოიშალა, დისციპლინა გაჭრა, და მხოლოდ თვითონ რუსების სისუსტე ღა შველოდა მას და საბოლოო განადგურებისაგან იხსნიდა. მდ. **ბერე-**

ზინაზე გადასვლის დროს რუსების არტილერიამ ხიდები ჩაანგრია, და ფრანგები მდინარეში ათასობით დაიღუპნენ. „დიდი არმიის“ მხოლოდ ნამსხვრევებმალა მიაღწია საზღვარს.

ნაპოლეონის უკანასკნელი ომები.

ნაპოლეონმა არმიის გადარჩენილი ნაწილები ლიტვაში მიატოვა, ხოლო თვითონ საფრანგეთისაკენ გაეშურა ახალი სამხედრო ძალის შესაქმნელად. დარუნდა თუ არა სამშობლოში, ნაპოლეონმა სწრაფად გაიწვია ჯარში ყველა ახალგაზრდა 16 წლიდან დაწყებული, თავი მოუყარა გერმანიის სხვადასხვა ადგილებში ჩაყენებულს საგარნიზონო ნაწილებს, შეუერთა ისინი იმ კორპუსებს, რომელთაც პეტერბურგის წინააღმდეგ უნდა ემოქმედნათ, და ამგვარად კვლავ ახალი და ძლიერი სამხედრო ძალა შეჰქმნა, რომლითაც იგი მტრის დამარცხებას კიდევ შესძლებდა, რომ მდგომარეობა ერთ გარემოებას არ გაერთულებია: „დიდი არმიის“ დაღუპვამ დაპყრობილ ერებს განთავისუფლების იმედი აღუძრა, და ისინიც თანდათან რუსეთის მხარეზე გადავიდენ. რუსის ჯარს გერმანიაში ისე უცქეროდენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს; პრუსია პირველი ჩამოშორდა ნაპოლეონს; შემდეგ შვეციამ გამოგზავნა მაშველი რაზმები.

რუსეთის და პრუსიის გენერლები ვერ უმკლავდებოდენ თავის გენიოს მოწინააღმდეგეს; ისინი რამდენჯერმე დაამარცხა ნაპოლეონმა, მაგრამ სახალხო მოძრაობას მაინც თავისი გაჰქონდა და მოკავშირენი იმედს არ კარგავდენ; ბოლოს ნაპოლეონის მტრებს ავსტრიაც შეუერთდა. **დრეზდენთან** ნაპოლეონმა ერთხელ კიდევ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგეთა შეერთებული ძალები, მაგრამ ამის შემდეგ საქმე უკუღმა დატრიალდა. ნაპოლეონმა ლტოლვილი მტრების გზის გადასაჭრელად **ვანდამის** კორპუსი გაგზავნა, მაგრამ ის გზაში რუსების გვარდიას წააწყდა, და მთელი კორპუსი დატყვევებულ იქმნა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მოკავშირეები განადგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას ვერ ასცდებოდენ. ეხლა კი, დრეზდენის გამარჯვებით სარგებლობის მაგიერ, ნაპოლეონს ლეიპციგისაკენ დახევა დასჭირდა, სადაც გენერალური ბრძოლა მოხდა, რომელიც მთელს სამ დღეს გაგრძელდა. მოკავშირეებმა ისარგებლეს თავისი რიცხვის სიჭარბით და სრული გამარჯვებულნი დარჩენ. გაცხარებული ბრძოლის დროს, რომელსაც „ხალხთა ბრძოლა“ ეწოდა, საქსონიის ნაწილებმა ფრანგები მიატოვეს და მოკავშირეთ შეუერთდენ. ცოტა უფრო ადრე ასევე მოიქცენ ბავარელებიც.

ნაპოლეონი მაინც არ სთვლიდა საქმეს საბოლოოდ წაგებულად. მან ერთხელ კიდევ მოკრიბა ახალი ჯარი და საფრანგეთის საზღვრების დაცვას დიდი ენერგიით შეუდგა. არცერთს წინანდელ ბრძოლაში არ გამოუჩენია ამ არაჩვეულებრივის სამხედრო ნიჭის კაცს იმდენი მოხერხება და ხელოვნება, რამდენიც ეხლა გამოიჩინა; ძვირად უჯენდა იგი მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთ წინსვლას, ერთ ნაბიჯს მიწასაც არ უთმობდა მათ უბრძოლველად, მაგრამ მტერი მაინც წინ მიიწევდა და პარიზს უახლოვდებოდა. ნაპოლეონის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ საფრანგეთი განუწყვეტელი ომიანობის გამო ძალზე მოიქანცა; თითქმის აღარავინ დარჩა მოშფოფებული, რომ ომის ტვირთის ზიდვა შესძლებოდა; ახალგაზრდობა ვერ უძლებდა სამხედრო საქმეს და ავადმყოფობისაგან უფრო მეტი იყლიტებოდა, ვიდრე მტრის ტყვიისაგან.

პარიზის დაკემამ ნაპოლეონის ბედი საბოლოოდ გადასწყვიტა: იგი დამორჩილდა მტერს. დახელოვნებულმა დიპლომატმა ტალეირანმა კოალიციის უმთავრესი მონაწილის, ალექსანდრე I-ის გულის მოგება მოახერხა და საფრანგეთისთვის საპატიო ზავი შეჰკრა: საფრანგეთი 1792 წლის საზღვრებს უნდა დაბრუნებოდა, ასე რომ რევოლიუციონური ხანის პირველი ტერიტორიალური შენაძენი მასვე უნდა დარჩენოდა (ავინიონი, ალზასის რამდენიმე ოლქი და სავოიას ნაწილი). ნაპოლეონი იძულებული შეიქმნა, ტახტზე უარი განეცხადებია;

მას საცხოვრებლად ერთი პატარა კუნძული, **ელბა** მიუჩინეს, რომელიც იტალიის დასავლეთი ნაპირის ახლოს მდებარეობს. ნაპოლეონის გაძევებასთანავე პარიზში ლუდოვიკ XVI ძმა, **ლუდოვიკ** XVIII (ლუდოვიკ მე-XVII თ ლიუდოვიკ XVI-ეს შვილი ითვლებოდა, რომელიც რევოლიუციის დროს სატუსალოში გარდაიცვალა) საფრანგეთისა და ევროპის მიერ მეფედ იქმნა ცნობილი.

„100 დღე“.

ტახტზე ასვლისთანავე ლუდოვიკ XVIII-მ „ქარტია“ გამოაქვეყნა, რომელშიაც ხალხს პირადი თავისუფლება და წარმომადგენლობითი დაწესებულებები აღუთქვა; მაგრამ ლუდოვიკს თან მოჰყვნენ ემიგრანტებიც, რომელთა გულისთქმაც იქეთ იყო მიპყრობილი, რომ როგორც მათ, ისე ეკლესიასაც ყველა ის ქონება უკან დამბრუნებოდა, რომელიც რევოლუციის დროს დაჰკარგეს, და ეხლა წვრილ მეხაკუთრეთა ხელში იმყოფებოდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხალხში დიდ აღშფოთებას იწვევდა, და ნაპოლეონს სამოქმედო ასპარეზს უმზადებდა. ნაპოლეონმა მოხერხებულად ისარგებლა ხალხის სულიერი განწყობილებით და 1815 წლის პირველ მარტს სამხრეთ საფრანგეთში გადავიდა, სადაც მას მრავალი მომხრე შეუერთდა, რომელთათვისაც იმპერის დიდებული დღეები უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე გადატანილი უბედურება. მარშალი **ნეი**, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ იქმნა გაგზავნილი, ყოფილ იმპერატორს შეუერთდა, და უკანასკნელი პარიზში შევიდა, სადაც ხალხმა იგი აღტაცებით მიიღო. მან ლიბერალური პოლიტიკის წარმოება აღუთქვა ხალხს და **დახმარებისაკენ მოუწოდა ყველა იმათ, ვისთვისაც რევოლიუციის მონაპოვარი** ძვირფასი იყო; საშინაო საქმეთა მინისტრად ცნობილი რევოლიუციონერი **კარნო** დაინიშნა. ნაპოლეონმა დაასწრო მოკავშირე სახელმწიფოებს და ბელგიისაკენ გაეშურა, სადაც **უელინგტონისა** და **ბლუხერის** ხელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელობით ინგლისისა და პრუსიის ჯარები იყრიდენ თავს. სანამ ნეი ინგლისელებს აჩერებდა, ნაპოლეონი პრუსიის ჯარს დაესხა თავს და სასტიკად დაამარცხა იგი. ლტოლვილი პრუსიელების დევნა ერთ-ერთს თავის მარშალს მიანდო, თვითონ კი უელინგტონს მოუბრუნდა და **ვატერლოოსთან** (18 ივნისი) სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ინგლისელებმა იმდენი მოახერხეს, რომ ფრანგების იერიშებს გაუძღეს, სანამ მათ გონსმოსულმა ბლიუხერმა არ მოუსწრო. აქ ნაპოლეონი საბოლოოდ და უკანასკნელად დამარცხდა. ნაპოლეონი ალარ დასტოვეს საფრანგეთის ახლოს: იგი **წმიდა ელენეს** კუნძულზე გაგზავნეს, სადაც იგი 1821 წელს გადაიცვალა.

ვენის კონგრესი.

ჯერ კიდევ 1814 წელს დაიწყო ვენაში სახელმწიფოების მოლაპარაკება ევროპის ბედის გადასაწყვეტად. კოალიციის ოთხს უმთავრეს წარმომადგენელს შორის (რუსეთი, პრუსია, ინგლისი, ავსტრია) იმ თავითვე უთანხმოებამ იჩინა თავი; მაგრამ ნაპოლეონის დაბრუნებამ მალე შეარიგა ისინი. რუსეთმა ვარშავის დიდი საჰერცოგოს უმეტესი ნაწილი მიიღო. ფინლანდიისა და პომერანიის მაგიერ შვეციას ნორვეგია შეუერთეს. პრუსიამ ყველა ის ადგილები დაიბრუნა, რომელიც მას პოლონეთის მეორე და მესამე დანაწილების დროს ერგო, და ამას გარდა, შკეციის პომერანია, რეინის მხრის პრუსიის ძველი ადგილები და რეინის მარცხენა ნაპირი კობლენცამდე. ავსტრიამ ტიროლი და ზალცბურგი დაიბრუნა და ამავე დროს „გერმანიის კავშირს“ სათავეში ჩაუდგა. ეს უკანასკნელი **ოცდათვრამეტი** სახელმწიფოსაგან შესდგებოდა; მათ ფრანკფურტში **კავშირის საბჭო** ჰქონდათ მოწყობილი, რომელშიაც კავშირის ყველა შემადგენელი სახელმწიფოს წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას; ჰოლანდია და ბელგია ერთ სამეფოდ იქმნენ შეერთებულნი. შვეიცარია ნეიტრალურ რესპუბლიკად აღიარეს და მთელი ევროპის მფარველობის ქვეშ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაცხადეს. იტალიაში საქმე ასე მოეწყო: ლომბარდია და ვენეციის ოლქი ავსტრიას შეუერთეს, პაპი, სარდინიისა და ორივე სიცილიის მეფეები თავიანთ უფლებებში აღადგინეს. უკანვე დაუბრუნდათ თავიანთი სამფლობელოები პორტუგალიისა და ისპანიის მეფეებს. დაპყრობილი აღგილებიდან ინგლისმა ხმელთაშუა ზღვაზე საფრანგეთის ხარჯზე **მალტა, წმიდა მავრიკისა** და რამდენიმე **ანტილის კუნძული** შეინარჩუნა, ხოლო ჰოლანდიელების ხარჯზე **ცეილონი** და **კეთილი იმედის კონცხი. პარიზის მეორე ზავის** მიხედვით, მხოლოდ ის ცვლილება მოხდა, რომ საფრანგეთი 1792 წლის საზღვრების მაგიერ 1789 წ. საზღვრებს დაუბრუნეს.

მეცხრამეტე საუკუნე.

1. რეაქცია და ლიბერალიზმი.

ვენის კონგრესი და ახალი წესწყობილება.

მოკავშირეთა გამარჯვება კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ევროპის რუკა ძველი თავისი სახით უნდა ყოფილიყო აღდგენილი.

ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც კოალიციის უმთავრესი სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთზე იყვნენ გადახლართულნი, და ყოველი მათგანი ცდილობდა შექმნილ მდგომარეობიდან რაც შეიძლება უფრო მოგებული გამოსულიყო. ამგვარ პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ძალთა რეალურ განწყობილებასა და იმ როლს, რომელიც ნაპოლეონის ჰეგემონიის დამხობის საქმეში კოალიციის თითოეულმა წევრმა ითამაშა; ვენის კონგრესი ვერც რევოლიუციისა და იმპერიის მიერ ცხოვრებაში შეტანილ ცვლილებებს დასტოვებდა უყურადღებოდ, რადგანაც საზოგადოებას ყველაფერი ეს უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთვისებული ჰქონდა და ადვილად არ დასთმობდა. ვენაში შეკრებილი დიპლომატები იძულებული შეიქმნენ დათმობის გზას დასდგომოდენ ამ მხრივ და 1789 წლის ზოგიერთი პრინციპისათვის ანგარიში გაეწიათ: ლიუდოვიკ XVIII საფრანგეთს „ქარტია“ და წარმომადგენლობითი დაწესებულებები მისცა; ალექსანდრე პირველმა თავის პოლონეთის სამეფოს 3 მაისის კონსტიტუციაზე აგებული სახელმწიფოებრივი მართველობა დაუმტკიცა; გერმანიის წვრილი სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში ხალხის წარმომადგენლობა იქმნა შემოღებული, ხოლო პრუსიის მეფემ თვით გაცხარებულის, განმათავისუფლებელი ომის დროს აღუთქვა თავის ერს ასეთივე მართველობის შემოღება. გერმანიის „კავშირის წესდებაშიაც“ კი იქმნა შეტანილი მუხლი იმის შესახებ, რომ თითოეულ სახელმწიფოს „წოდებათა“ წარმომადგენელნი (Stände) უნდა მართავდენ.

საღვთო კავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონგრესი ცოტად თუ ბევრად ცხოვრების არსებულ პირობებს ანგარიშს უწევდა და ამ მხრივ დათმობის გზას ადგა, მთელი მისი მოქმედება მაინც ახალი ცხოვრების წინააღმდეგ იყო მიმართული: 1814 და 1815 წლის გამარჯვებები ძველი დროის აღდგენასა და რევოლიუციაზე რეაქციის გამარჯვებას ნიშნავდა. კონგრესის რეაქციონური მიმართულების მთავარი გამომხატველი ალექსანდრე პირველი იყო; მართალია მან პოლონეთს სეიმი დაუარსა, მაგრამ ამ უკანასკნელის უფლებები მეორე დღესვე დაარღვია; რაც შეეხება რუსეთს, აქ ალექსანდრე აშკარა რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებდა; ახალგზდობაში „რევოლიუციონერი“ ეხლა რევოლიუციის შიშით იყო მოცული, და ისეთი პირობების შექმნას ლამობდა, რომ რევოლიუციის „შხამისაგან“ გადარჩენილი ჩამორჩენილი რუსეთი „ხიფათისაგან“ საბოლოოდ ეხსნა. თავისი მეფობის მეორე ნახევარში ალექსანდრე I

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტიკოსებს დაუახლოვდა, მაგ. ლიფლანდელი **ბარონესას, კრეუდენერს**, და მათი გავლენით „საღვთო კავშირის“ პროექტი შეადგინა. იმ წერილში, რომელიც ალექსანდრემ თავის უახლობელეს ამხანაგებს დასადასტურებლად წარუდგინა (იმპერატორ ფრანცსა და მეფეს ფრიდრიხ ვილჰელმ III), ის აზრი იყო გატარებული, რომ პოლიტიკა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე უნდა ყოფილიყო აგებული; ამგვარი პოლიტიკის განხორციელებისათვის მეფეთა შეთანხმებული მოქმედება ითვლებოდა საჭიროდ, რათა შეერთებული ძალებით ერთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის განდევნილიყო, რაც რევოლუციასა და არეულობასთან იყო დაკავშირებული. ეს პროგრამა, რომელსაც ზოგიერთები იდეალურ პროგრამად აღიარებენ, მეთვრამეტე საუკუნეში გავრცელებული იდეების წინააღმდეგ იყო მიმართული: იმპერატორ ალექსანდრეს გეგმით, დედამიწაზე უფლების ერთად ერთ წარმომადგენლებად მეფეები ითვლებოდენ. აქ აშკარად გამოიხატა ალექსანდრეს სულის რეაქციონური მიდრეკილება; მაგრამ ეს გეგმა არსებითად განუხორციელებელი იყო, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი რეალური ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობის წინააღმდეგ იყო მიმართული და მეორეს მხრივ თვით ისინი არღვევდენ ამ გეგმას, რომელიც მისი ცხოვრებაში გატარება დაისახეს მიზნად. „საღვთო კავშირში“ იმ თავითვე რუსეთი, ავსტრია და პრუსია შევიდენ, ხოლო შემდეგ მას დანარჩენებიც მიემხრენ, ინგლისისა და პაპის გარდა. პირველმა ის მიზეზი წამოაყენა, რომ კონსტიტუციის ძალით ხელშეკრულებაზე ხელს ინგლისის მინისტრები და არა მონარქები უნდა აწერდენ, ხოლო უკანასკნელმა განაცხადა, რომ მისთვის საჭირო არ იყო ისეთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომლის ძირითად დებულებებსაც იგი თავიდანვე ემყარებოდა.

„საღვთო კავშირის“ პრაქტიკულ ხელმძღვანელად ავსტრიის კანცლერი, **მეტერნიხი** შეიქმნა. როდესაც იგი პირველად გაეცნო პროექტს, ზიზღით შენიშნა: ყველაფერი ეს „ცარიელი ფრაზებიაო“; მაგრამ შემდეგში საუცხოოდ გამოიყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ეს „ცარიელი ფრაზები“ ავსტრიის ინტერესებისათვის და ავსტრიელი აბსოლუტიზმის განსამტკიცებლად. მეტერნიხი გრძნობდა, რომ იმგვარ სახელმწიფოს, როგორიც ავსტრია იყო, ცვლილებები ზარალის მეტს არას მოუტანდა, რომ ეს სახელმწიფო მხოლოდ უძრაობით იყო მაგარი, და თუ ნაციონალური და გამათავისუფლებელი მოძრაობა იჩენდა იქ თავს, ეს სახელმწიფოს დაღუპვის გზაზე დადგომის მომასწავებელი იქნებოდა. რომ მეტერნიხი ამაში არ სცდებოდა, ამას დღევანდელი რევოლუცია (1818) ამტკიცებს, რომელმაც ეს ძალით შეკოწინებული სხეული მრავალ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთ აქცია. თავისი პოლიტიკის მიზნად ავსტრიამ მთელ ევროპაში რეაქციის გამეფება დაისახა, და „საღვთო კავშირის“ იდეაც სწორედ ამას ემსახურებოდა.

საღვთო კავშირი და გერმანია.

ყველაზე უფრო ადრე „საღვთო კავშირს“ გერმანიის საშინაო საქმეებში მოუხდა ჩარევა. მე-XVIII საუკუნის დასასრულისა და მე XIX-ს დასაწყის'ის გერმანიის ბრწყინვალე ლიტერატურაზე აღზრდილი ახალგაზრდობა უკმაყოფილო იყო იმ შედეგით, რომელიც გერმანელებისათვის ვენის კონგრესს მოჰყვა. პირველად განმათავისუფლებელი ომების დროს დაირაზმა გერმანიის ხალხი საერთო ნაციონალური საქმის გასაკეთებლად; გერმანელი ჯარის ,,აცები აღფრთოვანებული იყვნენ იმ შეგნებით, რომ ისინი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის, მისი გაერთიანებისა და თავისუფლებისათვის იბრძოდენ. მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ ვენის კონგრესის დიპლომატებმა გერმანიისათვის ისეთი წესწყობილება შეჰქმნეს, რომელიც თავისი სიდუხჭირით განსვენებულ „გერმანიის ნაციის საღვთო რომის იმპერიას“ ბევრში არაფერში ჩამოუვარდებოდა, ხოლო მთავრობამ, მის მაგიერ რომ ხალხს დანდობოდა, მკაცრი პოლიციური ზედამხედველობა შემოიღო, მთელ გერმანიაში უკმაყოფილება გავრცელდა, და ეს უწინარეს ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლისა ახალგაზრდობის წრეში კავშირებისა და დემონსტრა ციების მოწყობაში გამოიხატა. გერმანელი „ბურშები“ ფა რულ კრებებსა და სხდომებზე გერმანიის გაერთიანებისა და გათავისუფლების შესახებ საკითხებს არჩევდენ. რეფორმაციის 300 წლის თავის მოსაგონებლად ქ. ვარტბურგში სტუდე ნტებისა და პროფესორების დიდი ყრილობა შეიკრიბა, მრა ვალი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა, და დასასრულ იქვე გამართულ კოკონზე რეაქციონერი პუბლიცისტების ნაწერები და სხვა სიმბოლიური ხასიათის საგნები, მაგ., ავსტრიელი უნტეროფიცრის ჯოხი იქმნა დამწვარი. ახალგაზრდობის გა ტაცება ზოგჯერ უფრო სამწუხარო ფორმებს იღებდა: მაგალი თად, იენის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა, **ზანდმა** დრამატურგი და რუსეთის სამსახურში მყოფი მრჩეველი **კოცებუ** მოჰკლა, რადგანაც მას რუსეთის ჯაშუშად სთვლიდენ. მეტერნიხის რჩევით, გერმანიის სახელმწიფოების მთავრობებმა ცენზურა გააძლიერეს, უნივერსიტეტი მკაცრ კონტროლს და უმორჩილეს და ფრანკფურტში „კავშირის საბჭოსთან“ ნაცი ონალურისა და პოლიტიკური აგიტაციის მოსასპობად საგამო მძიებლო კომისია დააარსეს.

„საღვთო კავშირი“ და ისპანია, პორტუგალია და იტალია

იმ დროს, როდესაც საღვთო კავშირის მოქმედება გერმა ნიაში მხოლოდ პოლიციური ზომებით კმაყოფილდებოდა, სა მხრეთ-დასავლეთ ევროპაში კავშირის პოლიტიკა შეიარაღებუ ლის ძალით ტარდებოდა ცხოვრებაში. ისპანიასა და კოლონი ებში, პორტუგალიასა და იტალიაში პოლიტიკური ცხოვრება სხვადასხვა მიზეზების გამო აუტანელი შეიქმნა, და ამიტომ ძლი ერს რევოლუციონურ მოძრაობას ნიადაგი უმზადდებოდა. თა ვის ამერიკელ ახალშენებში ისპანელები ადგილობრივი ხალხის შეუბრალებელ ექსპლოატაციას ეწეოდენ, რაც როგორც მოწი ნავე ელემენტებში, ისე ფართო მასაშიც დიდ აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევდა. თვით ისპანიაში „კამარილია“ ბატონობ-

და—სასახლის ჯგუფი, რომელიც უმნიშვნელო და ბოროტი მეფის ფერდინანდ VII გულის მოგებაში ლევდა სულს; **ფანატიკურმა სამღვდელოებამ** კვლავ დაუწყო დევნა ყველას, ვისაც თავისუფალ აზროვნებაში სდებდა ბრალს.

პორტუგალიაში არაჩვეულებრივი მდგომარეობა დამყარდა. მეფე ბრაზილიაში ცხოვრობდა, ხოლო თვით პორტუგალიას ინგლისელები განაგებდენ, რომლებიც პორტუგალიელებს დაბალი მოდგმის ხალხად თვლიდენ. მაგრამ ყველაზედ უფრო გამწვავებული მდგომარეობა **იტალიაში** იყო: ფრანგების დროს ცოტად თუ ბევრად გაერთიანებული მხარე, ისევ წვრილ ერთეულებად დანაწილდა.

პაპის სამფლობელოში **ჰრელატები** დაფარფაშობდენ, რომელთაც თავისუფალი აზრის ჩასაკლავად კვლავ იეზუიტების ორდენი აღადგინეს, ნეაპოლისა და სიცილიის მეფედ გაუნათლებელი, ცრუმორწმუნე, ზარმაცი, უზნეო და შურიანი ფერდინანდ პირველი იყო; იგი ნამდვილ განხორციელებას წარმოადგენდა სამხრეთ იტალიის ხასიათის ყველა ცუდი თვისებებისა; ხოლო ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებნი ავსტრიის სასტიკ უღელს ქვეშ ღაფავდენ სულს. ჩრდილოეთ-დასავლეთით პატარა სარდინიის დამოუკიდებელი სამეფო იყო, მაგრამ, სისუსტისა გამო, მას არ შეეძლო ყველა ამ ბოროტებისათვის წინააღმდეგობა გაეწია, და თვითონაც ავსტრიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

პირველად აჯანყება ამერიკაში დაიწყო; აქაური მკვიდრნი, კრეოლები, რომელთაც ისპანელთა ექსპლოატაციის მოსპობა უნდოდათ, მთელი ათი წლის განმავლობაში ებრძოდენ ისპანიის ჯარებს; შედეგი ის იყო, რომ ბოლივარუს ცდით, **კოლუმბიის** დამოუკიდებლობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. დამოუკიდებლობა მოიპოვეს აგრეთვე **ჩილის, პერუს, ურაგვაის და მექსიკის** რესპუბლიკებმაც, სადაც დღესაც არსებობს ის თავისებური პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც გააფთრებული პარტიული ბრძოლით, მუდმივი და უნაყოფო რევოლჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებით, ბელადების არაჩვეულებრივი თავგადასავლებითა და სამოქალაქო ომებით ხასიათდება.

ახალშენების ჩამოშორებამ ყველას ნათლად დაანახვა ისპანიის მთავრობის უვარგისობა: დღითი დღე რევოლუციას ელოდენ; თუმცა ფართო მასა სამღვდელოების გავლენის გამო ბნელეთს წარმოადგენდა და პოლიტიკური ცხოვრებით არ იყო დაინტერესებული, მაგრამ სამაგიეროდ საზოგადოების განათლებულ ნაწილსა და არმიაში ღრმად მოიკიდეს ფეხი საფრანგეთის რევოლუციონურმა იდეებმა. აჯანყებულებმა ადვილად დასძლიეს ფერდინად VII წინააღმდეგობას და აიძულეს იგი, საჯაროდ შეეფიცა 1812 წლის კონსტიტუციისთვის, რომელიც თუმცა საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის მიხედვით იყო შედგენილი, მაგრამ იმაზე უფრო ლიბერალური შინაარსის იყო.

ისპანიაში მომხდარმა სამხედრო მოძრაობამ გავლენა მოახდინა პორტუგალიაზედაც. მეფე იძულებული შეიქმნა, ბრაზილიიდან დაბრუნებულიყო და კონსტიტუციის ერთგულებაზე, რომელსაც საფუძვლად ისპანიის (1812) კონსტიტუცია ჰქონდა დადებული, ფიცი დაედო.

სარევოლუციო მზადება ყველა ქვეყნებზე უფრო ადრე იტალიაში დაიწყო: იქ „კარბონარიების“ საიდუმლო კავშირები დაარსდა, რომელიც მასონების ლოჟების მგზავსად იყო მოწყობილი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მას წმინდა პოლიტიკური მიზნები ჰქონდა დასახული; კარბონარიები იტალიის გაერთიანებისა და განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდენ. ნიადაგი უკვე მზად იყო, და სამხედრო აჯანყებებიც დაიწყო. სარდინიასა და ნეაპოლში ჯარებმა აიძულეს მეფეები, კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი მიეღოთ.

საღვთო კავშირს არ შეეძლო რომანულ ქვეყნებში აბსოლუტური მონარქიების დამხობისათვის გულგრილად ეცქირა. მას რომ ძალა და შეძლება ჰქონოდა, ამერიკის საქმეებშიც ჩაერეოდა; სამაგიეროდ იგი ენერგიულად ჩაერია იტალიისა და პირენეის ნახევარკუნძულზე წარმოებულ კონსტიტუციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ მოძრაობაში. მოკავშირე მონარქები რამდენჯერმე შეიკრიბენ კონგრესებზე (ახენი, ტროპპაუ, ლაიბახი, ვერონა) საქმის მდგომარეობის განსასჯელად და მოქმედების პროგრამის გამოსამუშავებლად. იტალიის საქმეების მოგვარება ავსტრიამ იდვა თავს, დაიკავა ნეაპოლი და პიემონტი და იტალიელები ადვილად დააწყნარა. ისპანიაში ფრანგების ჯარები იქმნა გაგზავნილი. თუმცა ისპანიამ უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწია არამკითხე „მოკეთეებს", ვიდრე იტალიელებმა ავსტრიელებს, მაგრამ ბოლოს ისინიც დამარცხდენ, და ფერდინანდ VII აღდგენილ იქმნა თავის უფლებებში. კონსტიტუციონალისტების დამარცხებას თან მოჰყვა მოძრაობის მონაწილეთა დასჯა, საეჭვო პირების, განათლებისა და თავისუფალი აზროვნების დევნა. თუ სადამდე მიდიოდა მთავრობა ამ მხრივ, ეს შემდეგი მაგალითიდან სჩანს: ნეაპოლის მთავრობამ აუკრძალა წერაკითხვის შესწავლა ყველა იმ პირთ, ვისაც 15.000 ფრანკზე ნაკლები შეძლება ჰქონდა.

რუსეთი და ოსმალეთი

ოსმალეთი და მისი ქრისტიანი ქვეშევრდომნი.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქრისტიანები მთელი ოთხასი წლის განმავლობაში ბარბაროსი ოსმალოების უღელ ქვეშ კვნესოდენ; ევროპის სხეულის ეს ხორცმეტი ისევ ძველებურად ველურ ხალხს წარმოადგენდა, თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს, რომლებიც მისთვის „რაიას", ე. ი. უბრალო ჯოგს შეადგენდენ, ველურადვე ეპყრობოდა. მთავრობის აგენტებისა და მეზობელ მუსულმან მცხოვრებთა შევიწროებისაგან ბალკანეთის ბედშავ ქრისტიანებს დამცველი არავინ ჰყავდა. მაგრამ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობის და განთავისუფლების იმედი მათ კვლავ აღენთოთ გულში. წავიდა ის დრო, როდესაც ოსმალონი ერთსა და იმავე დროს ვენასაც ემუქრებოდენ და კიევსაც: XVII საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის ბოლოდან ისინი იძულებულნი შეექმნენ, თანდათან უკან დაეხიათ და ავსტრიისა და რუსეთისათვის დიდი ტერიტორია დაეთმოთ. ამავე დროს ოსმალეთის შინაურ ცხოვრებაში ნამდვილი ქაოსი გამეფდა: ფინანსიური კრიზისი, ჯარისა და სასამართლოსდეზ ორგანიზაცია, რიგიანად მოწყობილი სახელმწიფოსთვის მოუთმენელი ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, სასახლეში გაბატონებული ინტრიგები—აი რა ახასიათებდა ოსმალეთის მაშინდელს შინაურ მდგომარეობას; ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ აღარც პროვინციები ემორჩილებოდა ბრწყინვალე პორტას, მაგ. სულთანის ნაცვალი მეჰმედ-ალი ეგვიპტეში და **ალი-ფაშა** ალბანიაში, რომლებიც ისე იქცეოდენ, როგორც დამოუკიდებელი ხელმწიფენი, ჩვენ სრული და ნათელი სურათი გვექნება ოსმალეთის უმწეო მდგომარეობისა

დამონებულ ქრისტიანებს მუსულმანების უღლისაგან განთავისუფლების მაგალითიც ჰქონდათ თვალწინ. თუ მთაშავეთს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელმაც, მთებში გამაგრებულმა, თავიდანვე შეინარჩუნა თავისუფლება, საკმაო იყო სერბიისა და რუმინიის მაგალითიც, რომლებმაც 1806 წ. თვითმართველობა მიიღეს (სერბიის საბოლოოდ განთავისუფლება რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1829 წ. მოხდა). საზოგადოდ ეკატერინე II და ალექსანდრე I-ის ომების შემდეგ ბალკანეთის ქრისტიანებს იმედი აღეძრათ, რომ მათ ერთმორწმუნე რუსეთი იხსნიდა. თუ მცირე აზიის ბერძნები, აისორები, სომხები და ბულგარელები მონობისაგან იმდენად იყვნენ წელში გატეხილნი, რომ აჯანყებაზე ფიქრიც არ მოსდიოდათ თავში, სამაგიეროდ ბერძნებით დასახლებულს ევროპის ოლქებში განთავისუფლების იდეა თვალსაჩინოდ მომწიფდა: ელადა, პელოპონესი (მორეა) და არქიპელაგი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ემზადებოდენ.

საბერძნეთის აჯანყება.

საბერძნეთის მთებში დიდი ხნიდან ე. წ. „კლეფტები“ ცხოვრობდენ, რომლებიც ოსმალთა წინააღმდეგ თავისებურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლას აწარმოებდენ, სძარცვავდენ მუსულმანებს და მათ წინააღმდეგ გაგზავნილს მთავრობის რაზმებს საქმეს უჭირვებდენ. ბარისა და სანაპიროების შეძლებულსა და განათლებულ მცხოვრებთა ნაწილში კარბონარიების მსგავსი საიდუმლო კავშირები, **ჰეტერიები** დაარსდა. ამას გარდა, ევროპის სხვადასხვა ადგილებში გაფანტული ბერძნები ნიადაგს ამზადებდენ უცხო ძალის მოსაშველებლად; კონსტანტინეპოლის ბერძენთა ახალშენი (ფანარი), რომელიც სულთანის მთავრობისაგან დიდად იყო დავალებული, მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას არ თანაუგრძნობდა, მაგრამ მოძრაობის შეჩერება მან, რა თქმა უნდა, ვერ შესძლო. აჯანყების საბაბად ალი-ფაშას განდგომა შეიქმნა, ბრძოლის დაწყების ნიშანი კი რუსეთის სამსახურის გენერლის, თავად **იპსილანტისაგან** იქმნა მიცემული: იპსილანტიმ მცირე რაზმით ვალახიაში შესვლა მოახერხა, აქედან პროკლამაციები დაგზავნა, რომლითაც იგი ბერძნებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. თუმცა იპსილანტის ცდა დამარცხებით გათავდა, მაგრამ მას მალე სერიოზული გამოსვლები მოჰყვა თან: თესალიაში, ბეოტიაში, ატიკასა და მორეაში აჯანყებამ მოულოდნელი სიძლიერით იფეთქა; მიუხედავად იმისა, რომ სულთანის მთავრობა სასტიკ ზომებს იღებდა, ის მაინც თავის გზით განაგრძობდა განვითარებას და დამაფიქრებელ ხასიათს იღებდა. მთავრობას ის უჭირვებდა საქმეს, რომ ბრძოლას პარტიზანული ხასიათი ეძლეოდა. თუმცა ოსმალონი რიცხვით და შეიარაღებით ბერძენებს ყველგან სჭარბობდენ, მაგრამ ამათი დამარცხება მაინც გაჭირდა; ვერ მოასწრებდენ ერთ ადგილას მშვიდობიანობის აღდგენას, რომ მეორე აღგილას იფეთქებდა კიდევ უფრო ძლიერი მოძრაობა; განსაკუთრებით ქ. მისსოლუნგმა გაითქვა სახელი გმირული თავდაცვით (კორინთოს ყელთან); როდესაც ერთი წლის ალყის შემდეგ ქალაქში გამაგრება აღარ შეიძლებოდა, გარნიზონმა მოახერხა და მთებისაკენ გაიკაფა გზა და თან წაიყვანა ქალები და ბავშვები, ხოლო ადგილზე დარჩენილმა მოხუცებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავადმყოფებმა თავისი თავიც აიფეთქეს და ის ოსმალოებიც, რომლებმაც ქალაქი დაიკავეს. ეგეოსის ზღვაზე საბერძნეთის ფლოტის პირველი ჩანასახი გაჩნდა, რომლის გემებსაც აშკარა ბრძოლა არ შეეძლოთ, მაგრამ სამაგიეროდ დიდი ხელოვნებით ახდენდენ ცალკე გემებზე თავდასხმებს, უჩენდენ ცეცხლს ესკადრებს და სხვა. რამდენიმე წელს გაგრძელდა ეს გამანადგურებელი ომი, მაგრამ გადამწყვეტი შედეგი მაინც არ სჩანდა; ორივე მხარე იძულებული შეიქმნა, უცხო ძალები მოეწვია დასახმარებლად: ოსმალოებმა ეგვიპტის ფაშა მეჰმედ-ალი მოიწვიეს, ბერძნები კი დასავლეთ ევროპიდან და განსაკუთრებით რუსეთიდან მოელოდენ შველას. მეჰმედ ალიმ დიდი დახმარება აღმოუჩინა სულთანს: ეგვიპტის ჯარმა დაარბია მორეა, და ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ თუ ევროპა საქმეში არ ჩაერეოდა, ბერძნები უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპებოდენ.

ევროპის საზოგადოების თანაგრძნობა იმ თავითვე ბერძნების მხარეზე იყო; შევიწროებული ქრისტიანებისადმი თანაგრძნობის გარდა, დიდ გავლენას ახდენდენ კლასიკური დროის მოგონებანიც: ატიკისა და ლაკონიის მცხოვრებნი განათლებული ევროპიელების თვალში მილტიადეს და ლეონიდეს ღირსეული შთამომავალებათ ითვლებოდენ, რომლებმაც აზიის ბარბაროსების წინააღმდეგ კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა განაახლეს. ევროპიის თითქმის ყველა სახელმწიფოდან დაიძრა მოხალისეთა რაზმები ბერძნების მისაშველებლად, სხვათა შორის მოხალისეთა შორის იყო იმ დროის უშესანიშნავესი მგოსანი, **ბაირონიც**. ამერიკასა და ინგლისში ბერძნების სასარგებლოდ უამრავი სამხედრო მასალა და ფული შეიკრიბა. მაგრამ მარტო ეს საქმეს ვერ უშველიდა. საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ჩარევა, მაგრამ ამას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ. ინგლისი ყველა დანარჩენ სახელმწიფოებზე უფრო მეტის სიმპატიით ეკიდებოდა ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას, და ბერძნებსაც დიდად თანაუგრძნობდა, მართალია მას მხოლოდ ფლოტით შეეძლო დახმარების აღმოჩენა, მაგრამ ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან ფრთხილად იქცეოდა, რადგანაც ეშინოდა, საბაბი არ მიეცა რუსეთისათვის ბალკანეთის კუნძულზე ფეხის მოსაკიდებლად. საფრანგეთიც თანაგრძნობით უცქეროდა ბერძნების მოძრაობას, მაგრამ იგი არ იყო აღმოსავლეთის საქმეებით დაინტერესებული, და ამიტომ არც აჩქარება ეტყობოდა. საღვთო კავშირის სამს უმთავრეს ხელმძღვანელთაგან პრუსიას იმგვარი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, რომ ის თავისთავად ამ საქმის გარეშე რჩებოდა; ავსტრია კი პირდაპირ დაინტერესებული იყო იმაში, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალეთის მდგომარეობა უცვლელად დარჩენილიყო: მეტერნიხს სრულიად არ აწუხებდა ის გარემოება, რომ ბერძნები ქრისტიანი და კულტურის მატარებელნი იყვნენ, ოსმალოები კი ბარბაროსები; ის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ნაციონალური მოძრაობისა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაშიდაც, ისე როგორც იტალიასა და ისპანიაშიც, საქმე კანონიერი ხელმწიფის საწინააღმდეგოდ მიმართულ რევოლიუციას შეეხებოდა. რუსეთის მდგომარეობა განსაკუთრებით უხერხული იყო: ევროპაში იგი ლეგიტიმიზმს უჭერდა მხარს, მაგრამ ამავე დროს საკუთარი ინტერესები მას ბერძნების გამოსარჩლებას უკარნახებდა. სანამ ალექსანდრე I ცოცხალი იყო, რუსეთი ლეგიტიმიზმის მხარეზე იდგა, მაგრამ გარდაიცვალა თუ არა იგი (1925) და მის მაგიერ ტახტზე განსვენებულის ძმა ნიკოლოზ I ავიდა, საქმემ სხვა მიმართულება მიიღო; მართალია ევროპაში ის დაჟინებით ლეგიტიმიზმს იცავდა, მაგრამ საბერძნეთის საკითხში მან საჭიროდ დაინახა, ნაციონალურ ტრადიციას გაჰყოლოდა.

1826 წელს ფადიშაჰის ტახტი ენერგიული მაჰმუდის ხელში გადავიდა; მან თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს: მოსპო იანიჩარების თვითნება გვარდია, გარდაჰქმნა ჯაი და ამით სახელმწიფოს ახალი ძალა შესძინა. ამგვარად, აჯანყებულთა წინააღმდეგ ოსმალეთის მხრივ დაუნდობელი ბრძოლის წარმოების დაწყება იყო მოსალოდნელი. მაგრამ, დაბოლოს, ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი შეთანხმდენ და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწყვიტეს, მებრძოლი მხარეებისათვის წინადადებით მიემართათ, დროებითი ზავი ჩამოეგდოთ და შემდეგ, მათი შუამავლობით, სადაო საკითხები გადაეწყვიტათ. ამ სახელმწიფოების შეერთებული ფლოტი ინგლისის ადმირალის, კოდრინგტონის ხელმძღვანელობით პელოპონესის წყლებში გამოჩნდა, რათა ოსმალეთი წამოყენებული წინადადების მიღებაზე აეძულებია. მაგრამ ოსმალეთის მოკავშირე ეგვიპტელების ფლოტმა მას **ნავარინთან** ბრძოლა გაუმართა, რომელიც სრული მისი დამარცხებით დასრულდა. ინგლის-საფრანგეთს ამის შემდეგაც არ გამოუცხადებიათ ოსმალეთისათვის ოფიციალურად ომი და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდენ, რომ ეგვიპტელები საბერძნეთის დატოვებაზე აიძულეს

რუსეთმა კი ომი დაიწყო. რუსეთის არმიამ, რომელსაც **დიბიჩი** ხელმძღვანელობდა, ოსმალები **შუმლასთან** დაამარცხა (1829), გადალახა ბალკანეთის მთები და კონსტანტინეპოლისაკენ გაილაშქრა. ოსმალეთი იძულებული შეიქმნა, ზავით შეკრულა რუსეთს (ადრიანოპოლში): ამ ზავით რუსეთის ხელში შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი (დასავლეთ საქართველოს ნაწილი) გადავიდა; საბერძნეთს დამოუკიდებლობა მიენიჭა, და საზოგადოდ დუნაის სახელმწიფოების მფარველად რუსეთი იქმნა ცნობილი, რაც მას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დიდ გავლენას ანიჭებდა. 1833 წ. კიდევ უფრო მეტი წარმატება მოიპოვა ნიკოლოზ პირველმა. როდესაც ეგვიპტის ფაშამ, მეჰმედ-ალიმ სულთანს ომი გამოუცხადა და თვით კონსტანტინეპოლს დაემუქრა, რუსეთის მეფემ სულთანს ჯარი მიაშველა და ხიფათს გადაარჩინა. სამაგიეროდ სულთანმა ვალდებულება დაიკისრა, რომ იგი დასავლეთი ევროპის სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის დარდანელს დახურავდა; ამას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც უცხო ფლოტის შავ ზღვაში შემოსვლის შ ში აღარ ექნებოდა:

1839 წელს მეჰმედ-ალი კვლავ შეეცადა ოსმალეთის დაპყრობას, და მისმა ჯარებმა ხელახლა გაიმარჯვეს, მაგრამ ამ

ეროვნული

გზობით საქმეში ინგლისი და ავსტრია ჩაერია, რათა რუსეთის მოქმედებისთვის ხელი შეეშალათ. მეჰმედ-ალის ჯარის ძლევამოსილი წინსვლა შეჩერებულ იქმნა, ‍ᲓᲘᲒᲘ იძულებული შეიქმნა, თავისს აგრესიულ პოლიტიკაზე საბოლოოდ უარი ეთქვა და იმით დაკმაყოფილებულიყო, რომ ეგვიპტეში მის დინასტიას მემკვიდრეობითი უფლებები მიენიჭა, თვით ეგვიპტე კი სულთანის პროტექტორატს დაუქვემდებარდა. ამგვარად გამოაშკარავდა, რომ იქ, სადაც ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდენ, „საღვთო კავშირის“ იდეა უთუოდ უნდა დარღვეულიყო, და სწორედ ბალკანეთი აღმოჩნდა იმ სიმაგრედ, რომელმაც ამ იდეის უნიადაგობა საბოლოოდ გამოამჟღავნა.

საფრანგეთი: რესტავრაცია ბურბონთა.

საბერძნეთის განთავისუფლებასთან ერთად საღვთო კავშირის პოლიტიკა საფრანგეთშიც დამარცხდა. ბურბონების დაბრუნებამ (რესტავრაციამ) ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა ხალხი. საფრანგეთის საზოგადოება **ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყო.** ერთ მხარეზე ყოფილი ემიგრანტები იდგენ; მათი აზრით, 1789 და 1819 წლებს შუა გასული დრო საფრანგეთის ისტორიიდან სრულებით უნდა ამოშლილიყო; იგინი თავის უფლებებსა და ქონებას უკანვე მოითხოვდენ და ბრაზითა და ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი დემოკრატიისადმი, რომელმაც მათ ამდენი ზიანი მიაყენა; მათ გვერდს უმშვენებდა სამღვდელოება, რომელიც ახალ იდეებს ისე უცქეროდა, როგორც ახალ წარმართობას, და სიტყვითა და საქმით მის მოსპობას ცდილობდა; თავისი მიზნის განსახორციელებლად სამღვდელოება ისევ ძველს ნაცად საშუალებას მიმართავდა: ის აწყობდა ძლიერ საზოგადოებებს (კონგრეგაციებს), მკვდრეთით აღდგენდა კანონით აკრძალულ სასულიერო კორპორაციებს, რომელთა სათავეშიც ისევ იეზუიტების ორდენი იდგა. მეორე მხარეზე **ერის უმრავლესობა იყო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც რევოლიუციამ ნივთიერად, იურიდიულად და სულიერად ბევრი რამ შესძინა, და მზად იყო, ყველაფერი ეს მთელი ძალლონით დაეცვა. ამ უმრავლესობის ბელადები სხვადასხვა აზრისა და შეხედულებების იყვნენ: ზოგნი თავის მოქმედებაში 1789 წლის თეორეტიული პრინციპებით ხელმძღვანელობდენ, თუმცა იმ ძალადობასა და უფლების დარღვევას არ იზიარებდენ, რომელიც რევოლიუციამ გამოიწვია; მეორენი, პირიქით, აუცილებელ მოვლენად სთვლიდენ ყველა ამას, და საიდუმლო ორგანიზაციებში ახალ რევოლიუციას ამზადებდენ. ძველი წესწყობილებისადმი საზოგადო სიძულვილისა გამო, რომლითაც საზოგადოების უმრავლესობა იყო გამსჭვალული, ხალხს ნაპოლეონის მოღვაწეობა იდეალურსა და სანატრელ მოვლენად მიაჩდა,—ნაპოლეონი გმირი იყო არა მარტო არმიისა და მდაბიო ხალხის თვალში, არამედ განათლებული ლიბერალების უმეტესი ნაწილის თვალშიაც.

საზოგადოების ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფა ძალიან უძნელებდა საქმეს მთავრობას. მაგრამ ლუდოვიკ XVIII და მისი მთავარი მინისტრები, **დეკაზი** და ჰერცოგი **რიშელიე** ამ რთული და მძიმე მდგომარეობიდან შედარებით ადვილად გამოვიდენ; მიუხედავად იმისა, რომ არისტოკრატიასა და ეკლესიას დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდენ, მათ მაინც შეგნებული ჰქონდათ, რომ მეფე პარტიებზე მაღლა უნდა მდგარიყო და რომ საფრანგეთის ისტორიამ 1789 წლიდან დაწყებული ვიდრე 1815 წლამდე ბევრი დიადი და სასახელო საქმე შესძინა საფრანგეთს; ისიც კარგად ესმოდათ, რომ ახალის სრული გაუქმება და ძველის აღდგენა, გარდა იმისა, რომ მათ ძალას აღემატებოდა, არც სახელმწიფოსთვის იყო მაინც და მაინც სასარგებლო.

ეს იყო მიზეზი, რომ განსაკუთრებული ქარტიის ძალით საფრანგეთში **პარლამენტარული მართვაგამგეობა** იქმნა შემოღებული. მაგრამ საარჩევნო უფლებები საკმაოდ იქმნა შეკვეცილი: საყოველთაო საარჩევნო უფლების მაგიერ მაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენზი იქმნა შემოღებული: აქტიური საარჩევნო უფლებისათვის — 300 ფრანკი წლიური გადასახადისა, ხოლო პასიური სათვის — 1000 ფრ. პალატა მოკლებული იყო საკანონმდებლო **ინიციატივის** ულებას; იქ მხოლოდ მთავრობის კანონპროექტებზე შეიძლებოდა მსჯელობა.

როდესაც ქარტიის ძალით შეკრებილმა პალატამ საზოგადოების დემოკრატიულ ელემენტებს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა, მაშინ ლიუდოვიკის მთავრობამ ამაში გადაჭარბებული რეაქციონერობა დაინახა და დაითხოვა იგი; ცხადია, მას სურდა პარტიებზე მაღლა მდგარიყო.

მაგრამ ამ ნიადაგზე დიდხანს გაჩერება მან მაინც ვერ შეძლო. საღვთო კავშირის გავლენამ და საფრანგეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ თავისი გაიტანა და მთავრობა რეაქციის გზაზე დააყენა. ლიუდოვიკ XVIII გარდაცვალების შემდეგ (1824) საფრანგეთის ტახტზე უკანასკნელის ძმა, **კარლოს** X ავიდა. ბურბონების დაბრუნების შემდეგ შემოღებული თქმულება — მათ არაფერი არ დავიწყებიათ და არც არაფერი უწავლიათო — სწორედ კარლოს X სთვის იყო ზედგამოჭრილი.

მეფე აშკარად მიემხრო კონგრეგაციებსა და ულტრაროიალისტებს და სამინისტროს ხელძღვანელობა ფინანსისტს **ვილელს** ჩააბარა, რომელიც სახელმწიფოში რეფორმების შემოღებას ულტრაროიალისტების პარტიის სულის კვეთების მიხედვით ჰფიქრობდა. ემიგრანტების ყოფილი ქონების ახალ მეპატრონეთაგან ჩამორთმევა ვერც ვილელმა გაჰბედა, მაგრამ სამაგიეროდ ეს დანაკლისი მათ მით აუნაზღაურა, რომ ერთი მილიარდი ფრანკი დაურიგა. შემდეგისათვის განზრახული იყო სასულიერო კორპორაციების სრული თავისუფლების შემოღება, ცენზურის გაძლიერება და საარჩევნო სისტემის რეფორმა, რათა დეპუტატთა პალატის ოპოზიციისათვის ნიადაგი გამოეცალათ, მაგრამ ვილელმა თავისი პროგრამის შესრულება ვერ მოასწრო. მთავრობის მიერ უკვე მიღებული ზომები, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო, მისი განცხადებები და განზრახული გეგმები საზოგადოებაში ისეთს მტრულს სულიერ განწყობილებას ჰქმნიდა, რომ დეპუტატთა პალატაში, სადაც უმრავლესობას მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი შეადგენდა, ძლიერი ოპოზიცია დაიბადა, ხოლო პერების პალატამ, რომლის წევრებიც თვითონ მეფის მიერ იყვნენ დანიშნულნი, მინისტრს აშკარა ბრძოლა გამოუცხადა. ვილელმა იმდენი მოახერხა, რომ კარლოს X-ეს პერების პალატაში ერთბაშად 76 ახალი წევრი დაანიშვნინა, რომელნიც მას უჭერდნენ მხარს, ხოლო დეპუტატთა პალატა სრულიად დაათხოვნინა. უკანასკნელი არჩევნები მთავრობის სრული დამარცხებით დამთავრდა. საფრანგეთის საზოგადოების შეძლებული ნაწილი რეაქციონურ პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდა, და მთავრობა იძულებული შეიქმნა, ასეთი პოლიტიკა დროებით მაინც შეეჩერებია. ახალი სამინისტრო **ზომიერი ლიბერალებისაგან** შესდგა. **მარტიანიაკ** ის სამინისტრომ პალატებს წარუდგინა ადგილობრივი მართველობის რეფორმების პროექტი, რომლის მიზანსაც გადაჭარბებული ცენტრალიზაციის მოსპობა და ყველა ადგილობრივი საქმეების პარიზის კანცელარიაზე დამოკიდებულების გაუქმება შეადგენდა. განზრახული ჰქონდათ დეპარტამენტებში და სხვა ადმინისტრატიულ ერთეულებში არჩეულ საბჭოებისთვის საკმაო გავლენა მიენიჭებიათ, მაგრამ პალატის ლიბერალურმა უმრავლესობამ ამ რეფორმების გაფართოვება მოისურვა, რამაც მეფე გააბრაზა. მან ოპოზიციის მოსპობა გადასწყვიტა და მინისტრ-პრეზიდენტად უკიდურესი რეაქციის წარმომადგენელი, თავადი **პოლინიაკი** დანიშნა.

ივლისის **რევოლუცია.**

1830 წ. ივლისში მეფემ პალატების დაუკითხავად, **ხუთი ბრძანება** (ორდონანსი) გამოსცა, რომლითაც საარჩევნო სისტემა იცვლებოდა და წიგნებისა და განსაკუთრებით გაზეთების გამოცემის წინააღმდეგ სასტიკი ცენზურა მყარდებოდა. „ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონანსებს“ პირველად ჟურნალისტები წინააღუდგენ, შემ-
დეგ მათ პარიზის ბურჟუაზიაც მიემხრო, დაბოლოს მუშებიც
ამოძრავდენ; ამგვარად ხიდი მეფესა და საზოგადოებას შო-
რის ჩატყდა. მთავრობამ ჯარი დარაზმა და სათაკეში მას მარ-
მონი ჩაუყენა. მაგრამ ჯარში ბევრი ახალ მოძრაობას თანა-
უგრძნობდა. დაიწყო ბრძოლა, რომელმაც ორი დღის განმა-
ვლობაში გამოაშკარავა, რომ ძალა რევოლუციონერთა მხა-
რეზე იყო. ჯარმა სან-კლუსკენ დაიხია, სადაც იმ ჟამად კარ-
ლოს X იმყოფებოდა, და მეფეც იძულებული შეიქმნა,
დათმობის გზას დასდგომოდა, მაგრამ გვიანლა იყო; ვერც
ორდონანსების უკან წაღებამ დააწყნარა საზოგადოება და
ვერც პოლინიაკის გადაყენებამ; მონარქიის მორჩილება აღა-
რავის არ უნდოდა. რევოლიუციის მთავარ ძალად ბურ-
ჟუაზია ითვლებოდა, და კარლოსის ბედიც მის ხელთ იყო. რეს-
პუბლიკის შენოლების ბურჟუაზიას ეშინოდა, რადგანაც იცო-
და, რომ ამას მდაბიო ხალხის მხრივ სოციალური ხასიათის მოთ-
ხოვნილებათა წამოყენება მოჰყვებოდა. ამიტომ მან ისევ მონა-
რქია არჩია და მეფედ ორლეანელი ჰერცოგი, ლიუდოვიკ-
ფილიპე მოიწვია. **ამ პირობებში არჩეული მეფე, რა თქმა
უნდა, ვერც აბსოლუტიზმე და ვერც რეაქციაზე** ვერ
იფიქრებდა. ლიუდოვიკ ფილიპე დასთანხმდა და დეპუტატე-
ბთან ერთად ჯერ ისევ ბარიკადებითა და ხალხით დაფა-
რულ პარიზის ქუჩებში ეტლით გაიარა; რატუშაში მას მო-
ხუცი **ლაფაიეტი** შეხვდა, რომელიც კვლავ გვარდიის უფრო-
სად იქმნა დანიშნული, და ახალი საფრანგეთის სიმბოლო,
სამ-ფერიანი დროშა გადასცა. დიდძალი ხალხი, რომელსაც
აქამდე თითქმის მტრულად ეჭირა თავი, აღტაცებით მიეგება
თავის ახალ ხელმწიფეს. ამ სცენის შემდეგ ლიუდოვიკ ფილი-
პეს მეფედ გამოცხადებას წინ აღარაფერი ეღობებოდა, და 1830
წლის აგვისტოს დასაწყისში იგი მეფედ იქმნა გამოცხადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისის რევოლუციის გავლენა.

ბელგიის განთავისუფლება.

დიდი რევოლიუციის არ იყოს, ივლისის რევოლიუციაც ნიშანი შეიქმნა ევროპის სხვადასხვა კუთხეებში რევოლუციონური მოძრაობის დაწყებისათვის. იტალიაში, პოლონეთში და ბელგიაში, ყველგან დიდი მოძრაობა დაიწყო. მაგრამ წარმატებით მხოლოდ ბელგიის განმათავისუფლებელი მოძრაობა დასრულდა. ვენის კონგრესის გადაწყვეტილების მიხედვით, ბელგია და ჰოლანდია ერთს სახელმწიფოებრივ ორგანიზმში გაერთიანდა, მაგრამ გაერთიანება, რადგანაც იგი ახალი დროის ეროვნულ-პოლიტიკურ მისწრაფებათ ეწინააღმდეგებოდა, დიდხანს ვერ გასტანდა. ეს იყო მიზეზი, რომ ივლისის რევოლიუციას უწინარეს ყოვლისა ბელგიის განმათავისუფლებელი მოძრაობა მოჰყვა თან, და ევროპის სახელმწიფონი იძულებულნი შეიქმნენ, ბელგია ხელახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეცნოთ და მისი ნეიტრალიტეტი ეღიარებიათ.

ინგლისი

სულ სხვა გზას დაადგა ინგლისი. იგი ძველს ნაცად ევოლიუციის გზას დაენდო, რომელსაც იგი ნაპოლეონისა და საფრანგეთის საწინააღმდეგო ომებმა დააშორეს, მაშინ გარეშე შემოსევის ხიფათს გრძნობდენ და ამიტომ პიტის ხელმძვანელობით თავისი გავლენის უზრუნველსაყოფად ევროპის სახელმწიფოთა რეაქციის პოლიტიკას მიემხრენ. მაგრამ ახლა, როდესაც გარეშე ხიფათის საშიშროების სრული ლიკვიდაცია მოხდა, ინგლისელებმა ცხადად დაინახეს, რომ ამიერიდან იგინი ძველს საკუთარ გზას უნდა დაბრუნებოდენ. ტორების პარტიაში, რომელსაც პიტიდან დაწყებული პარლამენტში უმრავლესობა ემხრობოდა, განხეთქილებამ იჩინა თავი; ბრწყინვალე **კანინგმა**, საგარეო საქმეების მინისტრმა, ინგლისის საგარეო პოლიტიკას ახალი მიმართულება მისცა: მან თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ლიბერალიზმის მფარველად გამოაცხადა და დიდი ხანა-რებაც აღმოუჩინა პრაკტიკულად ისპანიის ახალშეაებისა და საბერძნეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამავე დროს მისმა მეგობარმა **გეს**კისონმა ინგლისის სავაჭრო პოლიტიკაში ახალი ხანა შეჰქმნა: მან აღებ-მიცემობის თავისუფლება გამოაცხადა, და რამდენიმე სახელმწ ფოსთან ხელშეკრულებაც დასდო, რომლის მიხედვითაც უნდა გაუქმებულიყო ის საბაჟო სისტემა, რომელიც უცხოეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლას აფერხებდა. ძალზე განვითარებულმა ინგლისის მრეწველობამ ახალი ბაზრები მოიპოვა, და სახელმწიფოს კეთილდღეობაც აჩქარებული ტემპით წავიდა წინ.

კათოლიკების უფლებების აღდგენა და ირლანდიის საკითხი.

მაგრამ ეს მხოლოდ კერძო ხასიათის რეფორმები იყო, რომელთაც ისე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. საჭირო იყო უფრო ღრმა მნიშვნელობის რეფორმები, რომელთა საჭიროებასაც დიდი ხანია ინგლისში გრძნობდენ და რომელნიც პოლიტიკურ წესწყობილებას ეხებოდენ. ამათ შორის განსაკუთრებით ორი რამ არის აღსანიშნავი: კათოლიკების უფლებრივი შეზღუდვა და უვარგისი საარჩევნო სისტემა. ეს ანაქრონიზმები უთუოდ უნდა მოსპობილიყვნენ.

ბრძოლა კათოლიციზმის წინააღმდეგ ინგლისის მთელს ახალ ისტორიაში წითელი ზოლივით არის გატარებული: იგი ჰენრიხ VIII-ს სეკულიარიზაციით დაიწყო; ელისაბედის დროს თვით ინგლისის დამოუკიდებლობაც ხიფათში ჩააყენა, ვინაიდან ფილიპე II-ს „არმადა“ არა მარტო პროტესტანტიზმის, არამედ თვით ინგლისის სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ იყო მიმართული. „თოფის წამლის“ შეთქმულება კათოლიკეებისა იაკობ I დროს კინაღამ კატასტროფით გათავდა. კარლოს II-მ კერძოდ კათოლიციზმის ზეგავლენით უარყოფა ნაციონალურ პოლიტიკას; კათოლიციზმის გულისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ II მზად იყო ქვეყნის კანონები დაემხო; და ბოლოს, ინგლისელები მთელი 300 წლის განმავლობაში იმის ცდაში იყვნენ, რომ ირლანდიის კათოლიკე უმრავლესობა პროტესტანტ უმცირესობისათვის დაემორჩილებიათ, და ამ ნიადაგზე ხშირად სისხლის ღვრა ხდებოდა, რომლის დროსაც ორივე მხარე თითქმის ერთმანეთის სრულ გაჟლეტას ლამობდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ ინგლისელების აზროვნებაში კათოლიციზმისადმი მძულვარებამ ღრმა ფესვები გაიდგა, ხოლო კანონმდებლობაში კათოლიკების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის სახით ნახა თავისი გამოხატულობა. ტესტ-აქტის ძალით, კათოლიკები მოკლებულნი იყვნენ როგორც სახელმწიფო სამსახურში შესვლის, ისე ადგილობრივ თვითმართველობასა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებებს. XIX საუკუნეში ასეთს მდგომარეობას აღარავითარი პოლიტიკური მოსაზრება ალარ ამართლებდა. ლაპარაკი კათოლიკების სახელმწიფო ღალატის შესახებ უკვე ანაქრონიზმი იყო, და ამას გარდა ექვსი მილიონი მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვა ისე მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ინგლისელთა თანასწორუფლებიანობისადმი მისწრაფებას, რომ ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებას შეადგენდა კათოლიკების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება. განსაკუთრებით ირლანდიელებისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საკითხს კათოლიკების ანგლიკანელებთან გათანასწორების შესახებ, **რადგანაც ირლანდიის მცხოვრებთა ოთხი მეხუთედი მაინც კათოლიკობას აღიარებდა.**

აგიტაციას ძველი კელტების ბელადების შთამომავალი, **ოკონელი** ჩაუდგა სათავეში; იგი, მჭერმეტყველი და მხურვალე პატრიოტი, მალე ირლანდიელთა კერპად გარდაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ოკონელი კათოლიკე იყო და პარლამენტის წევრობის უფლება არ ჰქონდა, იგი მაინც დეპუტატად იქმნა არჩეული. შედეგი ის იყო, რომ 1829 წ. ლონდონის პარლამენტმა, ჰერცოგ **უილინგტონის** წინადადებით, კათოლიკეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებრივი გათანასწორების ბილი მიიღო. მაგრამ ოკონელი ამან არ დააკმაყოფილა, ვინაიდან ირლანდიის წადილი სრული განთავისუფლება იყო, და ოკონელმა თავისი მოღვაწეობა პარლამენტშიც განაგრძო. ინგლისელები იძულებულნი შეიქმნენ, ირლანდიელების საწინააღმდეგოდ მკაცრი ზომები მიეღოთ. ამან გასჭრა, და ირლანდიის საკითხი დროებით გადადებულ იქმნა.

პარლამენტის რეფორმა.

მეორე მორიგ საკითხს პარლამენტის რეფორმა შეადგენდა, ე. ი. საარჩევნო სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ იგი სხვადასხვა ადგილის მცხოვრებთა რაოდენობასა და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობასთან ყოფილიყო მეთანხმებული.

რეფორმის მომხრეების გამოანგარიშებით, ე. წ. „დამპალი დაბებისა“ და დაძველებული საარჩევნო სისტემის წყალობით თემთა პალატის 657 დეპუტატში თავისუფლად არჩეულად მხოლოდ 170 ჩაითვლებოდა. ამგვარი სისტემის ყოვლად უვარგისობის მიუხედავად ტორებს მისი უარყოფა მაინც არ სურდათ, და კანონპროექტს მხოლოდ 1831 წლის არჩევნებს შემდეგ მიეცა მსვლელობა, როდესაც უმრავლესობა ვიგებს ჰხვდათ წილად, და **ლორდ გრეის** საჰინისტრო შესდგა. მის შემდეგაც კი, როცა ძირა პალატამ საარჩევნო სისტემის რეფორმა მიიღო, ლორდების პალატამ, სადაც დიდ უმრავლესობას ტორები შეადგენდენ, ორჯერ უარჰყო იგი. ეს გარემოება ძალზე აღელვებდა მცხოვრებთ; მეფესა და ლორდებს შეურაცყოფას აყენებდენ ქუჩაში და საზოგადოებაში, ჰაერში უკვე აჯანყების სუნი ტრიალებდა. ბოლოს მეფე იძულებული შეიქმნა, განსაკუთრებული ზომები მიეღო, და გრეისთან შეთანხმებით გადასწყვიტა, ლორდთა პალატაში, ახალი პერების დანიშვნის საშვალებით, ხელოვნური უმრავლესობა შეექმნა და ამ გზით კანონპროეკტი მიეღებინებინა. როდესაც ეს ტორის პარტიის ლორდებმა გაიგეს, არჩიეს დათმობის გზას დასდგომოდენ და კანონპროეკტის განხილვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სხდომას არ დაესწრენ; ამგვარად ბილლი მიღებულ იქმნა. იგი ორს მთავარ ცვლილებას შეიცავდა. პირველი ცვლილება შეეხებოდა ამა თუ იმ ადგილის საარჩევნო უფლებას: დეპუტატების არჩევის უფლება სრულიად ჩამოერთვა იმ დაბებს, რომლის მცხოვრებთა საერთო რიცხვიც 2000 არ აღემატებოდა, ხოლო, თუ 2000 ცოტა მაინც აღემატებოდა, ორის მაგიერ ერთ დეპუტატს ირჩევდა; 21 ახალს ქალაქს დეპუტატების არჩევის უფლება მიენიჭა. მეორე ცვლილება მიმართული იყო ცენზის საკითხის მოწესრიგებისაკენ: საარჩევნო უფლება მიეცა უძრავმოძრავი ქონების მეპატრონეებს, რომელთა წლიური შემოსავალიც 10 გირვანქა სტერლინგზე ნაკლები არ იყო, და აგრედვე იმ მოიჯარადრეთაც, რომლებიც 10 გირვანქაზე ნაკლებს არ იხდიდენ. რეფორმის შედეგი მალე გამოაშკარავდა: თუ 1832 წელ, ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 400,000 არ აღემატებოდა, რეფორმის შემდეგ ეს რიცხვი ერთი ორად გაიზარდა.

ჩარტიზმი.

მართალია, რეფორმამ პარლამენტის მუშაობა გააცხოველა, რომელმაც ახალი სასარგებლო კანონების მთელი რიგი შეიმუშავა (1833 ახალშენებში მოსპობილ იქმნა მონობა), მაგრამ დაბალი კლასები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. იგინი ნათლად ხედავდენ, რომ პარლამენტში მხოლოდ მოქალაქეთა დიდ უმცირესობას ჰყავდა წარმომადგენელნი და საარჩევნო სისტემა ხელახლა უნდა გადასინჯულიყო. 1838 წლის კრიზისმა უკმაყოფილოთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა, და აგიტაციამ ფართო ხასიათი მიიღო. საზოგადოების უკმაყოფილო ელემენტების მოთხოვნილებანი ე. წ. „სახალხო ქარტიაში“ (charter ჩარტერ) ჩამოყალიბდენ, რომლის მომხრეთაც „ჩარტისტები“ ეწოდათ. იგინი მოითხოვდენ საყოველთაო და საიდუმლო საარჩევნო უფლებას, პარლამენტის ყოველწლიურ განახლებას, თემთა პალატის წევრებისათვის ჯამაგირის დანიშვნას. მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტიციაზე, რომელიც პარლამენტს წარედგინა, 1.500,000 კაცს ჰქონდა ხელი მოწერილი. მაგრამ პალატებმა არ დაუთმეს. და მოძრაობაც დროებით შეჩერდა.

ამის მიუხედავად, ჩარტიზმს მაინც საგრძნობი შედეგები მოჰყა თან. საქმე ის არის, რომ ინგლისის პოლიტიკის ხელმძღვანელნი იძულებულნი შეიქმნენ, ჩარტისტების კრიტიკისათვის ანგარიში გაეწიათ. მათ დაინახეს, რომ დეპუტატთა უმრავლესობა მართლა ისეთ პოლიტიკას აწარმოებდა, რომელიც მიწის მფლობელთა ინტერესებს უფრო მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე ხალხისას, მაგალ. დიდ აღელვებას იწვევდა საზოგადოებაში ე. წ. **„პურის კანონები“**, რომლის მიხედვითაც უცხოეთის პურს ინგლისში დიდი ბაჟები ჰქონდა დადებული; ეს საშვალებას აძლევდა მიწის მფლობელთ, უცხოეთის კონკურენცია თავიდან აეცილებიათ და პური მუდამ მაღალ ფასებში გაეყიდათ; ხოლო ხალხისთვის ეს, ყოველ შემთხვევაში, საზიანო იყო, და ამიტომაც მანჩესტერელი მექარხნის, **კობდენის** მიერ დაარსებულს **„პურის კანონების საწინააღმდეგო კავშირს“** მრავალი თანამგრძნობი გაუჩნდა. შეუძლებელი იყო, გონიერ მთავრობას ამისთვის ანგარიში არ გაეწია, და 1846 წელს ტორების კაბინეტის თავმჯდომარემ, **რობერტ პილმა** პარლამენტში პურის კანონების გაუქმების ბილი გაიყვანა.

საფრანგეთი.

ივლისის მონარქია.

იმ დროს, როდესაც ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება მშვიდობიანისა და კანონიერის გზით ვითარდებოდა, საფრანგეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრება ვერ იქმნა და განვითარების კანონიერ კალაპოტში ვერ ჩადგა: **პოლიტიკური პარტიები და კლასები ვერ შეთანხმდნენ და სახელმწიფო შენებისათვის საერთო ნიადაგი ვერ გამონახეს.**

ივლისის რევოლიუცია ორმა ძალამ მოახდინა: ბურჟუაზიამ, რომელიც პოლიტიკურ ბატონობას ეძებდა, და მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასმა, რომელიც რევოლიუციისაგან თავისი მდგომარეობის ძირითად გაუმჯობესებას მოელოდა; მაგრამ რაკი რევოლიუციის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელში იყო, ამიტომ ამ უკანასკნელმა იგი თავისი მიზნებისათვის გამოიყენა. უკვე ის გარემოება, რომ უპირატესობა კონსტიტუციონურ მონარქიას მიეკუთნა, იმის ნიშანი იყო, რომ დაბალი კლასის მდგომარეობის საფუძვლიანად შეცვლა, მისი ინტერესების დაცვა და ხალხის უაღრესუფლებიანობის გამოცხადება არავის არ უნდოდა. ივლისის მონარქიის კონსტიტუციის საფუძვლად იგივე ლუდოვიკ XVIII-ეს ქარტია დარჩა, რომელიც, მართალია, ცოტაოდნად შეიცვალა და ლიბერალური ხასიათი მიიღო: მაგ., პალატის წევრებს საკონონდებლო ინიციატივის უფლება მიენიჭათ, რესტავრაციის დროს კი ამგვარი უფლება მხოლოდ მთავრობას ეკუთვნოდა, და ყოველგვარი ფინანსიური საკითხი, ინგლისის მსგავსად, ეხლა ქვედა პალატაში უნდა გარჩეულიყო... მაგრამ ხარტიის მთავარი იდეა, რომელიც პოლიტიკურ უფლებათ მხოლოდ მაღალ კლასებს ანიჭებდა, მაინც ძალაში დარჩა. ცვლილება ამ მხრივ იმაში გამოიხატებოდა, რომ „მაღალი კლასების“ ცნება იმდენად გაფართოვებულ იქმნა, რომ იგი საშვალო ბურჟუაზიასაც შეიცავდა: საარჩევნო ცენზი 300-დან 200 ფრანკამდე იქმნა ჩავოყვანილი, ხოლო სადეპუტატო— 1000-იდან 500-ამდე. ცენზის შემცირების გამო ამომრჩეველთა რიცხვი 80000-დან 200000 ავიდა; წინანდელი 8000 მაგიერ ეხლა 24000-ს ჰქონდა დეპუტატად არჩევის უფლება.

ამის შემდეგ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება თითქოს კანონიერ კალაპოტში ჩადგა, და პარტიული და პარლამენტალური მუშაობა კანონით განსაზღვრულ საზღვრებში გაჩაღდა. გაჩნდენ ახალი ბელადებიც, რომელთა შორისაც განსაკუთრებით თვალსაჩინონი იყვნენ: სასტიკი და მედიდური **გიზო** და მოძრავი და პატივმოყვარე **ტიერი**. მაგრამ საფრანგეთის მმართველი კლასები არ ჰგავდნენ ინგლისის პოლიტიკოსებს. იმ დროს, როდესაც უკანასკნელნი დიდ ანგარიშს უწევდენ მასის ინტერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს, საფრანგეთის გაბატონებული წრეები ფართო მასის ძალასა და მოთხოვნილებებს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ; მმართველი ბურჟუაზია იარაღით სცდილობდა სახალხო მოძრაობის ჩაქრობას; პარიზში, ლიონში და სხვა ადგილებში არა ერთხელ უფეთქია მრისხანე აჯანყებებს; მთავრობას შეტაკება უხდებოდა გამოცდილს, დახელოვნებულ რევოლიუციონერებთან, რომელთა წრეშიც გარკვეულმა სოციალისტურმა მოძრაობამ იჩინა თავი: **სენ-სიმონის** მიმდევრები ქრისტიანობის ასკეტური ზნეობის წინააღმდეგ ილაშქრებდენ და მემკვიდრეობის უფლების სრულ მოსპობას ჰქადაქებდენ. **ფურიეს** განზრახვით, საზოგადოება „ფალანგებად“ უნდა დაყოფილიყო და თითოეულს მათგანში 2000 კაცი შესულიყო; ფალანგის წევრებს კოლეკტიური შრომა ევალებოდათ, და თითოეულს მათგანს საერთო ნაწარმოების განსაღვრული ნაწილი უნდა მისცემოდა. **ლუიბლანი** უფრო მცირედით კმაყოფილდებოდა: ის მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს **ნაციონალური სახელოსნოები მოეწყო**, სადაც მუშა სამუშაოს იშოვიდა და შესაფერ სასყიდელსაც მიიღებდა. მაგრამ მთავრობას დიდი იმედი ჰქონდა ჯარის, ნაციონალური გვარდიისა და პოლიციის და ამიტომ ამ მოვლენებს დიდს ყურადღებას არ აქცევდა: 1848 წლის დაწდეგს გიზო დარწმუნებული იყო, თითქოს ივლისის მონარქია არას დროს ისე მტკიცე არ ყოფილიყოს, როგორც მაშინ იყო, და როდესაც ერთი დეპუტატთაგანი, ისტორიკოსი **ტოკვილი**, პალატას მოსალოდნელის სახალხო მოძრაობის წინაშე აფრთხილებდა, მას სიცილით შეჰხვდენ, როგორც მეოცნებეს, რომელსაც პრაკტიკული ცხოვრების არა გაეგებოდა რა.

ივლისის მონარქიის უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან მრავალი მტერი შეიძინა, ხოლო მეგობრების უმრავლესობა თანდათანობით დაჰკარგა. ბურჟუაზიამაც კი, რომელთანაც ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული, გულგრილად და ზიზღითაც დაუწყო მას ცქერა. ლიუდოვიკ ფილიპემ და მისმა ახლობლებმა ვერც მდაბიო ხალხთან დაახლოვება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გულის მოგებასა შესძლეს და ვერც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლით ისახელეს თავი: საგარეო პოლიტიკაც ისევე უხეირო იყო. როგორც შინაო. ტიერს კარგად ესმოდა, რომ ფრანგების პატივმოყვარეობისათვის უფრო გაბედული პოლიტიკის წარმოება იყო საჭირო სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ფრთხილი მეფე მის რჩევას უყურადღებოდ სტოვებდა. **ალჟირ**ის დაპყრობა, რომელიც ჯერ კიდევ კარლოს X-ეს დროს დაიწყო, ძვირად დაუჯდა ჯარს, და ვერც ფრანგების პატივმოყვარეობას აკმაყოფილებდა. ამგვარად, თვით ბურჟუაზიის წრეებში გაიზარდა უფრო ღრმა, ფართო და გაბედული პოლიტიკის წარმოების მოთხოვნილება, გაძლიერდა და გავრცელდა მტრული განწყობილება პარლამენტში წარმოებულის უნაყოფო ბრძოლისა და კომბინაციებისადმი, **რომელიც არაფერს სერიოზულს არ იძლეოდა არც შინაურ მართველობაში და არც საგარეო პოლიტიკაში.**

თებერვლის რევოლუცია.

თვით ბურჟუაზიის წრეში, პარლამენტის ოპოზიციის ჯგუფებში დაიწყო მოძრაობა, რომელსაც მიზნად საარჩევნო უფლების გაფართოება ჰქონდა დასახული; მაგრამ, რადგანაც პალატების იმედი არ იყო, ამიტომ მოძრაობის მეთაურებმა, ინგლისის მსგავსად, აგიტაცია თვით ხალხში გადაიტანეს. ოპოზიციის ბელადები საფრანგეთის სხვადასხვა ადგილას ხელის მოწერით **ბანკეტებს** აწყობდენ, რომლებზეც საარჩევნო უფლების გაფართოების თემაზე სიტყვებს ამბობდენ. საზოგადოება უამისოდაც აღელვებული იყო, და როდესაც აგიტაცია დაიწყო, ფრანგების ცხარე ტემპერამენტმა თავისი გაიტანა და მთავრობას აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს; მთავრობამ თავის მხრივ საწინააღმდეგო ზომებს მიმართა: აკრძალა სახალხო პროცესია, რომლის გამართვასაც პარიზში ერთი დიდი ბანკეტის გამო 22 თებერვალს აპირებდენ. ბანკეტის მომწყობებმა განაცხადეს, რომ ისინი სამართალში მისცემდენ სამინისტროს ამ უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონო მოქმედებისათვის, ხოლო მუშები ქუჩებში ბარიკადების კეთებას შეუდგენ. მეორე დღეს მეფემ გაიგო, რომ ნაციონალური გვარდია, მისდა სამწუხაროდ, მოძრაობას თანაუგრძნობდა: აღლუმის დროს, რომელიც მეფემ გვარდიას გაუმართა, რამოდენიმე ბატალიონი მას „გაუმარჯოს რეფორმას“ ძახილით შეხვდა საღამოს საქმე უკვე გამწვავდა; ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ჯარმა რამდენიმე კაცი დასჭრა; ამან კიდევ უფრო გააბრაზა უამისოდაც ბრძოლის გუნებაზე დამდგარი დემოკრატია. მაგრამ ბრძოლა უკიდურესობამდი არ განვითარებულა: რაკი არსებულ წესწყობილებას ნაციონალური გვარდიაც ე. ი. ბურჟუაზიაც გადაუდგა, მეფისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ბრძოლის გაგრძელება უახრობა იქმნებოდა და ამიტომ მან ჯერ ოპოზიციის სამინისტრო დანიშნა და შემდეგ ტახტიდანაც გადადგა.

დეპუტატების პალატა ხალხით აივსო; მან დროებითი მთავრობის არჩევა და ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შესამუშავებლად ნაციონალური კონვენტის მოწვევა მოითხოვა. კონვენტი მართლაც მოწვეულ იქმნა, და მანაც საფრანგეთი ერთხმად რესპუბლიკად გამოაცხადა.

თებერვლის რევოლუცია და ევროპა: გერმანიის კავშირი და ფრანკფურტის პარლამენტი.

1848 წ. საფრანგეთში მომხდარმა რევოლუციამ ევროპის სხვა სახელმწიფოებზე, თოფის წამლის საწყობში გადასროლილი ნაპერწკალივით იმოქმედა. ნიადაგი ყველგან მზად იყო, და რევოლ უციონური მოძრაობის დასაწყებად სიგნალის ჩვენებაღა იყო საჭირო; თებერვლის რევოლუციამ სწორედ ამგვარი სიგნალის როლი შეასრულა.

გერმანიის საზოგადოების გულისთქმა ყველაზე ადრე სამხრეთ-დასავლეთის სახელმწიფოებში გამომჟღავნდა, სადაც კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა არსებობდა. მოძრაობას განათლებული ბიურგერები ხელმძღვანელობდენ და ბეჭდვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოლიტიკური კრებების თავისუფლებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა და საფრანგეთის ნაციონალური გვარდიის მსგავს სახალხო ჯარის დაარსებას მოითხოვდენ. გარდა ამისა ყველა იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ უძველეს გერმანული კავშირი უნდა მოსპობილიყო და მის ნაცვლად ერთი მთლიანი გერმანიის სახელმწიფო შექმნილიყო. ამ მოძრაობის გვერდით მეორე, უფრო რადიკალური მოძრაობაც არსებობდა, რომლის მიზანსაც რესპუბლიკა და ხალხის ბატონობა შეადგენდა; მაგრამ იგი არ იყო ძლიერი, და მისი მომხრეების აჯანყება ბადენში ადვილად იქმნა ჩაქრობილი. სამაგიეროდ, ნაციონალურ-ლიბერალური მიმართულება შეუჩერებლივ ვრცელდებოდა.

ფრანკფურტში წმ. პავლეს ეკლესიაში გამოჩენილმა ლიბერალებმა მოიყარეს თავი, შეჰქმნეს ე. წ. „ფორპარლამენტი“ და მოითხოვეს, რომ მთავრობებს იქ **გერმანიის ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების დასამყარებლად** საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული დეპუტატები გაეგზავნათ. მთავრობები უბრძოლველად დამორჩილდენ. 1848 წ. მაისში **ფრანკფურტის დამფუძნებელი პარლამენტი გაიხსნა,** სადაც გერმანიის ბიურგერების საუკეთესო წარმომადგენლები—პროფესორები, მასწავლებლები და იურისტები—შეიკრიბნენ. გერმანიის გაერთიანებისა და განთავისუფლების დიადი საქმე შესრულდა, რასაც ხელს უწყობდა ხალხის გამოღვიძებული თვითშეგნება და პატრიოტული გატაცება; ახალი წესწყობილების დეტალები ღა დარჩა გამოსამუშავებელი.

რევოლუცია ავსტრიაში.

ნაციონალისტებისა და ლიბერალების ასეთი სწრაფი გამარჯვება მით აიხსნება, რომ კავშირის უმთავრეს სახელმწიფოებში უფრო რთული ხასიათის რევოლიუციონერი მოძრაობა არსებობდა, ვიდრე დანარჩენებში. ავსტრიაში ბურჟუაზიულ რევოლიუციონურ მოძრაობასთან ერთად ანგარიშგასაწევი იყო აგრედვე ნაციონალური მოძრაობაც. მის მაგიერ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების სასარგებლოდ ემუშავნათ, ავსტრიაში, პირიქით კერძო ეროვნებები განცალკევებისაკენ მისწრაფოდენ: ვენის მთავრობა ყველა ეროვნებას ეზიზღებოდა, მაგრამ არც ერთმანეთი უყვარდათ; ავსტრიის მრავალ საუკუნოებრივმა ისტორიამ ვერ შესძლო ერთი ერისა და ძლიერი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნა: ავსტრიის ქვეშევრდომების იდეალები წმ. სტეფანეს, წმ. ვენცესლავისა და იაგელონების გვირგვინებთან, იტალიის, ხორვატიისა და სერბიის დამოუკიდებლობასთან იყვნენ დაკავშირებულნი; ამიტომაც იყო, რომ უნგრელები, იტალიელები, ჩეხები, ხორვატები, სლოვენები, პოლონელები და რუსები—ყველა გარედ გაიყურებოდა, ყველა თავისი დამოუკიდებელის ეროვნული ცხოვრების გაჩაღებას ესწრაფოდა.

ასეთ დროს მეტერნიხის პოლიციური მთავრობა იმასაც კი არ ცდილობდა, რომ ფეოდალიზმის ნაშთები მოესპო: პოლონელი და უნგრელი აზნაურები კვლავინდებურად ყმების შრომითა და სენიორალური იურისდიქციით სარგებლობდენ.

ასეთ პირობებში ცხადი იყო, რომ ვენის მთავრობა რევოლუციას ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ საკმაო აღმოჩდა სტუდენტების მრისხანე პეტიციაც კი, რათა ევროპის კანონმდებელს, თავადს მეტერნიხს ავსტრია მიეტოვებია და ინგლისში გადახვეწილიყო, სწორედ იმ ინგლისში, რომელსაც იგი ყოველთვის დაწესებულებებსა და პოლიტიკას უწუნებდა. იმპერატორმა ფერდინანდმა ავსტრიის საერთო კონსტიტუციის შესადგენად დამფუძნებელი კრება მოიწვია. ვენა შეიარაღებული სტუდენტებისა და ბიურგერების ხელში იყო; ბუდაპეშტში მადიარების პატრიოტებმა ვექილის **კოშუტის** მეთაურობით ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და ცალკე სახელმწიფოს მოწყობას შეუდგენ, ხოლო პრაგაში **ჩეხებმა** გაიმარჯვეს.

იტალიაში.

ამ გარემოებით იტალიელებმაც ისარგებლეს, რომლებიც ავსტრიის ულელს ყველაზედ უფრო მწვავედ განიცდიდენ. იტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიელთა პატრიოტული მოძრაობა, რომლის დახშობაც ავსტრიელ-ვითარმა რეპრესიამ ვერ შესძლო, სამი სხვადასხვა გვარი ცენტრიდან გამომდინარეობდა. საიდუმლო საზოგადოებების სათავეში გენუელის, **მაცინის** რადიკალური ამხანაგობა იდგა; მას უკიდურესი რესპუბლიკანური თეორიები ჰქონდა მიზნად დასახული და იტალიაში არსებულ მთავრობასთან ყოველგვარი მორიგებისა და შეთანხმების წინააღმდეგი იყო. ფრთხილად ემზადებოდა ავსტრიელების წინაალმდეგ საბრძოლველად **სარდინიის** მეფე **კარლოს ალბერტიც** და თვალსაჩინო და კარგად განსწავლული არმიის შესადგენად ყოველ ღონეს ხმარობდა. დასასრულ, მორწმუნე კათოლიკენი მთელ იმედებს ახალს პაპზე, პიუს IX-ზე ამყარებდენ, რომელიც მათ თვალში ევროპის ერების ოჯახში იტალიელების პირველობის დიადი იდეის მატარებელი იყო; თავის მხრივ პიუს IX თავის ოლქში ადმინისტრაციის გასაუმჯობესებლად ზომები მიიღო და მეზობელ სახელმწიფოებთან იტალიის კონფედერაციის შექმნის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც საფრანგეთში თებერვლის რეოლიუციამ იფეთქა. ეს ამბავი აბობოქრებულ იტალიას ელვის სისწრაფით მოედო, და დაგუბებულმა უკმაყოფილებამ რევოლუციის სახით გადმოხეთქა. შედეგი ის იყო, რომ ყველგან: ლომბარდიაში, ვენეციაში, შუა იტალიასა, და ნეაპოლში რესპუბლიკანური წესწყობილება გამოცხადდა.

პრუსიაში.

პრუსიაში ჯერ კიდევ თებერვლის რეოლჯუციამდი სჩანდა ნიშნები მოსალოდნელი სარევოლჯუციო მოძრაობის აუცილებლობისა. აღსანიშნავია, რომ რეოლჯუციონურმა სულიერმა განწყობილებამ მუშებში იჩინა თავი: კელნში მაგალ. მუშათა შორის სოციალისტური იდეები იკიდებდა ფეხს. თვით ბერლინშიც ყველაზე უფრო მუშები ღელავდენ და თებერვლის **რევოლჯუციის** ზეგავლენით **ტირგარტენში** დიდს სახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხო კრებებს მართავდენ, რომლებზეც პროლეტარიატის დამოუკიდებელი მიზნები თანდან ირკვეოდენ. მეფე სერიოზულ ანგარიშს არ უწევდა ამ გარემოებას, მაგრამ ამავე დროს მაინც საბრძოლველად ემზადებოდა. უკიდურესის შეურიგებელი პოლიტიკის მომხრედ ტახტის მემკვიდრეს, **ვილჰელმს** თვლიდენ. ნიშნები ისეთი იყო, რომ რევოლიუცია უნდა დაწყებულიყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა 13 მარტის ყრილობას ჰქონდა, რომელმაც განსაკუთრებული „შრომის სამინისტროს“ დაარსება მოითხოვა; გაზეთებმა ამას „კომუნისტური“ გამოსვლა უწოდეს და, როდესაც ყრილობის შემუეგ ჯარს ყრილობის მონაწილეებთან შეტაკება მოუხდათ, ძაფი ხალხსა და მთავრობას შორის საბოლოოდ გაწყდა. 18 მარტს ბერლინის ქუჩებზე ნამდვილი ბრძოლა დაიწყო, რომელმაც 13 საათს გასტანა და ხალხს გამარჯვება მიანიჭა. მეფემ ჯარი ბერლინიდან გაიყვანა და ხალხის სურვილები თავის სურვილებად გამოაცხადა; საჩქაროდ შეადგენია პრუსიისათვის ლიბერალური კონსტიტუცია და ლიბერალური სამინისტრო დანიშნა, რომელმაც 21 მარტს ხალხს ამცნო, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV კვლავ გერმანიის გაერთიანების საქმეს ჩაუდგა სათავეშიო. მეფის მანიფესტის თანახმად მალე ნაციონალური კრებაც უნდა შეკრებილიყო.

რეაქცია იტალიაში, ავსტრიაში და გერმანიაში.

ამგვარად რევოლიუციამ ყველგან სწრაფი და მოულოდნელი წარმატება მოიპოვა; მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რევოლიუციონერები არ იყვნენ მომზადებულნი საალმშენებლო მუშაობისათვის, და ამავე დროს ისტორიულად შექმნილი სახელმწიფოებრივი ფორმები იმდენ ცხოველმყოფელობას კიდევ იჩენდენ, რომ მათი საბოლოო დაძლევა რამდენიმე დღეში შეუძლებელი აღმოჩნდა.

იტალიის პატრიოტების პირველს სანატრელ საქმეს გაერთიანება შეადგენდა, **მაგრამ ამის განხორციელება არც**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ადვილი საქმე იყო. ნეაპოლიტანელები და სიცილიელები კუთხობრივი ინტერესებით იყვნენ გატაცებულნი და ხშირად ერთმანეთს ხელს უშლიდენ; ამით ფერდინანდ II-მ ისარგებლა, აჯანყება ჩაქრო და უკანასკნელის მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდა. სარდინელმა მეფემ რესპუბლიკანელებისაგან დახმარება ვერ მიიღო და იძულებული შეიქმნა, ბრძოლა საკუთარი ძალ-ღონით ეწარმოებია. ლომბარდიაში იგი რამოდენიმეჯერ დამარცხდა და ბოლოს თავისი შვილის, **ვიკტორ-ემანუელის** სასარგებლოდ ტახტზე უარი განაცხადა. თანახმად დადებული ხელშეკრულებისა, ლომბარდია ისევ ავსტრიის ხელში გადავიდა. ვენეცია მთელის ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდა დამოუკიდებლობით, მაგრამ სარდინელების დამარცხების შემდეგ ჯერი მასზედაც მიდგა; მძაფრი წინააღმდეგობის შემდეგ იგი იძულებული შეიქმნა, ავსტრიის ჯარებს დანებებოდა. იტალიის გაერთიანება და განთავისუფლება ამგვარად დაღვრილი სისხლის მიუხედავად კვლავ საოცნებო საგნად დარჩა.

თუმცა გაჭირვებით, მაგრამ რეაქციამ ავსტრიაშიაც გაიმარჯვა. ავსტრიის საერთო დამფუძნებელმა კრებამ მართალია რამდენიმე სასარგებლო ზომა მიიღო, მაგალითად, ზოგიერთი ფეოდალური ვალდებულება სრულიად გააუქმა, მაგრამ მის გავლენას ძირშივე სპობდა ის გარემოება, რომ იგი საერთო კონსტიტუციის შექმნას ცდილობდა, მაშინ როდესაც ავსტრიის ერებს გაერთიანების არაფერი სწამდათ და ყველა დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. როდესაც ფერდინანდმა ტახტი თავის ძმისწულს, **ფრანც-იოსებს** გადასცა, რეაქციამ ავსტრიაში ენერგიული სახე მიიღო; მინისტრის **შვარცენბერგის** დახმარებით ფრანც იოსებმა რევოლუციის წინააღმდეგ გადაჭრილი ნაბიჯები გადასდგა. ჯერ გენერალ ვინდიშგრეცის მეთაურობით პრაგა იქმნა აღებული, და ამ გზით სლავების ეროვნული კრების იდეა ჩაიფუშა, და შემდეგ **ვენასაც** იგივე ბედი ეწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ **უნგრები** იდგენ მტკიცედ. მათს მიზანს ავსტრიისაგან სრული ჩამოშორება და ყველა იმ სლავების დამორჩილება შეადგენდა, რომლებიც ოდესმე უნგრეთის სახელმწიფოს ექვემდებარებოდენ. ხოლო თვითონ სლავები სრულებითაც არ ფიქრობდენ „საზიზღარი“ მადიარების დამორჩილებას; მათ ხორვატების, სერბების და დალმაციელების შეერთება და დიდი ხორვატიის სამეფოს შექმნა სწადდათ. ხორვატების ბანი ელაშიჩი მთელი ძალღონით ეხმარებოდა იმპერატორს უნგრების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ის სამაგიეროს გადაუხდი და მას და სამხრეთ სლავების მიწების დამოუკიდებლობას სცნობდა. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ იმპერატორი სლავების სურვილს არ დააკმაყოფილებდა, და ისინიც ჩამოშორდენ მას. უნგრები კი დიდ სიმამაცეს იჩენდენ; უნგრელი მოხალისეები ადვილად ითვისებდენ სამხედრო ხელოვნებას და კარგ მეომრებადაც ხდებოდენ; მათ რამოდენიმე პოლონელი სარდალი ხელმძღვანელობდა, და გამარჯვება უნგრელთა მხარეზე იყო. 1849 წელს აპრილში **დებრეჩინის** სეიმმა ჰაბსბურგები გადაყენებულად გამოაცხადა და დროებითი მთავრობა აირჩია, რომლის თავმჯდომარეობაც გამოცდილსა და ენერგიულ **პატრიოტს, კოშუტს** ჩააბარა.

1849 წ. ვინდიშგრეცი ვენგრიაში შეიჭრა; დასაწყისში რამდენადმე წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ შემდეგ სასტიკად იქმნა დამარცხებული. ამ სასოწარკვეთილების ჟამს ავსტრიას მხსნელად რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე მოევლინა: ის აღშფოთებით უცქეროდა ევროპის რევოლიუციებს, ხოლო უნგრეთის აჯანყება მას რუსეთისათვის პირდაპირ მავნებლად და საშიშოდ მიაჩნდა, რადგანაც იქ მონაწილეობას პოლონელები იღებდენ, და ეს, იმპერატორის აზრით, თვით პოლონეთზე იქონიებდა გავლენას. ივნისში რუსეთის ჯარი **პასკევიჩის** მეთაურობით უნგრეთში გადავიდა და უკვე 13 აგვისტოს **ვილაგოშთან** მადიარების მთელი ჯარი დაამარცხა: „უნგრეთი თქვენი დიდებულების ფერხთა ქვეშ არისო“, შეუთვალა პას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კევიჩმა ნიკოლოზ I-ს. ამის შემდეგ უნგრეთი კვლავ ავსტრიას შეუერთდა. „საერთაშორისო ჟანდარმმა“, როგორც ნიკოლოზს უწოდებდენ, მადიარების თავისუფლება დამარხა.

უნგრეთისა და იტალიის ამბებმა ნება არ მისცეს ავსტრიას, გერმანიის გაერთიანების საქმეში ჩარეულიყო, და გერმანიასაც საშვალება მიეცა, დაწყებული საქმე თავისუფლად დაესრულებია. მაგრამ ამ გარემოებით ვერც ფრანკფურტში შეკრებილმა ლიბერალებმა და ვერც პრუსიის მეფემ ვერ ისარგებლეს. საქმეს ერთი მხრივ ის აფერხებდა, რომ ლიბერალური წრეები და მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოს მთავრობანი მტრულად ეპყრობოდენ პრუსიას, რომელიც გაერთიანების საქმეს სათავეში უნდა ჩადგომოდა, ხოლო თვით პრუსიის მთავრობას იმდენი გამბედაობა ვერ გამოეჩინა, რომ საღვთო კავშირსა და მის პოლიტიკას აშკარად ჩამოშორებოდა და ავსტრიისათვის ბრძოლა ვამოეცხადებია. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ცალკე მთავრობებთან ფრანკფურტის პარლამენტს ცუდი განწყობილება ჰქონდა. ამის მიუხედავად მას მაინც მთელი გერმანიის უმაღლეს დაწესებულებად მოჰქონდა თავი და ხშირად ცალკე მთავრობათა საგარეო პოლიტიკის საქმეშიც კი ერეოდა, თუმცა პრაკტიკულად ასეთი ჩარევა არავითარ შედეგს არ იძლეოდა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ხალხის საერთო უფლებების შესახებ შეთანხმება მოხდა, საჭირო იყო საერთო მთავრობის ორგანიზაციაზე ზრუნვისთვის მოეკიდათ ხელი: იმპერატორობა პრუსიის მეფეს ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ს შეაძლიეს, მაგრამ მან უარი განაცხადა: ჯერ ერთი მიტომ, რომ მას არ უნდოდა „გვირგვინის მაგიერ რევოლუციის მონის უღელი მიეღო“, მეორე მიტომ რომ რუსეთის იმპერატორი მას რჩევას აძლევდა, იმპერატორობაზე უარი ეთქვა, და მესამე კიდევ მიტომ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის უმთავრესმა მთავრობებმა — ბავარიის, ჰანოვერის, საქსონიისა და ვიურტემბერგისამ პრუსიის ჰეგემონიის მიღებაზე უარი განაცხადეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ავსტრია იმთავითვე ფრანკფურტის პარლამენტის კომბინაციის აშკარა მოწინააღმდეგე იყო. ფრიდრიხ ვილჰელმმა ყველა ამ მიზეზის გამო ვერ გადადგა გაბედული ნაბიჯი და გვირგვინის მიღების ნაცვლად სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართა უნიის შესახებ; ამით იგი ისე აპირებდა გერმანიის გაერთიანებას, რომ არავინ ნაწყენი არ დარჩენილიყო.

პრუსიის მეფის უარის შემდეგ ფრანკფურტის პარლამენტის მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. მის მიერ შედგენილი საიმპერიო კონსტიტუცია ჰაერში დარჩა დაკიდებული. დეპუტატების უმრავლესობამ კრება დატოვა, ხოლო რადიკალურმა უმცირესობამ სხდომების შტუტგარტში გადატანა სცადა, მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს (ივნისის 18) ვიურტემბერგის მთავრობის ბრძანებით სხდომის დარბაზის კარები დეპუტატებს დაკეტილი დახვდათ. ეს იყო უკანასკნელი დღე ფრანკფურტის პარლამენტისა. ასე დასრულდა გერმანიის ბურჟერთა მიერ დაწყებული საქმე გერმანიის გაერთიანებისა.

მაგრამ უკეთესი ბედი არც იმ „უნიას“ მოელოდა, რომელსაც პრუსიის მეფე უჭერდა მხარს. ფრანც იოსებმა, რომელიც რუსეთის დახმარებით უკვე საკმაოდ გამაგრდა, მთელი თავისი ენერგიით პრუსიის გეგმების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამ შემთხვევაში ფრანც იოსებს კვლავ რუსეთის იმპერატორის დახმარების იმედი ქონდა, ჯერ ერთი მიტომ რომ ნიკოლოზ I საზოგადოდ წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ცვლილებების, და ამას გარდა პრუსიის გაძლიერება სრულიად არ შეეფერებოდა რუსეთის ინტერესებს, რომლისთვისაც ძლიერი მეზობლის გაჩენა არცერთი მხრით ხელსაყრელი არ იქნებოდა. გერმანიის მთავრობის წარმომადგენლების კრებაზე **ოლმიუნცში** თავადმა შვარცენბერგმა დაჟინებით მოითხოვა, გერმანია ვენის კონგრესის მიერ შექმნილ წესწყობილებას დაბრუნებოდა. ფრიდრიხ ვილჰელმის პლანები ჩაიშალა.

სამაგიეროდ იგი შინაურ პოლიტიკაში შეეცადა კომპენსაციის შექმნას. მას იმთავითვე უთანხმოება ჩამოუვარდა ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნულ კრებასთან, რომელიც თავის სუვერენობას სცნობდა და ამის შესაფერის კონსტიტუციის შექმნას აპირებდა. ავსტრიაში რეაქციის გამარჯვების ამბებმა ფრიდრიხ ვილჰელმი იმდენად გაათამამეს, რომ 5 დეკემბერს მან ეროვნული კრება დაშლილად გამოაცხადა და სამაგიეროდ ხალხს შეკვეცილი კონსტიტუცია შესთავაზა, რომელიც 1850 წ. 31 იანვარს საბოლოოდ იქმნა მიღებული. მისი დამახასიათებელი თვისებები შემდეგი იყო: გაფართოება მონარქის პრეროგატივებისა, უპასუხისმგებლობა სამინისტროსი ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და სამხარისხოვანი სისტემა საარჩევნო უფლებისა, რომელიც მდიდარი კლასების უპირატესობის სრულ განმტკიცებას საბოლოოდ უზრუნველყოფდა. ეს კონსტიტუცია იმ დროიდან დაწყებული თითქმის უცვლელად დარჩა 1918 წლის რევოლუციის დაწყებამდი.

საფრანგეთი

თებერვლის რევოლუციის დროს ნათლად გამოირკვა, რომ მუშათა კლასი თავისი საკუთარი პოლიტიკის გზას ადგებოდა, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს არსებითად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ საკმარისი იყო ივლისის მონარქია დამსხვრეულიყო, რათა ამ წინააღმდეგობას მყის თავი ეჩინა: **სულ სხვა იყო ბურჟუაზიის სულის კვეთება, და სულ სხვას გამოელოდა რევოლიუციიდან მუშათა კლასი**. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მუშათა კლასი, როგორც ასეთი, მხოლოდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი პარიზში იყო შეკავშირებული, ხოლო გლეხობა მეტ-წილად კონსერვატულად აზროვნობდა და მოქალაქეთა წრეში ჩასახულს სარევოლიუციო მოძრაობას არ თანაუგრძნობდა.

„ივნისის დღეები“.

კონვენტის მიერ ამორჩეულს აღმასრულებელ კომისიას სათავეში ნიჭიერი მგოსანი და ენამჭევრი ორატორი, **ლამარტინი** ჩაუდგა. ლიბერალიზმისა და ხალხის უაღრესუფლე-

ბიანობის დაცვით, მართალია, მან დიდი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ რევოლიუციონერთა „წითელი“ პროგრამის მიღება და საზოგადოებრივი ურთიერთობის სრული გარდაქნისათვის მოღვაწეობა მან მაინც ვერ შესძლო. „წითლების“ მთავარი წარმომადგენელი **ლუი ბლანი** იყო. თებერვლის ამბების ცხოველი გავლენის გამო, პარიზში ნაციონალური სახელოსნოები მოეწყო, სადაც ყოველ მუშას სამუშაოს მოთხოვნა და ქირად დღეში 2 ფრანკის მიღება შეეძლო. საერთო არევ-დარევის მიზეზით მრეწველობის საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა, ნაციონალურ სახელოსნოებში კი უამრავმა მუშამ მოიყარა თავი (100.000 კაცზე მეტმა). საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელსაც ისინი აწარმოებდენ, სამრეწველო მნიშვნელობას სრულიად მოკლებულნი იყვნენ; ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიური წარმატებისათვის მათ საგრძნობი არაფერი არ მოქონდათ, ხოლო სარევოლიუციო მოძრაობისათვის მზა რევოლიუციონურად განწყობილ არმიას ჰქმნიდნენ, რომელზეც გავლენა უკიდურეს რადიკალებს ჰქონდათ. ივნისში აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა, ნაციონალური სახელოსნოები დაეხურათ, ხოლო იქ მომუშავეთაგან ნაწილი რკინის გზების გასაყვანად პროვინციებში გაეგზავნათ და ნაწილი ჯარში ჩაერიცხათ.

ეს გადაწყვეტილება სახელოსნოებში და მუშათა უბნებში ბრძოლის გამოცხადებად ჩასთვალეს; პარიზის ქუჩებში მთელი სამი დღის განმავლობაში (24—26 ივნ.) ისეთი სისხლის ღვრა სწარმოებდა, რომლის მიუწვეც თვით რევოლიუციის ბუდე—პარიზიც კი არა დროს არ ყოფილა. აჯანყების ჩასაქრობად კონვენტმა გენერალი კავენიაკი დიქტატორის უფლებით აღჭურვა და მის განკარგულებაში სალაშქრო რაზმებს გარდა პარიზის ნაციონალური გვარდიის ბატალიონები და პროვინციის „მოძრავი“ გვარდია გადასცა. მკაცრის, დაუნდობელი ბრძოლისა და ბევრი მსხვერპლის გაღების შემდეგ კავენიაკმა „წითლებს“ დასძლია, და ამ გამარჯვებამ რადიკალური რესპუბლიკის ბედიც გადასწყვიტა. ეხლა მხოლოდ ის ღა დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსარკვევი, თუ რამდენად შესწევდათ ორგანიზაციის უნარი გამარჯვებულს ზომიერ რესპუბლიკელებს.

ლუდოვიკ ნაპოლეონი.

კონვენტმა ახალი კონსტიტუცია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს სათავეში ორი სრულიად დამოუკიდებელი ძალა უნდა ჩადგომოდა: საყოველთაო ხმის მიცემით სამი წლის ვადით არჩეული პარლამენტი და ამ გვარადვე არჩეული (4 წლის ვადით) პრეზიდენტი (მაგრამ ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ პრეზიდენტად არჩევა აკრძალული იყო). პრეზიდენტის თანამდებობაზე ორი მთავარი კანდიდატი იქმნა დასახელებული: **კავენიაკი** და პრინცი **ლუდოვიკ ნაპოლეონ ბონაპარტი**. უკანასკნელი ჰოლანდიის მეფის ლიუდოვიკის შვილი და იპერატორ ნაპოლეონის ძმის წული იყო; გულჩახვეული და პატივმოყვარე, ნაპოლეონის იდეების შეურყევლობასა და ცხოველმყოფელობის ძალაში დარწმუნებული, ლუდოვიკ ნაპოლეონი დიდხანს პოლიტიკური ავანტიურისტისა და მეოცნების ცხოვრებით ცხოვრობდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, ლიუდოვიკმა იტალიელების აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა (1830) და ავსტრიელებისაგან მხოლოდ ლტოლვით უშველა თავს. ივლისის მონარქიის დროს ის ორჯერ შეეცადა ლიუდოვიკ ფილიპეს წინააღმდეგ ბონაპარტისტების ამოძრავებას, რისთვისაც ხანგრძლივი დაპატიმრებით იქმნა დასჯილი, რომლის დროსაც იგი წიგნებს სწერდა, რომელშიც თავის პოლიტიკურ თეორიებს აქვეყნებდა. მისი აზრით, ევროპის ნაციონალურისა და სოციალური გარდამქნის ძალა მარტო მონარქიას შესწევდა, რომელიც დემოკრატიაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. 1848 წლის რევოლიუციამ, დაბოლოსაც იქმნა, ფართო გზა გაუხსნა პრინცს. ლიბერალები და რადიკალები რესტავრაციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ბონაპარტიზმისადმი მეგობრულ განწყობილებას შეეჩვივნენ. ნაპოლეონის იმპერიამ, როგორც დიდებისა და ძლიერების ხანამ, ხალხის მასაში და არმიაში წარუშლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კვალი დასტოვა, და ეს იყო მიზეზი, რომ პრეზიდენტის არჩევნების დროს 7,500,000 ხმიდან ბონაპარტს 5,500,000 ხმა ამოუვიდა, 1,500,000—კავენიაკს, ხოლო დანარჩენი რადიკალების კანდიდატებს ხვდათ წილად.

რაც შეეხება ნაციონალურ კრების არჩევნებს, აქ თვალსაჩინო უმრავლესობა მონარქისტებს ერგოთ: პროვინციების მცხოვრებლებმა ამით რესპუბლიკისადმი თავისი მტრული განწყობილება გამოამჟღავნეს და ისეთი მდგომარეობა შეჰქმნეს, რომ რესპუბლიკის მმართველად მონარქისტები იქმნენ მოწვეულნი. მონარქისტული რეაქციის საწინააღმდეგო გარანტიას მხოლოდ ის გარემოება იძლეოდა, რომ მონარქისტები სამს ერთი მეორის მოძულე პარტიად იყვნენ გაყოფილნი: **ლეგიტიმისტები** მხარს უჭერდნენ ბურბონების სამეფო გვარის ჩამომავალს, გრაფს შამბორს; **ორლეანისტები** თავის იმედს ისევ ლიუდოვიკ ფილიპეზე ამყარებდენ, რომელიც ამ დროს ინგლისში ცხოვრობდა; ბონაპარტისტების კანდიდატი თვითონ პრეზიდენტი ბონაპარტი იყო; რადიკალები თუმცა უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდენ, ვინაიდან პარიზის მუშათა წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდენ. ზომიერი რესპუბლიკანელები თავის კანდიდატ კავენიაკთან ერთად თავს დამარცხებულად თვლიდენ.

კრებას და მთავრობას ერთხელ კიდევ მოუხდა შეტაკება „წითლებთან“. მიზეზი ის იყო, რომ პაპის დასახმარებლად რევოლუციონერთა წინააღმდეგ საფრანგეთიდან ექსპედიცია იქმნა გაგზავნილი. რადიკალებისთვის ეს ძნელი მოსათმენი იყო, და ამიტომ მათ პრეზიდენტისა და მინისტრების გასამართლება მოითხოვეს. პარიზის ქუჩებში შეიარაღებული მუშები გამოვიდენ. მაგრამ ჯარმა და ნაციონალურმა გვარდიამ ხელად ჩაახშო ეს მოძრაობა და თვით პარიზში საალყო წესები გამოაცხადა. ნაციონალურმა კრებამ დრო იშოვა და საარჩევნო უფლება ჩამოართვა ყველას, ვინც ერთსა და იმავე ადგილას სამს წელზე ნაკლებს ცხოვრობდა. ეს ზომა მუშების წინააღმდეგ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართული, და მისი წყალობით მუშათა კლასს პოლიტიკურ ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენის შესაძლებლობა წაერთვა.

პრეზიდენტმა მშვენივრად ისარგებლა რადიკალების უკმაყოფილებითა და მცხოვრებთა უმრავლესობის სულიერი განწყობილებით, რომელსაც პირველ ყოვლისა წესრიგი სწყუროდა ⁄ ამიტომ „წითლების“ ეშინოდა. ზოგი პრეზიდენტს ისე უყურებდა, როგორც სამოქალაქო წყობილების საყუდელს, ზოგი კიდევ სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს ნაციონალურ კრებასთან მის უთანხმოებას. მან, მაგ. მოითხოვა, რომ საარჩევნო უფლება დაბრუნებოდა იმ პირებს, ვისაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არა ჰქონდა, თუმცა წინდაწინვე იყო დარწმუნებული, რომ კრება მის წინადადებაზე არ დასთანხმდებოდა. 1852 წელს თავდებოდა პრეზიდენტობის ოთხი წლის ვადა, მაგრამ ლიუდოვიკ ნაპოლეონმა და მისმა მომხრეებმა ჯერ კიდევ 1851 წელს დაიწყეს საარჩევნო მზადება. პრეზიდენტის პოპულიარობა თვალსაჩინო იყო, განსაკუთრებით პროვინციაში; ფრანგების უმრავლესობაში პოლიტიკური აღტყინების ადგილი აპათიამ დაიკავა; ის პირები, რომელთაგანაც წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი, არმიასა და ნაციონალურ გვარდიას ჩამოშორებულ იქმნენ; უმთავრესი ადგილები არმიასა და პოლიციაში პრეზიდენტის მომხრეებმა, საეჭვო წარსულის პირებმა დაიკავეს, რომელთაც თავისი შერყეული მდგომარეობის გამოკეთება პოლიტიკური მოღვაწეობით სურდათ. 1851 წლის დეკემბრის 2-ს, ღამით, ყველა გავლენიანი დეპუტატი და სხვადასხვა პარტიის მოღვაწეები დააპატიმრეს, უმთავრესი ქუჩები და მოედნები ჯარმა დაიკავა, გამოაკრეს პროკლამაციები კრების დათხოვნის, საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენისა და სახელმწიფოს მეთაურის 10 წლის ვადით დანიშვნის შესახებ სახელმწიფოებრივი ბიძგი (coup d' état) გამარჯვებით დამთავრდა. მუშების სუსტი ცდა წინააღმდეგობის გასაწევად მაშინვე ჩაშალეს, გამოჩენილი პირები, როგორიც იყვნენ მაგ. გენერლები: კავენიაკი და შანგარნიე, საფრანგეთიდან გააძევეს, ზოგი აფრიკაშიც კი გადაასახლეს. შემდეგ საალყო წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების მუხრუჭ ქვეშ მართველობის ფორმის შესახებ პლებისციტი მოახდინეს, რომლითაც ლიუდოვიკ ნაპოლეონის „**სახელმწიფოს მეთაურად**“ გამოცხადების საჭიროებას 7,500,000 კაცმა მისცა ხმა, ხოლო ამის წინააღმდეგი მარტო 650000 აღმოჩნდა. ამის შემდეგ უხერხული სახელი „სახელმწიფოს მეთაური“-სა „იმპერატორის“ სახელით შესცვალეს, და ახალმა პლებისციტმა კიდევ უფრო საგრძნობი ხმის უმეტესობით გაიზიარა ეს ცვლილება. ახალმა იმპერატორმა **ნაპოლეონ** III სახელწოდება მიიღო (ნაპოლეონ II-ეთ ნაპოლეონ I და მარიან ლუიზას შვილი, ე. წ. რეიხშტადტელი ჰერცოგი ითვლებოდა).

ამგვარად, ყველა იმ ქვეყნებში, სადაც 1848 წელს რევოლიუცია მოხდა, ისევ თვითმპყრობელობა იქმნა აღდგენილი. რევოლიუციონური იდეები და გეგმები უმეტეს ნაწილად დაიმსხვრა. ამის მიუხედავად 1848 წლის მოძრაობას მაინც არ ჩაუვლია უქმად. მისი თავდაპირველი წარმატება იმედს უღვიძებდა დამარცხებულებს, რადგანაც პროგრესისტების ძალა და მთავრობის პოზიციების სუსტი მხარეები ყველამ თვალსაჩინოდ დაინახა. მაგრამ ზნეობრივი გავლენის გარდა, ევროპის პოლიტიკური წეს-წყობილებაც ძალზე შეიცვალა. მართალია, ავსტრია, რომელიც რევოლიუციის მხრივ ხელუხლებელ რუსეთს ემყარებოდა, სავსებით მეტერნიხის პოლიტიკას დაუბრუნდა; სამაგიეროდ პრუსიის მთავრობამ ვერ დასტოვა უყურადღებოდ ის, რაც მოხდა, უარი სთქვა აბსოლუტურ მონარქიის აღდგენაზე და კონსტიტუციონალური მართველობა დასტოვა. **უმთავრესი კი ის იყო, რომ საფრანგეთში კვლავ ნაპოლეონისებური მონარქია აღდგა, რომლის ლოზუნგსაც სამხედრო დიქტატურის დახმარებით რევოლიუციის საქმის განგრძობა შეადგენდა.**

ეროვნული მოძრაობის განცხოველება.

ყირიმის ომი.

ნაპოლეონ III, როდესაც იგი იმპერატორის უფლებას ჰკიდებდა ხელს, განაცხადა: „იმპერია მშვიდობიანობა არისო“, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილად იმპერია უფრო ომს ნიშნავდა, ვიდრე მშვიდობიანობას, რადგანაც სახელმწიფო წეს-წყობილების ავტორიტეტის გამაგრება მხოლოდ ამით შეიძლებოდა. ახალი ომის მიზეზებსა და საბაბს საკმაოდ ჰქონდა თავი მოყრილი ევროპაში, და რევოლიუციის წიაღიდან გამოსულმა იმპერიამ ბრძოლა იმ სახელმწიფოს გამოუცხადა, რომელიც თავგამოდებით იცავდა ლეგიტიმობას და ამით მთელს აღმოსავლეთ ევროპაში ჰეგემონიას პოულობდა; ეს იყო რუსეთი. ნიკოლოზ I-სათვის ავსტრიისა და გერმანიის საქმეებში ჩარევას პირდაპირი სარგებლობა არ მოუტანია, მაგრამ უნგრეთის კომპანიისა და ვარშავის კონფერენციის შემდეგ დასავლეთის საზღვრებზე იგი უზრუნველყოფილად სთვლიდა თავს და ამიტომ აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის დაწყება ხელგამოჭრილად მიაჩნდა. მისი აზრით, ოსმალეთი „ავადმყოფი ადამიანი“ იყო, რომლის მემკვიდრეობაზედაც დრო იყო, მისს მეზობლებს ეზრუნათ. ამ აზრით, მან ინგლისის ელჩს პეტერბურგში შეატყობინა, თუ შემთხვევა მომეცა, კონსტანტინეპოლს დავიკავებ, მაგრამ არა საბოლოოდ, არამედ მისთვის, რომ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე დამოუკიდებელი საქრისტიანო სახელმწიფოები დავაარსოო. მისი განზრახვა იყო, ეს ახალი სახელმწიფოები რუსეთის მფარველობის ქვეშ გამოეცხადებია; მისი აზრით, ინგლისს თავის მხრივ ეგვიპტეს ან კუნძულის კრიტოსის დაკავება შეეძლო.

მაგრამ უკვე ორმოციან წლებში გამოირკვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, ინგლისი და საფრანგეთი, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას მხარს არ დაუჭერდენ და ნებას არ მისცემდენ მას, კონსტანტინეპოლი დაეკავებია. რუსეთის იმპერატორის გეგმებმა, მის მაგიერ რომ ინგლისელებში თანაგრძნობა გამოეწვიათ, მის საწინააღმდეგოდ დასავლეთ სახელმწიფოების კავშირის აღდგენას შეუწყეს ხელი. ნაპოლეონ III საომარმა განზრახვებმა დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ინგლისის მხრივ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ საგარეო საქმეთა მინისტრად ლორდი **პალმერსტონი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიქმნა. საფრანგეთთან ნიკოლოზს პირდაპირი შეტაკებაც კი მოუხდა, იმის გამო, რომ ნაპოლეონ III პალესტინის კათოლიკების მფარველის როლში გამოვიდა და უფლის საფლავის ეკლესიაში მათ მიერ ზოგი პრივილეგიის დაჩემებას უჭერდა მხარს; იმპერატორი ნიკოლოზი კი მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს იცავდა. როდესაც რუსეთის იმპერატორმა სულთანს მოსთხოვა, რომ მას, ადრიანეპოლის ხელშეკრულების თანახმად, ყველა მის ქვეშევრდომ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე რუსეთის პროტექტორატი ეცნო, წმიდა ადგილების შესახებ ატეხილმა დავამ რთული და მრისხანე სახე მიიღო. დასავლეთის სახელმწიფოების დახმარების მოიმედე ოსმალეთმა იმპერატორის ყველა მოთხოვნილების ასრულებაზე უარი განაცხადა. მაშინ რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს: მისმა ჯარმა დუნაის სამთავროები დაიკავა; ხოლო შავი ზღვის ფლოტმა სინოპთან ოსმალეთის ესკადრა გაანადგურა (1853). რა კი საქმემ სერიოზული მიმართულება მიიღო, ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ომი გამოუცხადეს; ყოველი მოლოდინის წინააღმდეგ, თავად შვარცენბერგის თქმის არ იყოს, ავსტრიამ „თავისი უმადურობით ქვეყნის გაკვირვება“ გადაწყვიტა და დუნაის სამთავროებიდან რუსეთს ჯარის გაყვანა მოსთხოვა. რუსებს ამგვარ პირობებში დუნაიზე ლაშქრობის გაგრძელება არ შეეძლოთ, სილისტრიას ალყა მოხსნეს და ნოვოროსიისაკენ დაიხიეს.

პირველ ხანებში მოკავშირეებმა არ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდენ; მათ ექსპედიციები გაგზავნეს ყველა იმ ზღვაში, რომელიც რუსეთის სამფლობელოებს ეკრა გარს—ბალტიის, თეთრს, შავსა და ბერინგის ზღვაში, მაგრამ მხოლოდ შავი ზღვის ექსპედიციას მოჰყვა სერიოზული შედეგები. სევასტოპოლის გარშემო მთელი თერთმეტი თვის განამავლობაში შეუპოვარი ბრძოლა სწარმოებდა, რომელიც სევასტოპოლის აღებით დასრულდა. ბრძოლის დროს **ფრანგებს, ინგლისელებსა და ოსმალოებს სარდინელებიც შეუერთდენ**, რომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანიც დასავლეთი ევროპის სახელმწიფოთა თანაგრძნობის მოპოებაში მდგომარეობდა. ავსტრია დიდხანს იდგა განზე, მაგრამ, როდესაც რუსეთის მარცხი გამოირკვა, თავისი ჯარები რუსების საზღვრებისაკენ წამოსწია და რუსეთს მუქარის კილოთი დაუწყო ლაპარაკი.

პარიზის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც უკვე ალექსანდრე II დროს იქმნა დადებული, რუსეთმა მხოლოდ უმნიშვნელო ტერიტორია დაჰკარგა—მან დასთმო ბესარაბიაში ზოლი მდ. პრუტის გასწვრივ, ხოლო რუსეთის პროტექტორატი დუნაის სამთავროებსა და სერბიაზე ყველა უმთავრესი სახელმწიფოს მფარველობით შეიცვალა. რუსეთსა და ოსმალეთს შავზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა აეკრძალათ, ხოლო დარდანელი და ბოსფორი სამხედრო გემებისათვის დახურულ იქმნენ.

იტალიის გაერთიანება.

ყირიმის ომმა და პარიზის ზავმა საფრანგეთს ხელმძღვანელი სახელმწიფოს მდგომარეობა შესძინა: იმ პროგრამაში, რომელიც ნაპოლეონ III ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე შეადგინა, იმპერიის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ევროპის ეროვნულ სახელმწიფოებად დანაწილება იყო დასახული, და, როდესაც იგი იმპერატორი შეიქმნა, ეროვნულ მოძრაობათა ქომაგად გამოვიდა, რათა ამ გზით საფრანგეთის გავლენისა და მიწაწყალის გაფართოებისათვის ხელი შეეწყო. ამით იგი, რა თქმა უნდა, მტრად იკიდებდა უწინარეს ყოვლისა ავსტრიას, რომელიც იტალიასა და გერმანიაში ყველგან თავგამოდებითა და წარმატებით ახშობდა ყოველს ეროვნულ მოძრაობას.

1848 და 1849 წლების შემთხვევებმა ბევრი რამ ასწავლეს იტალიელებს: მათი მოწინავე ხალხი დარწმუნდა, რომ დიადი საქმის შესრულებისათვის მარტო ენტუზიაზმი და რწმენა არ კმაროდა, რომ საჭირო იყო აგრეთვე შეთანხმებული მოქმედება და საკმაო ნივთიერი საშუალებანიც. უფრო კეთილგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერმა რესპუბლიკანელებმა სარდინიის მონარქიასთან იწყეს დაახლოვება, სადაც ამ დროს გამოჩენილი სახელმწიფო ნიჭის კაცი, გრაფი **კავური** მოღვაწეობდა. მან შესძლო იტალიელი ლიბერალების ნდობის დამსახურება და ამავე დროს საერთაშორისო პოლიტიკის არსებული პირობებით ხელოვნურად ისარგებლა: ყირიმის ომში ჩარევა საკმაოდ მოხერხებული ზომა იყო, ხოლო პარიზის ზავის შემდეგ კავურმა სწრაფად მოისაზრა, რომ მისი უმთავრესი მტერი, ავსტრია ყირიმის კომპანიის შემდეგ განმარტოებული დარჩა, და რომ ამავე დროს ნაპოლენ III მზად იყო, იტალიის საქმეებში ჩარეულიყო და აპენინის ნახევარკუნძულზე ავსტრიის ჰეგემონია საფრანგეთის ჰეგემონიით შეეცვალა. ამ მოსაზრებათა მიხედვით, კავურმა გაბედულად დაიწყო მოქმედება: ავსტრიის წინააღმდეგ გამომწვევი კილო მიიღო და საომარ მზადებასაც შეუდგა, ხოლო ფრანგების იმპერატორს საიდუმლოდ შეუთანხმდა და მას ჩრდილოეთ იტალიის გაერთიანების სამაგიეროდ **ნიცა** და **საოიი** აღუთქვა. 1859 წელს საქმე კრიზისამდე მივიდა: იმპერატორმა ფრანც იოსებმა სარდინელებს მოსთხოვა, საომარი მზადება შეეჩერებიათ და, მიიღო რა მათგან უარი, თავისი ჯარი პიემონტში გაგზავნა. სანამ ავსტრიის სარდალი ნელი ნაბიჯით წინ მიიწევდა, თვით ნაპოლეონ III ხელმძღვანელობით ფრანგებიც გამოცხადდენ. ავსტრიელები **მაჯენტთან** და **სალფერინოსთან** დამარცხდენ, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს და თავი ოთხი ციხისაგან (მანტუია, ვერონა, პესკიერა, ლენიანო) შემდგარს გამაგრებულ ოთხკუთხედს შეაფარეს. მაგრამ ავსტრიელებს ჯერ კიდევ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება. ამავე დროს გერმანიაშიც დაიწყო ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა ფრანგების წინააღმდეგ, და თვით პრუსიაც მზად იყო თავისი ნაციონალური მტრის საწინააღმდეგოდ ბრძოლაში ჩარეულიყო. ამ საშიშმა მდგომარეობამ ნაპოლეონ III აიძულა, იტალიის ომისთვის თავი დაენებებია და ჯარები რეინისაკენ წაეყვანა. ავსტრიელებთან ციურიხში შეჰკრა ზავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან **ლომბარდია** მიიღო, რომელიც შემდეგში სარდინიაი გადასცა.

იყო განზრახვა, რომლის მიხედვითაც იტალიის გაერთიანება გერმანიის კავშირის მსგავსად უნდა განხორციელებულიყო, და მის სათავეში პაპი ჩამდგარიყო; მაგრამ ასეთი კომბინაცია არც სარდინიას აკმაყოფილებდა და არც შუა და სამხრეთი იტალიის პატრიოტებს. რომანიის (ყოფილი ეგზარქატის), პარმის, მოდენის და ტოსკანის მცხოვრებლებმა თავიანთი ადგილობრივ მთავრობების წინააღმდეგ გაილაშქრეს და თავისი ტერიტორია სარდინიის სამეფოს ნაწილად გამოაცხადეს. სამხრეთის ბედი **გარიბალდიმ** გადასწყვიტა; 1859 წლის ომის დროს იგი ვიქტორ ემანუილის დროშის ქვეშ ომობდა ავსტრიელთა წინააღმდეგ, ხოლო ციურიხის ზავის შემდეგ დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება; 1000 მოხალისით იგი სიცილიაში გადავიდა და ნეაპოლიტანის მეფის, ფრანცისკ II ჯარები რამდენიმე კვირის განმავლობაში კუნძულიდან გარეკა. სიცილიიდან გარიბალდი აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა და **ნეაპოლიდან** ბურბონები განდევნა. მისი სწრაფი წარმატების მიზეზი ის იყო, რომ მკხოვრებთა თანაგრძნობა მის მხარეზე იყო და ამა გარდა თვით ნეაპოლიტანის ჯარებიც ბურბონების საქმეს უხალისოდ იცავდენ. გარიბალდის გამარჯვება შეიძლება სამხრეთ-იტალიის რესპუბლიკის დაარსებით დასრულებულიყო, რომ ამისთვის ვიკტორ ემანუილს არ შეეშალა ხელი: მისი ჯარები ნეაპოლიტანის სამფლობელოში შეიჭრენ, საბოლოოდ დაიკავეს იგი და ჩრდილოეთის პროვინციებს შეუერთეს.

იტალიის პირველი პარლამენტი 1861 წლის დასაწყისში გაიხსნა; ხოლო ამავე წლის მარტში ვიქტორ ემანუილმა **იტალიის მეფის** ტიტული მიიღო. დიდი სახელმწიფოები, მათ შორის საფრანგეთიც, იტალიის ამბებს მტრულად უცქეროდენ, მაგრამ ავსტრიის დამარცხების შემდეგ თავი აღარავის ჰქონდა, საქმეში ძალით ჩარეულიყვო. ეს იყო მიზეზი, რომ იტალიის ეროვნული გაერთიანება განხორციელდა. დახმარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოჩენისათვის საფრანგეთს **ნიცა და სავოია** გადაეცა; **ვენეციის მხარე** ისევ ავსტრიელთა ხელში დარჩა, ჩრდილოეთსა და სამხრეთ იტალიას პაპის სამფლობელო ჰყოფდა შუაზე, და თვით რომი კვლავ მღვდელ-მთავრის განკარგულებაში რჩებოდა, რომელიც იმ დროს განმათავისუფლებელ იდეებსა და მათი ზეგავლენით წარმოშობილს იტალიის სამეფოსაც გადაჭრით ჰგმობდა. პატრიოტების მიზანი ჯერ კიდევ სავსებით არ იყო მიღწეული, და ფიცხი გარიბალდი, რომელიც ზიზღით უცქეროდა დიპლომატიას და რომელსაც სახალხო მოძრაობის ძალა სწამდა, ორჯელ კიდევ შეეცადა რომის ოლქის დაკავებას. გარიბალდელების თავდასხმა პირველად (1862) ვიქტორ ემანუელის ჯარების მიერ იქმნა მოგერებული, რომლის აზრითაც რომის საკითხის წამოყენება ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. მეორეჯერ—პაპს საფრანგეთის ჯარები მიეშველენ (1867). საქმის კეთილად დასამთავრებლად კვლავ ხელსაყრელის საერთაშორისო მდგომარეობის ცდა შეიქმნა საჭირო.

იმპერიის საშინაო პოლიტიკა.

მეორე იმპერია, რომელმაც თავი ისახელა ბრძოლის ველზე, თავის საშინაო მოღვაწეობაში პროგრესიული იდეებისა და სამხედრო დესპოტიზმის უცნაურ არევ-დარევას წარმოადგენდა. პირველი შეხედვით, მისი წესწყობილება **ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებზე** იყო აგებული. იმპერატორმა საყოველთაო კენჭის ყრით (პლებისციტი) მიიღო ძალაუფლება; სახელმწიფოს მართვაში სახელმწიფო საბჭო, სენატი და საკანონმდებლო კორპუსი იღებდა მონაწილეობას; უკანასკნელში დეპუტატს საყოველთაო ხმის მიცემითა და ცენზის მიუხედავად ირჩევდენ. მაგრამ ამავე დროს ზომები იყო მიღებული, ყოვლად ძლიერი იმპერატორისათვის ხელი არავის შეეშალა. კანონპროექტების შემუშავება სავსებით სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას შეადგენდა. საკანონმდებლო კორპუსს არავითარი უფლება არ ჰქონდა, თავის მხრივ რაიმე წინადადება შეეტანა, ⁄ ყო-

ველი შემთხვევისათვის იგი სენატის კონტროლს ექვემდებარებოდა, რომელიც იმპერატორისაგან დანიშნული გენერლების, ეპისკოპოსებისა და წარჩინებულებისაგან შესდგებოდა. პრესა მკაცრი ცენზურის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო მთელი საზოგადოება — ბიუროკრატიის ოპეკას ემორჩილებოდა, იმ ბიუროკრატიის ოპეკას, რომელსაც ბევრი რამ ჰქნოდა განცდილი: ძველი წესწყობილება, ტერორის ხანა, დირექტორია, პირველი იმპერია, რესტავრაცია, ივლისის მონარქია და, ბოლოს, მეორე იმპერია, რომელსაც ეხლა თავგამოდებით ემსახურებოდა. ურჩსა და მოუსვენარ ხალხს პოლიცია მოურიდებლად ექცეოდა — განურჩევლად აპატიმრებდენ მათ და კაიენნასა და ალჟირში ასახლებდენ. მას შემდეგ, რაც იტალიელმა ორსინიმ ნაპოლეონ მესამეს მოკვლა განიზრახა, პოლიციის მოქმედებამ კანონის მხრივაც დასტური მიიღო. საიმპერატორო მთავრობისათვის ამ პირობებში წინააღმდეგობის გაწევა სახიფათო და, როგორც სჩანდა, უიმედოც იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო კორპუსში ოპოზიცია მაინც არ სცხრებოდა, ჰგმობდა მთავრობის პოლიტიკას და, რამდენი წელიც გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა. ორმოციანი წლების ლიბერალიზმის ვეტერანი **ტიერი**, მჭერმეტყველი **ჟულ ფავრი**, და სამოციანი წლების დასასრულს რადიკალი **გამბეტაც** საკანონმდებლო კორპუსში მხურვალე სიტყვებს ამბობდენ, რომელთაც საზოგადოებაც ეხმაურებოდა, მაგრამ პრაქტიკულ ბრძოლამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

საფრანგეთის ხელმძღვანელობისთვის იმპერატორი მარტო პოლიციური ზომებით როდი კმაყოფილდებოდა; მან განსაკუთრებით ბევრი **ნივთიერი კეთილდღეობის განმტკიცებისათვისაც გააკეთა.** ჯერ მარტო წესრიგის აღდგენამ შეუწყო ხელი ვაჭრობისა და მრეწველობის წელში გამართვას და განვითარებას. ინგლისთან, გერმანიასთან და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით საფრანგეთის ნაწარმოებებმა დიდი გასავალი მოიპოვეს. კოლონიალური ვაჭრობის გასაძლიერებ-

ლად ინგლისთან ერთად იმპერატორმა იარაღით აიძულა ჩინეთი, ევროპის ვაჭრებისთვის ზოგი ნავთსადგური გაეხსნა (1858); ამასთანავე ნაპოლეონმა სუეცის არხის გასაჭრელად ენერგიული მოქმედება დაიწყო. თვით საფრანგეთში ამ დროს დიდი ყურადღება რკინის გზების გაყვანას ჰქონდა მიქცეული; შედეგი საუცხოვო იყო: სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში საფრანგეთის აღებმიცემობა ერთი-ორად გაიზარდა. საზოგადო კეთილდღეობის გაფართოებით მუშათა კლასმაც ისარგებლა.

იმპერატორი ნივთიერი აღორძინების შესახებ ფიქრის დროს არც გარეგნულ ეფექტს ივიწყებდა. 1867 წლის მსოფლიო გამოფენამ უცხოელებს ნათლად დაანახვა, რომ საფრანგეთის მრეწველობა და ხელოვნება სრული განვითარების ფაზისში იმყოფებოდა. პარიზი ახალი ქუჩებით, ბაღებით და მშვენიერი შენობებით მოიკაზმა. მაგრამ სამაგიეროდ საზოგადოების სულიერი ცხოვრება სულ სხვა სანახაობას წარმოადგენდა. თუმცა გემოვნების, მოდისა და ფუფუნების საკითხში ისევ ფრანგები შეიქმნენ ევროპის კანონმდებლებად, მაგრამ სამაგიეროდ მთელ საფრანგეთში უმაღლესი ინტერესებისა და ზნეობრივი იდეების მოდუნებამა და ჩამოქვეითებამ იჩინა თავი; გამდიდრებისა და ფიზიკური დატკბობის სურვილი ადამიანის მოქმედების მთავარს მამოძრავებელ მოტივად შეიქმნა. სამოქალაქო იდეალების ინტერესი აღარავის აღარ ჰქონდა; ყველა ცდილობდა, ცხოვრებიდან თავისი პირადი კეთილდღეობის შესაქმნელად რაც შეიძლებოდა მეტი სარგებლობა გამოეტანა: ზოგი ბირჟაზე თამაშს ჰკიდებდა ხელს და ზოგიც სპეკულაციას ეძლეოდა, ზოგი ხაზინას ფცქვნიდა და ზოგი კიდევ მექრთამეობას ეწეოდა.

პრუსიის გაძლიერება.

ზნეობრივი დასუსტება დიდ საფრთხეს უმზადებდა საფრანგეთს, რადგანაც მის გვერდით ახალი ძლიერი სახელმწიფო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლებული პრუსია იზრდებოდა და მაგრდებოდა. როგორც თავის დროზე იენასთან დამარცხებამ და ტილზიტის ზავმა, ისე ეხლა ვარშავასა და ოლმიუცში დამცირების განცდამ პრუსიის სახელმწიფოებრივად განწყობილი პირები აიძულა, ძალა მოეკრიბათ, შეცდომები გაესწორებიათ და ბრძოლისათვის მომზადებულიყვნენ.

1857 წელს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე ვილჰელმის ხელში გადავიდა; 1861 წელს, ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ეს გარდაცვალების შემდეგ, იგი ვილჰელმ I-ის სახელით პრუსიის მეფედ გამოცხადდა. პირადად მისის და ახლობელი თანაშემწეების: სამხედრო მინისტრის **როონისა** და შტაბის უფროსის **მოლტკეს** აზრით, **პრუსიისა და გერმანიის მომავალი უმთავრესად სამხედრო მომზადებასა** და **პრუსიის ჯარის რიცხვზე იყო დამოკიდებული,** და ამისდამიხედვით იგინი ფართო სამხედრო რეფორმების განხორციელებას შეუდგენ, რომლის ძალითაც მომქმედი ჯარის შემადგენლობა ერთიორად უნდა გადიდებულიყო (40.000 კაცის მაგიერ ეხლა 63.000 იწვევდენ და ამას გარდა მომქმედი არმიის სათადარიგო ნაწილიც გააძლიერეს). მაგრამ ამ რეფორმის გამო მათ პრუსიის პალატის დეპუტატებთან სერიოზული შეტაკება მოუხდათ. პალატის წევრების უმრავლესობას პროგრესისტები შეადგენდენ, რომლებიც ინდენად არ განიცდიდენ ოლმიუცის შთაბეჭდილებას, როგორც მთავრობა, უმეტესად მოქალაქეობრივ თავისუფლების განვითარებაზე ფიქრობდენ, მილიტარიზის გაძლიერების ეშინოდათ და ვერ გრძნობდენ, რომ დიდი ხნის ოცნების — გერმანიის გაერთიანების — განხორციელება უმთავრესად შეიარაღებულ ძალაზე იყო დამოკიდებული. მათ მთავრობის გეგმები დაიწუნეს და განზრახული რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო კრედიტზე უარი უთხრეს. მაგრამ მეფემ მაინც არ დაუთმო და მინისტრ-პრეზიდენტად „იუნკრების", ე. ი. მემამულეთა პარტიის ერთი წევრთაგანი, **ბისმარკი** დანიშნა. სამინისტროს ახალმა მეთაურმა დეპუტატების უმრავლესობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა: ამხილებდა მათ უმეცრებას საერთაშორისო და სამხედრო საკითხებში და უთვალისწინებდა, რომ დიდი საკითხები სიტყვებითა და კენჭის ყრით კი აღარ სწყდებოდენ, არამედ „სისხლითა და რკინით“. კონფლიკტი იმდენად გამწვავდა, რომ დეპუტატთა პალატას ბჯუჯეტი რამდენიმე წლის განმავლობაში არ დაუმტკიცებია. მთავრობა მაინც თავის გზით მიდიოდა, ჰკრებდა კადასახადებს და სამხედრო საქმის რეორგანიზაციას განაგრძობდა. რამდენი ხანიც გადიოდა, კონფლიქტი იმდენად უფრო ღრმავდებოდა, და ეს მდგომარეობა ბისმარკს აიძულებდა, სამხედრო ძალა, რომლის გარშემოც დავა სწარმოებდა, რაც შეიძლება მალე გამოეყენებია და დაემტკიცებია, რომ საერთაშორისო მდგომარეობა მართლა უკიდურესი ძალის ხმევას მოითხოვდა.

1963 წელს პრუსიის მთავრობას გადამწყვეტი მოქმედების დასაწყებად საუკეთესო შემთხვევა მიეცა. დანიის მეფე, ფრიდრიხ VII გარდაიცვალა, და მის სიკვდილთან ერთად დანიაში **ოლდენბურგების** სამეფო გვარიც მოისპო. დანიის სამეფო გვირგვინი მისი ახლობელი ნათესავის, **ქრისტიან** IX ხელში გადავიდა, ხოლო ჰოლშტინიის საჰერცოგო, რომელიც გერმანიის კავშირში იმყოფებოდა, მემკვიდრეობის ძველი წესით, ერთს გერმანელ მთავართაგანს უნდა გადასცემოდა; ამ შემთხვევაში უფლება საჰერცოგოზე **აუგუსტენბურგელ ჰერცოგს** ხვდებოდა. მეზობელი საჰერცოგო **შლეზვიგი** XI საუკუნიდან დანიას ეკუთნოდა, მაგრამ მის მცხოვრებთა შორის გერმანელები მრავლად იყვნენ, და **გერმანიაშიც მისი და ჰოლშტინიის** შემოერთება სურდათ. ლონდონში შეკრებილმა (1852) დიდი სახელმწიფოების კონფერენციამ დანიას დაუჭირა მხარი, და მაშინ ამ გადაწყვეტილებას ავსტრია და პრუსიაც შეუერთდენ; მაგრამ ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ დანიას იარაღით არც ერთი დიდი სახელმწიფო არ დაეხმარებოდა, და ავსტრიის მთავრობას შეუთანახმდა, აუგუსტენბურგელი ჰერცოგის პრეტენზიისათვის მხარი დაეჭირა. ლონდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის გადაწყვეტილების დარღვევის მიზეზად დანელების მიერ შლეზვიგში მიღებული ზოგიერთი ზომა იქმნა ჩათვლილი, და ავსტრიისა და პრუსიის ჯარები საჰერცოგოში შეიჭრენ. ამ საქმის გამო დიდი დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართა; ამავე დროს კი ავსტრიისა და პრუსიის ჯარებმა დანელებს ჯერ პირველი გამაგრებული ხაზები დააცლევინეს და შემდეგ მეორე ხაზის საფარი, დიუპელისა და ალზენის სიმაგრეები იერიშით აიღეს (1864). დანიას იმდენი ძალა არ შესწევდა, რომ მოკავშირეებს გამკლავებოდა და ამიტომ იძულებული შეიქმნა, თავის უფლებებზე უარი განეცხადებია.

მაგრამ დანიის წინააღმდეგ გალაშქრება მხოლოდ შესავალი იყო უფრო დიდი შემთხვევებისა. საჰერცოგოების დაკავების შემდეგ, მათი ბედი მოკავშირეებს უნდა გადაეწყვიტათ; ორივე სახელმწიფო საჰერცოგოებს თავისად თვლიდენ, ასე რომ ომი მათ შორის მოსალოდნელი შეიქმნა. ბისმარკმა იმთავითვე თადარიგი დაიჭირა: იგი ავსტრიის დაუძინებელ მტერს, იტალიას შეუკავშირდა, ხოლო რუსეთის კეთილი განწყობილება მით მოიპოვა, რომ მას პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში (1863) ენერგიული დახმარება აღმოუჩინა; ნაპოლეონ III რეინის მარცხენა ნაპირზე ტერიტორიის შეძენის შესაძლებლობით დააიმედა, თუმცა მისთვის გადაჭრით არავითარი დაპირება არ მიუცია. რაკი ამგვარად თავისუფალი მოქმედების გზა გაიხსნა, ბისმარკმა იარაღს მიმართა; პრუსიის კორპუსმა ჰოლშტინია დაიკავა, ხოლო მისმა რწმუნებულმა ფრანკფურტში გერმანიის ახალი კავშირის მოწყობა მოითხოვა, რომელშიც ავსტრიას ადგილი არ უნდა ჰქონოდა (1866). ჰანოვერი, საქსონია, ბავარია და სხვა მეორე-ხარისხოვანი სახელმწიფოები ყველანი ამ წინადადების წინააღმდეგ ამხედრდენ. მაგრამ მათი რაზმების შეერთებისა და შეთანახმებული მოქმედების დაწყებისათვის დიდი დრო იყო საჭირო, პრუსიელებმა კი მათ ეს დრო არ მისცეს: პრუსიის არმიამ, რომელიც მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოების წინააღმდეგ იყო მიმართული, დააშორა იგინი ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთს და რამდენიმე კვირის განმავლობაში დაამარცხა. მაგრამ საქმის გადაწყვეტა ამ შეტაკებებზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ იმ შემთხვევებზე, რომელიც ჩეხიაში მზადდებოდა, საითკენაც პრუსიის უმთავრესი ძალები გაიგზავნა და სადაც მათ ავსტრიელები და საქსონელები დაჰხვდენ. ჩეხიის ტყეებიდან პრუსიის კორპუსები ცალკ-ცალკე გამოდიოდენ, და ეს მართალია ხელსაყრელი იყო მოწინააღმდეგისათვის, რადგანაც უკანასკნელს მტრის დანაწილებული ჯარები თანდათან და გაუჭირებლივ შეეძლო დაემარცხებია, მაგრამ ავსტრიის მთავარსარდალმა ამით არა თუ ვერ ისარგებლა, არამედ საშუალებაც კი მისცა პრუსიელებს, მისი მოწინავე რაზმები დაემარცხებიათ. ავსტრიის არმიის მარცხი მითაც აიხსნება, რომ პრუსიელები გაუმჯობესებული იარაღით სარგებლობდენ—მათ პირველად შემოიღეს ახალი სისტემის თოფები და სამჯერ უფრო სწრაფად ისროდენ, ვიდრე ავსტრიელები. ბოლოს ავსტრიის არმიამ **კენიგრეცთან** მოიყარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე რიცხვითაც მეტი იყო და ძლიერი პოზიციაც ჰქონდა დაკავებული, პრუსიის არმიამ პრინც **ფრიდრიხ კარლოსის** ხელმძღვანელობით მაინც მიიტანა მასზე იერიში; ბრძოლის ბედი კრონპრინც **ფრიდრიხის** არმიამ გადაწყვიტა, რომელმაც საღამოთი ავსტრიელებს შემოუარა. ავსტრიის მთავარსარდალი **ბენედეკი** სასტიკად დამარცხდა; მან სულ 40.000 კაცი დაჰკარგა. ამ დამარცხებამ სრულებით გააქარწყლა ავსტრიელების წარმატება აპენინის ნახევარკუნძულზე; აქ ერცჰერცოგ ალბრეხტმა იტალიელელები კუსტოცთან დაამარცხა, ხოლო ადმირალმა **ტეგეტჰოფმა** იტალიის ფლოტი **ლისთან** გაანადგურა.

თუმცა კენიგრეცის შემდეგ თვითონ ავსტრიას არავითარი წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, მაგრამ სამაგიეროდ ხიფათი საფრანგეთის მხრივ შეიქმა მოსალოდნელი.

პრუსიის იარაღის ამგვარს სწრაფსა და გადამწყვეტ წარმატებას იმპერატორი ნაპოლეონი სრულიად არ მოელოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე უკმაყოფილო იყო. მას განზრახული ჰქონდა, საქმეში მხოლოდ მაშინ ჩარეულიყო, როდესაც მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დაასუსტებდენ, და გერმანელების დავა თავისი მიზნების თანახმად გადაეწყვიტა. აქ კი აღმოჩდა, რომ **გერმანიის საქმეები ისევე უძვრებოდა მას ხელიდან, როგორც თავის დროზე იტალიის საქმეები** გაუსხლტა ხელიდან. საფრანგეთი ჯერ კიდევ არ იყო სავსებით მზად, და ბისმარკს ავსტრიასთან ომის დამთავრების დაჩქარება ემართა. ამიტომ იგი ავსტრიელებს შედარებით მისაღები საზავო პირობებით შეეკრა, რომლის მიხედვითაც ავსტრიამ ყველა თავისი ადგილები შეინარჩუნა, გარდა ვენეციისა, რომელიც ნაპოლეონ III დაეთმო (ამ უკანასკნელმა იგი იტალიას გადასცა). მაგრამ გერმანიის ძველი კავშირი დაიშალა: კავშირი ავსტრიასა და პრუსიას შორის გასწყდა, და ახალი „ჩრდილო-გერმანიის“ კავშირი დაარსდა, რომელშიც მაინის ხაზის ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოები, რიცხვით **ოცდაორი**, შევიდა და პრუსიის უფროსობას დაექვემდებარა; უკანასკნელმა შლეზვიგის, ჰოლშტინიის, ჰანოვერის, ჰესენ-კასელისა და სხვათა შემოერთებით საკმაოდ დიდი მიწაწყალი შეიძინა. გერმანიის სამხრეთი სამფლობელოები დამოუკიდებლები დარჩენ, ოღონდ პრუსიასთან დადებული ხელშეკრულების ძალით ომის დროს თავისი სამხედრო ძალები უკანასკნელის განკარგულებაში უნდა გადაეცათ. საბაჟოების მხრივ გერმანიის ყველა სახელმწიფო ერთ კავშირს შეადგენდა, და საბაჟო საკითხების გადასაწყვეტად ჩრდილო-გერმანიის კავშირის სეიმში სამხრეთ გერმანიის დეპუტატები უნდა შესულიყვნენ.

ავსტრიის განახლება.

1866 წელი ავსტრიისათვის ახალი ხანის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ავსტრიის მთავრობა 1860 წლიდან თავს ანებებს აბსოლუტიზმსა და თანდათან კონსტიტუციონალიზმის ნიადაგზე გადადის. მაგრამ მის პოლიტიკურ მოღვაწეთ უჭირდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დაბრკოლებათაგან დამაკმაყოფილებელი გამოსავალის გამონახვა, რომელთაც ავსტრიის ერები და თემები თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი მისწრაფებით ჰქმნიდენ. რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი მართველობის თითქმის ყოველგვარი სისტემა სცადეს (ცენტრალისტური ბიუროკრატია „წარჩინებულთა" წარმომადგენლობით შემსუბუქებული, ფედერალიზმი, მთელი ავსტრიის საერთო კონსტიტუციონალიზმი), მაგრამ მაინც არაფერი არ გამოდიოდა. 1866 წლის დამარცხების შემდეგ **დუალიზმზე** შეჩერდენ: მონარქია ორ ნაწილად იქმნა გაყოფილი: ცისლეიტანიისად (გერმანელი ოლქებით) და ტრანსლეიტანიისად, რომელშიც უნგრეთი, ტრანსილვანია, ხორვატია და დალმაცია შედიოდენ. თითოეულ ნახევარს თავისი განსაკუთრებული მართველობა, განსაკუთრებული რეიხსტაგი და სამინისტრო მიენიჭა, მაგრამ საგარეო პოლიტიკის საწარმოებლად, სამხედრო ორგანიზაციისა და ფინანსიური ზომების მისაღებად, რამდენადაც ეს სამხედრო ხარჯებისათვის იყო საჭირო, საერთო თათბირისათვის ორივე რეიხსტაგების დელეგაციები იკრიბებოდენ. ამას გარდა, თითოეულმა თემმა თვალსაჩინო თვითმართველობა მიიღო; პოლიტიკური ძალაუფლება ერთ ნაწილში გერმანელებს მიენიჭათ, ხოლო მეორეში მადიარებს. ავსტრიის ერთა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ტომი სლავები, ამგვარად, გარიყულნი დარჩენ. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, სლავებს ვერ დააკმაყოფილებდა, და მათ შორის მარტო პოლონელები იყვნენ შედარებით კმაყოფილნი, ვინაიდან შექმნილი მდგომარეობა ხელს უწყობდა მათს გაბატონებას გალიციის რუს მცხოვრებლებზე. ჩეხები, მორავები, სლოვაკები, სლოვენები, ხორვატები, სერბები, რუსები მადიარების და გერმანელების ბატონობით ცოტად თუ ბევრად ყველანი უკმაყოფილონი იყვნენ და, რამდენადაც ძალა შესწევდათ, კიდევაც იცავდენ თავის ნაციონალურ ინტერესებს, მაგრამ მათ შორის არ იყო ერთობა: ენა, ისტორია, ცივილიზაციის ხარისხი, გეოგრაფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული მდებარეობა, მეურნეობის პირობები და დასასრულ **მადიარეობისა და გერმანელების ძალა** მათ გაერთიანებას ხელს უშლიდა. ცხადია ასეთ პირობებში ავსტრია დიდხანს ვერ გასძლებდა. საკმარისი იყო, რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას იმპერია შეენძრია, რომ სახელმწიფო მრავალ ერთეულად დაყოფილიყო. ასეთი როლი საერთაშორისო ომმა ითამაშა, და ჩვენ დღეს მოწმენი ვართ ყოფილი ავსტრიის მონარქიის მრავალს ეროვნულ სახელმწიფოდ დაშლისა.

ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის 1870—71 წ.

ჩრდილო გერმანიის ძლიერი კავშირის დაარსება ნაპოლეონისთვის ძალიან საწყენი იყო; იმ დროს, როდესაც იგი საფრანგეთის სიმდიდრეს ფლანგავდა და ყოველი ახალი საქმის უთავბოლო წარმოებით თავის ავტორიტეტს ხალხის თვალში თითქმის ყოველ დღე აზიანებდა (მაგ. ნაპოლეონი შეეცადა აჯანყებული პოლონელების გამოსარჩლებას, მაგრამ საქმე რუსეთის მუქარით გათავდა; მექსიკაში ექსპედიცია გაგზავნა, რათა იქ ავსტრიის ერცჰერცოგ მაქსიმილიანესთვის იმპერატორობა მიენიჭებია, და უკანვე დასჭირდა ჯარის გამოწვევა, ვინაიდან შეერთებული შტატების მხრივ ომი შეიქმნა მოსალოდნელი), სწორედ ამ დროს მის გვერდით ახალი ძალა აღიმართა, რომელსაც თამამად შეეძლო შეეჩერებია ფრანგები, თუ იგინი გერმანიის მიწა წყლის მითვისებას მოისურვებდენ. შიგნით ოპოზიცია გაიზარდა, და იმპერატორმა საზოგადოების დასაწყნარებლად საჭიროდ დაინახა სენატისა და საკანონმდებლო კორპუსისათვის კონსტიტუციონური კრებების სხვადასხვა უფლებები მიენიჭებია და სამინისტრო საკანონმდებლო კორპუსის უმრავლესობიდან დაენიშნა (ოლივიეს სამინისტრო).

თუმცა სამხედრო საქმის მცოდნე პირები ნაპოლეონს ხშირად აფრთხილებდენ, იმპერიაში სამხედროს ძალის მხრივ ყველაფერი თაეის ოიგზე ვერ არისო, მაგრამ იმპერატორი და მისი დაახლოებული პირები დარწმუნებული იყვნენ, გერმანიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა კავშირი საფრანგეთის ძლევამოსილ იმპერიას ვერ გაუმაგრდებაო, და ომის დასაწყებად საბაბს ეძებდენ. 1870 წ. ეს საბაბიც გამონახეს. ისპანელებმა თავისი მეფე ქალი **იზაბელა** გააძევეს და გადასწყვიტეს, მეფედ პრუსიის მეფის შორეული ნათესავი, პრინცი **ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი** მოეწვიათ. ეს უკანასკნელი თანახმა იყო, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ამაში „კარლოს V იმპერიის აღდგენის ცდა" დაინახა და პროტესტი განაცხადა. პრინცმა ლეოპოლდმა ისპანიის გვირგვინზე უარი სთქვა, მაგრამ საფრანგეთის ელჩმა ბერლინში ვილჰელმს მოსთხოვა, საჯაროდ განეცხადებია, რომ იგი ამ კანდიდატურას არც შემდეგში დაუჭერდა მხარს. ეს მოთხოვნა, რომელიც მხოლოდ სამიზეზოდ იყო გამოგონილი, მეფემ შეურაცყოფად მიიღო და მის ასრულებაზე უარი განაცხადა. ამას დაუყოვნებლივ თან მოჰყვა საფრანგეთის ელჩის გაწვევა და სამხედრო მოქმედების დაწყება.

რუსეთის მეგობრულმა განწყობილებამ გერმანიის სახელმწიფოებს საშუალება მისცა, მთელი ძალები საფრანგეთის წინააღმდეგ მიემართათ: ამ გარემოებითვე აიხსნება ისიც, რომ ამ ხელსაყრელ დროს ავსტრიამ ვერ შესძლო კენიგრეცის დამარცხებისათვის პრუსიისთვის სამაგიერო ეზღო. პრუსიის გენერალურმა შტაბმა გენერალ **მოლტკეს** მეთაურობით ხელოვნურად მოამზადა კომპანია, და აგვისტოს დასაწყისში, ომის გამოცხადების სამი კვირის შემდეგ, საზღვრებზე სამი დიდი არმია იქმნა მიყვანილი, რომელიც 500.000 მეომრისაგან შესდგებოდა. საფრანგეთის მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ომი თვითონვე მან გამოიწვია, მზად არ იყო. ალზასში და ლორენში ნაჩქარევად შეჰკრიბეს შვიდი კორპუსი (250.000 კაცამდე), მაგრამ ყველა პოლკები არ ყოფილა სრული, სამხედრო ბარგი არევ-დარეული იყო, არ იყო არავითარი გარკვეული გეგმა კომპანიის საწარმოებლად. იერიშის მაგიერ, ფრანგებს მრავალრიცხოვანი მტრის მოგერება უხდებოდათ. სამხრეთი გერმანიის არმიამ პრუსიის კრონპრინცის მეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობით მაკ-მაგონის კორპუსი გაანადგურა, მიუხედავად უკანასკნელის გმირული წინააღმდეგობისა. პრუსიელებმა პრინც **ფრიდრიხ კარლოსის** ხელმძღვანელობით შემოუარეს **ბაზენის** არმიას, მირეკეს იგი **მეცთან** და ამ ციხეში ჩაჰკეტეს. ამასობაში მაკ-მაგონმა ახალი არმია შეადგინა და ბაზენის მისაშველებლად დაიძრა; ამ არმიას თვით იმპერატორიც შეუერთდა. გზა ჩრდილოეთი საზღვრით იქმნა ამოჩრეული; მაგრამ მოლტკემ ამ მოძრაობის შესახებ თავის დროზე მიიღო ცნობები და მის წინააღმდეგ დიდი ძალები გაგზავნა. **სედანთან**, ბელგიის საზღვრის ახლო, გერმანიის ჯარები ყოველი მხრიდან შემოერტყენ მაკ-მაგონის არმიას და ბრძოლის შემდეგ, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა, იგი იძულებული შეიქმნა, მტერს დანებებოდა (2 სექტემბერს): 80.000 კაცზე მეტმა დაჰყარა იარაღი, მათ რიცხვში იმპერატორმა ნაპოლეონ III-მაც. ამ შემაძრწუნებელმა ამბავმა პარიზში რევოლიუცია გამოიწვია: დედოფალი გაიქცა, გამოცხადებულ იქმნა რესპუბლიკა; საომარი მოქმედების ორგანიზატორად ოპოზიციის ერთი მჭერმეტყველ ბელადთაგანი, ვექილი **გამბეტა** შეიქმნა. მაგრამ საფრანგეთს რეგულიარული ჯარი აღარ ჰყავდა, და სამხედრო მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო: მართალია ბაზენს, რომელიც მეცში იყო ჩაკეტილი, მშვენიერი ჯარი ჰყავდა, მაგრამ მან ვერ შესძლო ან არ მოინდომა, თავისი ძალები გამოეყენებია, მტრის რკალის გასარღვევად ერთი სერიოზული ცდაც არ მოუხდენია, და იქამდე გააჭიანურა საქმე, რომ 175,000 კაცისაგან შემდგარმა არმიამ სამარცხვინოდ დაჰყარა იარაღი. არსებითად ამ კაპიტულაციამ პარიზის ბედიც გადასწყვიტა, რომელიც ოთხ თვეზე მეტ ხანს იყო გერმანელი ჯარებისაგან გარშემორტყმული (სექტემბრიდან დეკემბრის დამლევამდე). საფრანგეთის ყველა კუთხეში ახალ-ახალი რაზმები სდგებოდა; ლუარაზე, სომმაზე, რონაზე ისინი მამაცად ებრძოდნენ იმ გერმანელ რაზმებს, რომელნიც პარიზის ალყას ზურგს უმაგრებდნენ, მაგრამ, სიმამაცისა და თავდადების მიუხედავად, რეკრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებს არ შეეძლოთ ომში გამობრძმედილი მოწინააღმდეგის ჯარის კაცების გამკლავება; ფრანგები ხანდისხან ახერხებდნენ და გერმანიის რაზმებს უკან ახევინებდნენ, მაგრამ ბოლოს საქმე მაინც ახალ-ახალი მარცხებით თავდებოდა. პარიზის გარნიზონიც ახალი ჯარისკაცებისგან შესდგებოდა, და იქ არც ერთი გამოჩენილი სარდალი არ ყოფილა; მაგრამ ჯარისკაცებმაც და მოქალაქეებმაც თავისი ვალი მაინც მოიხადეს, და პარიზი ზარბაზანმა კი არა, უსურსათობამ დასცა. ქალაქი მაშინ დანებდა, როდესაც პური მხოლოდ 8 დღის საყოფილა დარჩა, ცხენის ხორცი კი—14 დღის. პარიზის დაცემის შემდეგ ფრანგებს მეტი გზა აღარ ჰქონდათ, ზავი უნდა ჩამოეგდოთ. მისი პირობები **ფრანკფურტში** იქმნა შემუშავებული. საფრანგეთი უთმობდა გერმანიას ალზასს და ლორენის აღმოსავლეთს მეკითურთ, ხოლო კონტრიბუციის სახით ხუთ მილიარდს იხდიდა.

საფრანგეთს ეს დამარცხება მოსვენებას არ აძლევდა, იგი ყოველ დღე „რევანშის“ შესახებ ოცნებობდა, და როდესაც საერთაშორისო ომი დაიწყო (1914 წ.), იგი პატრიოტული გრძნობით ანთებული ძლიერს გერმანიას დაეჯახა. ომის დასასრული ისეთი აღმოჩნდა, რომ საფრანგეთი თავს დაკმაყოფილებულად გრძნობს.

გერმანიის გაერთიანება.

საფრანგეთ-გერმანიის ომის უმთავრესი შედეგი გერმანიის ტერიტორიის გაფართოვებაში კი არა, იმ მიზნის მიღწევაში გამოიხატა, რომლის შესრულებასაც გერმანელები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ცდილობდენ; ეს მზანი **გერმანიის გაერთიანება იყო**. იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ალყა ჰქონდა პირიზს შემორტყმული, ვერსალის სასახლის ერთ დარბაზში, რომელიც ლიუდოვიკ XIV საფრანგეთის აყვავების, ხოლო გერმანიის დამცირების დროს ააგო, პრუსიის მეფე ვილჰელმი იმპერატორად იქმნა გამოცხადებული. 1870—1871 წლის გამარჯვებამ გერმანიის მფლობელთა პარტიკულიარიზმს ქედი მოახრევინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილო-გერმანიის კავშირი ახალი იმპერიისათვის საფუძვლად გამოდგა; თითოეულ სახელმწიფოს თავისი შინაური საქმეების გაძღოლაში უმეტეს ნაწილად თავისუფლება მიენიჭა, საზოგადო საქმეები კი იმპერატორის, სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საბჭოისა და საზოგადოებისა მიცემით არჩეულის საიმპერიო სეიმის (**რეიხსტაგის**) ხელმძღვანელობას უნდა დაქვემდებარებოდა. ამგვარი წესწყობილება მარტო პრუსიის გამარჯვებას როდი გამოუწვევია, იგი უმთავრესად **ეროვნული მთლიანობის შეგნებას ეყრდნობოდა,** რომელიც გერმანიის საზოგადოებაში დიდი ხანია მზადდებოდა და მწიფდებოდა.

პარიზის კომუნა.

1870-71 წლის ომის შემდეგ საფრანგეთმაც იწყო თავისი ცხოვრების განახლება, მაგრამ სულ სხვა პირობებში, ვიდრე გერმანიამ. გარეშე დამარცხებასთან ერთად მას შინაური არევ-დარევაც დაატყდა თავს. სედანის დამარცხებას იმ წამსვე საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადება მოჰყვა (4 სექტემ. 1870 წ). ეს პარიზის რევოლუციონურად განწყობილი მოსახლეობის და არა საკანონმდებლო კორპუსის საქმე იყო. მაგრამ პარიზის ალყის დროს უკმაყოფილება რესპუბლიკანურის თავდაცვის მთავრობის წინააღმდეგ დღითიდღე იზრდებოდა. ხოლო როდესაც ზავის პირობები გამოქვეყნდა, პარიზის მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა. როდესაც მთავრობამ ლარიბი მუშა ხალხის მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა ბინის ქირის გადახდისა და საჭირო ვალდებულებათა ვადის განგრძობის შესახებ და მუშებს გვარდიაში სამსახურისათვის ქირა (ფრანკ ნახევარი დღეში) მოუსპო, პარიზში აჯანყებამ იფეთქა.

პარიზის მუშა მოსახლეობა საერთოდ არა მარტო ბონაპარტისტების წინააღმდეგ იყო ამხედრებული, ვინაიდან მათ სამშობლოს სირცხვილი აჭამეს, არამედ მთელი „ბურჟუაზიული“ საზოგადოების, შეძლებული კლასების წინააღმდეგაც. 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტს 1871 წელს პარიზში „კომუნა“ გამოცხადდა, ე. ი. პარიზის რევოლუციონური მთავრობა, რომელსაც ქონებრივი და საზოგადოებრივი უთანასწორობა უნდა მოესპო და ქვეყნისათვის ნაციონალური სახელმწიფოს დამოუკიდებელს ადგილობრივ თემებად დანაწილების მაგალითი მიეცა. საფრანგეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა, პარიზისთვის ეხლა თვითონ შემოერტყა ალყა და მაკმაგონის სარდლობით ქალაქი იერიშით აეღო, რაც მთელს ოთხ დღეს გაგრძელდა. ეს მოხდა 21 მაისს. პარიზში გაცხარებული ბრძოლა დაიწყო, რომელიც თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა. კომუნის დაცემა გაბოროტებისა და სასოწარკვეთილების ველურობით აღინიშნა: რათა მტრის წინსვლა შეეფერხებიათ, სატახტო ქალაქის საუცხოვო შენობებს კომუნარემა ცეხლი წაუკიდეს— ტიულერიის სასახლე, რატუშა ცეცხლის ალში გაახვიეს და ამასთანავე ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაჩინო წარმოშადგენლებიც მრავლად გაჟლიტეს; სამაგიეროდ არც მთავრობას გამოუჩენია ლმობიერება კომუნისტების მიმართ: სისხლის ნიაღვარმა პარიზის ქუჩები მოფარა და კომუნარები შეუბრალებლად იჟლიტებოდენ. „მაისის დღეები“ 1848 წ. ივნისის დღეებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდენ. 200 კომუნარს სიკვდილით დასჯა, ხოლო 13 ათასს სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯეს. უცხოეთის პრესა გულისწყრომით აღნიშნავდა იმ არაადამიანურ სისასტიკეს, რომელიც კომუნის დაცემას მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნას მარტო სოციალური მოტივები როდი ჰქონდა საფუძვლად, დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე პატრიოტიზმიც, რომელიც მთავრობას პრუსიელების წინაშე ქედის მოხრას უსაყვედურებდა. მაგრამ რა კი ეს მოძრაობა სოციალისტური დროშის ქვეშ სწარმოებდა, ბურჟაზიამ საზღაპრო სისასტიკე გამოიჩინა და ახალი მოძრაობა სისხლის მორევში ჩაახრჩო.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, საფრანგეთმა სიცოცხლის უნარი ახლაც გამოიჩინა. პირველს ნაციონალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრებაში უმრავლესობას მონარქისტები შეადგენდენ, მაგრამ რადგანაც თითოეულს მონარქისტულ პარტიას (ორლეანისტები, ლეგიმისტები და ბონაპარტისტები) სამეფო ტახტზე თავისი ცალკე კანდიდატი ჰყავდა, მათი შერიგება შეუძლებელი გახდა, და ცხადად სჩანდა, რომ საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკის დამკვიდრება იყო შესაძლებელი. **ტიერი**, რომელიც მაშინ პრეზიდენტად იყო, ნათლად ხედავდა ამას და ამბობდა, საფრანგეთში მხოლოდ „კონსერვატიული რესპუბლიკა“ არის შესაძლებელია. 1875 წელს ნაციონალურამ კრებამ (ერთი ხმის უმეტესობით) საფრანგეთი მართლაც რესპუბლიკად გამოაცხადა და საბოლოოდ შეიმუშავა ის წესწყობილება, რომელიც ზოგი ცვლილებით დღემდი შერჩა საფრანგეთს.

აი ეს წესწყობილებაც: საკანონმდებლო უფლება **დეპუტატთა პალატისა** და **სენატ**ის ხელში გადავიდა; პირველის წევრებს საყოველთაო ხმის მიცემით ირჩევენ, ხოლო მეორესას—დეპარტამენტები განსაკუთრებულ კრებებზე ნიშნავენ.

აღმასრულებელი უფლება პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელსაც ორივე პალატის შეერთებული სხდომა ირჩევს **შვიდ** წლის ვადით.

ახალი კონსტიტუციის ძალით შეკრებილს დეპუტატთა პალატაში უმრავლესობას უკვე რესპუბლიკელები შეადგენდენ; მაგრამ იმდროინდელმა პრეზიდენტმა **მაკმაგონმა** ამის გამო პალატა დაშალა და ახალი არჩევნები დანიშნა. ეს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებად ჩასთვალეს და რესპუბლიკანელებმა შეურიგებელ ბრძოლას მოჰკიდეს ხელი. მათ ბელადად ცნობილი **გამბეტა** ითვლებოდა. წინედ იგი უკიდურესი რესპუბლიკანიზმის მომხრე იყო, და ამისთვის ტიერი მას „დასაბამ გიჟს“ უწოდებდა; ახლა კი გამბეტას ბურჟუაზიული წრეების რესპუბლიკანურ წესწყობილებასთან შერიგება უნდოდა და ამიტომ უფრო **ზომიერ** გზას დაადგა. ამით მან თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ თვით რესპუბლიკანელები არ იყვნენ მისი პოლიტიკით კმაყოფილნი: იგინი ამ პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკას „**ოპორტუნისტულს**“ უწოდებდენ. ბოლოს და ბოლოს ხალხი, რომელიც პირველად უნდობლობით ეექცეოდა **რეს**პულიკას, რაც დრო გადიოდა მის აუცილებლობაში იმდენად უფრო რწმუნდებოდა, და მონარქიულმა პარტიებმა თანდათან დაჰკარგეს თავისი გავლენა. საფრანგეთის სიმდიდრემ, რაც შედეგი იყო ხალხის არაჩვეულებრივი შრომის მოყვარეობისა და ენერგიის, საშუალება მისცა ქვეყანას უამრავი სამხედრო კონტრიბუცია გადაეხადა და სხვა ხალხთა შორის მეურნეობის მხრივ კვლავ სათანადო ადგილი დაეკავებია. ცოცხალმა ნაციონალურმა ვრძნობამ და სამაგიეროს გადახდისა და დაკარგულის უკანვე დაბრუნების სურვილმა ფრანგებს განსაკუთრებული ყურადღება ჯარისათვის მიაქცევია, და უკანასკნელის რეორგანიზაციამ რესპუბლიკანური საფრანგეთი საერთაშორისო ურთიერთობაში კვლავ მრისხანე ძალად გარდააქცია.

1914—1919 წლების მსოფლიო ომში რესპუბლიკამ გამოცდა დაიჭირა, და უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის როიალისტები საბოლოოდ დაჰყრიან იარაღს და რესპუბლიკანურ წესწყობილებას შეურიგდებიან.

იტალიის გაერთიანების დასრულება.

1870—71 წლის ომს კიდევ ჰქონდა ერთი პოლიტიკური შედეგი. მისი დაწყების წინ, თუ ცოტა ადრე, პაპმა პიუს IX რომში კათოლიკურ სამღვდელოების „მსოფლიო“ კრება მოიწვია, რომელზედაც, 119 ეპისკოპოსის წინააღმდეგობის მიუხედავად (კრებაში სულ 750 კაცი მონაწილეობდა), **პაპის უცოდველობის ახალი დოგმატი** იქმნა გამოცხადებული. უმრავლესობამ გადასწყვიტა, რომ პაპის აზრი დოგმატიურისა ან ზნეობრივი საკითხების შესახებ უთუოდ უცილობელი ჭეშმარიტება არის, რომ პაპი, როგორც ეკლესიის მოძღვარი, უცოდველია და თვით ეკლესიის დახმარებას არ საჭიროებს. მაგრამ ამას თან მოჰყვა პაპების საერო უფლების დაკარგვა, რომლითაც იგინი, მერვე საუკუნიდან დაწყებული, სარგებლობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ხანებში პაპის საერო უფლება მხოლოდ იმპერატორ ნაპოლეონის დახმარებაზე იყო დაყრდნობილი, და როდესაც 1870 წლის ამბებმა რომიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანა გამოიწვია, ბიქტორ ემანუილმა რომი დაუყოვნებლივ დაიკავა და ამით, როგორც იქმნა, იტალიის გაერთიანების საქმე დაასრულა. სამაგიეროდ მას შემდეგ, რაც ამგვარად პაპი იტალიის წვრილი მთავრისმაგიერ მხოლოდ „ვატიკანის პატიმრად“ გარდაიქცა, მისი ზნეობრივი გავლენა კათოლიკურ ქვეყნებში კიდევ უფრო გაიზარდა.

აღმოსავლეთის საკითხი.

სლავ ქვეშევრდომთა აჯანყება ოსმალეთის წინააღმდეგ.

შუა ევროპაში მომხდარმა ამბებმა აღმოსავლეთ ევროპის ბედზედაც იქონიეს გავლენა. მას შემდეგ რაც ავსტრიამ გერმანიასა და იტალიაში ადგილები და გავლენა დაჰკარგა, განსაკუთრებული ყურადღება მან აღმოსავლეთის საქმეებს მიაპყრო. ბალკანეთზე, როგორც ვიცით, უპირატესობა რუსეთს ჰქონდა მოპოებული. ეს გარემოება სრულიად არ შეეფერებოდა ავსტრიის ინტერესებს და ამიტომ მთელი გულისყური ამ ქვეყნის პოლიტიკურ მოდვაწეთა აქეთ იყო მოპყრობილი. გერმანიას, მართალია, პირდაპირი ინტერესები ბალკანეთში არ ჰქონდა, მაგრამ რუსეთის ზედმეტი გაძლიერება მას სახიფათოდ მიაჩნდა, და ამიტომ ბალკანეთის საკითხში იგი მზად იყო, ავსტრიისათვის დაეჭირა მხარი. რუსეთი დიდხანს სცდებოდა თავისი დასავლეთი მეზობლების ინტერესებისა და მიზნების შესახებ, იმედი ჰქონდა, რომ გერმანია არ დაივიწყებდა იმ დახმარებას, რომელიც რუსეთმა მას 1870—1871 წლებში გაუწია, და მან გერმანიასა და ავსტრიასთან ახლო კავშირიც კი შეჰკრა ე. წ. **„სამი იმპერატორის კავშირის“** სახით. მაგრამ ამ შეთანხმების ნამდვილი ფასი პირველს სერიოზულ გამოცდასთანავე გამომჟღავნდა, რომელიც მას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე საქმის მსვლელობამ მოუმზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნეში მიღებულმა გაკვეთილებმა ოსმალეთისათვის თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა, და მისი მიწა-წყლის მდგომარეობა ბევრად არაფრად გაუმჯობესებულა. ოსმალეთში **„ახალგაზრდა ოსმალოთა პარტია“** გაჩნდა, რომლის ოცნებასაც დასავლეთ ევროპაში მოსმდარი რეფორმების თავის სამშობლოს ნიადაგზე გადმონერგვა შეადგენდა, მაგრამ ამ უმნიშვნელო ჯგუფის არსებობა სტამბოლის სასახლის ინტრიგებს კიდევ უფრო ართულებდა და მინისტრებს საშუალებას აძლევდა, როდესაც ევროპის სახელმწიფოები მათგან ამა თუ იმ პროვინციისათვის რეფორმებს მოითხოვდენ, განეცხადებიათ, რომ ამგვარ რეფორმებს მთელი ოსმალეთისათვის აპირებდენ, და ამ მოსაზრებით კერძო ხასიათის პრაქტიკულ ცვლილებაზე უარი ეთქვათ. ბედშავ ქრისტიან მცხოვრებლებს ის ღა დარჩენოდათ, რომ ხშირი აჯანყებით მაინც ემცნათ უცხოეთისათვის თავისი მდგომარეობის აუტანლობა.

1875 წელს აჯანყებამ პირველად **ბოსნიასა** და **ჰერცეგოვინაში** იფეთქა, მათ მალე **ბულგარეთიც** გამოეხმაურა. თუ როგორ მოქმედებდენ ოსმალოები, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ინგლისელი კომისრების გამოძიებით, ოსმალეთში ჩასახლებულ ჩაჩნებს (ბაშიბუზუკებს) მარტო ფილიპოლის ოლქში 12.000 კაცი გაეჟლიტათ. ევროპის სახელმწიფოებმა ოსმალეთის ქრისტიანების საკითხის განსახილველად კონფერენცია მოიწვიეს; მაგრამ აქ, რუსეთის გაძლიერების ტრადიციული შიშის გამო, ინგლისმა განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირა. ამ უთანხმოების იმედით, ოსმალეთმა თავის ქრისტიან ქვეშემრდომთათვის რეფორმების შემოღებაზე უარი განაცხადა. მაშინ აჯანყებულთ **სერბ**ია და **მთაშავე**თი გამოექომაგენ, რა თქმა უნდა, იმ იმედით, რომ მათ მხარს დანარჩენი სლავიანური ქვეყნები და განსაკუთრებით რუსეთი დაუჭერდა. მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ორი პატარა სამთავროსთვის ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მთაშაველები მამაცურად იგერიებდენ ოსმალოების თავდასხმებს, მაგრამ არსებითი დახმარება აჯანყებულთ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ აღმოუჩინეს. რაც შეეხება სერბიელებს, რუსეთიდან მისულ მოხალისეთა დახმარების მიუხედავად, რომელთაც გენერალი **ჩერნიაევი** ხელმძღვანელობდა, იგინი მაინც დაძლეულ იქმნენ, და სერბიას სრული განადგურება მოელოდა; მაგრამ ამ უბედურებისაგან იგი იმპერატორმა **ალექსანდრე ნიკოლოზისძემ** იხსნა, რომელმაც დეპეშით მოსთხოვა სულთანს სამხედრო მოქმედების შეჩერება. მაგრამ ამის შემდეგ წარმოებულმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, და რუსეთის იმპერატორმა იარაღს მოჰკიდა ხელი, რათა ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთა საკითხი თავისი ინიციატივით გადაეწყვიტა (1877).

რუსეთ-ოსმალეთის ომი.

ოსმალეთისაგან რუსეთი სერიოზულ წინააღმდეგობას არ მოელოდა, და მის მაგიერ, რომ თავიდანვე დიდი ძალებით დაეწყო მოქმედება, ძალიან მცირედით დაკმაყოფილდა. აზიის არმიამ სწრაფად წაიწია წინ, დუნაის არმიამ კი დუნაი გადალახა, აიღო ნიკოპოლი და, აუარა რა გვერდი ციხეებისაგან შემდგარ ოთხკუთხს (რუშჩუკი, სილისტრია, შუმლა, ვარნა), ბალკანებს იქით გასწია. მაგრამ, როდესაც ოსმალოებმა თავისი აუჩქარებელი მობილიზაცია დაამთავრეს, აღმოჩნდა, რომ რუსების ძალები საკმარისი არ იყვნენ. დუნაის არმიის მარჯვენა გვერდზე **ოსმან-ფაშამ პლევნასთან** გამაგრებული პოზიცია დაიჭირა, რომლის აღებაც, მიუხედავად ორჯელ მიტანილის სასტიკი იერიშისა (18 ივლისს და 30 აგვისტოს), ვერ მოხერხდა; წინ **შიპკინის გასავალს** გენერალ **რადეცკის** ჯარები გმირულად იცავდენ, მაგრამ მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო, და ეს მანამდე გაგრძელდა, სანამ რუსეთიდან მაშველი ჯარები არ მოვიდა. კავკასიაში **გუმბრისაკენ** დაიხიეს. ახლა კი მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა. **პლევნას** პოზიცია ყოველი მხრიდან იქმნა გარს შემორტყმული, და ოსმან ფაშა იძულებული შეიქმნა, მტერს დანებებოდა. მიუხედავად იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი ახლოვდებოდა, გენერალ **გურკოს** არმიამ თოვლით დაფარული დასავლეთი ბალკანები გადალახა და მის წინააღმდეგ გამოგზავნილი ოსმალეთის კორპუსები დაამარცხა. რადეცკიმ და სკობელევმა კი შიპკის პირდაპირ მდგომი ოსმალეთის ცენტრალური არმია დაატყვევეს. ამავე დროს დიდი მთავრის **მიხეილ ნიკოლოზისძის** ჯარებმა მუხტარ ფაშა დაამარცხეს, აიღეს **ყარსი** და სომხეთი **აზრუმამდე** დაიკავეს.

რუსეთის ჯარები თვით კონსტანტინეპოლს მიადგნენ. პორტა იძულებული შეიქმნა, რუსებს **სან-სტეფანოში** ზავით შეკვროდა, რომლის მიხედვითაც რუსეთი **ბათუმის, ართაანის, ყარსისა და დობრუჯის** შემოერთებით კმაყოფილდებოდა. გარდა ამისა სერბიას, მთაშავეთს და რუმინიას დამოუკიდებლობა უნდა მინიჭებოდათ, ხოლო **ბულგარეთს** ბალკანების ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები უნდა შეერთებოდა და ვასალურ სახელმწიფოდ ყოფილიყო აღიარებული; მისი მოწყობა კი რუსეთს უნდა მინდობოდა. სან-სტეფანოს ზავი დიდ უპირატესობას ანიჭებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთს. ეს, რასაკვირველია, სრულიად მიუღებელი იყო ევროპისათვის, და ავსტრიამა და ინგლისმა რუსეთის საწინააღმდეგოდ მზადება დაიწყეს.

ალექსანდრე მეორე იძულებული შეიქმნა დასთანხმებულიყო, სან-სტეფანოს ხელშეკრულება ევროპის სახელმწიფოთა კონგრესს გადაესინჯა; კონგრესი **ბერლინში** შესდგა **ბისმარკის** თავმჯდომარეობით. ამ კონგრესის გარდაწყვეტილების მიხედვით ავსტრიამ **ბოსნია** და **ჰერცეგოვინა** დაიკავა, ინგლისმა—**კიპროსი** (1879 წელს ინგლისელებმა ეგვიპტეც დაიკავეს), ხოლო ბულგარეთი ორ ნაწილად იქმნა გაყოფილი, და ბულგარეთის სამთავროს მარტო ერთი ნაწილი (დუნაისა და ბალკანებს შუა მდებარე) შეუერთდა; სამხრეთი ნაწილი კი, ე. წ. **აღმოსავლეთი რუმელია**, ოსმალოების პროვინციად დარჩა, ხოლო მას სათავეში ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი უნდა ჩასდგომოდა. რა თქმა უნდა, ასეთი განაწილება ერთი მთლიანი ქვეყნისა სრულიად არაბუნებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, მაგრამ ძლიერი ბულგარეთი, სანამ იქ რუსეთის გავლენა ბატონობდა, მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის. ამიტომ, მოისპო თუ არა ბულგარეთში რუსეთის გავლენა, იგი ევროპის სახელმწიფოთა (გერმანია) გავლენით ხელახლა გაერთიანდა. ახლა რუსეთისათვის აღარ იყო ბულგარეთის გაძლიერება ხელსაყრელი, და ამიტომ მან პროტესტი განაცხადა მისი გაერთიანების წინააღმდეგ. იმ დროიდან დაწყებული ბალკანეთი ევროპის სახელმწიფოთა მუდმივი ქიშპობის სარბიელად გადაიქცა, დასაერთაშორისო ომის საშიშროება სხვათა შორის აქედანაც იყო მოსალოდნელი.

ინგლისი.

ინგლისი ევროპის საქმეებში ძალიან თავდაჭერილად იქცეოდა; ეს მით აიხსნება, რომ მას საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარა არ ჰქონდა შემოღებული, და მისი ჯარი მხოლოდ მოხალისეთაგან შესდგებოდა. ამიტომ იგი სამხედრო ძლიერების მხრივ ევროპის სხვა სახელმწიფოებს ვერ გაუმკლავდებოდა. ჯარების მცირე-რიცხოვანობა ინგლისს საკუთარს ახალშენებშიც კი უჭირებდა საქმეს და განსაკუთრებით ეს მან **ინდოეთში** იგრძნო.

ეს უზარმაზარი ქვეყანა „აღმოსავლეთ ინდოეთის სავაჭრო კომპანიას“ ექვემდებარებოდა, რომლის მოხელენიც წმინდა კომერციული თვალსაზრისით ულმობელ ექსპლოატაციას აწარმოებდენ და თავისი სიამაყითა და ადგილობრივ საჭიროებათა უცოდინარობით მკვდირთა დაუშრეტელ სიძულვილს იმსახურებდენ. საქმე აჯანყებამდი მივიდა, რომელიც მით უფრო საშიში გამოდგა, რომ მას სიპაების ადგილობრივი რაზმები ჩაუდგენ სათავეში და ინგლისელებს შეუბრალებლად ულეტდენ. მაგრამ აჯანყებულთ შეთანხმებული მოქმედება აკლდათ, და ინგლისის მთავრობამ, რომელმაც ქვეყნის მართველობა კომპანიისაგან მიიღო, მოხერხებულად ისარგებლა ამ გარემოებით და აჯანყება ულმობელი ზომებით ჩააქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1860 წლიდან დაწყებული ინგლისის მთავარი ყურადღება შინაური განვითარებისაკენ იყო მიპყრობილი. ამ დროს ლიბერალებს სამართლიანობისა და ჰუმანობის კეთილშობილი დამცველი, **გლადსტონი** ხელმძღვანელობდა; ხოლო კონსერვატიული პარტიის ბელადად მოხერხებული და ბრწყინვალე, მაგრამ უპრინციპო **დიზრაელი** იყო. გლადსტონის სახელმწიფოებრივი კარიერა საუცხოო ფინანსიური ზომებით დაიწყო, რომელიც თანამედროვე ინგლისურ სისტემას საფუძვლად აქვს დადებული. მაგრამ გლადსტონი მარტო სპეციალურ საკითხებზე არ შეჩერებულა; მან აღძრა საკითხი საარჩევნო უფლების ახალი გაფართოების შესახებ. მართალია ეს დიზრაელის სამინისტროს �ოს განხორციელდა, რომელიც ამით გლადსტონისადმი საზოგადოების თანაგრძნობის გაქარწყლებას ფიქრობდა, მაგრამ რეფორმის ნამდვილი მიზეზი ლიბერალები იყვნენ, და 1855 წელს მათ კიდევ უფრო გააფართოვეს საარჩევნო უფლება, რომლის შემდეგაც სულ 6,000,000 ამომრჩეველი ითვლებოდა და არჩევნებში მხოლოდ 2,000,000 სრულ წლოვანი მამაკაცი არ იღებდა მონაწილეობას. 1869 წელს გლადსტონმა კათოლიკე ირლანდიელები „გაბატონებული“ ეპისკოპალური ეკლესიის უაზრო ბატონობისაგან განათავისუფლა და ამის შემდეგ საბოლოოდ გაიმსჭვალა იმ აზრით, რომ ირლანდიელების დამორჩილება და მათი დიდი ბრიტანიის ერთგულ მოქალაქეებად გარდაქცევის საუკეთესო საშუალება მათის **მატერიალურისა და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესობაში მდგომარეობდა.** 1881 წელს მან პარლამენტში კანონი გაატარა, რომელიც ირლანდიელ ფერმერებს ინგლისელი მემამულეების თვითნებობისაგან იფარავდა; დასასრულ, 1886 წელს გლადსტონი ე. წ. home rule-ის გეგმით გამოვიდა, რომლის მიხედვითაც ირლანდიას დამოუკიდებელი მართველობა და განსაკუთრებული პარლამენტი უნდა მინიჭებოდა, ხოლო ინგლისისა და ირლანდიის საერთო საქმეები დიდი ბრიტანიის პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა. ამ გაბედულმა წინადადებამ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალების წრეში გამოიწვია განხეთქილება, და ინგლისის პოლიტიკაში ირლანდიის საკითხი დღესაც ერთერთ უმთავრეს საკითხად ითვლება. თვით ირლანდია კი ჰომრულით აღარ კმაყოფილდება და **სრულ** დამოუკიდებლობას ესწრაფის. საერთაშორისო ომმა და მისგან წამოყენებულმა პრინციპებმა კიდევ უფრო გააღვივეს ირლანდიელთა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება, და 1919 წელს მათ თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები.

ახალი ქვეყნის დიდი სახელმწიფო, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, იმ თავითვე თავისი განვითარების განსაკუთრებულ გზას დაადგა. ბუნებრივმა და საზოგადოებრივმა პირობებმა ეს სახელმწიფო XIX საუკ. პირველ ნახევარში ორს ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებულ ნაწილად გაჰყო. სამხრეთ შტატების მეურნეობა თუთუნის, შაქრის, ბრინჯისა და განსაკუთრებით ბამბის დამუშავებაზე არის დამყარებული. ყველა ეს კულტურა იმდენად გამჭრიახობას, ენერგიასა და ყურადღებას არ მოითხოვს, რამდენადაც მასიურის, ერთფეროვანისა და მარტივი შრომის და სიცხის ატანის უნარს; ამიტომ სამხრეთში პლანტაციური მეურნეობა დამყარდა; მიწის საკუთრებამ მსხვილ მემამულეთა ხელში მოიყარა თავი, და მისი დამუშავებისათვის მონების (ნეგრების) შრომით სარგებლობდენ.

ჩრდილოეთის შტატებში, ევროპის მსგავსად, პურის მოყვანა და საქარხნო მრეწველობა განვითარდა; ყოველგვარ სამუშაოს თავისუფალი მუშა ხელი ასრულებდა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებმა აქ უძრავი ქონება შეიძინეს, საზოგადოების თეთრებად და შავებად, ბატონებადა და მონებად გაყოფვას ადგილი მაინც არასდროს არა ჰქონია. საწარმოო მასალის სიუხვემ და მცხოვრებლების ენერგიამ საზოგადოებაში ნივთიერი კეთილდღეობა გაავრცელეს. კავშირის კონსტიტუცია თითოეულ კერძო შტატს თითქმის სრულ დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობას ანიჭებდა, და სამხრეთის შტატებსაც თავისი „განსაკუთრებული დაწესებულებით“, **მონობით** სარგებლობა დაუბრკოლებლივ შეეძლოთ, მაგრამ მათ ეშინოდათ, რომ ჩრდილო შტატები ადრე თუ გვიან სამხრეთში გავრცელებული მონობის წინააღმდეგ გაილაშქრებდენ. ამის თავიდან ასაცილებელ-გარანტიად სამხრეთელებს იმგვარი წესრიგი მიაჩნდათ, რომლის მიხედვითაც მონების მფლობელი შტატების რიცხვი თავისუფალი შტატების რიცხვის თანაბარი მაინც იქნებოდა, მიტომ რომ ამ შემთხვევაში, თუ დეპუტატების პალატაში არა, სადაც პროპორციონალური წარმომადგენლობა იყო შემოღებული, **სენატში** მაინც საერთო ხმის რიცხვის ნახევარი ეყოლებოდათ უზრუნველყოფილი (სენატი ე. წ. პარიტეტულ პრინციპზე იყო აგებული და ამიტომ ყოველ შტატს მცხოვრებთა რიცხვის მიუხედავად, იქ ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავდა). ასეთი გარანტიის შესაქმნელად სამხრეთმა შტატებმა ისარგებლეს კონსტიტუციის იმ მუხლით, რომლის მიხედვითაც მცირედ დასახელებულ ადგილებს, როდესაც მათ მცხოვრებთა საერთო რიცხვი 60.000-ს მიაღწევდა, ნება ეძლეოდათ, იგინიც სრულუფლებიან შტატების რიცხვში შესულიყვნენ სამხრეთის შტატებმა მოახერხეს, ამ ახალი შტატების განაწილების დროს ჩრდილოეთისა და სამხრეთისათვის ახალი შტატის თანაბარი რიცხვი მიემატებიათ. მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობას ამ ზომებით ვერავინ შეაჩერებდა. სამხრეთი შტატები მაინც არ თმობდენ და მონობის შესარჩუნებლად არაფერს ერიდებოდენ. როდესაც 1860 წ. პრეზიდენტად **აბრამ ლინკოლნი** აირჩიეს, რომელიც სამხრეთელებისათვის ყოველგვარი დათმობის წინააღმდეგი იყო, შვიდმა შტატმა განაცხადა, რომ იგინი კავშირიდან გამოდიოდენ. მათ თავისი ცალკე „კონფედერაცია“ შეადგინეს, საკუთარი კონგრესითა და პრეზიდენტით (ჯეფერსონ დევისი).

რადგანაც ამასთანავე მათ კავშირის ერთ-ერთი ციხეც დაიკავეს, საქმე ომით გათავდა. განდგომილთა კონფედერაციაში

მხოლოდ 10 მილიონი მცხოვრები ითვლებოდა და ამათაგანაც ნახევარს მონები შეადგენდენ; ხოლო კავშირში 22 მილიონი მოქალაქე დარჩა. ამის მიუხედავად სამხედრო უპირატესობა პირველ ხანებში მაინც სამხრეთლების მხარეზე იყო: მდიდარი პლანტატორები უკეთესი მეომრები აღმოჩნდენ, ვიდრე ჩრდილოელი მიწის მომუშავენი და ვაჭრები. 1861, 1862 და 1863 წლის ლაშქრობათა დროს სამხრეთელი გენერლები, რომელთაგანაც განსაკუთრებით ლი შეიქმნა სახელოვანი, ჩრდილოელებს ზედიზედ ამარცხებდენ. მაგრამ ამერიკელი ხალხის დიდი ზნეობრივი ძალა სწორედ ამ გაჭირვების დროს გამომჟღავნდა. მას ომი არ სურდა, და მზად არ იყო მისთვის; მის წესწყობილებაში ადგილი არ ჰქონია იმ ძალდატანებითი საშუალებებს, რომლითაც ევროპის სახელმწიფოები ჰქმნიან თავის სამხედრო ძალებს: არც რეკრუტების მოკრება არსებობდა, არც საყოველთაო სამხედრო ბეგარა და არც ძლიერი ცენტრალური მთავრობის ხელმძღვანელობა. კავშირის მილიონიანი ჯარები თანდათან მოხალისეებით ივსებოდა; ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები ბრძოლის ველზედ პირდაპირ თავისი კონტორებიდან, დახლიდან და ყანებიდან გამოდიოდენ.

ომის მსვლელობის ხასიათი მას შემდეგ შეიცვალა, რაც გეტინსბურგთან სამი დღის ბრძოლის შემდეგ გენერალმა მიდმა უკან დაახევია ლის, რომელიც უკვე პენსილვანიაში იყო შეჭრილი (1863). თუმცა სამხრეთლები გამოცდილებითა და სიმამაცით სჯობნიდენ თავის მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ჯერ ერთი თვით საკუთარ სამფლობელოებში ყავდათ მათ მტრები მონა ნეგრების სახით, რომელნიც ლინკოლნმა თავისუფლებად გამოაცხადა, და მეორე კიდევ—სამხრეთი ნავთსადგურების ალყამ, რომელიც ჩრდილოელებმა მოახერხეს, კონფედერაციის მეურნეობა საგრძნობლად დააზიანა, რადგანაც ამის გამო ბამბისა და სხვა ნედლი მასალის ევროპაში გაზიდვა შეჩერებულ იქმნა.

1864 და 1865 წლ. განმავლობაში სასწორი საბოლოოდ ჩრდილოეთისაკენ გადაიხარა, ხოლო როდესაც გენერალმა

შერმანმა ლის არმიას ზურგიდან მოუარა, საქმე გათავებულად იქმნა მიჩნეული, და სამხრეთელთა კონფედერაციამ იარაღი დაჰყარა. შედეგი ის იყო, რომ კონსტიტუციის ახალი მუხლის ძალით მონობა მოსპობილ იქმნა, და სამხრეთი ხელახლა კავშირს დაუბრუნდა. შეერთებული შტატების მთლიანობა კვლავ აღდგენილ იქმნა.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლები

შინაური პოლიტიკა.

1871 წლ. რევოლუცია უკანასკნელი იყო ევროპის სახელმწიფოებში. იქედან დაწყებული ევროპის სახელმწიფოთა შინაური პოლიტიკური ცხოვრება ევოლუციის გზით მიმდინარეობდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თითქმის ყველგან პარლამენტარული წესწყობილება იქმნა შემოღებული, და თუ სადმე ხალხი ახალი პოლიტიკური წესების საჭიროებას აღიარებდა, ამას იგი პარლამენტებში თავისი წარმომადგენლების საშვალებით უმტკივნეულოდ ახორციელებდა.

სამაგიეროდ, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში ვაჭრობა-მრეწველობის ძლიერი განვითარების გამო ევროპაში ყველგან მძლავრი სოციალური მოძრაობა განმტკიცდა, რომელიც მუშათა კლასის ეკონომიურისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გამოაშკარვდა, რომ პროლეტარიატი საკუთარი ინტერესების მატარებელი იყო; მალე იგი ახალი, სოციალისტური და კომუნისტური თეორიების ზეგავლენით შეკავშირდა და თავის საკუთარ ორგანიზაციებში გაერთიანდა. ეს მოძრაობა ყველა სახელმწიფოში სწრაფი ნაბიჯით განვითარდა და სამოციან წლებში ე. წ. **„ინტერნაციონალის“** სახით საერთაშორისო გაერთიანების გზას დაადგა. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა მარქსისა და ენგელსის ე. წ. „სამეცნიერო სოციალიზმმა“, რომელმაც მუშათა წრეებში დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი გასავალი მოიპოვა და მძლავრი „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ შეჰქმნა. მუშათა ორგანიზაციების გაძლიერებას ე. წ. **სოციალური რეფორმების** სახით საგრძნობი ცვლილებები მოჰყვა: ძველი აუტანელი პირობები საქარხნო მუშაობისა შემსუბქდა, ბავშთა და ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა კანონით შემოკლდა, შემოღებულ იქმნა მუშათა დაზღვევის კანონი და სხვა. ახალმა სოციალურმა მოძრაობამ საგარეო პოლიტიკაზეც შესაფერი ზეგავლენის მოხდენა შესძლო: სოციალისტურად შეკავშირებული პროლეტარიატი ომების წინააღმდეგი იყო და ევროპის სახელმწიფონი თავის ურთიერთდამოკიდებულებაში ამას ძალაუნებურად ანგარიშს უწევდენ.

საერთაშორისო დამოკიდებულებანი მეცხრამეტე საუკ. ბოლოს.

დამოკიდებულებანი ევროპაში

სამოცდაათიან წლებში, როგორც ვიცით, შესდგა კავშირი ავსტრიას, გერმანიასა და რუსეთს შორის; მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ბალკანეთის საკითხს თავი წამოეყო, რათა ეს ე. წ. „სამი იმპერატორის კავშირი“ მყის დარღვეულიყო: ავსტრიისა და რუსეთის ინტერესები ე. წ. ახლობელ აღმოსავლეთში ე. ი. ბალკანეთში იმდენად რადიკალურად ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს, რომ ავსტრიამ სან-სტეფანოს ზავის გამო თავისი მოკავშირის, რუსეთის წინააღმდეგ საომარი მზადება დაიწყო. 1878 წლიდან ამგვარად „სამი იმპერატორის კავშირი“ დარღვეულად უნდა ჩათვლილიყო, და მისი ადგილი მარტო ავსტრიისა და გერმანიის კავშირმა დაიკავა.

1871 წლიდან დაწყებული, უთანხმოება გერმანიასა და საფრანგეთს შორის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა; თვით საფრანგეთ'ში განსაკუთრებული სიმპატიით Აარგებლობდა გენერალი **ბულანჟე**, რომელსაც აზრად ჰქონდა რესპუბლიკის დამხობა და შემდეგ გერმანიისათვის სამაგიეროს გადახდა. დამო-

კიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ გერმანიაში ომს ყოველ-
დღე მოელოდენ. ბისმარკი ამბობდა: „საფრანგეთში ყოველ
წუთში შესაძლებელია, რომ ძალა-უფლება ახალი მთავრობის
ხელში გადავიდეს, რომელიც ომს დაიწყებს, და ჩვენ არ ვი-
ცით, როდის მოხდება ეს, ათი დღის თუ ათი წლის შემდეგ; და
ამ მოსალოდნელ ომთან შედარებით 1870 წლის ომი მასხრობა
აღმოჩნდება, ვინაიდან ორივე მხარე შეეცდება იმდენი სისხლი
დააღვრევინოს მოწინააღმდეგეს, რომ მან 30 წლის განმავლო-
ბაში მაიც ახალ ომზე ფიქრიც კი ველარ გაბედეს“-ო.

1882 წ. ავსტრო-გერმანიის კავშირს იტალიაც შეუერთდა,
და ამგვარად გაჩნდა ე. წ. **„სამთა კავშირი“**, რომელიც 1914 წ.
ომამდი ევროპის პოლიტიკას მიმართულებას აძლევდა. საფ-
რანგეთისა და რუსეთის მდგომარეობა განსაკუთრებით საშიში
შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1890 წელს გერმანიის იმპერატორმა
ვილჰელმ II **ინგლისთან** დაახლოება სცადა და მისგან ნაპო-
ლეონის ომების დროს შემოერთებული კუნძული **ჰელჰოლანდი**
მიიღო. განცალკევებული საფრანგეთისა და რუსეთის წინაშე
ცხადად წამოიჭრა აუცილებლობა საერთო მტრის წინააღმდეგ
შეკავშირების საჭიროებისა. 1891 წელს **კრონშტადს** საფრან-
გეთის ესკადრა ეწვია, რომელიც დიდის ზეიმით იქმნა მიღე-
ბული; რუსეთის იმპერატორმა საფრანგეთის პრეზიდენტს ტე-
ლეგრამა გაუგზავნა, სადაც რუსეთის საფრანგეთისადმი ღრმა სიმ-
პატიას ხაზგასმით აღნიშნავდა. 1893 წ. რუსეთმა სამაგიერო
ვიზიტი გადაუხადა **ტულონში** საფრანგეთს, რამაც ხელ-ახალი
ურთიერთისადმი სიმპატიის გამოცხადება გამოიწვია. 1897 წელს
უკვე ოფიციალურად აღინიშნა, რომ საფრანგეთისა და რუსე-
თის ურთიერთობა „მეგობრული და მოკავშირული“ იყო, თუმ-
ცა ხელშეკრულება, რომელიც ამ კავშირს საფუძვლად დაე-
დვა, არ იყო გამომჟღავნებული; მაგრამ ცხადი იყო, რომ
„სამთა კავშირის“ საწინააღმდეგოდ ახალი „ფრანკო-რუსუ-
ლი კავშირი“ შეიქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე კავშირი გაფაციცებით ემზადებოდენ ომისათვის და ცდილობდენ, შეიარაღებისა და ჯარის რიცხვის მხრივ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდენ. დაიწყო ძლიერი **მილიტარისტული** პოლიტიკა, რომელშიც პირველობა გერმანიის ხელთ იყო. „სამთა კავშირი“ კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მას **ოსმალეთიც** შეუერთდა. ეს გარემოება 1897 წლიდან მომზადდა, როდესაც ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ამტყდარი ომი თავდებოდა. გერმანია ოსმალეთს უჭერდა მხარს, და ამან მათი დაახლოება გამოიწვია, რომელიც ოფიციალურად განსაკუთრებით მას შემდეგ განმტკიცდა, რაც ვილჰელმ II თავისი მოგზაურობის დროს თვით სულთანი ინახულა და თავისი მაჰმადიანებისადმი მეგობრობა ხაზგასმით აღნიშნა. ამ გარემოებას გერმანიისათვის პოლიტიკურს გარდა განსაკუთრებით დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

საერთაშორისო დამოკიდებულებანი და მსოფლიო პოლიტიკის წარმოშობვა.

XIX საუკუნის უკანასკნელს ათეულ წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ-დამოკიდებულებაში ევროპის გარეშე მდებარე მიწებმა ე. წ. კოლონიებმა მოიპოვეს.

ინგლისი ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაადგა კოლონიალური პოლიტიკის გზას და აზიასა და ამერიკაში დიდძალი მიწაწყალი ჩაიგდო ხელთ. ინგლისის ლიბერალები, განსაკუთრებით **გლადსტონის** მეთაურობით, დიდად არ თანაუგრძნობდენ ამ პოლიტიკას, მაგრამ სამაგიეროდ მას შემდეგ, რაც მთავრობის ხელმძღვანელობა **ბიკონსფილდის** ხელში გადავიდა, ინგლისი გადაჭრით დაადგა ე. წ. **იმპერიალიზმის** პოლიტიკას, რომელიც მსოფლიო ბატონობის მისწრაფებაზე იყო დაყრდნობილი.

1882 წლიდან ინგლისმა განსაკუთრებული ყურადღება აფრიკას მიაპყრო. თანდათანობით მან დაიკავა ეგვიპტე, კაპ-

ლანდს ნატალი შეუერთა, 1899 წ. ბურების ორი რესპუბლიკის, ტრანსვაალისა და ნარინჯის რესპუბლიკათა წინააღმდეგ ომი დაიწყო და 1901 წელს იგინი შემოიერთა.

ინგლისს გარდა კოლონიალური პოლიტიკის გზას საფრანგეთი და რუსეთიც ადგა. უეჭველია, ამ ნიადაგზე მათ შორის უთანხმოებას ხშირად ადგილი უნდა ჰქონოდა. აზიაში ინგლისის ინტერესები განსაკუთრებით რუსეთისას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო აფრიკაში საფრანგეთისას, რომელმაც **ჟულ ფერის** მინისტრობის დროს (1883—1885) აფრიკის ჩრდილოეთის თითქმის მთელი დასავლეთი ნაწილი დაიკავა და შემდეგ შუა აფრიკის შემოერთებას მიჰყო ხელი; მაგრამ აქ (ფაშოდასთან) ინგლისის წინააღმდეგობას წააწყდა და, რადგანაც ეს უკანასკნელი ომით იმუქრებოდა, საფრანგეთი იძულებული შეიქმნა შეჩერებულიყო.

რუსეთმა XIX საუკ. მეორე ნახევარში საშუალო აზიაში უზარმაზარი ტერიტორია შემოიერთა: ტაშკენტი, სამარკანდი, ხივა, ტეკინი, მერვი და სხვ. ინგლისი იქვის თვალით უყურებდა რუსეთის ასეთს გაძლიერებას აზიაში, და დიდი ხანი არ გასულა, რომ **ალვანისტანის** გამო კინალამ შეიარაღებული შეტაკება მოუხდა მასთან.

ამგვარად, ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ-დამოკიდებულებას ახლა კოლონიალური პოლიტიკა ჰქმნიდა; მას მიმართულებას აძლევდა არა ამა თუ იმ ტერიტორიის საკითხი თვით ევროპაში, არამედ მთელი მსოფლიო იყო ჩათრეული ევროპის კალონიალური პოლიტიკის ბადეში, და საერთაშორისო ურთიერთობა მისი ზეგავლენით იცვლებოდა. ინგლისი ამ პოლიტიკის ნიადაგზე უფრო „სამთა კავშირთან“ იყო დაახლოებული, ვიდრე ფრანგულ-რუსულთან. მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. ოთხმოციან წლებთან ერთად გერმანიაც კალონიალური პოლიტიკის გზას დაადგა და სულ ორი-სამი წლის განმავლობაში იმდენი ტერიტორია დაიკავა, რომ ინგლისსა და რუსეთს შემდეგ თავისი კოლონიების სივრცით მეორე ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკავა. ამგვარად იგიც მსოფლიო სახელმწიფოდ გარდაიქცა და ინგლისის მოქიშპეთა რიცხვს ახალი წევრი შეეძინა. გერმანიას თავისი ახალშენების დიდი უმრავლესობა აფრიკაში ჰქონდა; ამიტომ იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აფრიკის ბედით და 1885 წ. **ბისმარკის** წინადადებით **ბერლინში** კოლონიალური სახელმწიფონი შეიკრიბენ და ე. წ. „აფრიკის განაწილება“ მოახდინეს.

გერმანიის მოულოდნელმა კოლონიალურმა გაძლიერებამ ისეთი თავზარი დასცა ინგლისს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიის მრეწველობამა და ვაჭრობამ მას კორკურენცია დაუწყო, რომ იგი მეოცე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და რუსეთს დაუახლოვდა და ამგვარად „სამთა კავშირის“ წინააღმდეგ „შეთანხმების სახელმწიფოთა“ ჯგუფი შეჰქმნა, რომელმაც ამიერიდან მილიტარიზმი ევროპის სახელმწიფოებში კიდევ უფრო გააძლიერა.

აღსანიშნავია განსაკუთრებით ისიც, რომ ევროპის პოლიტიკის წრეში XIX საუკ. უკანასკნელ წლებში **დიდი ოკეანეც** მოექცა. აქ ჩინეთის გვერდით მალე ახალი სახელმწიფო, **იაპონია** გაძლიერდა, რომელმაც 1894 წელს ჩინეთთან ომი დაიწყო და 1895 წელს მტერი სავსებით დაამარცხა. იაპონიას **სიმონოსეკის** ზავის პირობების მიხედვით უნდა **მიეღო** სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მანჯურიისა, ლიაოდუნის ნახევარკუნძული და რამდენიმე კუნძული ოკეანეში, მაგრამ ამის წინააღმდეგ რუსეთმა გაილაშქრა, რომელსაც ევროპის სახელმწიფოებმაც დაუჭირეს მხარი; იაპონია იძულებული შეიქმნა, მხოლოდ კუნძულების შემოერთებით დაკმაყოფილებულიყო. ეს იყო პირველი შემთხვევა ევროპის ჩინეთის საქმეში ჩარევისა, რომელიც იმით დაიწყო, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებმა ჩინეთის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილი შემოიერთეს (იჯარის სახელით): გერმანიამ **კიაო ჩოუ**, რუსეთმა—**პორტარტური და ტალიენვანი**, ინგლისმა—**ვეი-ხაი-ვეი** და საფრანგეთმა—**კუანს-ჩეუ-უანი**. ჩინეთის ასეთი განაწილების წინაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმდეგ იქ პატრიოტული მოძრაობა ჩაისახა ე. წ. **„დიდი მუშტის“** საზოგადოების ხელმძღვანელობით; საქმე ომამდე მოვიდა, რომელშიც ყველა ევროპის მთავარი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას და რომელიც რასაკვირველია ჩინეთის დამარცხებით დასრულდა (1910 წ.). „დიდი ოკეანეს“ პოლიტიკაზე განსაკუთრებული გავლენა მოიპოვეს ახალმა მსოფლიო სახელმწიფოებმა—**იაპონიამა** და **შეერთებულმა შტატებმა**. ამ უკანასკნელმა მსოფლიო მნიშვნელობა მას შემდეგ მიიღო, რაც მან 1898 წ. ისპანიასთან ომი დაასრულა და ყველა მისი კალონიები შემოიერთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

	83·
წინასიტყვაობა	3
პრუსიის აშაღლება	5
ფრიდრიხ დიდი	9
პარლამენტალური ოლიგარქია ინგლისში . .	15
ინგლისის კოლონიალური პოლიტიკა . .	21
ძველი წესწყობილება	29
XVIII ს. ლიტერატურა და მისი გავლენა .	41
განათლებული აბსოლუტიზმი . . .	69
დიდი რევოლუცია	77
საფრანგეთის რესპუბლიკა	100
დირეკტორია	112
ნაპოლეონი	117
XIX საუკუნე. ვენის კონგრესი . . .	141
რუსეთი და ოსმალეთი	148
ბურბონების რესტავრაცია	154
ივლისის რევოლუციის გავლენა ევროპაში .	159
ივლისის მონარქია.	164
თებერვლის რევოლუცია	167
ლუდოვიკ ნაპოლეონი	179
ეროვნული მოძრაობის განცხოვლება ევროპაში .	182
აღმოსავლეთის საკითხი	205
ინგლისი XIX ს. მეორე ნახევარში . . .	209
შეერთებული შტატები	211
მეცხრამეტე საუკუნ. უკანასკნელი ათეული წლები: შინაური პოლიტიკა	214
საერთაშორისო დამოკიდებულებანი XIX საუკ. უკანასკნელ წლებში.	215

ეროვნული ბიბლიოთეკა